# კვირის პალიტრა

№ 39 (399) ◆ 30 სექტემბერი – 6 ოქტომბერი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.





## მაინც რა ეწერა 2 სექტემბრის „შპიგელში“

დაშიფრული ტექსტით საუბრისას იგორ გიორგაძე ჟურნალ „შპიგელში“ მოთავსებულ ამ სტატიას გულისხმობდა. გვ.4

### ვის ესაუბრა ექსმინისტრი დაშიფრული ტექსტით

**თემურ ჟორჟოლიანი:** მე ვესაუბრე იგორს... სასიხარულო ამბავი მამცნო – სექტემბრის ბოლოს (ოქტომბრის დასაწყისში) აქ იქნება. გვ.5

## რა მოხდა პარასკევს... შემთხვევა საქართველოს ცაში

გვ.8

გასული კვირის პარასკევს თბილისის მოქალაქეები შიშით შეჰყურებდნენ დაბალ სიმაღლეზე მფრენ ორ სამხედრო თვითმფრინავს...

ჩვენს საჰაერო სივრცეში ქართული Су-25-ები რუსული ავიაგამანადგურებლის რაკეტებს გადაურჩნენ.




### ეს, ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს

გვ.9

## ძროხა სანატორიუმის მეხუთე სართულზე

არანორმალური მადა გვაქვს ქართველებს. აღმოჩნდა, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც ებრაელმა სანატორიუმის აშენება მოინდომა, გაყიდული იყო.

მიწის მფლობელმა, ბიზნესმენს სრული წილი მოსთხოვა. გადაირია ებრაელი კაცი, ნორმალურები თუ ხართო? ასე განმეორდა სხვაგანაც. ადგა ის კაცი და თავისივე თვითმფრინავით უკან გაფრინდა...

### მკვდარი კურორტი წყალტუბო

გვ.6



## საქართველოს ნაკრების ბიჭებო!

გვ.35

### მკითხველს თქვენი დიდი იმედი აქვს

მკითხველის ლეიცინგი

## არ მინდა მახვშობა! არ მინდა!

*რევაზ შავიშვილი*

ეს მაშინ მოხდა, როდესაც კონტროლის პალატის თავმჯდომარე ვიყავი. ერთ-ერთ ოჯახში, სტუმარი მამაკაცი, სუფრასთან მსხდომ დანარჩენ სტუმრებს, მეც მათ შორის, გვიყვებოდა, როგორ მიუტანა რევაზ შავიშვილს წინა დღით ქრთამად ოცდაათი ათასი დოლარი... მერე კი, ისეთი პროცესები დაიწყო, თამადა იძულებული გახდა ბრძანება გაეცა: „ქალბატონებმა დატოვეთ სუფრა!“

### ასეთი მთავრობა ერთ წელიწადში იაპონიასაც დაანგრევდა

## შვილო, ბუბა, როგორ არის „შენი“ რუსეთი...

ჩვენი საუბარი ერთი და იმავე კითხვით იწყებოდა, – შენ კიდევ არ გაიპარსე წვერი? წადი, ჩქარა გაიპარსე, ფული თუ არა გაქვს, მე მოგცემო! გარდაცვალებამდე ოთხი დღით ადრე ვუთხარი, – დედა, წვერს აუცილებლად გავიპარსავმეთქი! ძლივს გაახილა თვალები და ჩუმად მითხრა, – არ გაიპარსო... გვ.3





„მე, იპოლიტე ალექსის ძე ხვიჩია, ვალდებული ვარ:

1. ერთის მაგივრად არ გამოვიყენო სამი ქვა უსირცხვილოდ (მაინც წამასწრებენ და რა ფასი აქვს?!).

2. ნამდაუწყუმ არ ვუწოდო ჩემს ძვირფას და ნიჭიერ პარტნიორებს შემდეგი სიტყვები: უპატრონო, კრეტინი, დეგენერატი, კიკა და ა.შ.

ოღონდ ახლა შემირიგდნენ და მეთამაშონ... მაგრამ, თუ ავდექი ფეხზე... თქვენი იპო“. გვ.23

## რა ღირს კომერციული ფართი თბილისში...

თბილისის თითქმის ყველა ცენტრალური ქუჩა ე.წ. საქმიან ქუჩად ჩამოყალიბდა. აღმაშენებლის გამზირს ამ საქმეში ვერც ერთი ქუჩა ვერ შეედრება.

აქ თურქმა ბიზნესმენებმა თავიანთთვის პატარა საქმიანი ცენტრი შექმნეს. აქ არის საელჩო, ბანკი, თითქმის ყველა თურქული კომპანიის ოფისები აქვეა განთავსებული. გვ.27


პროსტატის ადენომა
„ომნიკი“
პრობლემების გადაწყვეტა
სერტიფიცირებულია

გვ. 24

## წელს კახეთში რთველი არ არის!



ვენახების დიდი ნაწილი ბუნებრივმა პირობებმა კი არა, ფალსიფიცირებულმა შხამქიმიკატებმა გაანადგურა, ვენახის შესაწამლ პრეპარატს გლეხი მამასისხლად ყიდულობდა, ზოგიერთებმა 10-ჯერაც კი შეწამლეს ვაზი, მაგრამ სხვადასხვა მინარევით გაჯერებული წამალი თავს არ იჭერდა და ბევრგან ვაზი ისე დააზიანა, რომ ნაყოფთან ერთად სამამულე რქაც გაუხმო. გვ.7

## გრიცკო – შეთეცი საუკუნის მონტე-კრისტო

ვერსია

გვ.10

გრიცკო თავს იკლავდა, ლომბარდი მარტომ გავძარცვეო. საქმეში რჩებოდა ერთი დიდი კითხვის ნიშანი – ვისი თითების ანაბეჭდი იყო „ნაბელლავის“ ბოთლზე? ამასობაში კოსტია კოსტენკომ ქუთაისიდან მოკურცხლა, მაგრამ როცა შეიტყო გრიცკოს ასამართლებენო, უკანვე დაბრუნდა... ერთადერთი მიზნით – იგი სასამართლოს მსვლელობისას უნდა მოეკლა.

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!


ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## კოლინ პაუელმა რუსეთის ოცნებას წერტილი დაუსვა

რუსეთის საინფორმაციო სააგენტოებისთვის მიცემულ ინტერვიუში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა პანკისის ხეობაში მიმდინარე კონტრტერორისტულ ოპერაციასთან დაკავშირებით ბრძანა: „ვფიქრობ, პრეზიდენტი შევარდნაძე გულწრფელად იბრძვის ტერორიზმის წინააღმდეგ საქართველოში და განსაკუთრებით პანკისის ხეობაში. იგი აქტიურად უჭერს მხარს აშშ-ის მონაწილეობას ქართველი სამხედროების წვრთნის პროცესში. პრეზიდენტი შევარდნაძე დაინტერესებულია, რომ ქვეყანა გათავისუფლდეს ტერორისტებისაგან, უწინარესად იმიტომ, რომ ტერორისტების პრობლემა ხელს უშლის საქართველოს ურთიერთობას ჩრდილოელ მეზობელთან! ვფიქრობ, ორივე მხარემ უნდა იმუშაოს, რათა შეწყდეს ტერორისტების მოძრაობა საქართველოდან ჩეჩნეთში და პირიქით. ჩემი აზრით, ამ ვითარებაში რუსეთის მხრიდან სამხედრო ძალის გამოყენება გამოსავალი არ არის და პრობლემა დიალოგით, პოლიტიკური გზით უნდა გადაწყდეს. სადღეისოდ მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველო-ამერიკა-რუსეთს შორის ერთობლივი სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ, თუმცა ეს მუშაობა აბსოლუტურად გამორიცხავს საქართველოს ტერიტორიაზე ერთობლივი სამხედრო ოპერაციის ჩატარებას“!

დასავლელ ექსპერტთა თქმით, კოლინ პაუელმა ამ განცხადებით საბოლოოდ დაუსვა წერტილი რუსების იმედს და ოცნებას, რომ ვაშინგტონისგან ირიბ თანხმობას მაინც მიიღებდნენ საქართველოს დასაბომბად!

## ტყუილს მოკლე ფეხები აქვს

რუსეთის ქართველთმოძულე პოლიტიკოსებმა და მასმედიის ნაწილმა დროშად აიტაცეს სააგენტო „იტარ-ტასის“ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ევროსაბჭოს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტმა ვალტერ შვიმერმა ამავე სააგენტოს კორესპონდენტისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში თითქოს ბრძანა: „თუ დადასტურდა საქართველოდან რუსეთში ტერორისტების გადასვლის ფაქტები, მაშინ ევროსაბჭო პასუხს მოსთხოვს საქართველოს ხელისუფლებას“. რუსეთის დუმაშიც აქტიურად გამოეხმაურნენ ამ ინფორმაციას, მაგრამ ნათქვამია, ტყუილს მოკლე ფეხებს აქვსო. ჯერ იყო და შვიმერის მდივანმა შეუთვალა „იტარ-ტასს“, თქვენს კორესპონდენტებს ევროსაბჭოს გენერალური ასამბლეის სხდომაზე აღარ მოვიწვევთო, შემდეგ კი თავად ვალტერ შვიმერმა სიცრუე და პროვოკაცია უწოდა გავრცელებულ ინფორმაციას და საქართველოს წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო ომის შემადგენელი ნაწილი უწოდა. ბატონმა შვიმერმა სერგეი ივანოვის გაუთავებელ ანტიქართულ განცხადებებსა და მუქარასაც გაუკეთა კომენტარი და ბრძანა, რომ ევროსაბჭო არ დაუშვებს თავისი წევრი სახელმწიფოს მიმართ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას.

## სააკაშვილის ვოიაჟი

აშშ-ში ვიზიტით მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა შეხვედრა-მოლაპარაკება გამართა გავლენიან ამერიკელ სენატორებთან ჯონ მაკ-ქეინსა და ჩარლზ ჰეიგელთან. როგორც ამერიკულმა მხარემ განაცხადა, ფილიპინებსა და იემენში მათი შეიარაღებული ძალების გაწვრთნაში ამერიკელებმა ერთწლიანი პროგრამა განახორციელეს და ეს პროგრამა ამჟამად შეწყვეტილია. საქართველოში ანალოგიურ პროგრამას ამერიკელები სამ წლამდე გაახანგრძლივებენ. მიხეილ სააკაშვილმა ხაზგასმით მიანიშნა, რომ რუსეთის მხრიდან მზარდი აგრესიის პირობებში საქართველოში „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის შეწყვეტა ნამდვილად არ იქნებოდა მიზანშეწონილი... სახელმწიფო დეპარტამენტისა და თეთრი სახლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას კი განიხილეს „იტერასათვის“ თბილისის გაზგამანაწილებელი სისტემის გადაცემის პრობლემა. საგულისხმოა, რომ ამერიკელები კატეგორიული წინააღმდეგნი არიან საქართველოში „იტერას“ შემოსვლისა. ვაშინგტონმა სპეციალური ელჩიც კი გამოგზავნა თბილისში, რათა დაერწმუნებინა შევარდნაძე, რომ „იტერას“ შემოსვლა საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის დაკარგვას მოასწავებს...

„კვირის პალიტრასთან“ საუბარში მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა: „რუსეთის დუმაში შევხვდი „იაბლოკოს“ და მემარჯვენე ძალთა გაერთიანების ლიდერებს. ირინა ხაკამადასთან ერთად შევადგინეთ ექვსპუნქტიანი გეგმა, რომელიც გამორიცხავს საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განხორციელებას. გეგმის თანახმად, საქართველომ და რუსეთმა უნდა გადასცენ ერთმანეთს ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირები; უნდა დაიხუროს მოსკოვში აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის, თბილისში კი ჩეჩნეთის წარმომადგენლობა. რაც მთავარია, ამერიკელები უნდა ჩაერთონ ამ პროცესში და შესაბამისად, შეიქმნას ქართულ-რუსულ-ამერიკული კომისია, რომელიც ტერორიზმის საკითხებზე იმუშავებს“. დასასრულს, რადიოსადგურ „ეხო მოსკვიში“ გამართულ პრესკონფერენციაზე სააკაშვილმა განაცხადა, თუ რუსეთი რეალურად განახორციელებს აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ, ყველა იარაღს ავისხამთ!

## სამარცხვინო ფიასკო

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე რუსეთის დელეგაციამ სამარცხვინო ფიასკო განიცადა. როგორ არ ეცადნენ როგოზინი და ძმანი მისნი ჩაეგდოთ ევროსაბჭოს რეზოლუციის პროექტი, სადაც ეს ორგანიზაცია დაუშვებლად მიიჩნევს საქართველოს, როგორც ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიულ ქმედებებს, აგრესიულ განცხადებებს და ა.შ., მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. გენერალურმა ასამბლეამ რუსეთის დელეგაციის მიერ შემუშავებული რვა შენიშვნიდან რეზოლუციაში ერთიც კი არ შეიტანა და შედეგად როგოზინის გუნდი სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა. რუსეთის დელეგაციიდან რეზოლუციას ხმა მხოლოდ ცნობილმა სამართალდამცველმა სერგეი კოვალიოვმა მისცა. როგოზინმა დამარცხებისთვის დატოვა სტრასბურგი...

## ნატო სექსუალურ რეფორმათა ლიგა ყოფილა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა, რომ ის და მისი უწყება სერიოზულად აღარ აღიქვამენ სერგეი ივანოვის განცხადებებს მას შემდეგ, რაც რუსმა მინისტრმა ნატო სექსუალურ რეფორმათა ლიგას შეადარა. შეგახსენებთ, რომ რუსმა მინისტრმა ვაშინგტონში განაცხადა — სადაც უნდა იქ შევიდეს საქართველო, გინდ ნატოში და გინდ სექსუალურ რეფორმათა ლიგაში, ეს მე არ მაინტერესებს. რუსეთი საქართველოს მიმართ მიიღებს ყველა ზომას, რაც ჩვენს ნაციონალურ ინტერესებს შეესაბამებაო!

## ოპერაციის აქტიური ფაზა დასრულდა

საგანგებო პრესკონფერენციაზე ვალერი ხაბურძანიამ და კობა ნარჩემაშვილმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ პანკისის ხეობაში დასრულდა კონტრკრიმინალური ოპერაციის აქტიური ფაზა, რომლის შედეგად დაკავებულია 41 ძებნილი დამნაშავე; ლიკვიდირებულია 2 ჩეჩენი კრიმინალი; დაკავებულია 23 ჩეჩენი ბოევიკი და ხეობა გაწმენდილია შეიარაღებული ხალხისგან. ოპერაციისას დაიჭრა ორი ქართველი პოლიციელი! ახლა პანკისის ხეობაში დაიწყება ე. წ. ფილტრაცია, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო განახორციელებს და გამოავლენს სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებს. სამწუხაროდ, სამართალდამცველები კვლავ ვერაფერს ამბობენ გატაცებული პიტერ შოუსა და ბერ ბასილ მაჩიტაძის გათავისუფლების შესახებ...

## ახალგამოჩეკილი „ტოტლებენი“ თვითნებობს

უცნაური ამბები ხდება ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ძალების სარდალ ვალერი პრიზემლინის თავს. გენერალი ძალიან ჰგავს ავადსახსენებელ ტოტლებენს, რომელიც თითქოს „სამშვიდობო მისიით“ და ქართველების დასახმარებლად იყო გამოგზავნილი, სინამდვილეში კი მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს. პრიზემლინიც, რომელიც სერგეი ივანოვის თუ კვაშნინის ბრძანებით, ახლახან ჯერ ახალგორის რაიონს მიადგა და იქ სანგრების თხრას მიჰყო ხელი, პარასკევს კი ასევე თვითნებურად გამოვიდა კონფლიქტის ზონიდან და გორი-ცხინვალის ავტომაგისტრალის „გაკონტროლებას“ შეუდგა. შესაბამისად, ქართულ სოფლებს მოედვნენ რუსული ჯავშანტრანსპორტიორები. საქმეში უმალ ჩაერია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და პრიზემლინი თავისი სოლდაფონებითურთ ცხინვალშივე შეაბრუნეს. მაგრამ ღამით ერთი ინციდენტი მაინც მოხდა. არყით გალეშილმა პრიზემლინმა „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და ვიდეოკასეტა წაართვა...

## დაიწყო საფინანსო-კომერციული ომი

ნამდვილი საფინანსო-კომერციული ომი გაჩაღდა „ეი-ი-ეს თელასსა“ და საბითუმო ბაზარს შორის.. ამის მიზეზი გახდა 34 მილიონი ლარის დავალიანება, რომელიც თებერვლის თვიდან „ეი-ი-ეს თელასს“ მართებს საბითუმო ბაზრისა. „ეი-ი-ეს თელასი“ ვალის ოფიციალურ აღიარებაზე უარს აცხადებს, საბითუმო ბაზარი კი კატეგორიულად მოითხოვს მისგან ამას და შესაბამისი ოქმის გაფორმებასაც. საბითუმო ბაზარი იმუქრებოდა, თუ 26 სექტემბრამდე „ეი-ი-ეს თელასი“ არ მოაწერდა ხელს აღნიშნულ ოქმს, თბილისს ჩააბნელებდნენ. „ეი-ი-ეს თელასი“ კი სასამართლოში ჩივილით დაემუქრა მოწინააღმდეგეს, იქით მოსთხოვა საბითუმო ბაზარს 25 მილიონი ლარის დაბრუნება და თან გარანტია მისცა, რომ თანხის მიუღებლობის შემთხვევაში კუთვნილ მე-9 ბლოკს არ აამუშავებენ. „ეი-ი-ეს თელასი“ ირწმუნება, რომ მათ დააყენეს მრიცხველები თბილისში შემავალ ელექტროხაზებზე, რომლებითაც დაფიქსირდა 20%-იანი განსხვავება იმ ციფრებს შორის, რაც რეალურად შემოდიოდა თბილისში და რასაც „ეი-ი-ეს თელასს“ აწერდა საბითუმო ბაზარი. რამდენიმედღიანი დავა იმით დასრულდა, რომ საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელმა ალბერტო სოლისმა გასცა ბრძანება, „ეი-ი-ეს თელასისთვის“ ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შესახებ. ასე რომ, თუ კვლავ ვერ გამოძებნეს საერთო ენა, 3 ოქტომბრის დილის 10 საათიდან თბილისი ელექტროენერგიას გამოემშვიდობება!

## გენპროკურატურა მტკიცე გარანტიას ითხოვს

საქართველოს გენერალური პროკურატურის შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს ჩეჩნური დიასპორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებიც რუსეთისთვის 13 ჩეჩენი ბოევიკის გადაცემის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან და მოითხოვენ საქართველოში მათ გასამართლებას. გენპროკურატურა აცხადებს, რომ ქართული მხარე რუსებისგან მტკიცე გარანტიასაც ითხოვს, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ჩეჩნების სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრება და მათი უფლებები დაცული იქნება! თუმცა საეჭვოა, რუსები მათ „ჰუმანურად“ მოეპყრან, რადგან უსტინოვის უწყების მასალებში შავით თეთრზეა დაფიქსირებული, რომ ჩეჩნები რუსი სამხედროების წინააღმდეგ ტერაქტებში არიან ბრალდებულნი!

## სკანდალური „27-ე“

დიდი ღრიანცელი მოჰყვა პარლამენტში „შეჟონილ“ ინფორმაციას ეროვნული უშიშროების საბჭოში მომზადებული დოკუმენტის შესახებ, რომელშიც საუბარია კონკრეტული დეპუტატების ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაზე, მათ შესახებ მასალების შეგროვებასა და მათი „მოღვაწეობის“ გაკონტროლებაზე! სკანდალი მთელი კვირის მანძილზე გაგრძელდა. ახლა დოკუმენტის აღნიშნულ პუნქტს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისა და „ნდობის ჯგუფის“ წევრები განიხილავენ და შემდეგ იმსჯელებენ პარლამენტის სხდომაზე! ამასობაში კი, პარლამენტის ბიუროს სხდომაზე მიწვეულმა გენპროკურორმა, უშიშროების საბჭოს მდივანმა და იუსტიციის მინისტრმა პარლამენტარებს 27-ე პუნქტის შესახებ ახსნა-განმარტება მისცეს და ბრძანეს, რომ იქ სარედაქციო უზუსტობებია დაშვებული და რომ საქმე მხოლოდ პარლამენტარების საქმიანობას არ ეხება, არამედ მთავრობის წევრებისა და სხვათა საქმიანობასაცო. ნუგზარ გაბრიჩიძემ კი განაცხადა, რომ პრესაში ბორის კაკუბავას მიერ გაკეთებული განცხადებების გამო, რომ ის ასიათასობით ადამიანს გამოიყვანს ქუჩაში და ძალით დაამხობს შევარდნაძის რეჟიმს, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებაო.

## სახელმწიფო გადატრიალება „გაიხსნა“

გასულ კვირას მორიგი სახელმწიფო გადატრიალების მზადების საქმე „გაიხსნა“. ტელევიზიით გამოსვლისას უშიშროების მინისტრის მოადგილემ წარმოადგინა სატელეფონო საუბრის ჩანაწერი იგორ გიორგაძესა და „ინკოგნიტო“ ქართველ პოლიტიკოსს შორის, სადაც გიორგაძე მინიშნებებით აუწყებდა თანამოსაუბრეს, მალე „მე-9 თვეში ვაჟი დაიბადება“ და ყველაფერი კარგად იქნებაო! ამ „ყველაფერში“ უშიშროებამ, სწორედ მოსალოდნელი გადატრიალება დაინახა, თუმცა გიორგაძის გაშიფრული „ინკოგნიტო“ თანამოსაუბრე კონსერვატორულ-მონარქისტული პარტიის ლიდერი თემურ ჟორჟოლიანი ამტკიცებს, რომ საუბარი მხოლოდ საქართველოში იგორ გიორგაძის დაბრუნებას შეეხებოდა და მან მაუწყა, რომ მალე ჩამოვალო... (ვრცლად იხ. გვ.5).

## რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტრო „მუშაობს“

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მორიგი „უმნიშვნელოვანესი და ისტორიული ინიციატივით“ გამოვიდა და, ვითომდა საქართველოში მოთარეშე ტერორისტების საბაბით, მოუწოდა რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს არ ჩავიდეს თბილისში, სადაც 12 ოქტომბერს დაგეგმილია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველოს ნაკრებთან! იგორ ივანოვის უწყება უკვე სპორტის თემითაც სპეკულირებს, რათა საერთაშორისო თანამეგობრობას დაუმტკიცოს, რომ თბილისში ფეხბურთის მატჩის გამართვაც არ შეიძლება ტერორიზმის საფრთხის გამო! ამასობაში კი საქართველოს ხელისუფლებამ უკვე დაიწყო მზადება მატჩის დღეს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და საამისოდ უპრეცედენტო ზომების მიღებას გეგმავს!

## ვინ მიდის მოსკოვში?

მოსკოვში რუს დეპუტატებთან შესახვედრად გასამგზავრებელი დელეგაციის ხელმძღვანელის ვაკანსია გაწევ-გამოწევის საგნად იქცა. ერთ მხარეს „უიღბლო“ ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილია, ხოლო მეორე მხარეს პარლამენტის თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე.

როგორც რჩეულიშვილი აცხადებს, მიუხედავად რუსების სურვილისა, რომ რჩეულიშვილი ყოფილიყო დელეგაციის ხელმძღვანელი, ბურჯანაძემ ჯერ ელდარ შენგელაიას კანდიდატურა შესთავაზა პარლამენტს, მაგრამ რომ არ გამოუვიდა, თავად ისურვა მოსკოვს გამგზავრება.

რჩეულიშვილს სჯერა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობას ყველაზე უკეთ ორი კაცი მოაგვარებს — ასლან აბაშიძე და ვაჟა ლორთქიფანიძე, მაგრამ რადგანაც არც ერთს არ სურს ზედმეტი ტვირთის აღება თავის თავზე, მას ამიტომ შეუთავაზებია საკუთარი კანდიდატურა...

## ვინ არის დამნაშავე?

ექსფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე, რომელიც თავისი პარტიის ყრილობისთვის ემზადება და პოლიტიკურად აქტიურობს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაცვის ყოფილ უფროსს რობინზონ მარგველანს დაუპირისპირდა. ზედიზედ გამართულ პრესკონფერენციებზე ისინი ზვიად გამსახურდიას სიკვდილში ერთმანეთს ადანაშაულებდნენ. აბსანძე გამსახურდიას სიკვდილში მარგველანთან ერთად ავთანდილ მარგიანსაც სდებდა ბრალს და აცხადებდა — მარგიანი ის კაცია, რომელიც ქრთამის გამო ყველაფერზე წავაო! ავთანდილ მარგიანმა კი აბსანძეს უწოდა „ტანწერწეტა ბიჭი, რომელიც ციხეში თაგვის ხვრელში გაეტია და გაიქცა“ და აბსურდი უწოდა ამ ბრალდებას! მარგველანი კი აბსანძეს ადანაშაულებს იმაში, რომ მან ყველაზე მძიმე დროს მიატოვა ზვიად გამსახურდია, თმა შეიღება, როგორც უკანასკნელმა ლაჩარმა და მოსკოვში გაიპარა! აბსანძე კი აცხადებს, სწორედ მარგველანის ჩვენების საფუძველზე გაავრცელა გენპროკურატურამ ინფორმაცია გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ, მაშინ, როცა გამსახურდიას არ მოუკლავს თავი, ის მოკლესო! აბსანძის თქმით, დღეს ხელისუფლება „სოროებიდან უშვებს პატარა ვირთხებს“ და იყენებს გამსახურდიას ე.წ. დაცვის ამ წევრებს ჩემი პარტიის დისკრედიტირებისთვისო!

## პანკისში კომპიუტერის კურსებზე ვიწვევთ...

ათდღიანი ადმინისტრაციული სასჯელის მოხდის შემდეგ ახმეტის რაიონის პოლიციის ყოფილი უფროსი ავთანდილ თურქიაშვილი გაათავისუფლეს. იგი კობა ნარჩემაშვილმა დასაჯა ახმეტის საავადმყოფოდან დაჭრილი ჩეჩნის, ისა მურატოვის გაპარების გამო. თურქიაშვილი ჯერჯერობით არაფერს ამბობს ჩეჩნის გაპარების დეტალებზე და მხოლოდ აცხადებს, რომ დაჭრილს დაცვა ერთ-ერთ მაღალჩინოსანთან შეთანხმებისა და მისი ბიოგრაფიის შესწავლის შემდეგ მოეხსნა. თურქიაშვილი იმასაც ამბობს, რომ მურატოვი შემთხვევით დაიჭირა სხვა პირებს შორის მომხდარი სროლისას და რომ იგი ისეთივე ლტოლვილია, როგორიც სხვა ჩეჩნები! მურატოვის ადგილსამყოფელი კი დღემდე უცნობია...

გასულ კვირას სამართალდამცველებმა კიდევ რამდენიმე საეჭვო პირი დააკავეს. ერთ-ერთმა მათგანმა, აზერბაიჯანელმა ასკეროვმა აღიარა, რომ პანკისში შემთხვევითი გასროლით მოკლა 13 წლის ჩეჩენი ბავშვი, რომ ჩეჩნებთან ერთად აფხაზეთში იმყოფებოდა გელაევის რეიდისას, ახლა კი პანკისში... კომპიუტერის შესასწავლად ჩავიდა(!). ასკეროვის საქმის გამოძიებაში აზერბაიჯანული მხარეა ჩართული!

## რუსუდან ბერიძეს ბრალად სდებენ...

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს რუსუდან ბერიძეს ბრალად სდებენ თენგიზ ასანიძის შეწყალების დოკუმენტის საკანონმდებლო აქტების დარღვევით მომზადებას. ეს საკითხი პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე განიხილეს, რომლის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარე მიხელ ოსაძე ბათუმში ჩავიდა და ასლან აბაშიძეს შეხვდა. ოსაძეს თავისი კომისიის დასკვნისა და აბაშიძესთან გამართული მოლაპარაკების შესახებ არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, დასკვნის შინაარსი გაახმაურეს ბათუმში, რომლის თანახმად, ოსაძის საგამოძიებო კომისია პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ ასანიძის შეწყალებას უკანონოდ მიიჩნევს და ამაზე პასუხისმგებლობას რუსუდან ბერიძეს აკისრებს. მეტიც, ასლან აბაშიძის პრესმდივნის განცხადებით, დასკვნაში ისიც არის ნათქვამი, რომ უნდა დაისვას რუსუდან ბერიძის იმპიჩმენტის საკითხი, რადგან თავს უფლება მისცა, შეცდომაში შეეყვანა პრეზიდენტი და ხელი მოეწერინებინა ისეთ დოკუმენტზე, რომელიც არ წარმოადგენდა სამართლებრივ-იურიდიულ დოკუმენტს! სახელმწიფო კანცელარიაში კი აცხადებენ, რომ პრეზიდენტს აქვს შეწყალების კონსტიტუციური უფლება და რომ ეს უფლება ხელშეუხებელია!

## აფხაზური მხარე პარტიზანებს ადანაშაულებს

გალის რაიონში აფხაზეთის ე.წ. საბაჟო დეპარტამენტის შეფი გივი აგრბა ააფეთქეს სამი აფხაზითა და საკუთარი ავტომანქანითურთ. სოხუმის რეჟიმმა მომხდარში ქართველი პარტიზანები დაადანაშაულა და „საერთაშორისო ტერორისტებისათვის“ საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერის შესახებაც გააკეთეს „მკაცრი განცხადებები“. არადა, თავად აფხაზური წყაროები აგრბას აფეთქებას მის კომერციულ მაქინაციებს უკავშირებენ...

## მოსალოდნელია დაკავებულთა ექსტრადიცია

რუსეთ-საქართველოს საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთზე ქართველ მესაზღვრეთა მიერ დაკავებულ ოთხ პირს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. მათგან ორი საფრანგეთის, ერთი სირიის და ერთიც რუსეთის მოქალაქეა. მათ 5-წლიანი პატიმრობა ემუქრებათ! ოთხივე მუსლიმანია, რომელთაგან სამი არაბია და ისინი ბოევიკები არიან! არ გამორიცხავენ დაკავებულთა ექსტრადიციას.




## ბერლინ-ვაშინგტონს შორის ბზარი გაჩნდა?!

დასავლეთის პრესა შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ფრიად დაიძაბა ურთიერთობები ვაშინგტონსა და ბერლინს, შესაბამისად ჯორჯ ბუშსა და გერჰარდ შრედერს შორის, რომლის მსგავსი პრეცედენტიც არ ყოფილა 1945 წლიდან დღემდე. წინასაარჩევნო კამპანიისას შრედერი უმოწყალოდ აკრიტიკებდა პრეზიდენტ ბუშს და ერაყის მიმართ ვაშინგტონის პოლიტიკა ჰიტლერის პოლიტიკასაც კი შეადარა, რითაც უკიდურესად განარისხა ბუში და მისი ადმინისტრაცია. როგორც დასავლეთის პრესა წერს, ამ თითქოსდა წინასაარჩევნო, მაგრამ აბსურდული განცხადებებისაგან მიღებული დიპლომატიური ზარალის ანაზღაურებას დიდი დრო დასჭირდება და შრედერს ძვირად დაუჯდება თავისი პოზიცია. დასავლელი პოლიტოლოგები არც შრედერ-პუტინს შორის არსებულ უაღრესად ახლო ურთიერთობების ფაქტორს გამორიცხავენ ბერლინ-ვაშინგტონს შორის შექმნილი დაძაბური ურთიერთობების მიზეზად!

## გაეროსგან მკაცრ რეზოლუციას ითხოვენ

აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა გაეროს ერაყთან დაკავშირებით მკაცრი რეზოლუციის მიღება მოსთხოვეს და დაიმუქრნენ, რომ თუ გაეროს უშიშროების საბჭო არ მიიღებს მას (ასეთი რეზოლუციის მიღების წინააღმდეგია უშიშროების საბჭოს სამი მუდმივი წევრი — რუსეთი, ჩინეთი და საფრანგეთი), ამერიკა გაეროს თანხმობის გარეშეც დაარტყამს სადამ ჰუსეინის რეჟიმს და დაამხობს მას. ტეხასში, რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერთა თავყრილობაზე გამოსვლისას, პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, სადამ ჰუსეინი ქიმიურ იარაღს ფლობს და ბირთვული რაკეტების შექმნაზე მუშაობს, ამიტომ დროა სადამი შევაჩეროთ და დავამხოთ!

# შვილო, ბუბა, როგორ არის „შენი“ რუსეთი...



მოსკოვში, საქართველოს საელჩოს საპროტესტო აქციით ამჯერად იქ მცხოვრები „ჩვენი თანამემამულეები“, ქართველები მიადგნენ და ბევრი ივიშვიშეს იმის შესახებ, თუ როგორ ანადგურებს პრეზიდენტი შევარდნაძე ქართულ-რუსულ საუკუნოვან ერთიერთობებსა და „ძმობას“. გამოტანილი იყო ტრანსპარანტები, რომლებიც იუწყებოდნენ, თუ როგორ გზავნის საქართველო ასობით ტერორისტს დიდი რუსეთის ასაოხრებლად(!). სამწუხაროდ, არანაკლებ მსგავსი ოდიოზური განცხადებები საკუთრივ საქართველოშიც ისმის, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ქართული საზოგადოების და პოლიტიკური სპექტრის არასრულფასოვნებაზე, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ასეთი მოვლენები სერიოზულ ნეგატიურ დაღს ასვამს ადამიანთა ცნობიერებას და გავლენის ქვეშ აქცევს მათ... საერთოდ, განვითარების „თვისებრივად ახალ ფაზაში“ შესულ მღვრიე ქართულ საზოგადოებას, რომელსაც უწინარესად ნიჰილიზმი გამოარჩევს წინამორბედთაგან, ვერ მოსთხოვ მაღალი მატერიებით აზროვნებასა და ცხოვრებას (დემოკრატიაა). ამიტომ, ალბათ უპრიანია, რომ მიუხედავად პოლიტიკური კატაკლიზმებისა, რაშიც ყელამდე ვართ ჩაფლულნი და ბევრი რამ განზე გვრჩება, ჩვენ გვერდით მყოფ საინტერესო და იმავდროულად ურთულესი ცხოვრებისეული გზის უხმაუროდ გამომვლელ ადამიანებზეც ვთქვათ ხოლმე ერთი-ორი სიტყვა, მით უმეტეს, რომ ეს ადამიანები ნელ-ნელა სამუდამოდ მიდიან ჩვენგან და მიაქვთ ის, რითაც ოდესღაც ფასობდა ქართველი და შესაბამისად, საზოგადოებაც.

და კიდევ: გასულ კვირას კვლავ ბევრი რამ მოხდა საქართველოში და საქართველოსთან დაკავშირებით. მარტო ვარშავაში ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა სამიტსა და ევროსაბჭოში რუსეთის დელეგაციების „ჩაქოლვა“ რად ღირს, სადაც პირდაპირ მოსთხოვეს მოსკოვს თავი ანებოს საქართველოს დაბომბვაზე ფიქრსაც კი და პრობლემები მოლაპარაკების მაგიდასთან გადაჭრას... დღევანდელი პუბლიკაციაც, ტრადიციულად, ჩვენი ქვეყნისთვის საჭირბოროტო მნიშვნელოვან ამბებს მიეძღვნებოდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ შეუძლებელია მოსკოვიდან მომდინარე გაუთავებელ აბსურდულ ბრალდებებს ასევე გაუთავებლად უკეთებდე კომენტარს და უძღვნიდე პუბლიკაციებს. გადავილალეთ, და როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენ გვერდით ხდება მოვლენები, ცხოვრობენ და მიდიან ადამიანები და სამწუხაროდ ბევრ სხვასთან ერთად, დიდი ხანია აღარაფერს ვამბობთ ისეთ ადამიანურ ფენომენზე, რასაც დედაშვილობა ჰქვია. ბატონმა **ვახტანგ კიკაბიძემ** მისთვის მძიმე ჟამს მომცა ინტერვიუ — ამ დღეებში მიწას მიაბარა დედა — ქალბატონი მანანა ბაგრატიონი და ისეთი ამბებიც მიამბო ბაგრატიონთა ამ შტოსა და ოჯახის ისტორიის, საერთოდ წარსული წლების შესახებ, რომელიც ღირს დაფიქრებად თანამედროვეთათვის, უწინარესად, ურთიერთგატანის, თანადგომისა და ურთიერთპატივისცემის ტრადიციების აღდგენის და საერთოდ, ადამიანურობის თვალსაზრისით:

— დიდ მადლობას მოგახსენებთ თანაგრძნობისათვის... დედაჩემი, მანანა ბაგრატიონი, 44 წელიწადი გალობდა სიონის საკათედრო ტაძარში. დედა ძალიან ლამაზი ქალი გახლდათ და როცა დაკრძალვისას ვეთხოვებოდი, პირდაპირ გეტყვით (და ეს ბევრმაც მითხრა), რომ ასეთი დამშვიდებული, ლამაზი სახე მიცვალებულისა, არ მინახავს... ბაგრატიონთა დედაჩემისეული შტო, მათი გენეალოგიური ხის თანახმად, სათავეს ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მერვისგან იღებს. საქართველოს სამეფოებად დაშლის შემდეგ, ანუ 1466 წლიდან, ის კახეთში გამეფდა გიორგი პირველის სახელით. მერე ტახტზე ავიდა ალექსანდრე პირველი, რომელიც უმცროსმა ვაჟმა, გიორგიმ, 1511 წელს მოაკვლევინა და იმავდროულად, თვალები დასთხარა ღვიძლ ძმას, უფლისწულ დემეტრეს. ის ცნობილი ავგიორგი გახლდათ, რომელიც ამ გზით გამეფდა. დემეტრეს ჰყავდა ძე, დავითი, რომლისგანაც წამოვიდა ბაგრატიონთა ეს შტო და ეწოდა ბაგრატიონ-დავითისშვილები. მათ ასევე უწოდებდნენ თვალდამწვრიან ბაგრატიონებს. ისინი კახეთში დატრიალებული უბედურების შემდეგ გამოექცნენ ავგიორგის და ქართლში, დღევანდელი ქარელის რაიონის სოფელ აბანოში დასახლდნენ. ასე მოვიდნენ გასული საუკუნის 20-იან წლებამდე და როცა შიდა ქართლში ოსების ბოლშევიკური აჯანყება დაიწყო, რასაც ქართლის სოფლების აოხრება-აწიოკებაც მოჰყვა და რამაც ადგილობრივ ბოგანოთა ხელითაც ბევრი წარჩინებული ქართველი თავადისა და აზნაურის სიცოცხლე შეიწირა, პაპაჩემმა (დედაჩემის მამამ) კოტე ბაგრატიონმა აკრიფა გუდანაბადი და ოჯახითურთ თბილისს მიაშურა.

— **რამდენადაც ვიცი, თქვენ ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის ნათესავი ხართ დედის მხრიდან.**

— დიახ. პაპაჩემის, კოტე ბაგრატიონის მეუღლე, ანუ ჩემი ბებო გახლდათ ოლღა ამირეჯიბი. მისი მამა და ჭაბუას მამა ბიძაშვილები არიან. ოლღა ამირეჯიბი გახლდათ პირველი ქართველი მომღერალი ქალი, რომლის სიმღერაც ჩაიწერეს გრამაფონის ფირფიტაზე. ოლღა ბებო ადრე გარდაიცვალა და კოტე პაპას მარტო მოუხდა ოთხი შვილის — თამარ, ჯანო, მანანა და ნატო ბაგრატიონების მოვლა-პატრონობა. ნაბოლარა ნატო უფროს დასთან, თამართან იზრდებოდა. მისი მეუღლე გახლდათ ცნობილი „ცისფერყანწელი“ ნიკოლო მიწიშვილი, რომელიც 1937 წლებში დახვრიტეს, თამარი კი გადაასახლეს. მათი შვილების — ილამაზ და მარინა მიწიშვილების პატრონობაც პაპას დააწვა კისერზე. დედაჩემს ბავშვობიდანვე საოცარი ხმა ჰქონია. ამბობენ, მანანა და ჯანო ბაგრატიონებს სიმღერის ნიჭი სწორედ დედის მხრიდან, ამირეჯიბებიდან გამოჰყვაო.

— **ანუ თქვენც ამირეჯიბებს უნდა უმადლოდეთ ვოკალურ და სამსახიობო ნიჭს.**

— არა მარტო მე... ბიძაჩემ ჯანო ბაგრატიონის ვაჟი, „პატარა“ ჯანო ბაგრატიონი რომ შესანიშნავად მღერის, ცნობილია. უმცროსი ვაჟის, გიორგის ქალიშვილი ლიზიკო ბაგრატიონი, ასევე ძალიან კარგად მღერის. ბრწყინვალედ მღერის ჩემი უმცროსი დეიდის, ნატოს ქალიშვილი ხათუნა ღვაბერიძეც, რომლის ხმის ტემბრიც გასაოცრად ჰგავს დედაჩემისას. ცეკვის ნიჭი კი ნაღდად ბაგრატიონებისაგან მოგვდევს. თუმცა იმასაც გეტყვით, რომ მამაჩემი, კოტე კიკაბიძეც შესანიშნავად მღეროდა და ომამდე სახელმწიფო კაპელაში მუშაობდა! ჩემი დეიდაშვილი ილამაზ მიწიშვილი ამბობს ხოლმე, ბუბა კიკაბიძე ზემოჩამოთვლილი ნიჭების სინთეზიაო...

— **მამათქვენზეც გვიამბეთ... როგორ მოხვდა ფრონტზე კაპელის მომღერალი და სად დაიღუპა.**

— მამაჩემს მხედველობა აკლდა და საკმაოდ სქელშუშიან სათვალეს ატარებდა. შესაბამისად, ფრონტზე გაწვევა არ ეხებოდა, მაგრამ დედაჩემისთვის უთქვამს, — მრცხვენია, ქუჩაში რომ დავდივარო და მოხალისედ წავიდა ომში. მამაჩემის სახე ფოტოკადრივით დამამახსოვრდა. სანამ ფრონტზე წავიდოდა, მე და დედაჩემი მივედით ავლაბარში, ყაზარმაში. გამოვიდა სამხედროფორმიანი მამა, ხელში ქიშმიშით სავსე გაზეთის პარკი ეჭირა, რომელიც მომცა... აი, ესღა დამრჩა მეხსიერებაში სამი წლის ბიჭს. მამა ჟურნალისტობდა კიდეც და მისი გვარი, როგორც ომში დაღუპული ჟურნალისტისა, დღემდე გამოკრულია ყოფილი „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში. ის უაღრესად განათლებული, ზრდილობიანი და ძალიან სიმპათიური მამაკაცი ყოფილა... მისი ქერჩში უგზო-უკვლოდ დაკარგვის შეტყობინება 1942 წელს მივიღეთ. დედას არ სურდა დაეჯერებინა მისი სიკვდილი და მრავალი წლის მანძილზე იმეორებდა — კოტე ცოცხალია, აუცილებლად დაბრუნდებაო. ორი წლის წინ რუსეთის საგარეო დაზვერვის თანამშრომლებისთვის მთხოვეს კონცერტის გამართვა. დავთანხმდი. როცა მკითხეს, რა თანხა გადაგიხადოთო, შევუთვალე — სულელს ვგავარ, რომ თქვენ ფული გამოგართვათ-მეთქი? შესანიშნავი შეხვედრა მომიწყვეს, კონცერტმაც კარგად ჩაიარა. შემდეგ, ბანკეტზე, ამ უწყების ხელმძღვანელებს მოვუყევი მამაჩემის შესახებ და ვთხოვე — იქნებ გაარკვიოთ, სად არის დაკრძალული, რომ ჩავიდე და ყვავილები მივიტანო-მეთქი. ერთ-ერთმა გენერალმა ჩაიწერა მონაცემები და დამპირდა, არქივიდან საბუთებს მოვიძიებო. ორი თვის შემდეგ დამირეკეს და მითხრეს — ომში დაღუპული ათი კიკაბიძის გვარი მოვძებნეთ და არც ერთს არ ემთხვევა მამათქვენის სახელი და მამის სახელიო! ისიც მითხრეს, რომ შეიძლება მამათქვენი ისეთი ხაზით მსახურობდა, რომელიც არ ხმაურდებოდა (შეიძლება საფრონტო დაზვერვის ხაზითაც) და, შესაბამისად, მასზე არაფერია არქივშიო... ქერჩსაც დავუკავშირდი, იქაც ბევრი ეძებეს, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ამ სამი თვის წინ დამირეკეს და მითხრეს: მართალია, ვერ ვიპოვეთ, მაგრამ ვიცით, რომ აქ უამრავი ქართველი დაიღუპა და ავაგეთ მემორიალი, რომელზეც კოტე კიკაბიძის სახელიც ამოვტვიფრეთო!

— **როგორ ცხოვრობდით იმ წლებში და ქართული საზოგადოების, ადამიანების რა ნიშან-თვისებები დაგამახსოვრდათ, რა გამოარჩევდა მაშინდელ ქართველობას დღევანდელისაგან?**

— მე და დედა 1954 წლამდე ყოფილი ძერჟინსკის ქუჩაზე, ათ ნომერში, ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდით. ცემენტის იატაკი ჰქონდა იმ ოთახს, რადგან ხის იატაკის დაგების სახსარი არ გაგვაჩნდა. ალბათ იმიტომ მტკივა დღემდე სახსრები... ომის წლებშიც და შემდგომაც უკიდურესად გვიჭირდა ყველას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ გამორჩეული გვარების ოჯახები, რომლებიც მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდათ... მახსოვს, ომის წლებში პაპა კოტე ყოველ დილით, როგორც წესი, რაღაც საოცრად გემრიელ, დიდ თეთრ პურს იყიდდა (არ ვიცი, წიგნებს ყიდდა, თუ საიდან ჰქონდა იმ პურის შესაძენი თანხა, რომელიც უტალონოდ იყიდებოდა), დაჭრიდა და ჩამოგვირიგებდა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი მჭამელი არა ვარ, ძალიან მიყვარს სუფრაზე ბევრი კერძის ხილვა. უქონლობის სინდრომი გამომყვა დღემდე, ისევე როგორც უმამობისა! ჩემს კლასში 34 ბიჭი ვიყავით და მხოლოდ ერთს, ცხონებულ ჩემს მეგობარს სოსო მამფორიას ჰყავდა მამა ცოცხალი. სამხედრო ექიმი გახლდათ და როცა შვილს სკოლაში აკითხავდა, ბავშვურად გვშურდა სოსოსი.. ძნელია თქმა, რას ვჭამდით მაშინ. მთელი ჩემი თაობა ქუჩაში იზრდებოდა. მაშინ სულ სხვა ქუჩა იყო. დედები ოცდაოთხი საათი ლუკმაპურისთვის მუშაობდნენ და ქუჩა იყო ჩვენი აღმზრდელიც და პიროვნებად ჩამომყალიბებელიც. დედა სახელმწიფო კაპელაში და ძია ჯანოს ორკესტრშიც მღეროდა, დეიდა ნატო ცეკვავდა... დედას თავიდანვე მიუწევდა გული ეკლესიისკენ და მახსოვს, კაპელაში მუშაობის პარალელურად, სიონის ეკლესიაში დაიწყო გალობა. ეს იყო მისი შემოსავალი, რითაც ძლივს გაგვქონდა თავი. ერთ საოცარ ფაქტს გავიხსენებ: გაცხარებული ომისა და გაჭირვების წლებში რამდენჯერმე აბანოელმა გლეხებმა პაპა კოტეს, როგორც თავიანთ ყოფილ პატრონს, ძღვენი გამოუგზავნეს ისე, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო. არადა ეს რომ კომუნისტ ხელმძღვანელებს ჩასწვდომოდათ ყურში, პაპასაც და იმ გლეხებსაც რეპრესიები არ ასცდებოდათ. მიუხედავად დიდი რისკისა, მსგავსი კაცური ნაღდი ქართული ურთიერთობები და ტრადიციები მაინც ცოცხლობდა. საერთოდ, სულ სხვა ცხოვრება იყო მაშინ. გადმოცემით ვიცი, თუ როგორ შეუღლდნენ ჩემი მშობლები. თბილისში, დადიანების ერთ-ერთ ოჯახში, წვეულებაზე შეხვდნენ თურმე, სადაც სიტყვა-პასუხი, ურთიერთობა, იუმორი და გნებავთ, არშიყიც, ზრდილობის უმაღლეს ტრადიციულ ჩარჩოებში იყო მოქცეული. წვეულებაზე პაპა კოტეც ბრძანდებოდა და როცა შინ დაბრუნდნენ, დედაჩემს ჰკითხა: სუფრაზე ვიღაც ჟურნალისტი კიკაბიძე გეპრანჭებოდა და მართალია, რაც მოხდაო? მოხდა კი თურმე შემდეგი:. სუფრაზე მამას განუცხადებია დედაჩემისთვის, — რა გავაკეთოო, თქვენი ყურადღება რომ დავიმსახუროო? თურმე გაზაფხულია, ახალი შემოსულია ბოსტნეული, მწვანე წიწაკა და დედაჩემსაც ხუმრობით უთქვამს, — რამდენიმე წიწაკას ერთად თუ შეჭამთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგაქცევთ ყურადღებასო! მართლაც, რამდენიმე წიწაკა შეუჭამია მამაჩემს და ცუდად გამხდარა... დედაჩემს ცხვირსახოცი დაუსველებია და შუბლზე დაუდვია! ეს ამბავი მოუყვა პაპაჩემს და მანაც პირდაპირ უთხრა მანანას — რადგან ცხვირსახოცი შუბლზე დაადე, მიხედე და მიეკარე, მაშინ ცოლადაც უნდა გაჰყვეო! აი, ასე ცხოვრობდნენ. დღეს კი შეიძლება ქუჩაში ბიჭი მოდიოდეს, მხრებზე გოგო ეჯდეს, პაპიროსს ეწეოდეს და გარკვევაც გაგიჭირდეს, რომელია კაცი და რომელი ქალი. კიკაბიძეებს ენაცვალოს ჩემი თავი, მაგრამ ჩემი გაჭირვების დროს ბაგრატიონთა მხარე მახსოვს, რომლებიც ყოველთვის ერთად იყვნენ. მთელი ჩემი ცხოვრება ბაგრატიონებთანაა დაკავშირებული. როცა ეკრანზე მიხილეს, მხოლოდ მერე გამოჩნდნენ ნათესავი კიკაბიძეები... ალბათ, მათაც თავისი გაჭირვება ჰქონდათ!

— **პოლიტიკაზე თუ საუბრობდით ხოლმე და საერთოდ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ დედათქვენს და მის მეგობრებს საქართველოში მომხდარი მოვლენებისადმი.**

— როცა კუპონები შემოვიდა და პროდუქტზე ფასებმა მილიონებს მიუკაკუნა, დედაჩემმა ვერ გაიგო, რა ხდებოდა. ძალიან ნერვიულობდა. მეც ვუთხარი: ერთადერთი კომუნისტი, ჩემი მეგობარი რაიკომის მდივანი დატოვეს თანამდებობაზე, მის რაიონში საბჭოთა კავშირის დროინდელი ფასები დარჩა და ამიტომ ეს პროდუქტები, რაც შენთან მომაქვს, იმ დაბალი ფასებით არის ნაყიდი-მეთქი. ამის თქმა იყო და, მთელ ეზოში დაარიგა ჩემი მოტანილი ლობიო, ყველი, ძეხვი, კონსერვები, თან ყველას ეუბნებოდა, — ჩემი ბუბას ძმაკაცი რაიკომის მდივანი დარჩა, რომელთანაც იაფად ყიდულობს სურსათსო! აი, ასე არიგებდა და მეც ბოლომდე ვეთამაშებოდი, სანამ კუპონები იყო. მერე კი მიხვდა ყველაფერს. ეტყობა, დედაჩემის თაობას თავისი მსოფლმხედველობა შემორჩა ბოლომდე. მახსენდება ლადო გუდიაშვილის მეუღლე, ცხონებული დეიდა ნინო, რომელიც ამ ათი წლის წინ საქართველოში ჩამოსულ შევარდნაძეს გუბერნატორს ეძახდა იმიტომ, რომ ვერ ერკვეოდა თანამდებობებში. პროტესტის ნიშნად გამოაცხადებდა ხოლმე, — ეტოტ გუბერნატორ პოჩემუ ნე დაიოტ სვეტო! — თითქოს ამ განცხადებისთანავე შევარდნაძე უმალ შუქს გაუგზავნიდა! მიდის, მიდის ეს ხალხი... ყოველთვის ვგრძნობდი, რომ სახლში ბაგრატიონის ქალბატონი მყავდა. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ხელში ან წიგნი ეჭირა, ან გაზეთი, ან ტელევიზორს უყურებდა. ყველა მოვლენის ასავალ-დასავალი იცოდა და ძალიან განიცდიდა ყველაფერს, განსაკუთრებით აფხაზეთის ამბავს. ადრეც მითქვამს და გავიმეორებ, რუსეთის რომელ ქალაქსა თუ გუბერნიაში არ უნდა ვიყო, ყველგან ვლაპარაკობ საქართველოზე. უამრავი დამიგროვდა რუსეთის პრესაში ჩემზე გამოქვეყნებული სტატიები და ინტერვიუები და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემი გამონათქვამები შეეცვალოთ, ან დაემახინჯებინოთ. რა ხდება რუსეთში ჩემს კონცერტებზე, აქ ალბათ წარმოდგენაც არა აქვთ. ხდება კი ის, რომ მე შემიძლია სცენაზე ვიყო პროგრამით გათვალისწინებული ორ საათ-ნახევარი, შემიძლია ვიყო 5-7 საათიც და მაყურებელი არ წავა დარბაზიდან, იმიტომ რომ ისინი მისმენენ, რა თემაზეც უნდა ვლაპარაკობდე და რა სიმღერებსაც უნდა ვმღეროდე. კონცერტების შემდეგ კი უამრავი ხალხი მოდის, მეუბნებიან, რომ არ არიან პოლიტიკოსები, არამედ არიან ჩვეულებრივი რუსები, ერი, რომელსაც უყვარს საქართველო და ა.შ. ამიტომ არ შეიძლება გავაიგივოთ კრემლის და დუმის მესვეურნი რუს ხალხთან, რომლებსაც უკვე ჰგონიათ და წუხან, რომ საქართველოში ვეღარასოდეს ჩამოვლენ, რომ აქედან ტერორისტებს ვუგზავნით, საქმე ომამდეა მისული და ა.შ. მაგრამ გავა დრო და რუსი ხალხი, ვინც ჯერ კიდევ არ არის სიმართლეში გარკვეული, გაიგებს სიმართლეს და ამას თავად საღად მოაზროვნე რუსი პოლიტიკოსები და ჟურნალისტები გააგებინებენ. ეს გარდაუვალია, სიცრუით და პროპაგანდით დიდხანს ვერ გაატანენ. რუსებს დიდი ხანი ოფიციალურად გამოცხადებული ჰქონდათ, რომ ჩეჩნეთში ყველაფერი დამთავრდა. სინამდვილეში არაფერიც არ დამთავრებულა და ახლა სხვა აღარაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ ატყუებენ ხალხს — საქართველომ შემოგვისია ტერორისტები და გაკეთებულ საქმეს შეგნებულად გვირევენო.

— **დედა თქვენს შემოქმედებას ესტრადასა და კინოში როგორ აფასებდა?**

— ძალიან ცუდი მოწაფე ვიყავი. ალბათ გინესის რეკორდის წიგნშია შესატანი ის ფაქტი, რომ მესამე კლასში... დავრჩი; მერე მეექვსე კლასში... დედაჩემი ყველაფერ ამას ძალიან განიცდიდა და ჩემმა დამრიგებელმა და რუსულის მასწავლებელმა, უგანათლებულესმა არისტოკრატმა ქალბატონმა ნინო ჟორჟოლიანმა პირველმა უთხრა დედაჩემს, — ნუ ნერვიულობ მის ოროსნობას, ეგ აუცილებლად მსახიობი გახდებაო! დღემდე ვერ გამირკვევია, რა და როგორ შემამჩნია პატარა ბიჭს, რომ რაღაცის უნარი მქონდა. მახსოვს მხოლოდ ის, რომ კლასში რაღაც თამაშებს ვაწყობდით, ლიდერი ვიყავი ამბების, გამოგონილი თავგადასავლების, არარსებული ფილმების შინაარსის მოყოლაში. ყოველთვის მყავდა „მსმენელი“... როცა ესტრადაზე დავიწყე გამოსვლა, ჩემი სიმღერა მიუღებელი აღმოჩნდა დედაჩემისთვის და მეუბნებოდა, როგორ შეიძლება ხრინწიანი ხმით სიმღერაო! ფილმებში კი უმალ მოვეწონე. როცა „მეფაიტონე“ ვიმღერე, ძალიან მოეწონა და მხოლოდ მაშინ მითხრა, — ეტყობა, რაღაც ვერ გავიგეო. მას შემდეგ უკვე სერიოზული საუბრები გვქონდა ესტრადაზე. რაც შეეხება დედაჩემის დამოკიდებულებას პოლიტიკისადმი, ის, ვინც ეკლესიაში წრფელი გულით დადის, ამ ჭუჭყიანი საქმეებისგან შორს დგას. ეკლესიური ცხოვრებით განვლო დედაჩემმა სიცოცხლის დიდი გზა და ამიტომ გავბედე ვხლებოდი მამა გრიგოლთან ერთად უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს და ვთხოვე, ნება დაერთო, დედაჩემი ლურჯ მონასტერში დამესვენებინა. უწმინდესმა ბრძანა, — ბუბა, იმდენი სიკეთე აქვს ქალბატონ მანანას გაკეთებული ქართული ეკლესიისთვის, რომ ნამდვილად ეგების ეკლესიაში დასვენება და იქიდან გასვენებაო. სამი დღე-ღამე ესვენა ლურჯ მონასტერში, სადაც უწმინდესი მობრძანდა და პატივი მიაგო დედაჩემს, სანთელი დაუნთო და გამოეთხოვა... დედაჩემისთვის ყველაზე დიდი სიხარული იქნებოდა, რომ სცოდნოდა, თუ როგორ პატივს მიაგებდა უწმინდესი, რომელსაც აღმერთებდა! საერთოდ, ძალიან თავმდაბალი ქალი იყო, მაგრამ შინაურებში საუბრისას ყოველთვის ხაზგასმით აფიქსირებდა თავადაზნაურული გვარებისა და საგვარეულოებისადმი პატივისცემას, რადგან ჩვენი ერის კულტურა-განვითარება მათგან მოდიოდა.

ერთი საინტერესო ამბავიც: საფრანგეთში ქართულ ენაზე გამოიცა წიგნი „ბაგრატიონები“, რომელიც დედაჩემსაც გამოუგზავნეს. იმ დროს თბილისში არ გახლდით. დედაჩემთან ერთი ჩემი ძმაკაცი მისულა სანახავად და ხილი მიუტანია. მანანას უჩვენებია ეს წიგნი, სადაც მეფეები და ბაგრატიონთა ჩვენი შტო არის წარმოდგენილი დღემდე — ძია ჯანო, დედაჩემი, „პატარა ჯანო“ და ყველა ჩვენი ნათესავი ბაგრატიონი. ჩემს ძმაკაცს უკითხავს, კი მაგრამ, ბუბას სურათი რატომ არ არისო? დედაჩემს მიუგია, — ბუბას ამ წიგნში რა უნდა, კიკაბიძეაო! ერთხელ, ჩემი მეგობარი, გვარად ერისთავი, მივუყვანე სტუმრად. გარეგნობით ლამაზი და თავადური იერის კაცი. მოეწონა დედაჩემს და ჩუმად მკითხა, — რა გვარიაო? ჩოყლოყაშვილი-მეთქი, ვუთხარი და გაგიჟდა, — ჩოყლოყაშვილი რას მოგყავდა აქო! მერე კი გაიგო სიმართლე, ბევრიც იცინა და იმღერა კიდეც. სამი თვის წინ, როცა დაიწყო მორიგი დაპირისპირება რუსეთ-საქართველოს შორის, მითხრა, — შვილო, ბუბა, როგორ არის „შენი“ რუსეთიო. ამით გამოხატა თავისი დამოკიდებულება რუსეთისადმი. ძალიან დიდი პატრიოტი იყო თავისი ქვეყნისა!

— **დედა-შვილი როგორ აღიქვამდით წლების მატებას, გარკვეულწილად იცვლებოდა თქვენს შორის დამოკიდებულება, ურთიერთობა?**

— აი, ახლა, როცა გელაპარაკები, პირველად ვგრძნობ, რომ ხანში შესული კაცი ვარ! სანამ ადამიანს მშობელი ჰყავს, მანამდე პატარაა! უკანასკნელ დღეებამდე, როგორც პატარა ბიჭს, ისე მელაპარაკებოდა. უკანასკნელ დრომდე ვერ ეგუებოდა, რომ წვერს ვატარებდი. ვინღა არ ეუბნებოდა, — ბუბას წვერი ძალიან უხდებაო, მაგრამ წლების მანძილზე და ცოტა ხნის წინათაც, ჩვენი საუბარი ერთი და იმავე კითხვით იწყებოდა, — შენ კიდევ არ გაიპარსე წვერი? წადი, ჩქარა გაიპარსე, ფული თუ არა გაქვს, მე მოგცემო! გარდაცვალებამდე ოთხი დღით ადრე ვუთხარი, მინდოდა გამეხარებინა — დედა, წვერს აუცილებლად გავიპარსავ-მეთქი! ძლივს გაახილა თვალები და ჩუმად მითხრა, — არ გაიპარსო...

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# პუტინის გამოუცხადებელი ომი




მოსკოვის საიდუმლო სამსახურები და სამხედროები ამუშავებენ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ჩამოგდების გეგმას. როგორც ჩანს, ამაში გადამწყვეტ როლს თამაშობს იგორ გიორგაძე, რომელიც მანამდე თბილისში სახელმწიფო უშიშროების მინისტრად მუშაობდა. ქართველ ოპერმუშაკებს ეჭვი აქვთ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ექსოფიცერზე, რომ იგი იყო 1995 წელს ე. შევარდნაძეზე თავდასხმის ორგანიზატორი. გიორგაძეს ეძებს ინტერპოლი. იგი იმალება ერთ-ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში. „შპიგელს“ მან განუცხადა, რომ სურს შეაგროვოს ძალები „კომუნისტებიდან მონარქისტებამდე“ „ერთიანი საქართველოს პატრიოტულ ალიანსში“ შევარდნაძის წინააღმდეგ, რომლის პოპულარობა დღითი დღე ეცემა. გიორგაძის მომხრეები, მათ შორის ყოფილი ავღანეთში მებრძოლები, მომდევნო თვეებისათვის ამზადებენ „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციებს“, რათა გავლენა იქონიონ საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაზე. გიორგაძის ქმედებები, რომელსაც იმაში ადანაშაულებენ, რომ კარგი კონტაქტები აქვს რუსულ „უცხოეთის საიდუმლო სამსახურთან“ (დაზვერვასთან), მოსკოვის ესკალაციის სტრატეგიის მხოლოდ ერთი ნაწილია მეზობელი ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ. მართალია, რუსი სამხედროები უარყოფენ თბილისის საყვედურებს იმის თაობაზე, რომ რუსულმა თვითმფრინავებმა 13 აგვისტოს ისევ დაბომბეს ჩეჩენი მებრძოლების მიერ კონტროლირებადი პანკისის ხეობა საქართველოში, მაგრამ, „ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის“ მეთვალყურეებმა ეს პრეცედენტი უკვე დიდი ხანია დაადასტურეს. ამასთან, რუსეთის გენერალური შტაბის მუშაკები გეგმავენ სამხედრო თავდასხმებს საქართველოს ტერიტორიაზე. თბილისი უნდა შეეცადოს, განდევნოს ჩეჩენი პარტიზანები რუსეთის საზღვრის გავლით ჩეჩნეთში. „ქართულმა დემარშმა“ „რუსული სახელმწიფო ტერორიზმის“ წინააღმდეგ გასულ კვირას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოიწვია მოსკოვისა და თბილისის ორმხრივ ურთიერთობათა გამწვავება. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა საქართველო საჯაროდ შეადარა თალიბანის რეჟიმში მყოფ ავღანეთს, რუსი მეთვალყურეები ლაპარაკობენ „გამოუცხადებელი ომის“ შესახებ.

# — ალა-მაჰმად ხანის ორდენი? ძალიან გამიხარდება, თუ მომანიჭებენ...

თედო პაატაშვილი



ამ დღეებში ჭორად გავიგე, რომ უკვე ხდება ალა-მაჰმად ხანის ორდენის კანდიდატების შერჩევა და მათ შორის ჩემდა გასაკვირად ისეთი კაცის გვარიც აღმოვაჩინე, რომელსაც თბილისის ნამდვილ „ამაოხრებლებთან“ არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს. მოკლედ, საუბარი ბატონ **თედო პაატაშვილს** ეხება, რომელსაც ზოგიერთი თბილისელი ბრალს სდებს ქალაქის იერსახის დამახინჯებაში, კერძოდ, მეტრო რუსთაველის გვერდით სუროებიან კედელთან შემინული შენობების ჩადგმაში. ბატონ თედოს ტელეფონით დავუკავშირდი და საუბარში მისთვის არცთუ სასიამოვნო ამბავიც შევაპარე. თანაც ვეცადე, ამ საუბრის მეშვეობით თავად განგესაჯათ, ჰგავს თუ არა ბატონი თედო თბილისის ამაოხრებელს.

— **რამდენი წლის ხართ, თუ საიდუმლო არ არის?**

— საიდუმლო ნამდვილად არ არის, 45 წლისა ვარ.

— **ე. ი. 45 წელია, თბილისის ქუჩებში დადიხართ. როგორ ფიქრობთ, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა დედაქალაქში?**

— დიახ. ჩემი და ჩემზე უფროსი ხალხის სამწუხაროდ, ბევრი რამ შეიცვალა. ქალაქი ძალიან გაიზარდა და თითოეული უბნისთვის დამახასიათებელი კოლორიტიც გაფერმკრთალდა.

— **მაინც რა დააკლდა თბილისს?**

— თუნდაც ადამიანური დამოკიდებულებები და ურთიერთობები იყო სხვანაირი. რაც უფრო მეტი იყო ასაკობრივი, პროფესიული სხვაობა, მით უფრო ორიგინალური, სუფთა, ვაჟკაცური, ალალი და ლამაზი დამოკიდებულება სუფევდა.

— **თუ ჩხუბობდით ხოლმე?**

— რა თქმა უნდა. ამასაც თავისი ლაზათი ჰქონდა, უბანს უბანზე გვიჩხუბია.

— **იარაღს თუ ხმარობდით?**

— რაღა დაგიმალოთ და ერთი-ორჯერ შესაშინებლად გამისვრია კიდეც, მაგრამ გიმეორებთ, მხოლოდ შესაშინებლად.

— **ბოლო ხანს თბილისის იერსახის ცვლილება თუ გხვდებათ თვალში?**

— პოზიტიურ თუ ნეგატიურ პლანში?

— **ორივე შემთხვევაში.**

— პოზიტიურია მშენებლობები, რომლებიც კარგია და უხდება თბილისს. ნეგატიური მშენებლობებია, რომელიც ჩემი აზრით, არ უხდება ქალაქს. ნეგატიური ისედაც ბევრია და ყურადღებას არ გავამახვილებ, პოზიტიურის მხრივ კი სიამოვნებით აღვნიშნავ: ბოტანიკურ ბაღთან მიდის ძალიან კარგი მშენებლობები. აშკარად ბევრი კარგი საცხოვრებელი კორპუსიც აშენდა.

— **ალა-მაჰმად ხანის ორდენის შესახებ თუ გსმენიათ?**

— დიახ, თავისებური ფორმაა, ალბათ ამა თუ იმ მოვლენის შესაფასებლად. ვფიქრობ, პოზიტიური იქნება ამ ორდენის არსებობა, თუ ობიექტურად შეარჩევენ კანდიდატებს.

— **თქვენ თუ მიანიჭებდით ვინმეს?**

— არ მიფიქრია მაგაზე და ვერაფერს გიპასუხებთ...

— **ბატონო თედო, ჭორებთან რა დამოკიდებულება გაქვთ?**

— ჭორსაც გააჩნია, თუმცა, მაინც არ ღირს ღელვა. ხან რას იტყვიან და ხან — რას.

— **ახლა მეც გეტყვით თქვენზე ჭორს და მიპასუხეთ, მართალია თუ არა, რომ რუსთაველის მეტროს გვერდზე სუროებიან კედელთან აშენებული შემინული მაღაზიების მფლობელი თქვენ ყოფილხართ.**

— ეს ჭორი არ არის. მეც ვარ მფლობელებს შორის. მომწონს, რაც გაკეთდა და რომ დამთავრდება მშენებლობა, კიდევ უფრო ლამაზი იქნება. ის კედელი შენარჩუნდა...

— **მშენებლობის დიზაინერი ვინ არის?**

— დიზაინი რომიდან გადმოვიღეთ. კასეტა ჩამოვიტანე, სადაც ჩანს, როგორ ამშვენებს მოედნებს და მიმდებარე ქუჩებს ასეთი შენობები. რაშია საქმე, ალა-მაჰმად ხანის ორდენის კანდიდატი ხომ არ ვარ?

— **სამწუხაროდ, ესეც გავიგე ჭორად.**

— ძალიან გამიხარდება, თუ მომანიჭებენ, მაგით რეკლამასაც გამიკეთებენ. საშაყირო მაინც იქნება, თუ ჯაბა იოსელიანის და თენგიზ კიტოვანის მეგობარი მე ჩამთვლის თბილისის ამაოხრებლად. უამრავი სხვა მშენებლობაა, რომელიც ქალაქს არ უხდება და მართლა დასანგრევია. ეს შენობა ძალიან მომწონს და ბოლოს და ბოლოს, ის მაინც ვიცი, რომ ჩემს ოჯახს აღარ მოშივდება. პამპერსების და ბენზინის ფული აღარ მექნება საფიქრალი. გარდა ამისა, სუროც არავის გაუნადგურებია და უამრავი ხალხიც დასაქმდა.

***ეკა ლომიძე***

*P.S. უკვე გაჟონილი ინფორმაციების თანახმად, სუროებიანი კედლის ბედი ჯერ კიდევ საფრთხის ქვეშ არის. ყურმოკვრით გავიგე, იმ ადგილზე 40-სართულიანი თბილისური ცათამბჯენის აშენებას გეგმავენ, ვინ? ამას დავადგენთ და გაცნობებთ.*

# საფრანგეთიდან დანახული გზა: „რუსეთთან ერთად ევროპაში“

## 20 ოქტომბერი... ბულონის ტყე...



ინტერნეტში ვკითხულობთ: საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთსა და ესპანეთში ბატონი **გოჩა ჩოგოვაძე** ქართველ, ფრანგ და ესპანელ ხალხთა მეგობრობის გაღრმავებისათვის, მეცნიერების, განათლების და კულტურის დარგებში გაწეული დიდი წვლილისათვის საფრანგეთის მთავრობამ დააჯილდოვა აკადემიური ოქროს პალმის „კომანდორის“ ორდენით.

ბატონი ელჩის კუთვნილი სამკვირიანი შვებულებისას გოჩა ჩოგოვაძეს დასასვენებლად მაინცდამაინც რომ არ ეცალა, ამის დასტური ინტერვიუსთვის გამოყოფილ ერთი საათის განმავლობაში მობილურზე, თუ ჩვეულებრივ ტელეფონებზე დარეკილი უამრავი საქმიანი ზარი და ასევე უამრავი საქმიანი სტუმარი გახლდათ, რისი მოწმეც უნებლიეთ გავხდი. ამათგან ერთს ისეთს დავასახელებ, რომელიც ყველასთვის საინტერესოა: თბილისთან დაძმობილებული ქალაქ ნანტის მერმა მიწისძვრით დაზარალებულ თბილისს ორი სასწრაფო დახმარების მანქანა გამოუგზავნა. ჩემი პირველი შეკითხვა ასეთია:

— **ბატონო ელჩო, უახლეს პერიოდში თქვენი მოღვაწეობის რა მნიშვნელოვან ეტაპს გამოყოფდით.**

— ამ მოკლე პერიოდში ჩემი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი შედეგი ის გახლავთ, რომ ჩვენს ქვეყანას საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი ბატონი მიუზელიე ეწვევა. ეს ვიზიტი, რომელიც 30 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე გაგრძელდება, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობისაა.

— **როგორ აფასებთ იმ ვითარებას, რაც რუსეთ-საქართველოს შორის შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩვენი დაახლოების გამო?**

— უპირველეს ყოვლისა, დარწმუნებული ვარ მსოფლიოში ყველაზე მეტად თითოეულ რიგით ფრანგში ყველაზე დიდი დოზითაა დემოკრატია, ამიტომაც საფრანგეთში სახეზეა კარგად ჩამოყალიბებული სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც სასტიკი წინააღმდეგია, რომ მსოფლიოში დომინირებდეს ესა თუ ის იმპერია.

საფრანგეთი ყოველთვის მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ეს აზრი ცალსახა და ურყევია, მაგრამ რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, ეს ჩვენ თვითონ უნდა დავარეგულიროთ... თუ ხმამაღლა არ მოგეჩვენებათ ჩემი ნათქვამი, მოვუწოდებდი ჩემს ერს: „რუსეთთან ერთად ევროპაში“. მე პირადად როგორც დიპლომატს, რომელიც ათეული წელია ევროპის შუაგულიდან ვადევნებ თვალს პოლიტიკურ პროცესებს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, წარმოუდგენლად მიმაჩნია სტაბილური, დემოკრატიული ქვეყნის შექმნა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის გარეშე.

მეტ-ნაკლებად შეიძლება ყველამ გამოგვიწოდოს დახმარების ხელი, მათ შორის, საფრანგეთმაც, მაგრამ მაგიურ თუ მითურ დახმარებას ნურავისგან ველით... ვიმეორებ, ერთადერთი გამოსავალია შევქმნათ ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთთან. სწორედ მეზობლობით გვენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა დღეს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე.

ისე, საფრანგეთში ჩვენ მიმართ დადებითი აურაა შექმნილი. ქართველებს კარგი სახელი აქვთ. ეს ოციანი წლების ემიგრანტების შთამომავლობამ განაპირობა. საფრანგეთში არსებობს საქართველოს მეგობარ ქვეყანათა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს საფრანგეთი, მათ შორისაა, რუსეთიც.

— **ბატონო გოჩა, თავს უფლებას მივცემ და გკითხავთ, რას უნდა ნიშნავდეს ამდენი ზარი.**

— ვიყავი სამეგრელოში, ჩავუტანე ლტოლვილებს უამრავი ჰუმანიტარული დახმარება. მედიკამენტები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები. იუნესკოს დახმარებით შევძელი ის, რომ კახეთის რეგიონის თითქმის ყველა სკოლისთვის შევიძინეთ კომპიუტერები. ამ რეგიონში შეიქმნება ფრანგული კულტურისა და ფრანგული ენის შემსწავლელი ცენტრი. ვცდილობთ დავამყაროთ ურთიერთსასარგებლო კონტაქტები. 2004 წელს საფრანგეთში, ქალაქ ლილში ჩატარდება ქართული სიმღერის დღესასწაული, სადაც წარმოდგენილი იქნება როგორც კლასიკა, ისე ფოლკლორი. 20 ოქტომბერს პარიზში, ბულონის ტყეში მოეწყობა ქართული ღვინის დეგუსტაცია, სადაც ჩვენი ღვინის მწარმოებელი ფირმები თავიანთ პროდუქციას წარმოადგენენ. და ამით ქართულ ღვინოს გზა გაეხსნება მსოფლიო ბაზარზე.

— **ფრანგებმა თუ იციან, რომ ქართველები უძველესი დროიდან მისდევენ მევენახეობა-მეღვინეობას?**

— სხვათა შორის, ფრანგებმა ზედმიწევნით კარგად იციან, როგორც ღვინის გემო, ისე ღვინის ფასი და ქვეყნებს, რომელთაც ამ უნიკალური დარგის უძველესი ტრადიცია გააჩნიათ, სხვა თვალითაც უყურებენ. ვნახოთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ჩვენი ნაწარმი ფრანგებზე. მინდა გითხრათ, რომ ფრანგებს ღვინოში ვერ გააცურებ. ისინი ძალიან ფაქიზად ეკიდებიან არა მარტო წარმოებას, შეფასებასაც.

***დოდო იორდანიშვილი***



# „გია ჯიქიას გადაყენებას თუ ვერ მივაღწევთ, ინფარქტამდე მივიყვანთო...“

სკანდალური დაპირისპირება ომბუდსმენ ნანა დევდარიანსა და სამხედრო პროკურორ გია ჯიქიას შორის გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ როგორც დევდარიანი აღნიშნავს, კარგა ხანია, რაც გენერალურ პროკურატურაში გია ჯიქიას მამხილებელი დოკუმენტები გააგზავნა, რასაც თითქოს გია ჯიქიას თანამდებობიდან დათხოვა უნდა მოჰყოლოდა, გენპროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე სამხედრო პროკურორის საკითხის განხილვას არ ჩქარობს.

„კვირის პალიტრა“ ესაუბრა დაპირისპირებულ მხარეებს — **ნანა დევდარიანს** და **გია ჯიქიას**.

**— ქალბატონო ნანა, რა მასალები გადაეცით გენერალურ პროკურატურას და ანტიკორუფციულ საბჭოს სამხედრო პროკურორის, გია ჯიქიას არაკანონიერი საქმიანობის შესახებ?**

— პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ მე



არც გაქცევას ვაპირებ, არც თანამდებობიდან წასვლას...

არა ვარ ახირებული ადამიანი. არც შეიძლება, ომბუდსმენის თანამდებობაზე იმუშაო და იყო ვიღაცაზე ჩასაფრებული. როდესაც კონკრეტულ პიროვნებაზე შემოდის საჩივარი, ვცდილობ გავერკვე, როგორი ადამიანია, როგორი ბიოგრაფია აქვს. იქნებ შეცდომა პირველად მოუვიდა, ან იქნებ რაღაც დარღვევა უკვე ცხოვრების წესად აქვს გახდილი. პირველ შეცდომაზე, ჩემი აზრით, არ შეიძლება კაცი გაანადგურო და პასუხი მოსთხოვო, რადგან ყველას შეიძლება შეცდომა მოუვიდეს. გია ჯიქიას სახელი არ გაგვიგია მანამ, სანამ სამხედრო პროკურორი არ გახდა. შესაბამისად, დავინტერესდით, საიდან მოვიდა. გავარკვიეთ, რომ 1981 წელს ის საბჭოთა მილიციიდან დაითხოვეს სერიოზული დარღვევების გამო. კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ ზუთხისა და ხიზილალის სპეკულანტები ემხილებინა დანაშაულის ჩადენაში, გამოძიების პროცესში გია ჯიქიამ ამ ორ ეჭვმიტანილს შეუქმნა ალიბი. ეჭვი მეპარება, რომ ეს უანგაროდ გაეკეთებინა. ამის მტკიცებულება არ გამაჩნია, მაგრამ ეჭვის უფლება ხომ მაქვს?! ამის შემდეგ, 4 წლისა და 10 თვის განმავლობაში, ჯიქია სულ ჩივის — აღმადგინეთო! არავინ აღადგინა, რადგან დარღვევა სერიოზული იყო. დასკვნაში პირდაპირ წერია, რომ ისეთ გამოცდილ იურისტს, როგორიც ის არის, შეუძლებელია უნებლიეთ მოსვლოდა ასეთი შეცდომა. ამიტომ აღდგენაზე ყველა ინსტანციაში უარი უთხრეს. ამის შემდეგ სამინისტროში იცვლება ხელმძღვანელობა. მინისტრ გორგოძის დროს ჯიქიას სამსახურში აღადგენენ ექსპერტ-კრიმინალისტად, თანაც გახლდათ მითითება, რომ მას საგამოძიებო სამუშაოსთან შეხება არ უნდა ჰქონოდა, ანუ ჯიქია არ დაუშვეს გამოძიებაში. ამის შემდეგ გადის წლები. იგი ჯერ გადადის სამხედრო პოლიციაში, შემდეგ სამხედრო პროკურატურაში. 2000 წელს უცებ ახსენდება და სარჩელი შეაქვს სასამართლოში, — დღემდე არ ვიცოდი, ბრძანების ტექსტში სამსახურში აღდგენა კი არა, ხელახლა მიღება რომ ჩამიწერესო. 16 წლის შემდეგ მოსამართლე მენგოლიამ, რომელიც თავის დროზე მისი თანაკურსელი ყოფილა, დაუკმაყოფილა საჩივარი.

**— რა განსხვავებაა — „მიღებულ იქნას“ და „აღდგენილ იქნას“ შორის?**

— ძალიან დიდი. ჯერ ერთი, ის ოთხი წელი და 10 თვე, როცა გაგდებული იყო, ჩაეთვალა ნამსახურობის წლებად, ამასთან აღდგენა ნიშნავს, რომ რეაბილიტირებულია ანუ უდანაშაულო. ამის კეთება იმისთვის დასჭირდა, ვიღაცას რომ არ ეთქვა, ჯერ კიდევ საბჭოთა მილიციიდან გაგდებული კაცი რანაირად მუშაობს სამხედრო პროკურორადო. აი, ეს ლაქა წაშალა. გენერალურ პროკურორს დავუსვი შეკითხვა — აქვს თუ არა ჯიქიას მორალური უფლება, რომ კვალიფიკაცია მისცეს სხვის დანაშაულს. გარდა ამისა, გაოცებული ვარ, სხვადასხვა დოკუმენტზე განსხვავებულად აწერს ხელს. მაგალითად, სასამართლოში შეტანილ დოკუმენტებზე სხვაგვარადაა ხელი მოწერილი, ოფიციალურ დოკუმენტებზე — სხვაგვარად.

**— გარდა ამისა, რა ფაქტები წარუდგინეთ გენერალურ პროკურატურას?**

— აფხაზეთში მისი ნაომრობის შესახებ. სოხუმში რომ იბრძოდა, ამას უდასტურებს სამი პიროვნება. არადა, ამ სამიდან ერთი თვითონაც არ არის ნამყოფი აფხაზეთში და როგორ ნახა იქ, ძალიან საინტერესოა. მეორის ხელმოწერა ასევე ძალიან საეჭვოა, რადგან ჩვენ გვაქვს ამ პიროვნების (ფავლენიშვილი) ორი სხვადასხვანაირი ხელმოწერა.

**— სხვათა შორის, რამდენიმე ხნის წინ მისი სახელი იარაღის უკანონო ბიზნესსაც დაუკავშირეს. ამის დამადასტურებელი დოკუმენტი გაქვთ?**

— ამ საკითხის გამოძიება ჩვენ არ გვიწარმოებია, მაგრამ ცალკეული ეპიზოდები ავსახეთ... მათ შორის ის, რომ იარაღით ვაჭრობის საქმეზე დაკავებული ხალხი კომენდატურაში ჰყავდათ და საპყრობილეში 3-4 დღის ვადის დარღვევით გადაიყვანეს. ეს დარღვევები, დამიჯერეთ, შემთხვევით არ ხდება.

**— ითქვა, რომ გენერალური პროკურატურის ბოლო კოლეგიის სხდომაზე ჯიქია უნდა გაეთავისუფლებინათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა...**

— გაბრიჩიძე თავის უმოქმედობას მოუცლელობით ხსნის, თუმცა აღიარებს, რომ საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, თავს არიდებს გადაწყვეტილების მიღებას. 5 ოქტომბერს გახდება სამი თვე, რაც დოკუმენტები გავუგზავნე. ეს საკმარისზე მეტი დროა გადაწყვეტილების მისაღებად. რატომ ჭიმავენ დროს, ვერ გავიგე. ახლა ერთი გზა დამრჩა — გაბრიჩიძის იმპიჩმენტის საკითხი უნდა დავაყენო პარლამენტში. გენერალურ პროკურორს ორი კვირის ვადას ვაძლევ.

**— ქალბატონო ნანა, ჩვენს საზოგადოებაში იმდენია კორუმპირებული და ისეთ დონეზე, რომ ჯიქია შეიძლება მათთან შედარებით უცოდველადაც კი გამოიყურება. რატომ მაინცდამაინც ჯიქია, საიდან დაიწყო ეს ყველაფერი?**

— ჩემს უწყებაში ძალიან ბევრი საჩივარია შემოსული, ამიტომ მოვიწვიე ჩემს აპარატში ნოდარ ეფრემიძე, რომელიც მხოლოდ სამხედრო საკითხებზე მუშაობს. წარმოიდგინეთ, ადგილი ჰქონდა ასეთ ფაქტს, — წვევამდელ ჩადუნელს ერთი ფეხი 4 სმ-ით მოკლე ჰქონდა და სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, მერე კი დეზერტირობისთვის სამი წელი მიუსაჯეს. ერთ ფაქტსაც გიამბობთ: ერთ სამხედრო ნაწილში გააგზავნეს სამი ტონა აყროლებული ხორცი. ნაწილის ოფიცერმა, გვარი არ მახსოვს, პრინციპულად განაცხადა, ჩემს ჯარისკაცებს ამ ხორცს არ ვაჭმევო. დაწერა აქტი და დამარხა ეს ხორცი. ამის გამო დაიჭირეს და კარგა ხანს იჯდა ციხეში. ჩავერიეთ, გავათავისუფლეთ და აღვადგინეთ სამსახურში.

გეთანხმებით, რომ სხვაც ბევრია კორუმპირებული, მაგრამ მტკიცებულება ხომ უნდა მქონდეს, რომ ვილაპარაკო?! ვიცი ერთი მინისტრი, რომლის დაჭერაც მადლი იქნებოდა, მაგრამ არ მაქვს საკმარისი მამხილებელი მასალა და ვერ ვლაპარაკობ.

**— ხომ არ დაასახელებთ?**

— არა. ყველამ იფიქროს თავის თავზე. ჯიქიაზე დოკუმენტები მაქვს და არ ათავისუფლებენ და მტკიცებულებების გარეშე რას იზამენ?!

„კვირის პალიტრა“ **გია ჯიქიასაც** ესაუბრა:

**— ბატონო გია, ომბუდსმენი კატეგორიულად აყენებს თქვენი გათავისუფლების მოთხოვნას. თქვენ კი ამბობთ, რომ ეს პოლიტიკური შეკვეთაა...**

— მე არ ვამბობ, მაგას დევდარიანი ამბობს.

**— თუ პოლიტიკურ დაკვეთად არ მიგაჩნიათ, გამოდის, რომ წაყენებული ბრალდებებიც სიმართლეა?**

— ვერ გავიგე, რა დაინტერესება აქვს ამ სახალხო დამცველს. თუ სიმართლისთვის მებრძოლი ადამიანია, გარდა სამხედრო პროკურორისა, მგონი უამრავი სხვა პრობლემა არსებობს. რა ფაქტებსაც ის ასახელებს, არც ერთი არ დასტურდება. იმდენად გაკაპასდა ბოლო დროს, რომ უკვე პირად შეურაცხყოფაზეც გადადის და მე ვერ ვუპასუხებ. ჯერ ერთი ქალია და მეორეც — არ არის ჩემს სტილში ვიღაცის პირადი შეურაცხყოფა. დევდარიანს არავისი არ სჯერა. გენერალური პროკურატურის დასკვნას ნარკვევებს უწოდებს, ჩემს განმარტებებს არ ღებულობს. ამაზეა ნათქვამი — შენი არ იცოდე და სხვისი არ გაიგოო.

**— თქვენ ბრალად გიყენებენ, რომ 80-იან წლებში მილიციიდან დაგითხოვეს, ხოლო 4 წლის შემდეგ ხელახლა მიგიღეს ამ სტრუქტურაში. 2000 წელს კი თქვენი თანაკურსელი მოსამართლე დაგეხმარათ მიგეღოთ რეაბილიტაცია. რაში დაგჭირდათ ამ საბუთის გაკეთება?**

— მაშინ ასარჩევად არ მქონდა საქმე. ახლაა ისეთი ქვეყანა, რომ თუ გაგათავისუფლებენ და დაგსჯიან, სასამართლოსაც მიმართავ და შენს უფლებებსაც დაიცავ. ეს იყო 1981 წელი. აღდგენა კი 1986 წელს მოხდა. დამჭირდა სტაჟის გარკვევა... მერე რა, რომ მოსამართლე ჩემი კურსელი იყო? არსად არ წერია, რომ ეს უნდა გახდეს მოსამართლის აცილების საფუძველი.

**— მაგრამ გახდებოდით სამხედრო პროკურორი, ეს საქმე რომ არ „გაგესუფთავებინათ“?**

— რას ნიშნავს, გამესუფთავებინა... ეს არის ელემენტარული საქმე. ვერაფერი რომ ვერ ნახეს ჩემს ბიოგრაფიაში, ამოწიეს 20 წლის წინანდელი რაღაც. ეს ამბავი არასოდეს არსად დამიმალავს და რატომ ფიქრობს ქალბატონი ნანა, რომ ამერიკა აღმოაჩინა.

**— აქ საუბარია იმაზე, რომ თქვენ თავის დროზე ისე გაგიშვეს სამსახურიდან, რომ უკვე ამ სტრუქტურაში მუშაობაც კი გეკრძალებოდათ...**

— როგორ გეკადრებათ. პირველ რიგში სახალხო დამცველი არ უნდა ლაპარაკობდეს ამას, ეგ არის სახალხო დამცველი?! 20 წლის წინ კაცი რომ მომეკლა, ახლა გამოსული ვიქნებოდი. რა, კანონის წინაშე ჩავიდინე დანაშაული თუ რაშია საქმე?!

**— ამბობენ, რომ თქვენ ყალბი საბუთი გაქვთ აფხაზეთში თქვენი ნაომრობის შესახებ. ამ დროს ომში არ ყოფილხართ...**

— საბუთს გიჩვენებთ...

**— არა, საბუთი მათაც აქვთ, მაგრამ ხელმოწერებია სხვადასხვანაირი და ეჭვს იწვევს...**

— სხვადასხვა რა, ბანკიდან გამოვიტანე ფული თუ რა? რა ხელმოწერებზე საუბრობს — ხან ისე ვაწერ ხელს, ხან ასე. ვერ გავიგე! ბუღალტერი ათჯერ მაწერინებს ხელს, ბანკიდან როცა გამოაქვს ფული. ბოლო-ბოლო ავდექი და ჩემს გვარს პირდაპირ ვწერ ხოლმე, მოსწავლესავით. რა ფუჭდება ამით, ვერ გავიგე.

**— როგორც გავიგე, არსებობენ პირები, რომლებიც ამბობენ, რომ თქვენ არ ყოფილხართ ომში.**

— მე ვიცი ერთი რამ. არსებობს ჩემი განცხადება, არსებობს 18-კაციანი სია და თითოეულ მათგანს სხვადასხვა დროს აქვს გაკეთებული ნაომრობის საბუთი, ზოგს 2000 წელს, ზოგს — 2001 წელს, მითხარით, ყველას ყალბად აქვს გაკეთებული?! აქ არის ელემენტარული რამ, რაც არ ესმის სახალხო დამცველს. როდესაც გაიზარდა ჩვენი ხელფასები და შემოვიდა ახალი საგადასახადო კოდექსი და შეღავათები, მაშინ გააკეთა ყველამ ეს საბუთი. ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცის დევდარიანმა. მთავარი ის არის, რაში სჭირდებოდა დევდარიანს ამ ყველაფრის ამოქექვა.

**— რა ინტერესი გააჩნია?**

— ყველაფერს თავისი დრო აქვს. ველოდები ერთი საქმის გამოძიების დამთავრებას, რის შემდეგაც ყველაფერს ვიტყვი.

**— იმ საქმეს ხომ არ გულისხმობთ იარაღის უკანონო ბიზნესთან დაკავშირებით მჭედლიძე და ლუდკოვი რომ დააპატიმრეს, კანონიერი ქურდის, კალაშოვის სახელიც რომ ამოტივტივდა?**

— იცით, რას გეტყვით?! ამას არ სჭირდება გია ჯიქიას კომენტარი. ძალიან კარგად იცით, რომ ამის შემდეგ დაიწყო ჩემზე შემოტევა... ამის შემდეგ გავხდი კონტრაბანდისტიც, ამის მერე თქვა დევდარიანმა, რომ თითქოს მჭედლიძის ამხანაგი და მეგობარი ვყოფილვარ. ჩემი მეგობარი რანაირად იყო, როცა ჩემი ინიციატივით დააპატიმრეს?

**— რას იტყვით ჩადუნელის საქმეზე. მას ერთი ფეხი 4 სანტიმეტრით მოკლე ჰქონია და დეზერტირობისთვის თურმე 3 წელი აყურყუტეს ციხეში?**

— ეს საქმე გამოიძია ქუთაისის პროკურატურამ. არავის, არც ჩადუნელს უთქვამს, რომ მოკლე ფეხი ჰქონდა. გაასამართლეს. ქალბატონ ნანას უწყებაში მუშაობს ერთი ქალბატონი, რომლის ნათესავიც არის ჩადუნელი. მე არ ვამბობ, რომ ამაში რაიმეა უკანონო, უბრალოდ დაინტერესებული იყო, რომ მოეხდინა ამ ბავშვის სრული რეაბილიტაცია. როგორც კი დამიკავშირდნენ ომბუდსმენის აპარატიდან, ყველაფერი გავაკეთე და შესაბამისი წარდგინება მივწერე ნუგზარ გაბრიჩიძეს კანონის მიხედვით და მართლაც, მაისის თვეში უზენაესმა სასამართლომ გაამართლა და ვერ გავიგე, რა შუაშია აქ გია ჯიქია?!

დევდარიანმა კარგად ჩაიხედოს ჩემს სტრუქტურაში. მთელი ჩვენი საქმიანობა ინტერნეტში მაქვს ჩადებული. ყველაფერი ღიაა და გახსნილი. ამ ინტრიგებისგან დავიღალე. უბრალოდ დევდარიანისთვის მომგებიანი პოზიციაა, რომ უპირისპირდება პროკურორს. თუ ჩემი ქონება ეჭვს იწვევს, მომთხოვონ პასუხი, რატომ არ მთხოვენ?! იმიტომ, რომ ამ პერიოდში არაფერი შემიძენია. ასე უთქვამთ, გია ჯიქიას გადაყენებას თუ ვერ მივაღწევთ, ინფარქტამდე მაინც მივიყვანთო. ჯანმრთელი კაცი ვარ. არც ისე მშიშარა ვარ, მაგათ რომ უნდათ, მუხლები არ მიკანკალებს, არც არსად გაქცევას ვაპირებ და არც ამ თანამდებობიდან წასვლას.

*მარინა მამისაშვილი*



გენერალურ პროკურორს ორი კვირის ვადას ვაძლევ

# თემურ ჟორჟოლიანი — გიორგაძის „უცნობი“ თანამოსაუბრე

***გასული კვირის ყველაზე საინტერესო და იდუმალებით მოცულ თემად იგორ გიორგაძის დაშიფრული სატელეფონო საუბარი იქცა, რომელშიც №1 ტერორისტად შერაცხული ძებნილი ექსმინისტრი „ვიღაცას“ აუწყებდა, ფეხმძიმობის მე-9 თვეს ვაჟი დაიბადებაო. გიორგაძემ საქმეში უკეთ გასარკვევად თანამოსაუბრეს გერმანული „შპიგელის“ წაკითხვა ურჩია. უშიშროებამ ეს საუბარი ტელევიზიას მიაწოდა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, ვის ესაუბრებოდა ძებნილი. გაჩნდა კითხვა, ვინ იყო ის ქართველი პოლიტიკოსი, რომელსაც იგორ გიორგაძე მითითებებს აძლევდა?***

*იგორ გიორგაძის თანამოსაუბრის ვინაობა დიქტოფონის გამორთვის შემდეგ რამდენიმე პიროვნებამ გაგვიმხილა. მოძიებული ინფორმაციის შემდეგ კონსერვატორულ-მონარქისტული პარტიის ლიდერს,* **თემურ ჟორჟოლიანს** *დავუკავშირდით.*

— 7 სექტემბერს ვესაუბრე იგორ გიორგაძეს. არ ვიცი, რატომ ატეხა აურზაური უშიშროებამ, — საიდუმლო ინფორმაცია მოვიპოვეთო. იგორ გიორგაძესთან ურთიერთობა არასდროს დამიმალავს. საქართველოში და მის გარეთაც იგორ გიორგაძე და მე ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, ხშირად ვსაუბრობთ ტელეფონით. ტელევიზიით გაშვებული კადრები და საუბრის ტექსტი უშიშროებამ უკანონოდ მოიპოვა და ახლა სპეკულანტობენ, ვიღაცას აშინებენ. თუ ჩემთან



ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ტელეფონით

აქვთ რამე სადავო, თქვან, არასოდეს დავმალულვარ. ნებისმიერ კითხვას ვუპასუხებ.

**— რა მიგანიშნათ საუბრისას გიორგაძემ?**

— სასიხარულო ამბავი, — ძალიან მალე საქართველოში დაბრუნდება.

**— მე-9 თვეში მყოფი ფეხმძიმე და საკეისრო კვეთა რაღას ნიშნავდა?**

— მე-9 თვე სექტემბერია. სექტემბრის ბოლო დღეებში ან ოქტომბრის დასაწყისში აქ იქნება. რაკი თქვა, — საკეისრო კვეთა არ იქნებაო ე.ი. მოხდება მშვიდობიანი გარიგება საქართველოს ხელისუფლებასთან (ალბათ პრეზიდენტთან), ამ გარიგებაში სხვა ქვეყნებიც ჩაერევიან.

**— ამ გარიგების შემდეგ რა მოხდება?**

— არ არის გამორიცხული, შევარდნაძე წავიდეს ხელისუფლებიდან. ეს აქამდეც უნდა ექნა. ეს ხელისუფლება დასავლეთში მოტყუდება და ჩვენ ამ დაქცეულ ქვეყანას დაგვიტოვებენ.

**— როგორი იქნება გიორგაძის დაბრუნება?**

— მშვიდობიანი. ის ჩამოვა, როგორც პოლიტიკური მოღვაწე და არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

**— ამბობენ, ის კაცი, ვინც გიორგაძეს ესაუბრა, რუსეთის აგენტიაო.**

— ორმა ხელისუფლებამ დამიჭირა, ორივეს ჩემი აგენტობის დამტკიცება უნდოდა, მაგრამ არ გამოუვიდათ. ისეთი ლუსტრაცია მაქვს გავლილი, ვერაფერს დამიმტკიცებენ. ვის აბითურებენ ეგენი? პოლიტიკა სავსეა აგენტებით და სხვაზე ლაპარაკობენ. აგენტების სია და დოკუმენტები, რომლებიც იგორ გიორგაძეს აქვს, მეც მაქვს ნანახი. ალბათ იგორის ჩამოსვლის შემდეგ დადგება ლუსტრაციის საკითხი.

**— კიდევ ერთხელ გკითხავთ, საკეისრო კვეთაში ხელისუფლების დამხობა იგულისხმებოდა?**

— არ არის ლაპარაკი რევოლუციაზე. იგორმა მანიშნა, ზედმეტი გართულებების გარეშე დავბრუნდებიო.

*იზო რუკაძე*

# კურორტებით მოხიბლული უცხოელი ინვესტორები ქართველების მადამ გააქცია


სანატორიუმის ფოიეში მოწყობილი ბოსელი

ძროხა სანატორიუმის მეხუთე სართულზე?

დღეს, როცა მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს წინაშე არნახული სიმწვავით დგას სასმელი წყლის დეფიციტის პრობლემა და მეცნიერები თავს იმტვრევენ ამ მტკივნეული საკითხის გადასაჭრელად, საქართველო მარტო სასმელ წყალს კი არა, სხვადასხვა მინერალურ წყაროსაც არ იყენებს და ტყუილუბრალოდ კარგავს. საქართველო კარგავს იმ უზარმაზარ შემოსავლებსაც, რომელიც ქვეყნის საკურორტო პოტენციალიდან უნდა მიიღოს. არადა, ერთ დროს ჩვენს ქვეყანაში ტურიზმი და საკურორტო საქმე ისე იყო განვითარებული, რომ წელიწადში საქართველოში 4 მილიონამდე კაცი ისვენებდა. დღეს მხოლოდ ასეულობით საკურორტო ადგილით და ათასობით მინერალური წყაროთი ვამაყობთ, ხოლო კურორტთა ინფრასტრუქტურა, მხედველობაში გვაქვს, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, კომუნიკაციები, გაპარტახდა. ამიტომაც საქართველოში ტურიზმი და საკურორტო ბიზნესი ჩამკვდარია. ჩვენი მადის გადამკიდემ უკან მოუხედავად გავაქციეთ უცხოელი ინვესტორებიც, რომლებსაც ჩვენი კურორტების აღდგენა და გამშვენიერება ჰქონდათ განზრახული. ისიც კი, რაც შემოგვრჩა (სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები) ლტოლვილებს აქვთ დაკავებული. წყალტუბოს ულამაზეს სანატორიუმ „ცეკავშირის“ მეხუთე სართულიდან ერთ-ერთი ლტოლვილის ოჯახს, დიდი ვაი-უშველებელის შემდეგ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ძლივს გამოაყვანინა ძროხა ოთახიდან და იქვე, სანატორიუმის პირველ სართულზე, ბოსელი მოაწყობინეს. ეს მაგალითი დასტურია იმისა, თუ როგორ „უვლიან“ და რა მდგომარეობაშია დღეს საქართველოს კურორტებზე აშენებული სანატორიუმები.

## საქართველო მთლიანად საკურორტო ადგილია

გვესაუბრება საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გიგი ყუფარაძე**:

— საქართველოში 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი და გამოკვლეულ-შესწავლილი 2.400 მინერალური წყაროა. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ საქართველოში ყველა პროფილის კურორტია, რაც კი მსოფლიოში არსებობს. მეტიც, საქართველოს კურორტები ჰავის და წყლის შემადგენლობით გაცილებით სჯობს სხვა ქვეყნების კურორტებს. მხოლოდ ოფიციალურად დაფიქსირებული სამკურნალო წყაროების დღეღამური დებეტი 130 მლნ ლიტრია, რომელიც ფუჭად იკარგება. როდესაც ყველაფერ ამას ჩემს საზღვარგარეთელ კოლეგებს ვუამბობ, საოცარი რეაქცია აქვთ. არ იჯერებენ, რომ ერთი მთის ძირიდან სამი სხვადასხვა შემადგენლობისა და გემოს მინერალური წყალი ამოდის. ბევრი საქართველოს სანახავად წამომყვა. გიჟდებოდნენ უდაბნოს მზით დაშაშხული არაბი შეიხები და ებრაელი ბიზნესმენები, როცა საქართველოში ჩამოდიოდნენ და ჩვენს კურორტებს ნახულობდნენ. ბევრმა მოისურვა აქ მიწის ყიდვა და თანამედროვე სასტუმროს თუ სანატორიუმის აშენება, მაგრამ ჩვენმა გაუმაძღრობამ თავისი ქნა — საქართველოს ბუნებით და წყლით მოხიბლული ინვესტორები გაიქცნენ.

— **თუ შეიძლება, უფრო კონკრეტულად ამის შესახებ...**

— მაგალითებს მოგიყვანთ. ჩავიყვანეთ წყალტუბოში ერთი ცნობილი ებრაელი ბიზნესმენი, რომელიც საკურორტო ბიზნესითაა დაკავებული. ძალიან მოეწონა წყალტუბო და გადაწყვიტა, იქ ერთი ჰექტარი მიწა შეესყიდა და სანატორიუმი აეშენებინა. დასაწყისისთვის 80 მილიონი დოლარის დაბანდება გადაწყვიტა მშენებლობაში. ჯერ ერთს ავაშენებ და დანარჩენებს მერე მივყვებიო. არანორმალური მადა გვაქვს ქართველებს. აღმოჩნდა, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც ებრაელმა სანატორიუმის აშენება მოინდომა, გაყიდული იყო. როგორ გაყიდეს მკაცრი სანიტარული დაცვის ზოლში მოქცეული მიწა და ვინ გაყიდა, ეს ცალკე საუბრის თემაა. ეს ალბათ რაიონის გამგეობას უნდა მოვკითხოთ. ერთი სიტყვით, მოვძებნეთ მიწის მფლობელი, რომელმაც ბიზნესმენს სრული წილი მოსთხოვა. გადაირია ებრაელი კაცი, სრულ წილს რომ მთხოვთ ერთ ჰექტარ მიწაში, ნორმალურები თუ ხართო? ასე განმეორდა სხვაგანაც. ადგა ის კაცი და თავისივე თვითმფრინავით უკან გაფრინდა...

წყალტუბოში საბჭოეთის დროს აშენებული უამრავი სანატორიუმია. მათი პრივატიზება გროშებად მოხდა, თუმცა საპრივატიზაციო პირობებში არაფერია ჩაწერილი. არის ახლა სანატორიუმის მფლობელი მხარ-თეძოზე წამოწოლილი და არაფერს აკეთებს. ამასობაში ბევრი უნიკალური სანატორიუმის შენობა ინგრევა. მივუყვანთ ინვესტორს და ზრდილობის გამოც კი არ წამოდგება, უცხოელ ბიზნესმენს მაშინვე ორ ჩემოდან ფულს სთხოვს. ასე მოსთხოვეს გაძარცულ, თითქმის დანგრეულ სანატორიუმში ერთ თურქს უზარმაზარი ფული. გაგიჟდა თურქი, თურქი კი ვარ, მაგრამ გიჟი ხომ არ გგონივართო და გაბრუნდა უკან. პრივატიზაცია ვახსენე. არ იფიქროთ, მისი მოწინააღმდეგე ვიყო, მაგრამ ფაქტია, — საქართველოში საკურორტო ობიექტების პრივატიზება დანაშაულებრივად გულგრილად ჩატარდა. სახელმწიფოს თავის მფლობელობაში ის ობიექტები უნდა დაეტოვებინა, რომლებიც მომგებიანი იყო. მათ ბაზაზე უნდა ჩამოყალიბებულიყო ტურიზმის ეროვნული კომპანია. სხვა ობიექტები გაპრივატიზებულიყო, თუნდაც სიმბოლურ ფასად, მაგრამ პირობაში აუცილებლად უნდა მითითებულიყო სანატორიუმის კეთილმოსაწყობად ინვესტიციების მოზიდვა, გზების გაყვანა და არა შენობის აგურ-აგურ გაყიდვა.

— **თუმცა გარდა ამ მიზეზებისა, გვერდს ვერ ავუვლით ლტოლვილთა პრობლემასაც...**

— რა თქმა უნდა. ლტოლვილთა სანატორიუმებში განსახლება უმთავრესი მიზეზია, რომ საქართველოში ტურიზმი და საკურორტო ბიზნესი სრულიად განადგურდა. ომს გამოქცეული გამწარებული ხალხი სახელმწიფომ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში დააბინავა და ამით დაიბანა ხელი. სარჩო-საბადებელს მოკლებული ლტოლვილები ყველაფერს ანადგურებდნენ. სანატორიუმების ძვირფასს ავეჯს, პარკეტსაც კი გასათბობად ღუმელში უძახებდნენ. ანტიკვარული საკონცერტო როიალებიც არ დაინდეს, გაეყიდათ მაინც?! ასევე განადგურდა ფერწერული ტილოები, ტელევიზორები, ჭურჭელი და თეთრეული. კედლებიდან მარმარილოს ფილებსაც ხსიდნენ და სასაფლაოს ხელოსნებს აბარებდნენ. მოგვიანებით, ოდნავ რომ დაწყნარდნენ, მიხვდნენ, აფხაზეთში მათი დამბრუნებელი ეს ხელისუფლება არ იყო და ლტოლვილობაში არაერთ წელს გაატარებდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო. სანატორიუმები საცხოვრებლად უკვე უვარგისად ქცეულიყო. ლტოლვილებზე რა უნდა თქვა, როცა გაზულუქებული „ფულის ტომრები“ გაცილებით უარეს დანაშაულს სჩადიან. მოგეხსენებათ, ურეკში მაგნიტური ქვიშაა. ასეთი პლაჟი მსოფლიოში მხოლოდ სამია. ურეკის უნიკალურობას ტიტანმანგანუმის შემცველობის მაღალი — 80% განსაზღვრავს. ამ მკაცრი რეჟიმის სანიტარული დაცვის ზოლში ზოგიერთები უკითხავად აგებენ აგარაკებს. თხრიან საძირკვლებს დამხმარე შენობა-ნაგებობებისთვის, აშენებენ რესტორნებს და პლაჟებსაც ისაკუთრებენ, ღობავენ მავთულხლართებით.

— **სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი?**

— მადა უნდა დავიოკოთ ქართველებმა და ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის ასამაღლებლად უნდა ვიზრუნოთ. რა თქმა უნდა, სხვა დარგებთან ერთად, საკურორტო ინფრასტრუქტურაც უნდა ავაღორძინოთ. თურქეთში 15-17 წლის წინ სამასი ათასი ტურისტი თუ შედიოდა, მაგრამ საკურორტო ბიზნესის სწორი წარმართვით, დღეს თურქეთს ტურიზმიდან წელიწადში 12 მილიარდი დოლარის შემოსავალი აქვს...

აღნიშნულ პრობლემაზე კომენტარი ვთხოვეთ ცეკავშირის საკურორტო სამმართველოს უფროსს **ოთარ ნამგალაძეს**: — დღეს საკურორტო ბიზნესი საქართველოში დაქცეულია, ისევე, როგორც მეურნეობის სხვა დარგები. ჩვენთვის აღარ არსებობს არც შავიზღვისპირეთის კურორტები და აღარც წყალტუბოს სანატორიუმი „ცენტროსოიუზი“, რომელიც თავისი არქიტექტურული სილამაზით გამორჩეული იყო. ეს 350-ადგილიანი სანატორიუმი დღეს რეალურად 40 ლტოლვილს უკავია. თუნდაც სხვა საცხოვრებელი გამოვუნახოთ, სანატორიუმიდან მაინც არ გამოვლენ. იგივე მდგომარეობაა ქობულეთის სანატორიუმში, სადაც გვქონდა ზამთრის საცურაო აუზი, კორტები, საკონცერტო დარბაზი. აქაც, თვრამეტსართულიან სანატორიუმში რამდენიმე ათეული ლტოლვილი ცხოვრობს...

საუბარში ოთარ ნამგალაძის მოადგილე **დათო ზუმბაძე** ჩაგვერთო: — თუ ლტოლვილების წესიერი აღწერა ჩატარდება და ისინი გადანაწილდებიან, დარწმუნებული ვარ, ბევრი სანატორიუმი გამოთავისუფლდება.

საუბარს კვლავ **ოთარ ნამგალაძე** აგრძელებს: — აღარ ვჩივი სანატორიუმებიდან დატაცებულ, მოპარულ თუ დამტვრეულ ძვირფას როიალებს, ბროლის ჭაღებს, ავეჯს. არც ძვირფასი ხისგან დამზადებულ პარკეტზე ვამბობ არაფერს, მაგრამ ამ უკვე არარსებული ქონების გადასახადს რატომ გვახდევინებს სახელმწიფო? აქეთ მიწის გადასახადი გვახრჩობს... არც ერთი სახის გადასახადი ჩვენ არ უნდა გადავიხადოთ, რადგან სანატორიუმებში სახელმწიფომ ლტოლვილები შეუშვა და ჩვენ მათ ვერ ვიყენებთ. საგანგებოდ ხომ არ გვაკოტრებენ, რომ მერე ჩვენი ობიექტები, თუნდაც განადგურებულები, ვიღაცებმა ხელში ჩაიგდონ? სახელმწიფოს ტურიზმისა და საკურორტო ბიზნესის განვითარება თუ სურს, ჯერ იმაზე დაფიქრდეს, რა უჯდება ერთ საშუალო შეძლების ტურისტს (თუნდაც რუსს) საქართველოში ჩამოსვლა? ჩვენი საჰაერო მომსახურება იმდენად ძვირი ღირს, რომ ამ ფასად კაცი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ჩაფრინდება...

მოსმენილიდან გამომდინარე, გაზეთის რედაქციამ ერთ-ერთ, ყოფილ საკავშირო დაქვემდებარების კურორტ წყალტუბოში ჟურნალისტის მივლინება გადაწყვიტა, რათა ჩვენი თვალით გვეხილა საქართველოს უმშვენიერესი კურორტის სავალალო მდგომარეობა. გამგზავრებამდე, ორთაჭალაში, თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს ვესტუმრეთ და მის ხელმძღვანელს, **ნიკა საააკაშვილსა** და მოადგილეს, **ნანა ჯაკოზიას** გავესაუბრეთ. **ნიკა საააკაშვილი**: — ეს არის ერთადერთი სახელმწიფო დაწესებულება, რომელსაც ბიუჯეტიდან არ აფინანსებენ. მიუხედავად ამისა, კოლექტივის ენთუზიაზმის წყალობით, აღვადგინეთ ბალნეო, ფიზიოთერაპიული და სხვა განყოფილებები. ახლა მთელ საავადმყოფოსაც ვარემონტებთ ისე, რომ მუშაობას არ ვწყვეტთ. რამდენიმე წლის წინ კი ორიოდ კაპიკად სახელმწიფო ამ უნიკალური სამკურნალო დაწესებულების გაყიდვას აპირებდა. მყიდველიც ნანახი იყო და ობიექტის გაყიდვაზე პრეზიდენტის რეზოლუციაც არსებობდა, მაგრამ კოლექტივმა შეუძლებელი შეძლო და არა მარტო თბილისელებს, არამედ მთელ საქართველოს უნიკალური სამკურნალო დაწესებულება შეუნარჩუნა... რა ექიმი გილი, რისი ექიმი გილი! გინახავთ, კაცო, სადმე ეს გილი? არადა, აგერ ახტალის ტალახი და მისი ჯანი. თუ დამიჯერებთ, იაპონელებმა ახტალის ტალახი რომ გამოსცადეს, მეხვეწებოდნენ — ერთობლივი საწარმო გავხსნათ, ტალახის ბრიკეტები დავამზადოთ და იაპონიაში წავიღოთო. სასტიკი უარით გავისტუმრე. იაპონიას რა ტალახი ეყოფა, 135 მილიონი კაცი ცხოვრობს და ქართველ მიტუას ან მიხოს არაფერი დავუტოვოთ?!

— **რას იტყვით რესპუბლიკის სხვა ბალნეოლოგიურ კურორტებზე?**

— მაგალითად, წყალტუბოში რენტგენის ორი აპარატი დაგვიმსხვრიეს და ფანჯრიდან გადმოგვიყარეს ლტოლვილებმა.

**ნანა ჯაკოზია**: — მენჯის წყალი კანის დაავადებებისათვის უებარია, მაგრამ სამწუხაროდ მენჯი, როგორც კურორტი, აღარ არსებობს. იქ ახლა ერთი ტაშტი დგას და თითოოროლა იღებენ აბაზანებს. ზოგიერთი დამსვენებელი კი პირდაპირ ორმოში წვება...

## მკვდარი კურორტი... წყალტუბო

წყალტუბოში ჩასულს გამახსენდა, რომ ოციოდე წლის წინ ამ ადგილებში ასე ხალვათად ვერ ისეირნებდი. ქუჩებსა და პარკში უამრავი დამსვენებელი ირეოდა. საღამოს „ტანცები“ იმართებოდა. ერთი სიტყვით, საკურორტო ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. ახლა წყალტუბო მიტოვებული პატარძალივით მოწყენილი დამიხვდა. გაჩანაგებული, ნაგვითა და შინაური ცხოველებით სავსე იყო წყალტუბოს მშვენება დენდროპარკი. უამრავი საზკვების ობიექტის, რესტორნების, ღია ტიპის კაფეების არსებობას სამშენებლო ნაგავიღა თუ გაგახსენებთ. ქუჩაში ხალხი არ ჩანს. იშვიათად თუ გაივლის დიდი სიჩქარით ავტომობილი, არადა, ერთ დროს წყალტუბოში შესვლა ავტომობილით აკრძალული იყო, სამუდამოდ ჩამოგართმევდნენ მართვის მოწმობას. როგორც იქნა, პარკის შესასვლელთან რამდენიმე პენსიონერს მოვკარი თვალი. მორყეულ გრძელ სკამზე ჩამომსხდარიყვნენ.

— **გამარჯობათ, ბაბუებო!**

— ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგიშალოს...

— **რა გიქნიათ, რას დაგიმგვანებიათ ეს ლამაზი კურორტი?**

— ბაბუ, ჩვენ რა უნდა გვექნა. დრომ ქნა და მთავრობამ. ყველაფრის საძირკვლამდე დანგრევა კაი კი არაა, რაცხა ხო უნდა დატოვო, რო მერე ახლის მშენებლობა გოუადვილდეს კაცს. ამგენს, შე კაცო, მარტო დანგრევა სცოდნიათ. იმდენი იბოდიალეს, დამსვენებლებიც გააქციეს და მგონია, თვითონაც გასაქცევად აქვთ საქმე...

— **დამსვენებლები აღარ ჩამოდიან რუსეთიდან?**

— რაის დამსვენებელი, ბოშო. ამ გაძვალტყავებულ ქვეყანაში ვინ გამოუშობს თავის ბალანას ან ცოლს? შენ არ გემახსოვრება, რა გოგოები დადიოდნენ აქანე. ჩამოდიოდნენ გადაკარგულიდან, ერთი-ორს გეიჭყვამპალებდნენ აბაზანაში და ქე უცებ იმართებოდნენ წელში. კაცო, ვფიქრობდი, ეს წყალი ასთე უცბად ამ რუსის ქალებს რავა სეკუნდში ასწორებს წელში-თქვა. მერე მივხვდი, თავიანთ ქმრებს და მშობლებს რო ატყუებდნენ და აქანე რო უნდოდათ რაცხა მაკვარანცხობის გაკეთება. ხოდა, ჩამოდიოდნენ შლიგინ-შლიგინით ქუთეისიდან, სამტრედიიდან და საცხა-საცხაებიდან მოზვერი ბიჭები და იყო ერთი ამბავი. იმნაირი ცემა-ტყეპა იყო, რომე ზოგს მართლა ქე დასჭირდა წყალტუბოს წყალი.

— **ამბობენ, ლტოლვილებმა დააქციეს საქართველოს პანსიონატები და დასასვენებელი სახლებიო.**

— დაბრალება კაი ვიცით... ლტოლვილს ვინ გაატანიებდა იმ სიმდიდრეს. რავარც გეიგეს სანატორიუმების ფაშვიანმა დირეხტორებმა ლტოლვილები მოდიანო, ერთი კვირა ზიდეს, რაც კი რაიმე ძვირფასი ებადა სანატორიუმებს. მთავრობასაც თავისი წილი მიაშავეს და პოლიციასაც... რავა, ბასეინები რო დაანგრიეს და აგურ-აგურ გაყიდეს, მაგასაც ლტოლვილებს დააბრალებენ?..

მოხუცებთან საუბარს სიამოვნებით გავაგრძელებდი, მაგრამ კურორტ წყალტუბოს „მამებთან“ მიმეჩქარებოდა. თავდაპირველად, პარკში შევედი, სადაც, როგორც მახსოვდა, ცხრა აბაზანა იყო. იქ ერთდროულად ორი ათას კაცს შეეძლო აბაზანის მიღება. როგორც გაირკვა, პარკიც და აბაზანებიც, სამკურნალო წყლიანად, სააქციო საზოგადოება „ბალნეოსერვისს“ ეკუთვნის. მისი დირექტორის **ომარ მაღლაკელიძის** განცხადებით: — ამჟამად მხოლოდ პირველი, მესამე და მეექვსე, ე.წ. სტალინის აბაზანა მუშაობს, დანარჩენი ექვსი — ზოგი დაინგრა, ზოგიც ავარიულ მდგომარეობაშია დაკონსერვებული. პაციენტები აღარ გვყავს, შესაბამისად, თითქმის აღარ გვაქვს შემოსავალი. მოსკოვში, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოში, წყალტუბოზე ათი ათასი განცხადება დევს. ამ ხალხს საბჭო აფინანსებს, მაგრამ რუსეთთან შექმნილი მძიმე ურთიერთდამოკიდებულების გამო პაციენტები არ ჩამოდიან.

— **პაციენტები რომც გყავდეთ, ამდენ ხალხს სად მოათავსებთ? სანატორიუმები დანგრეულია...**

— ხალხს კერძო სექტორში განვათავსებთ. აბაზანებსაც ავამუშავებთ(?!). ორიოდე წლის წინ სამკურნალო წყლის დებეტმა მართლაც მნიშვნელოვნად იკლო. როგორც გაირკვა, ვანში ვიღაცებს ჭაბურღილები დაუდგამთ და იქიდან ამოსული ცხელი წყლით სათბურებს ათბობდნენ. გეოლოგებმა 100 ათასი ლარი მოგვთხოვეს ჭაბურღილების გასაუქმებლად. ბევრი დავის შემდეგ წავედით და ჭაბურღილები გავაუქმეთ. ერთ წელიწადში წყლის დონემ 130 სანტიმეტრით აიწია. ასე რომ გაგრძელებულიყო, შეიძლება წყალი დაკარგულიყო და მას მერე ვერავინ იპოვიდა.

— **პარკს რატომ არ უვლით?**

— სახსრები არ გვაქვს და რა ვქნათ. რაც შეგვიძლია ვუვლით, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა მაინც აპარებს პარკის ტერიტორიაზე შინაურ საქონელს. ზოგმა ხე მოგვიჭრა, ზოგმაც ცეცხლი დაანთო... წყალტუბოს სამკურნალო წყალი ძველებურად ახდენს სასწაულებს — დახეიბრებული პაციენტები, რომლებიც ჩვენთან ყავარჯნებით და ინვალიდის ეტლებით მოვიდნენ, თავიანთი ფეხით ბრუნდებიან შინ. მკურნალობა თითქმის ყველასათვის ხელმისაწვდომია. ერთი აბაზანის მიღება ლარი ღირს...

მეექვსე აბაზანის შენობა თავიდან ბოლომდე დავათვალიერე. სამწუხაროდ, იქაც ავარიული მდგომარეობაა, მაგრამ არა ისეთი, რომ არ შეისვლებოდეს. ბევრი რამ მოწესრიგებულია. თვალში განსაკუთრებული სისუფთავე გეცემა, თუმცა დამლაგებლებთან საუბრისას ისიც შევიტყვეთ, რომ აბაზანები ანტისეპტიკური ფხვნილებით არ მუშავდება ან თუ მუშავდება, — იშვიათად. აბაზანის ფოიეში კანტიკუნტად მყოფმა დამსვენებლებმა ერთხმად გამოთქვეს მომსახურებით კმაყოფილება, თუმცა არავის უთქვამს, რომ აბაზანის შემდეგ შხაპის გადასავლები წყალი დიდი ხანია აღარ მოდის...

უყურადღებოდ არც სააქციო საზოგადოება „წყალტუბოკურორტინვესტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **თინა ვაშაკიძე** და დირექტორი **იონა ჩარქსელიანი** დაგვიტოვებია. როგორც მათთან საუბარში შევიტყვეთ, პროფკავშირების კუთვნილი წყალტუბოს 26 სანატორიუმი მათ ეკუთვნით. საზოგადოების დამფუძნებელი კი საქართველოს პროფკავშირებია.

— **ქალბატონო თინა, თუ იყვნენ წყალტუბოთი უცხოელი ინვესტორები დაინტერესებულები?**

— როგორ არა. რამდენჯერმე იყვნენ ინვესტორები, რომლებსაც მთელი წყალტუბოს ყიდვა უნდოდათ, მეტად საინტერესო და მომგებიან წინადადებებს გვთავაზობდნენ, მაგრამ როცა გაიგეს, რომ წყალტუბოში სანატორიუმები სხვა ორგანიზაციებსაც აქვთ (მაგალითად, „ცეკავშირის“ ხელმძღვანელების და სხვათა მადა ვერ მოთოკეს), წავიდნენ.

— **ადგილობრივმა ხელისუფლებამაც ხომ მოითხოვა წილი? თუ ვცდები?**

*პასუხი ამ კითხვაზე დირექტორმა გამცა:*

— სამწუხაროდ, არ ცდებით.

დასასრულ, კურორტ წყალტუბოს რაიონის გამგეობაშიც შევიარე. ფოიეში იმხელა მაწანწალა ძაღლი წამოწოლილიყო, შიგ შესვლა ვერ გავბედე. თუმცა, როგორც შემდეგ შევიტყვე, შენობაში ხელმძღვანელობიდან არავინ ყოფილა. ყველანი ქუთაისში ბუნებრივი რესურსების დაცვისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე წასულიყვნენ. წამოსვლას ვაპირებდი, რომ გამგებლის მოადგილემ, გოჩა უგულავამ მომისწრო, რომელმაც უცხოელი ინვესტორების წყალტუბოში სტუმრობა უარყო და აბსურდული განცხადება უწოდა.

P.S. წყალტუბოდან მომავალ მიკროავტობუსში შეზარხოშებული ახალგაზრდები გალაკტიონის ლექსს მღეროდნენ: „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო...“ მე კი მათი უდარდელობისა მშურდა. ისიც მშურდა, რომ მავანთა მსგავსად ვერ გადავიყრიდი ან გავიქარვებდი განადგურებული კურორტების დარდს. იმაზეც ვფიქრობდი, დააფიქრებდა თუ არა ხალხს ეს სტატია.

*ზვიად ჩაკვეტაძე*



# „პაატა ბურჭულაძეს ინტერპოლით ჩამოვიყვანთ“

## – შევარდნაძეს ცვილის ფიგურების მუზეუმში გავუშვებთ

*რუსეთიდან წამოსული აგრესიისა და მუქარის ფონზე უცნაურად ჩანს ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის ზედმეტი მიმტევებლობა და კეთილგანწყობა ჩრდილოელი მეზობლის მიმართ. ამ ხალხს არც რუსების იმპერიული ტონით ლაპარაკი აღიზიანებს და არც საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს ლანძღვა-გინება. მავანნი ნიშნსაც კი უგებენ ხელისუფლებას, — დახეთ, სადამდე მიგვიყვანა პრეზიდენტის პროდასავლელობამ. რაცა გვჭირს, შევარდნაძისაგან გვჭირს. საქართველოს ტერიტორიების დაბომბვაზე პასუხი პუტინს კი არა, შევარდნაძეს მოვთხოვოთო.*

*„საქართველოს ვაზის პარტიის“ დამფუძნებელ კინორეჟისორ* ***გიორგი შენგელაიას,*** *ჩვენი ქვეყნის მომავალი კეთილდღეობის გზა განუჭვრეტავს — ამერიკა რუსეთს ერაყში გაუცვლის საქართველოს, საქართველო ისევ რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცევა ქართველი ხალხის სასიკეთოდო. ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ეს სქემა ცნობილმა კინორეჟისორმა „კომსომოლსკაია პრავდასთან“ გააცხადა.*

— ქართველი ხალხისა და საქართველოს ეკონომიკის მიმართ ყველაზე მეტ აგრესიას ჩვენი ხელისუფლება ახორციელებს. შევარდნაძე დასავლეთმა აქცია დიდ პოლიტიკურ ფიგურად, როდესაც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობდა. მან კი გადაწყვიტა საქართველო გაეყვანა ახალ გეოპოლიტიკურ, საქართველოსთვის არატრადიციულ ორბიტაზე. რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა კომუნისტების დროს ხომ არ დაწყებულა, ერეკლეს დროს დაიწყო. მაშინ ქართველები 350 ათასი ვიყავით. გიორგი X-ის დროს, ჩვენს ქვეყანაში ფული აღარ იჭრებოდა, რუსეთის სამეფო გვირგვინის პროტექტორატის ქვეშ კი საქართველოში კულტურული ელიტა შეიქმნა. ყველა ქართველ დიდ მოღვაწეს ჰქონდა რუსეთთან ურთიერთობა იმიტომ, რომ ის ევროპული კერა იყო. გურამიშვილი რუსეთში მოღვაწეობდა, ვაჟა-ფშაველა პეტერბურგში ჩადიოდა, ილია ჭავჭავაძემ და სხვა თერგდალეულებმა სად მიიღეს განათლება? — რუსეთში, მაგრამ ამით არ დაუკარგავთ ქართველობა. ტრაგედია 1917 წელს მოხდა, როცა რუსეთშიც და საქართველოშიც ხელისუფლება კომუნისტებმა ჩაიგდეს ხელთ. დღეს, როგორც იქნა, დავუბრუნდით ნორმალურ საზოგადოებრივ წყობას და ის პრობლემები, რაც საქართველოს აქვს, სინამდვილეში შევარდნაძის მმართველობის შედეგია. პოსტსაბჭოთა სივრცეში სხვა გაცილებით გონიერი ლიდერები აღმოჩნდნენ, რომლებმაც რუსეთსა და დასავლეთთან ურთიერთობა ერთმანეთს შეუთავსეს. ავიღოთ თუნდაც პანკისის პრობლემა.

**— გინდათ თქვათ, რომ ჩეჩნების პრობლემის მიღმა სხვა რამ იმალება?**

— აშკარაა, ჩეჩნების მეშვეობით შევარდნაძე რუსებს ებრძოდა. როცა აქ ტერორისტებს ინახავ, როცა შენი თარგამაძე და ძალოვნები იარაღით ვაჭრობაში არიან ჩაბმულნი, დიდ ფულს აკეთებენ და ეს იარაღი შედის ჩეჩნეთში, ამაზე მეტი ომი რა გინდა?! 11 სექტემბრამდე კიდევ ჰქონდა რაღაც გამართლება ჩეჩნების დახმარებას, — მათი ბრძოლა ზოგიერთის თვალში გამოიყურებოდა როგორც ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ 11 სექტემბრის შემდეგ მსოფლიოში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ისლამური სამყარო ქრისტიანულს დაუპირისპირდა. ამ დაპირისპირებაში ქრისტიანების გვერდით დადგნენ კონფუციელები (ჩინელები) და ბუდისტები, რადგან ეს რელიგიები, ისევე როგორც ქრისტიანობა, აგრესიული არ არის. ასეთი ცივილიზაციური გაერთიანების შემდეგ შევარდნაძემ ალღო ვერ აუღო ვითარებას და გააგრძელა ჩეჩნების დახმარება, რომლებთანაც კავშირში იყვნენ „ალ-ქაიდას“ წევრები. ანტიტერორისტულ კოალიციაში ამერიკა და რუსეთი თანამშრომლობენ და ამ დროს შევარდნაძე ისევ მალავს გელაევებს და აშკარად ებრძვის რუსებს.

**— უშიშროების საბჭოს მდივნის, თედო ჯაფარიძის ამერიკაში ვიზიტი ალბათ მოჰფენდა ნათელს რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების რეალურ მიზეზს...**

— კი, გაკეთდა მრავალმნიშვნელოვანი განცხადებები, რომ ამერიკა დაეხმარება საქართველოს, მაგრამ თედო ჯაფარიძის ჩამოსვლისთანავე შევარდნაძემ 13 ჩეჩენის რუსებზე გადაცემის გადაწყვეტილება გამოაქვეყნა, ეს ფაქტი არაფერს გეუბნებათ?!

**— ფიქრობთ, რომ ეს ამერიკიდან წამოსული დირექტივა იყო?**

— ასე ვფიქრობ, თვითონ ბუში არ სწერს შევარდნაძეს, საქართველოს ტერიტორიაზე „ალ-ქაიდას“ წევრები გყავსო? არ გახსოვთ, როცა პუტინი საქართველოს დაბომბვით იმუქრებოდა, ამერიკელებმა გამოაქვეყნეს მათ მიერ 11 სექტემბრის წინა დღეს, კოსმოსური საშუალებებით დაფიქსირებული ბინ ლადენის სატელეფონო საუბრის ტექსტი ვიღაც უცნობთან პანკისის ხეობაში. ბინ ლადენი აცნობებდა მას, რომ ხვალ, ანუ 11 სექტემბერს მნიშვნელოვანი რამ მოხდებოდა მსოფლიო ისტორიაში. წარმოგიდგენიათ, პანკისში იმხელა ფიგურა ზის, რომელსაც ბინ ლადენი ტელეფონით პირადად ატყობინებს 11 სექტემბრის მომავალი ტრაგედიის ამბავს.

**— ხომ ითქვა, რომ ეს სატელეფონო საუბარი არ შემდგარა?**

— ვინ თქვა, კახა იმნაძემ? მისი გჯერათ და ბუშის არა?! შევარდნაძეს უთხრა, — შენთან ტერორისტები რომ სხედან, ეს ჩემს, შენს და რუსეთის სახელმწიფოებს ემუქრებაო. შევარდნაძე ბუშისათვის იგივეა, რაც შევარდნაძისათვის გელაევი. გუშინ პურს ერთად ჭამდნენ და ასე მალე ვერ ჩააბარებს შევარდნაძეს რუსებს. თედო ჯაფარიძე ამერიკაში იმიტომ იყო წასული, რომ რუსები გაემტყუნებინა, მაგრამ როგორც ჩანს, ვერაფერი გააწყო. ეს უკვე შევარდნაძის კრახია. შევარდნაძე ტერორისტებს არა მარტო საქართველოში ცხოვრების უფლებას აძლევდა, ინახავდა კიდეც. აბა, რას ჭამენ და რას სვამენ ისინი ტყეში? ჩვენი ხალხის ჯამაგირს, ლტოლვილებისა და პენსიონერების ფულს აჭმევენ ტერორისტებს.

**— ანუ იმის თქმა გინდათ, რომ ანტიკრიმინალური ოპერაციაც ბლეფი იყო?**

— აბა, რა! დაიჭირეს ერთი მარგოშვილი, ერთი ხანგოშვილი და ვერც ერთი ჩეჩენი ვერ იპოვეს. რუსები ამბობენ, სადაც იქნებიან ჩეჩნები, იმ ადგილებში დესანტს გადმოვსხამთო. მე ვფიქრობ, რუსები ამას არ იზამენ, უბრალოდ, ზეწოლისათვის ამბობენ. სანამ მარტო რუსეთის მხრივ იყო ზეწოლა, ჩვენებმა ყურიც არ შეიბერტყეს, ახლა ბიძია ბუშმა რომ უთხრა, გადასცეს ჩეჩნები. ხედავთ, როგორ მოტყდა ამერიკელების მითითების შემდეგ შევარდნაძე? ახლა ამბობს, კიშინიოვის სამიტზე პუტინს შევხვდები და მეგობრობაზე დაველაპარაკებიო.

**— 17 სექტემბრის „კომსომოლსკაია პრავდასთვის“ მიცემულ ინტერვიუში იმიც განაცხადეთ, საქართველოს ერაყში გაცვლიანო.**

— აქ მე გთხოვთ, ზუსტად მოიყვანოთ ჩემი ციტატა: „დარწმუნებული ვარ, პუტინი შეძლებს საქართველოს ერაყის ნაცვლად გამოსყიდვას საქართველოს საკეთილდღეოდ და საქართველო კვლავინდებურად იქნება რუსეთის გავლენის სფეროში.“ ამ პროგნოზს ცნობილი პოლიტოლოგები აკეთებენ. მალე რუსეთი საუდის არაბეთის ფუნქციას შეიძენს. ამერიკას აღარ უნდა არაბეთის ნავთობი იმიტომ, რომ იმ ნავთობის ფულით ტერორისტები ფინანსდებიან. ვლადივოსტოკში და პეტერბურგთან რუსები დიდ პორტებს აშენებენ, საიდანაც ნავთობი ამერიკაში გავა.

იცით, რომ ბაქო-ჯეიჰანის პროექტში რუსეთის „ლუკოილი“ მონაწილეობს? რუსები და ამერიკელები ყველა საკითხზე თანხმდებიან.

**— მაგრამ ჩნდება ძალიან მარტივი კითხვა, რომელიც პოლიტიკაში ჩაუხედავ ადამიანსაც გაუჩნდება — თუ რუსეთი ასეთი კეთილი მეზობელია, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს რატომ არ გვიბრუნებს?**

— როდესაც ენგურის ხიდი გადაიკეტა და იქ აქციები იყო, პუტინმა თქვა, აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილიაო. მერე ისიც დასძინა, არძინბას საერთოდ არ ვიცნობო. ეს იყო ისეთი განაცხადი-შეტყობინება, რომ გამგები კარგად გაიგებდა. მაგრამ შევარდნაძეს არ სურს ამ ტერიტორიების რუსეთის ხელით დაბრუნება. ამერიკელების იმედი აქვს, მაგრამ ამერიკელები ამ საქმეში ვერ დაეხმარებიან. რატომ გვეშინია რუსების? დაკომპლექსებულები ვართ და იმიტომ. ისევ ორჯონიკიძე და სტალინი ხომ არ შემოვლენ? დღეს ჩვენც და რუსებიც ევროკავშირის წევრები ვართ.

**— ალბათ ისტორიის მაგალითების გამო... პრორუსული განწყობა ბოლო დროს სხვაგვარ დატვირთვას იძენს. ამბობენ, — რუსების აგენტები უნებლიეთ თავად აშკარავებენ საკუთარ თავსო.**

— მცდარი, ბრიყვული თვალსაზრისია. იმას, ვინც პროდასავლელია, „ცრუ“-ს აგენტი უნდა ვუძახო? შეიძლება ჩინელები მომწონდეს და ჩინეთის აგენტი ვიქნები? ეს აგენტომანია გამსახურდიას მოგონილია — მე, ელდარი, ნოდარ ნათაძე, ჭაბუა ამირეჯიბი აგენტებად გამოგვაცხადა და მიიღო სამაგიერო.

**— შევარდნაძე თავის დროზე თქვენ ჩამოიყვანეთ საქართველოში. ხომ არ ნანობთ?**

— ვნანობ. მაგრამ ისეთი დრო იყო, საჭიროდ ჩავთვალეთ მისი ჩამოყვანა — ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი პისტოლეტებით დადიოდნენ. უნდა გამოვასწორო შეცდომა. შევარდნაძე ისევ უკან უნდა გავაბრუნოთ. მაგრამ რუსეთში კი არა, მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმში.

**— დავაბრუნოთ როგორც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი?**

— არა. როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა უკანასკნელი მინისტრი. საქართველოსთვის მას არაფერი გაუკეთებია.

**— თქვენ ბრძანეთ, რაკი საქართველოდან ჭკვიანი ხალხი გაქცეულია, მომავალ პრეზიდენტს საზღვარგარეთ მოვძებნითო.**

— გაინტერესებთ ვის ვგულისხმობდი? — ლიანა ისაკაძეს ან პაატა ბურჭულაძეს. დაგენაძლევებით, რომ პაატა ბურჭულაძე ასჯერ უკეთესი პრეზიდენტი იქნება, ვიდრე შევარდნაძე.

**— როგორც ვიცი, მომავალი პრეზიდენტის ძებნას ინტერპოლით აპირებთ და ერთი პრეზიდენტობის მოსურნე მართლაც ინტერპოლით ძებნილი გვყავს.**

— როგორ მეკითხებით მაგას? იგორ გიორგაძეზე მიმანიშნებთ? რა ურთიერთობა შეიძლება მქონდეს მასთან? მართლაც პაატა ბურჭულაძე ვიგულისხმე. მან იმდენი ფული იშოვა უცხოეთში, თავისი ნებით აქ არ ჩამოვა, ინტერპოლით ჩამოვიყვანთ-მეთქი, იმიტომ ვუხუმრე.

**— ბატონო გიორგი, თქვენს ძმას, როგორც ვიცი, პროდასავლური შეხედულებები აქვს.**

— ამას წინათ, ერთ-ერთ პოპულარულ ტელეარხს უნდოდა მე და ელდარი პირდაპირ ეთერში დავესვით, როგორც განსხვავებული შეხედულებების მქონენი. რომ დამირეკეს, ვუთხარი, — ჩემს უფროს ძმას როგორ შევეკამათები ტელევიზიით-მეთქი, ოჯახური ეთიკა უფლებას არ მაძლევს, პირდაპირ შევეკამათო ძმას. ცალკე მე ვაქვეყნებ ჩემს შეხედულებებს, ცალკე — ჩემი ძმა. ამ შემთხვევის მერე ამ ტელევიზიამ საერთოდ დამიკეტა ეთერი. მათ სხვა თხოვნით მივმართე, — მოეცათ ჩემთვის საშუალება, ხაზურძანიასა და მისი თანამშრომლების ტყუილები მემხილებინა. ეთერი რომ დამიკეტეს, იმითაც დავრწმუნდი, რომ დროის იმავე მონაკვეთში ჩემი ახლობელი კაცი გამომიგზავნეს და მისი პირით მთხოვეს, შემეწყვიტა ჩემი პოლიტიკური პოზიციის დეკლარირება... ისინი, ვინც ჩემი ახლობელი გამომიგზავნეს, სწორედ იმ ტელევიზიას აკონტროლებენ, სადაც ეთერი დამიკეტეს.

**— ერთ დროს სააკაშვილთან ალიანსს გეგმავდით. რატომ არ გამოგივიდათ?**

— ვეუბნებოდი, კოალიცია შევქმნათ — ორი პროდასავლური პარტია და ერთიც — პრორუსული, დღეისთვის ეს ჰარმონიული ალიანსი იქნებოდა. არ ისურვეს... და კარგად იყვნენ.

***იზო რუკაძე***

# წელს კახეთში რთველი არ არის!




კახეთში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ დინჯი კახელებიც ააღელვა. სოფელ ახაშენის მოსახლეობა გაიფიცა და გურჯაანი-თელავის გზატკეცილი გადაკეტა; მათი თქმით, ყურძნის ფასს პრეზიდენტის მეუღლის მეჯვარე, ქ-ნი მედეა მეზვრიშვილი ადგენს თავის კლანთან ერთად. წელს იმდენად მცირეა ყურძნის მოსავალი, რომ ფაქტობრივად, კახეთში რთველი არ არის. გლეხს იმედი ჰქონდა, რომ ოფლითა და ტანჯვით მოწეულ ყურძენს ხელსაყრელ ფასად ჩააბარებდა შემსყიდველს, მაგრამ ხელისუფლებამ ტრადიციას არ უღალატა და საფასურის მინიმუმი შესთავაზა. გარდა ამისა, ვენახების დიდი ნაწილი ბუნებრივმა პირობებმა კი არა, ფალსიფიცირებულმა შხამქიმიკატებმა გაანადგურა, ვენახის შესაწამლ პრეპარატს გლეხი მამასისხლად ყიდულობდა, ზოგიერთებმა 10-ჯერაც კი შეწამლეს ვაზი, მაგრამ სხვადასხვა მინარევით გაჯერებული წამალი თავს არ იჭერდა და ბევრგან ვაზი ისე დააზიანა, რომ ნაყოფთან ერთად სამამულე რქაც გაუხმო.

როგორც აქაური გლეხი იტყვის ხოლმე „კახეთი წელს კაცმაც, ღმერთმაც ძალიან გაიმეტა“, ოთხჯერ მოვიდა (ბევრგან მეტჯერაც) სეტყვა. მიწასთან გაასწორა შვილივით ნალოლიავები ვენახები, ნაყოფი არ შეარჩინა.

ხანგრძლივმა წვიმებმა ჭრაქის (ვაზის ერთგვარი დაავადება) მასობრივი გავრცელების ბუნებრივი კერა შექმნა. გლეხი იძულებული იყო, ორმაგი დოზით შეეწამლა ვენახი;

გაზაფხულზე, პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში — ბ-ნი ბიძინა სონღულაშვილი დაჰპირდა გლეხებს, რომ შემოტანილ შხამქიმიკატებზე მკაცრ კონტროლს დააწესებდა. ამით დაიმედებული გლეხები, უშიშრად ყიდულობდნენ სარეკლამო რგოლში გამოცხადებული მაღაზიებიდან ვენახის შესაწამლ პრეპარატებს.

კახეთის რეგიონის თითქმის ყველა გამგებელმა თავიდან აიცილა პასუხისმგებლობა იმ მიზეზით, რომ ფალსიფიცირებული საქონლის შემოწმება გამგეობის საქმე არ არის.

ვიდრე მათ კომენტარს გავაცნობთ ჩვენს მკითხველს, გურჯაანელ გლეხს ილო კვირიაშვილს მოვუსმინოთ:

— 14 წლის ვიყავი, როცა მამაჩემი ომში გაიწვიეს, ვენახიცა და ადგილ-მამულიც ჩემს იმედზე დარჩა. დილით, ჯერ ვენახში მივდიოდი, იქიდან კი სკოლაში. ვცდილობდი, გალურჯებული ხელები რვეულს არ მოხვედროდა და არ დაესვარა. განა დღეს რო შაბსა ვყიდულობთ, მაშინაც ეგეთი იყო?! თუ ხელს ძმრით არ დაიბანდი, ვერ მოიცილებდი! ახლა „ურალის შაბიაო“ ამბობენ და სინამდვილეში ათას რამეს ურევენ წონის მოსამატებლად, უფრო მეტად კი — შარდოვანას.

შარდოვანა მარილია, ჩვენა ვხმარობდით ხოლმე, კომუნისტების დროს, სილოსისათვის, დღეს სილოსს ვინღა აკეთებს?! აქა-იქა ყრია ეს პრეპარატი, მუქთად შოულობენ ფალსიფიკატორები, ხანდახან სუფრის მარილსაც ურევენ, დიდი ამბავი! კილო 20 თეთრი ღირს, შაბი კიდევ 2 ლარნახევარი, 3 ლარს ვიხდით; მარილით რომ ვაზს შეწამლი, რა დაემართება?! იმიტომ აღარ აქვს არც ფოთოლი და აღარც შტო, თორემ სეტყვა ესე მასიურად ვერ მოსპობს, შეიძლება დააზიანოს, მაგრამ ფოთოლს ვერ გააქრობს...

ვენახი დაისეტყვა, მაგრამ წამალს რომ ბოლო არ მოეღო, მისთვის, სახლისთვინ მაინც დავკრეფდით რაღაცას. შარშან-შარშანწინ 18 ტონა დამიკრეფია (1 ჰა-ზე), წელს 200-300 კგ თუ იქნება, ისიც გამხმარი და გაოხრებული. თვალში ცრემლი მადგება, რომ ვუყურებ, განა ჩემი შრომა და ენერგია მენანება, იმასა ვტირი, რომა ვაზი ისე გაუბედურდა, მემრისაც აღარ დაისხამს, სამამულე რქა აღარ შერჩა.

გურჯაანში იმათი ვენახებიც დაისეტყვა, ვისაც შხამქიმიკატები შემოაქვს, აბა, წადით და ნახეთ, როგორ მწვანედ შრიალებს, რა მტევანი აქვს, ან რა შტო! აგროვადები არ დაიცავითო, აქეთ გვამტყუნებენ. თითქმის 60 წელია ვაზს ვუვლი, პროფესიითაც მევენახე ვარ და ვენახის მოვლას ეს რძეშეუმშრალი ბალღები მასწავლიან?! ქართველმა კაცმა ის უყო კახეთს, რაც ალამაჰმად ხანმა ვერ მოახერხა, ვაზი მოსპო! მრცხვენია ამას რომ ვამბობ, მაგრამ რა ვქნა? ჩემ უკან ოჯახი დგას. ახლა 200 ლარი რომ მქონდეს, ამ სიბერეში სულს წავიწყმედავდი და ვენახს ჩემი ხელით გავკაფავდი. ჩვენმა მომიჯნეებმა, ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, ყველამ გაჩეხა ვენახი. გუბერნატორი და გამგებლები ტაშისკვრით რომ აცხადებენ, ამდენი და ამდენი ჰექტარი ვენახი გაშენდა კახეთშიო, რატომ იმას აღარ ამბობენ, ვინ გააშენა?! რა თქმა უნდა, თვითონ მაგათ და იმ ჩინოვნიკებმა, ხალხის ხარჯზე მილიონები რომ იშოვეს. გლეხს ვენახი აღარ უნდა და მთავრობას გლეხი. თუ მოსავალი მოვიყვანეთ, ჩალის ფასად ვიხვეწებით და შემსყიდველი არვინ ჩანს. დღეს კიდევ, თქვენც ხედავთ, რა ხდება. უნდა ითქვას, რომ კახეთში რთველი არ არის!...

კახეთის რეგიონის ვერც ერთმა გამგებელმა ვერ გაგვცა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ამომწურავი პასუხი. სიღნაღის გამგებელმა გიორგი ჭუჭულაშვილმა გლეხები დაადანაშაულა და განაცხადა: — ვერ გამიგია, თუკი ვიღაცა მიხომ ბაზარში კიტრის ნაცვლად ბადრიჯანი იყიდა, მე რატომ უნდა ვაგო პასუხი?! მაგათ იაფად უნდათ მოსავლის მოყვანა, ეგრე არ არი! იყიდონ ძვირად ღირებული სერტიფიცირებული შხამები და ვაზიც აღარ გაუფუჭდებათ.

**— გლეხმა იცოდა, რასაც ყიდულობდა, მაგრამ საჭირო პრეპარატის ნაცვლად, ცარცი და მარილი რომ შეატყუეს, ის არის პრობლემა.**

— მერე გამგეობა რა შუაშია?! წაბრძანდით მცენარეთა დაცვის სადგურში და გაარკვიეთ.

**— რამდენადაც ვიცი, პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის მხარეში ბ-ნმა ბიძინა სონღულაშვილმა კახეთის რეგიონის ყველა გამგებელს დაავალა მკაცრი კონტროლი დაეწესებინათ ფალსიფიცირებულ შხამქიმიკატებზე.**

— მართალია, მაგრამ ბოდბისხევის ბაზარი, სადაც ეს პრეპარატები იყიდება, კერძო სტრუქტურაა და ჩვენ შემოწმების უფლება არა გვაქვს!

თითქმის ასეთივე პასუხით გამოგვისტუმრა გურჯაანის გამგებელმაც და მცენარეთა დაცვის სამსახურზე მიგვითითა.

დედოფლისწყაროს მცენარეთა დაცვის სამსახურის უფროსმა მერაბ რობიტაშვილმა საერთოდ გადაგვიწურა იმედი: — კახეთში არ არსებობს ლაბორატორია, სადაც შესაძლებელი იქნება მცენარეთათვის განკუთვნილი შხამქიმიკატის შემოწმება. ისე, რა თქმა უნდა, ჩვენც გვევალება გასაყიდი წამლის გაკონტროლება, მაგრამ ჩვენი სამსახური, ძირითადად დამაკავშირებელი რგოლია, — რეკომენდაციას უწევს ინდივიდუალურ მეწარმეს ზემდგომ ორგანოებთან, რათა მან სერტიფიცირებული პრეპარატები შემოიტანოს. ის რომ თითქოს უხარისხო წამალმა გააფუჭა ვაზი, სიცრუეა. ვინც ვერ დაიცვა აგროვადები, სწორედ მას დაუზიანა ჭრაქმა ვენახი. ფალსიფიცირებული წამალი ასე ხელაღებით არ იყიდება...

ერთი სიტყვით, დანაშაულს ყველა ერთმანეთს აბრალებს და დაზარალებული მაინც გლეხი რჩება. ჩვენდა გასაოცრად, კახეთში შექმნილი სიტუაცია ზუსტად შეაფასა ერთმა „განათლებულმა გლეხმა“:

— ჩვენს ქვეყანაში დიქტატორული ანარქიზმია, მაგრამ ხელისუფლება მას დემოკრატიას ეძახის.

***მაია ყალაბეგაშვილი***

# რუსულ ავიაგამანადგურებელს ქართული მოიერიშე მიზანში ჰყავდა ამოღებული

## 27 სექტემბერს საჰაერო შეტაკებას ცოტაღა დააკლდა

გასული კვირის პარასკევს, ნაშუადღევს, თბილისის მოქალაქეები შიშით შეჰყურებდნენ ორ თვითმფრინავს, რომლებმაც დაბალ სიმაღლეზე რეაქტიული გუგუნით გადაუფრინეს ქალაქს და სატელევიზიო ანძის მიმართულებით წავიდნენ.

მაშინ, როდესაც მეზობელი ქვეყანა დღედაღამ დაბომბვით გვემუქრება, ბევრმა თბილისელმა შეიძლება ეს საჰაერო თავდასხმის დაწყებად მიიღო, მაგრამ ამჯერად თვითმფრინავები ქართული Су-25 მოიერიშეები გახლდნენ, ოღონდ ისინი არც მოსახლეობის შეშინებას აპირებდნენ და არც ვარჯიშობდნენ — საბრძოლო დავალებიდან ბრუნდებოდნენ.

ყველაფერი კი რამდენიმე საათით ადრე დაიწყო. 27 სექტემბერს, დილიდანვე, მარნეულის სამხედრო აეროდრომიდან ქართველი პილოტები სავარჯიშო ფრენებს ახორციელებდნენ და ახლა მფრინავ-სტაჟიორს ორადგილიანი Су-25УБ-თი ასწავლიდნენ საჰაერო ილეთებს.



ასეთი სიტუაცია შეიქმნა საქართველოს საჰაერო სივრცეში 27 სექტემბერს

მფრინავები მშვიდობიანად დასხდნენ მარნეულში და ისვენებდნენ. ამასობაში მოულოდნელად გაისმა საგანგაშო ზარი — საქართველოს საჰაერო სივრცე ბარისახოსთან რუსულმა შვეულმფრენმა დაარღვია, რომელიც თითქმის 15 წუთია, რაც ჩვენს ცაში იმყოფებაო. ბარისახოსთან საზღვრის გასამაგრებლად თავდაცვის სამინისტროს საზღვაო ქვეითთა ნაწილია დაბანაკებული.

ამ ცნობის მიღებისთანავე მარნეულის ბაზიდან ორი Су-25 კვლავ აფრინდა საჰაერო სივრცის დამრღვევის აღმოსაჩენად, მაგრამ იმის გამო, რომ Су-25-ები გამანადგურებელ-გზაგადამჭრელები კი არა, მოიერიშეები არიან, დანიშნულების ადგილზე მიფრენისას ვეღარავინ აღმოაჩინეს. სამაგიეროდ, თავად ქართველ მოიერიშეებს გაუჩნდათ პრობლემები — მათ თვითმფრინავებს უცხო ქვეყნის რადიოლოკატორები ასხივებდნენ.

საქმე ის გახლავთ, რომ თითქმის ყველა საბრძოლო თვითმფრინავს უყენია სპეციალური ხელსაწყო, რომელიც აფიქსირებს მოწინააღმდეგის რადიოლოკატორის მუშაობას. Су-25-ებზე დამონტაჟებულია СПО-15 (დასხივების გამაფრთხილებელი სიგნალიზატორი), რომელმაც ჩვენს პილოტებს უჩვენა, რომ რუსეთის მხრიდან ქართულ მოიერიშეებს აფიქსირებდა სახმელეთო რადიოლოკატორი.

მიუხედავად იმისა, რომ მოიერიშეებმა დატოვეს საზღვრისპირა საჰაერო სივრცე, მათი რადიოლოკაციური დასხივება არ შემწყდარა — პილოტებს გამაფრთხილებელი ნათურა თითქმის თბილისის ზღვამდე აცნობებდა, რომ მოწინააღმდეგის რადიოლოკატორს ისინი „ჩაჭერილი“ ჰყავდა.

ოღონდ, ამჯერად, სავარაუდოა, ქართულ მოიერიშეებს რუსული გამანადგურებელი თვითმფრინავი ასხივებდა. მაგალითად, რუსულ Су-27-ს თითქმის 80 კმ-ზე შეუძლია მფრინავი ობიექტის აღმოჩენა თავისი რადიოლოკატორით, ხოლო შორეული რადიოლოკაციური დაზვერვისა და დამიზნების A-50 ტიპის თვითმფრინავს (იგი ამერიკული „ავაქსის“ მაგვარია და სხვათა შორის, შექმნილია ქ. ტაგანროგში, გიორგი ბერიევის (ბერიაშვილის) სახელობის საკონსტრუქტორო ბიუროში) კი Су-25-ის დაფიქსირება 220-240 კმ-ის სიშორეზე ძალუძს, საზღვრისპირა რაიონიდან თბილისამდე უმოკლესი მანძილი 79,9 კმ-ს არ აღემატება.

ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ქართული საჰაერო სივრცის სრული რადიოლოკაციური კონტროლის გაწევა შეუძლია რუსულ „ავაქსებს“ და ისინი დროულად დააფიქსირებენ იმ ქართულ მოიერიშეებს, რომლებიც მარნეულის აეროდრომიდან აფრინდებიან ჩრდილო საზღვრის დასაცავად. სხვათა შორის, ამაში მოსკოვს მეზობელ სომხეთში, გიუმრის ბაზაზე განთავსებული რუსული რადიოლოკატორებიც დაეხმარება.

საზღვართან მიახლოებული ქართული მოიერიშეების ჩამოგდება რუსულ Су-27-ს სახელმწიფო საზღვრის დაურღვევლად შეუძლია — მისი საშუალო სიშორის მოქმედების „ჰაერი-ჰაერი“ კლასის Р-27Р ტიპის რადიოლოკაციური დამიზნების მართვადი რაკეტის მაქსიმალური მოქმედების სიშორე 41 კმ-ია.

ქართულ მოიერიშეებს კი ბუნებრივია, არ აქვთ რადიოლოკატორები და მათ მთავარ იარაღს საჰაერო ბრძოლებისას „ჰაერი-ჰაერი“ კლასის Р-60М ტიპის სითბური დამიზნების რაკეტები წარმოადგენენ, რომელთა სროლის მაქსიმალური სიშორე 10 კმ-ს არ აღემატება. იყო დრო, როდესაც თბილისის საავიაციო ქარხანა ავტომატიზებულ ციკლში უფრო თანამედროვე და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მანევრირებად Р-73 ტიპის რაკეტას სერიულად უშვებდა (მისი სროლის მაქსიმალური სიშორე 20 კმ-ია), მაგრამ დღეს ეს წარმოება აღარ არსებობს.

ჩვენს მოიერიშეებს მხოლოდ საჰაერო სივრცის დამრღვევ შვეულმფრენებთან თუ შეეძლებათ მეტ-ნაკლებად ეფექტური ბრძოლა. ეს მოსკოვშიც იციან და არ არის გამორიცხული, რომ 27 სექტემბერს ბარისახოსთან ქართული მოიერიშეების მიტყუებაც სცადეს, მით უმეტეს, რომ ქართულმა რადიოლოკატორმა დააფიქსირა ამ რაიონში 8 კმ-ის სიმაღლეზე მფრენი ორი საჰაერო ობიექტი, რომლებიც სავარაუდოდ რუსული Су-27-ები უნდა ყოფილიყვნენ.

# გალაშკიდან შეიძლება 21-ე საუკუნის ახალი კავკასიური ომი დაიწყოს

გასულ კვირას, გაეროდან და განსაკუთრებით ევროსაბჭოდან მოსულმა ცნობებმა საქართველოს მოსახლეობა მეტ-ნაკლებად დააშვიდა — ამერიკამაც და ევროპამაც საკმაოდ მკაფიოდ აგრძნობინეს რუსეთს, რომ საქართველოზე გალაშქრების უფლებას არ მისცემდნენ.

მაგრამ გავიდა ორიოდე დღე და 26 სექტემბერს ინგუშეთის სოფელ გალაშკისთან დიდი შეიარაღებული ჯგუფი რუს ფედერალებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება.

ანუ ყველაფერი თავიდან იწყება. რუსეთის ბრალდებებს — ჩეჩენი ტერორისტები საქართველოდან იჭრებიანო, უკვე დასავლეთიც სერიოზულად უგდებს ყურს.

გალაშკი საქართველო-რუსეთის საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთიდან კარგა დიდი მანძილით არის მოშორებული. რუსეთის მხარემ დაკავებული ჩეჩნები დაჰკითხა და დააზუსტა ამ 200-300-კაციანი ჯგუფის მარშრუტი — საქართველოდან ისინი ჯერ ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე გადავიდნენ, გაიარეს ტარსკოე და გადაკვეთეს ოსეთ-ინგუშეთის საზღვარი. ისინი აღმოაჩინეს მხოლოდ გალაშკისთან. სავარაუდოდ, მათ გეზი ჩეჩნეთისკენ, კერძოდ, ბამუტისკენ ეჭირათ. ისე, ის ფაქტი, რომ რამდენიმე ასეულმა, კარგად შეიარაღებულმა კაცმა შეუფერხებლად გაიარა მთელი ჩრდილო ოსეთი, სულაც არ მეტყველებს რუსი მესაზღვრეებისა და სპეცსამსახურების დიდ პროფესიონალიზმზე. სოფელ გალაშკისთან ერთდღიან ბრძოლაში რუსების ინფორმაციით, 32 ჩეჩენი და არაბი დაიღუპა. დანარჩენებმა მოახერხეს ალყიდან გასვლა, მოკლეს 17 რუსი ფედერალი, ააფეთქეს ორი ჯავშანტრანსპორტიორი БТР-80 და ჩამოაგდეს საბრძოლო შვეულმფრენი Ми-24. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, ამ ბრძოლაში დაიჭრა რუსლან გელაევი.


ბრძოლა გალაშკისთან

რუსლან გელაევისა და აბდულ მალიკის რაზმის მორიგი განავარდება რუსეთის ტერიტორიაზე შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს საქართველოს. ეს კრემლს საუკეთესო კოზირს მისცემს, რომ უფრო ინტენსიური ბრალდებები წაუყენოს ოფიციალურ თბილისს და შეიძლება არც დაბომბვების დაწყებაზე თქვას უარი.

მეორე მხრივ, ამ ჩეჩენ-არაბული დაჯგუფებების ბედი ზამთრის დადგომამდე და უღელტეხილების თოვლით ჩაკეტვამდე უნდა გაირკვეს. პანკისის ხეობიდან მათი გაყვანა სწორი ნაბიჯი გახლდათ, რადგან რუსეთის დაზვერვამ (როგორც აგენტურულმა, ისე რადიოტექნიკურმა და საავიაციომ) საკმაოდ დიდი ხნისა და ინტენსიური მუშაობის შედეგად დაადგინა შეიარაღებული რაზმების მუდმივი ადგილსამყოფელი — პანკისის ხეობის სოფლები — წინუბანი და ხალაწანი. ეტყობა, ამ სოფლებს მართლაც არ ასცდებოდა დაბომბვა, ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაცია რომ არ დაგვეწყო.

პანკისის ხეობიდან გასული, რუსეთის საზღვარს მიახლოებული შეიარაღებული რაზმების ზუსტი ადგილსამყოფლის დადგენა (მით უმეტეს, თუკი ისინი განუწყვეტლივ მოძრაობენ) საკმაოდ შრომატევადი საქმეა და გარკვეულ დროს მოითხოვს, რის უკმარისობასაც განიცდის კრემლი.

მეორე მხრივ, საქართველოც ჩქარობს. თუკი ეს უცხო ტომის შეიარაღებული ადამიანების ჯგუფები უღელტეხილების ჩაკეტვამდე ვერ მოახერხებენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დატოვებას, საახალწლო „ნობათად“ შემოგვრჩებიან. არ არის გამორიცხული, რომ მათ გამოსაზამთრებლად კვლავ პანკისის ხეობას მიაშურონ. ეს კი სახიფათოა, რადგან უსათუოდ მოუხდებათ ხეობაში მყოფ ქართველ პოლიციელებსა და შინაგანი ჯარის დანაყოფებთან შეტაკება, ანუ ის, რაც ჯერჯერობით თავიდან ავიცილეთ და რაც ასე სურდათ კრემლში.

მათი ხელახლა შეშვება პანკისში დაუშვებელია, რადგან შედარებით გაშლილი ხეობა, რომელიც ჰაერიდან კარგად იზვერება (ვისაც ამ ხეობის თავზე გადაუფრენია, დამემოწმება), საუკეთესო სამიზნეს წარმოადგენს. როგორც კი რუსეთის დაზვერვას გაუჩნდება ცნობები შეიარაღებული ჩეჩნების ხეობაში შესაძლო დაბრუნების თაობაზე, შეიძლება იქ მართლაც მიიტანოს საჰაერო იერიში. იმის გამო, რომ რუსული ავიაცია არ გამოირჩევა დაბომბვის დიდი სიზუსტით (გარდა Су-24М ტიპის საფრონტო ბომბდამშენებისა, რომლებსაც მართვადი რაკეტებითა და ბომბებით „წერტილოვანი“ დარტყმების განხორციელება შეუძლიათ), საჰაერო დარტყმის მსხვერპლი შეიძლება ხეობის სოფლებში განლაგებული შინაგანი ჯარების საგუშაგოებიც აღმოჩნდნენ, რაც ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის ესკალაციას გამოიწვევს.

გამოსავალი, ეტყობა, მხოლოდ ერთია — როგორმე სასწრაფოდ უნდა დავატოვებინოთ საქართველოს ტერიტორია ყველა შეიარაღებულ უცხოტომელს. ჯგუფების გასვლის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ყველაზე მტკივნეული და სახიფათო, მაგრამ ამასთანავე, სასურველი — მათი რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლაა. მეორე გზა უფრო დიპლომატიური (და თითქოს დელიკატური) ჩანს — რომელიმე მესამე ქვეყანა, თუნდ ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანური სახელმწიფო იღებს იარაღაყრილ თანამემამულე არაბებს, ხოლო დარჩენილ ჩეჩნებს გზავნის ახლო აღმოსავლეთის ჩეჩნურ დიასპორებში.

თუკი ზამთრამდე ამ დაჯგუფებებმა არ დატოვეს საქართველოს ტერიტორია, მაშინ ალბათ ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი უნდა განვაიარაღოთ და მოხდეს მათი ინტეგრირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვეღარც ვაშინგტონი გვიშველის და ვეღარც ევროსაბჭო — საქართველოს მართლაც საბოლოოდ მიეკერება საერთაშორისო ტერორიზმის მხარდამჭერი ქვეყნის სახიფათო იარლიყი.

*P.S. მიუხედავად რუსეთის თავდაცვის მინისტრის ომახიანი განცხადებისა, რუსლან გელაევის რაზმს გამანადგურებელი დარტყმა მივაყენეთ ინგუშეთის სოფელ გალაშკისთანო, არ წყდება ბრძოლები ინგუშეთ-ჩეჩნეთის საზღვარზე. ამის გამო რუსულმა ავიაციამ დაბომბა ინგუშეთის სუნჯისა და ნაზრანის რაიონები იმ მოტივით, რომ იქ ჩეჩენი „ბოევიკები“ აფარებდნენ თავს. სინამდვილეში ამ ფაქტებმა საპირისპირო რეაქცია გამოიწვია — უამრავმა ინგუშმა აიღო იარაღი და გვერდში დაუდგა ჩეჩნებს. არსებობს იმის ყველა წინაპირობა, რომ ჩეჩნეთის ომის გაგრძელება ინგუშეთის მიწაზეც მოხდეს. თავად ინგუშებსაც თავიანთი ინტერესები ამოძრავებთ — მათ დღემდე ვერ მოუნელებიათ, როგორ გამოყარეს ოსებმა პრიგოროდნის რაიონიდან, რაშიც ამ უკანასკნელთ რუსი სამხედროებიც ეხმარებოდნენ. მას შემდეგ ათმა წელმა გაიარა, მაგრამ ინგუშების აზრით, სამართლიანობა არ აღდგა, ამიტომაც ისინი იტოვებენ უფლებას, ძალით წართმეული ძალითვე დაიბრუნონ.*

*ყოველივე ეს კი ძალიან ჰგავს 21-ე საუკუნის ახალი კავკასიური ომის დაწყების პირველ ეტაპს — კავკასიელი ხალხები ცდილობენ გამოვიდნენ რუსეთის ორსაუკუნოვანი ბატონობიდან.*

# ატომური ბომბი ჩეჩნებისთვის?

## რუსეთის სპეცსამსახურები არ გამორიცხავენ ამის შესაძლებლობას

ცოტა ხნის წინ რუსეთის სახელმწიფო დუმის უშიშროების საკითხთა კომიტეტმა გაავრცელა გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს — ГРУ-ს ანალიტიკური ცენტრის მოხსენება, სადაც, სადაზვერვო მონაცემებზე დაყრდნობით, ლაპარაკია იმაზე, რომ ზოგიერთი ჩეჩენი საველე მეთაური ცდილობს ძვირად ღირებული რადიოაქტიური ნივთიერებების შეძენას.

ГРУ-ს მოხსენების თანახმად, ყველაზე მეტად ამ საქმეში ყოფილი საველე მეთაურის ხატაბის თანამებრძოლები აქტიურობენ. თავად ხატაბი რამდენიმე თვის წინ მოკლეს რუსებმა სპეცოპერაციის დროს — გაუგზავნეს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი წერილი, რომელიც სპეციალური ძლიერმოქმედი შხამით იყო გაჟღენთილი. წერილის წაკითხვის შემდეგ ხატაბი მალევე მოკვდა — მან ან შხამის ორთქლი შეისუნთქა, ანდა ხელიდან შეეჭრა ორგანიზმში. ასეა თუ ისე, რუსეთის სპეცსამსახურებმა ერთ-ერთი პირველი მტერი — ხატაბი — თავიდან მოიცილეს, რასაც დიდ გამარჯვებად თვლიან. თუმცა იმაზე კრინტს არ ძრავენ, რომ ხატაბის გარდა იმ შხამიანმა წერილმა რამდენიმე რუსი სპეცაგენტიც შეიწირა. როგორც ამბობენ, ГРУ-ს ქიმიკოსებმა ვერ განსაზღვრეს შხამის ზუსტი მოცულობა, რის გამოც მოიწამლნენ წერილისა და კონვერტის მომმზადებლებიც.

ასეა თუ ისე, ხატაბის თანამებრძოლებს თურმე შურისძიება სწყურიათ და გულზე ხელდაკრეფილნი არ სხედან. ისინი დაუკავშირდნენ მოსკოვში ჩეჩნურ დიასპორას და მისი საშუალებით — ყაზახეთის კორპორაცია „ყაზახმისს“. ამ დაწესებულების მეტად უვნებელი სახელის მიღმა ფრიად საშიში საქმიანობა მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, სად უმიზნებდნენ ჩეჩენი ემისრები.

„ყაზახმისი“ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული მოიპოვებს და გადაამუშავებს რადიოაქტიურ ნივთიერებებს, რომლებსაც ფართოდ იყენებდნენ ატომური და ბირთვული იარაღის დასამზადებლად. ამჯერად ხატაბის „მემკვიდრეებს“ კონკრეტული ნივთიერება — ოსმიუმ-187 აინტერესებდათ. საგულისხმოა, რომ მსოფლიოში იგი წელიწადში მხოლოდ 60 კგ მზადდება და 1 გ-ის ფასი 50-60 ათასი დოლარია. და, რაც მთავარია, ოსმიუმის იზოტოპები ერთგვარ კატალიზატორს წარმოადგენს და აჩქარებს ნეიტრონების „გამრავლებას“. ეს საშუალებას იძლევა, უზარმაზარი, რამდენიმეტონიანი, პირველი თაობის ატომური ბომბებისგან განსხვავებით, დამზადდეს მინიატურული ატომური ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც თავისუფლად მოთავსდება ზურგჩანთაშიც კი.

ძნელი დასაჯერებელია, რომ დღეს ჩეჩნეთის მთებში, გამოქვაბულებში თავშეფარებულ და სანთლის შუქის შემყურე ჩეჩენ მებრძოლებს ატომური ბომბის დასამზადებლად ეცალოთ, მაგრამ რუსი სამხედრო ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ყაზახური ოსმიუმ-187-ის რამდენიმე გრამი იქაური მძლავრი ჩეჩნური დიასპორის დახმარებით ჯერ მოსკოვში გაიგზავნებოდა, შემდეგ ჩეჩნეთში, იქიდან კი საქართველოში გადმოიტანდნენ და ბოლოს, რომელიმე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნის გზას გაუყენებდნენ.

სტატიის ავტორის აზრით, შესაძლებელია, ყველაფერი ეს მორიგი დიდი რუსული დეზინფორმაცია გახლდეთ, თუმცა სულაც არ არის გამორიცხული, რომ ახლო აღმოსავლეთის რომელიმე მუსლიმანური ქვეყანა მართლაც ცდილობდეს რადიოაქტიური ნივთიერებების მოპოვებას მომავალში ატომური ბომბის შესაქმნელად.

როგორც საერთაშორისო მდგომარეობა გვიჩვენებს, გვინდა თუ არა, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ქრისტიანული და მუსლიმანური მიმდინარეობები ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდნენ. თუკი ამერიკა მართლაც დაარტყამს ერაყს, ეს მნიშვნელოვნად დააჩქარებს ე.წ. ახალი საღვთო ომის დაწყებას. ნავთობის მსოფლიო მარაგის უდიდესი ნაწილი ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანური ქვეყნების ხელშია, მის გაკონტროლებასაც ცდილობს ერთადერთი ზესახელმწიფო — აშშ, რისთვისაც იგი ისლამისტებისთვის უპირველეს მტერს წარმოადგენს. ფუნდამენტალისტი ისლამისტები ხვდებიან, რომ ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებით ამერიკას და მის მომხრე ევროპას ვერასოდეს დაამარცხებენ, ამიტომაც ძალიან უნდათ მასობრივი განადგურების იარაღის — კერძოდ, ატომური ბომბების ყიდვა ან შექმნა. საამისოდ ფული ბლომად აქვთ. სჭირდებათ რადიოაქტიური მასალები და რაც მთავარია, საჭირო ტექნოლოგიები.

მსოფლიოს ბირთვული სახელმწიფოებიდან მხოლოდ ერთადერთია მუსლიმანური — პაკისტანი, თუმცა მის ბირთვულ პროგრამაზე აშშ-ის სპეცსამსახურებს განსაკუთრებული ყურადღება აქვთ გამახვილებული, რათა არ დაუშვან მათი ექსპორტი ირანსა თუ ერაყში.

თავის მხრივ, ბინ ლადენი და სხვა საერთაშორისო ტერორისტები დღედაღამ ოცნებობენ მინიატურული ატომური ბომბით აღჭურვილი კამიკაძე-ტერორისტის (რამდენი ფანატიკოსი მუსლიმანი ინატრებდა ამ ადგილზე ყოფნას!) შუა ნიუ-იორკში თუ ვაშინგტონში შეშვებაზე. ღმერთმა ნუ ქნას, ეს მოხდეს, თორემ 11 სექტემბერი მონაგონარი იქნება — მსხვილ ქალაქში აფეთქებული თუნდაც სულ 1-5 კილოტონა ტროტილის ეკვივალენტის ატომური აფეთქება ათიათასობით ადამიანს გაანადგურებს.

საერთაშორისო ტერორისტები, რომლებსაც პაკისტანის იმედი გადაეწურათ, თავად ცდილობენ იპოვონ გზები რადიოაქტიური ნივთიერებების ხელში ჩასაგდებად. ყოფილ საბჭოთა შუა აზიაში, კერძოდ კი ყაზახეთსა და ტაჯიკეთში, ათწლეულების განმავლობაში მოიპოვებდნენ და ამუშავდებდნენ იმ რადიოაქტიურ ნივთიერებებს — ურანი-235-სა და პლუტონი-239-ს (მას სხვანაირად საიარაღო პლუტონსაც უწოდებენ), რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა საბჭოთა ატომური და ბირთვული იარაღის დასამზადებლად.

ამიტომაც შუა აზიის ქვეყნებისადმი განსაკუთრებული ყურადღება აქვთ მიპყრობილი საერთაშორისო ტერორიზმის „მამებს“ და ძალიან ცუდი იქნებოდა, ამ საჩოთირო საქმეში საქართველოც რომ გარეულიყო, როგორც რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო სატრანზიტო გზის მიმცემი, მით უმეტეს, რომ ამის მაგალითები ახლო წარსულში უკვე გვქონდა.

# რუსული არტილერია საქართველოს საზღვარს მოადგა


2С3 Акация

**რუსული Акация-ები და Град-ები ქართულ საზღვარს მოუახლოვდნენ. მათი სროლის არეალში შატილიც ხვდება.**


БМ21 Град

ითუმ-ყალესთან, რომელიც შატილს ესაზღვრება, რუს ფედერალებს გრანდიოზული სამხედრო-საველე ბანაკი აქვთ გაშლილი. იქ მხოლოდ რუსი მესაზღვრეები იყვნენ. ცოტა ხნის წინ მათ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ნაწილებიც, მათ შორის შორსმსროლელი არტილერიაც დაემატათ.

საერთოდ, არტილერიის და ისიც მსხვილკალიბრიანი და თანაც შორსმსროლელის გამოჩენა თავისი საზღვრის ახლოს, ბუნებრივია, ყველა ქვეყანას აალელვებს.

არტილერია ავიაცია არ არის და არ არის დამოკიდებული ამინდზე, უფრო იაფია და გარკვეულწილად ეფექტურიც. ამიტომაც, როდესაც რუსულ სატელევიზიო გადაცემებში მსხვილი პლანით მოჩანს კაპონირებში „ჩამჯდარი" რუსული საარტილერიო სისტემები, რომელთა ლულები საქართველოს საზღვრისპირა რაიონებს შეჰყურებს, ამან არ შეიძლება არ აგაფორიაქოთ.

ჩვენი ინფორმაციით, ითუმ-ყალეს რაიონში, საქართველოს საზღვრიდან სულ რაღაც 5-7 კმ-ის დაშორებით, პოზიციებზე გადასროლილია თვითმავალი ჰაუბიცები Акация და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები Град-ები.

**ჩვენი დოსიე: 152 მმ კალიბრის თვითმავალი ჰაუბიცები** Акация **27,5 ტ-ს იწონის და მისი გათვლა 6 კაცს შეადგენს. იგი 44 კგ მასის მსხვრევად-ფუგასურ ჭურვს მაქსიმალურ — 17,3 კმ სიშორეზე ისვრის. სწრაფსროლა წუთში 3 გასროლას აღწევს. თვითმავალ ჰაუბიცაში 40-46 ჭურვია მოთავსებული.**

**ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა** БМ-21Град**-ი განკუთვნილია მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და არა შეჯავშნული ტექნიკის გასანადგურებლად უახლოეს ტაქტიკურ სიღრმეში. 13,7 ტ-იან საბრძოლო მანქანას 6-კაციანი გათვლა ემსახურება. მას ერთდროულად, 20 წმ-ის განმავლობაში 40-ივე რაკეტის გასროლა შეუძლია, სროლის მაქსიმალური სიშორე 20 კმ-ზე მეტია. თითოეული რაკეტა 67 კგ-ს იწონის და გააჩნია მსხვრევად-ფუგასური ან ცეცხლგამჩენი ქობინი.**

ეს საარტილერიო სისტემები მხოლოდ ახლა როდი დაემუქრა ჩვენს სამშობლოს. აფხაზეთის ომში სეპარატისტები უკვე იყენებდნენ ამ დანადგარებს, რომლებიც მათ რუსმა სამხედროებმა გადასცეს.

ჩვენი ინფორმაციით, ეს ტექნიკა შეიძლება 50-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკის შეიარაღებიდან იყოს, რომელიც ჩეჩნეთში, შალიში დგას და შედის 42-ე მოტომსროლელ დივიზიაში (ხანკალა).

თუკი ითუმ-ყალესთან გადასროლილი რუსული საარტილერიო სისტემები ამოქმედდნენ, ეს უკვე უფრო სერიოზულ რამეს ნიშნავს და ვერ გამართლდება ვერანაირი ტერორისტების განადგურების მოტივით.

# რა უნდა იცოდეს ჩვეულებრივმა მოქალაქემ

***საავიაციო თავდასხმის რუსული საშუალებები დიდი სიზუსტით არ გამოირჩევიან, თუმცა განსაკუთრებული დამანგრეველი ძალა გააჩნიათ***

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა „საზეიმოდ" განაცხადა, ჩვენს ავიაციას ბრძანების მიღებიდან 10 წამში შეუძლია ბომბებითა და რაკეტებით გაანადგუროს საქართველოს ყველა ის რაიონი, სადაც ჩეჩენი „ბოევიკები" იმალებიანო.

უეჭველია, სისხლმოწყურებულ რუსულ გენერალიტეტს ხელს არაფერი შეუშლის, ეს ბრძანება თვალის დახამხამებაში შეასრულოს. ერთ-ერთი სცენარით, დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიას შეიძლება თავს დაესხან მარინოვკაში, მოზდოკში, როსტოვსა და პრივოლჟსკიში მდგარი საავიაციო პოლკები, რომელთაც ჰყავთ Су-24М ტიპის საფრონტო ბომბდამშენები და Су-25 ტიპის მოიერიშეები. ხანკალის აეროდრომიდან საქართველოს საზღვრისპირა რაიონში Ми-24 საბრძოლო და Ми-8МТ სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენების შემოტევას უნდა ველოდოთ, ხოლო შაიკოვკისა და ენგელსის ბაზებიდან — შორეული მოქმედების ავიაციის Ту-22М3 ბომბდამშენებსა და თვით Ту-160 სტრატეგიულ ბომბდამშენებსაც კი.

რითი დაბომბავენ რუსი პილოტები ქართულ მიწას და რითი შეიძლება დაიცვას თავი მოსახლეობამ?

კრემლი, ცხადია, ტრადიციულ მეთოდს მიმართავს, ანუ იმას, რასაც იყენებდა ავღანეთის ინტერვენციის დროს და რასაც დღეს სჩადის ჩეჩნეთში.

თავდასხმის საშუალებები იქნება კომბინირებული — უმართავი საავიაციო ბომბები და რაკეტები, შიგადაშიგ, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების გასანადგურებლად, რუსმა მფრინავებმა შეიძლება მართვადი რაკეტები და ბომბებიც კი გამოიყენონ.

უმართავი იარაღიდან ალბათ შედარებით ყველაზე გავრცელებულ და იაფ ბომბებს — ფუგასურ ФАБ-250-ებს „გაიმეტებენ" ჩვენთვის. ამ 224 კგ-იან საავიაციო ბომბში 100 კგ ასაფეთქებელი ნივთიერებაა მოთავსებული. მისი აფეთქებით წარმოშობილი საჰაერო დარტყმა და ნამსხვრევები ჩვეულებრივ სამოქალაქო ტექნიკას 100 მ-ის რადიუსში აზიანებს, ხოლო მსუბუქად შეჯავშნულს კი 33 მ-ის რადიუსში. ადვილი წარმოსადგენია, რას უზამს იგი ამ ფარგლებში მოხვედრილ ადამიანებს.

უფრო დიდი დამანგრეველი ძალისაა 500 კგ-იანი ფუგასური ФАБ-500М-62. მასში 213 კგ ტროტილია მოთავსებული და მისი აფეთქების რადიუსი 140 მ-ია.


**ეს სწორედ ის ბომბები და რაკეტებია, რომლებითაც შეიძლება რუსული შვეულმფრენები დაგვემუქრონ**

რუსული სამხედრო ავიაციის არსენალშია ფუგასურ-ცეცხლგამჩენი ФЗАБ-500-ებიც. აფეთქების შედეგად არანაკლებ 100 ცეცხლის კერა წარმოიქმნება, ხოლო თავად აფეთქების ძალა 20 სმ სისქის რკინაბეტონის პანელს ანგრევს.

მოცულობით-დეტონირებად, იმავე ვაკუუმურ ОДАБ-500-ზე ხშირად გვილაპარაკია — რუსულმა თვითმფრინავებმა ისინი არაერთხელ დაგვაყარეს თავზე. ამ ბომბში, რომელიც თავისი დამანგრეველი ძალით მასობრივი განადგურების იარაღის კლასს უახლოვდება, მოთავსებულია ქიმიური ნაერთი ტეტრანიტი და აფეთქებისას 1.7 კვკმ-ზე ყველა ცოცხალ არსებას ანადგურებს. აფეთქების არეალში ხდება წნევათა დიდი ცვალებადობა, რის შედეგადაც ადამიანებს უსკდებათ ყურის აპკები, შიგნეულობა, თვალის გუგები და ა.შ.

საჰაერო თავდასხმის საშუალებად შეიძლება გამოყენებული იქნეს მსხვრევად-ფუგასური (ОФАБ-250, ОФАБ-500) ცეცხლგამჩენი (ЗАБ-250) და სხვა ტიპის ავიაბომბებიც, აგრეთვე ერთჯერადი საბომბე კასეტები, მაგალითად, РБК-500, რომელშიც ათობით მცირე ზომის ბომბია მოთავსებული და შესაბამისად უფრო ფართო არეალს აზიანებს.

ბომბებს უცილობლად რაკეტებიც მოჰყვება, ძირითადად უმართავი, С-8 ტიპისა, რომელთა სროლა შეუძლიათ როგორც ბომბდამშენებსა და მოიერიშეებს, ისე შვეულმფრენებს. მაგალითად, Су-25 მოიერიშეს 160 ასეთი რაკეტის წაღება და ათიოდე წამში გაშვება შეუძლია. მართალია, ეს რაკეტები არ გამოირჩევიან სროლის დიდი სიზუსტით, მაგრამ მეტად მარჯვედ აზიანებენ სამიზნეებს დიდ ფართზე.

მართვადი იარაღის სახეობებიდან რუსული სამხედრო ავიაცია უმთავრესად შეიძლება კორექტირებადი ბომბებით КАБ-500-ებითა და „ჰაერი-მიწა" კლასის მართვადი რაკეტებით Х-25, С-25ЛД, Х-29, Х-59-ებით დაგვემუქროს. თუკი რუსები ამერიკელების გამოცდილებას გამოიყენებენ, რომლებიც ერაყში შეჭრის წინ გეგმაზომიერად ანადგურებენ რადიოლოკაციურ სადგურებს, მაშინ ჩვენი მოქმედი რადიოლოკატორების მიმართულებით „ჰაერი-რადიოლოკაციური სადგური" კლასის რაკეტების „სტუმრობაც" არ უნდა გამოვრიცხოთ.


**მართვადი რაკეტა С-25ЛД ლაზერის სხივს მისდევს და მიზანს 8 მ-ზე მეტად არ სცდება. მისი საბრძოლო ქობინი 155 კგ-ს იწონის.**

ამ სტატიის მიზანი სულაც არ არის ჩვენი ისედაც დაშინებული მოსახლეობის უფრო დაფრთხობა, გვინდა, დაახლოებით მაინც გავაცნოთ მათ, რა ახალი „საჩუქარი" შეიძლება კვლავ გამოგვიგზავნოს ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა, ხოლო ჩვეულებრივმა მოქალაქემ თეორიულად მაინც უნდა იცოდეს, როგორ მოიქცეს საჰაერო თავდასხმის დაწყებისას.

ასეთ დროს და განსაკუთრებით, ტყეში თუ ხევში გასული მონადირე, მეტყევე თუ ტურისტი სასწრაფოდ უნდა მოშორდეს ჰაერიდან კარგად გასარჩევ სამიზნეს — ცალკე მდგარ სახლს, ავტომობილს. მით უმეტეს, თუკი ეს ავტომობილი სამხედრო ტიპისაა, რადგან რუსი პილოტები სწორედ ამგვარ სამიზნეებზე ნადირობენ (რაც 23 აგვისტოს დაბომბვამაც დაადასტურა). დაბომბვაში მოყოლილმა ადამიანმა სასწრაფოდ უნდა გაიხადოს კონტრასტული ფერის — წითელი, ყვითელი — ტანსაცმელი, რათა ტყის თუ ხევის ფონზე ძალზე შესამჩნევი არ იყოს. ჩააქროს კოცონი და გამორთოს ხელოვნური განათება. ამასთან, საჭიროა ელემენტარული თავშესაფრის მოძებნა, რომელიც სხეულს და განსაკუთრებით თავს დაფარავს. საავიაციო ბომბის აფეთქებისას წარმოქმნილი ნამსხვრევების დიდი ნაწილი გარკვეული კუთხით ვრცელდება და სანგარში შეფარებულ ადამიანს გადარჩენის შანსი აქვს. თუკი ბომბი რადიოამფეთქითაა აღჭურვილი და აფეთქება მიწაზე დაუცემლად, ჰაერში ხდება, მაშინ წარმოქმნილი ნამსხვრევების დიდი ნაწილი და აფეთქების ტალღა უფრო მეტ ფართობს ფარავს.

მოცულობით-აფეთქებადი ბომბებისგან, სამწუხაროდ, ვერც სარდაფი დაგიფარავთ, რადგან აეროზოლური ასაფეთქებელი ნივთიერება ყველა ნაპრალში აღწევს. ცეცხლგამჩენ ბომბებსა და ბაკებში მოთავსებულია თერმიტული ქიმიური შენაერთი, რომელიც აფეთქებისას იფანტება და დიდი ტემპერატურის გამოყოფით იწვის. ადამიანის სხეულზე მოხვედრისას მისი მოშორება თუ ჩაქრობა ძალზე ძნელია. ამერიკელები ვიეტნამში ფართოდ იყენებენ ამ იარაღის ერთ-ერთ სახეობას — ნაპალმით სავსე ბომბებს.

თუკი ღამით რეაქტიული თვითმფრინავი აგუგუნდა და არემარე წამიერად გაკაშკაშდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგემ ჩამოაგდო ფოტოგამანათებელი ბომბი ФОТАБ-100. მას მზვერავი თვითმფრინავები იყენებენ, რათა სულ რაღაც 0,15 წამით განათებულ მიწაზე საჭირო ფოტოსურათი გადაიღონ.

ბევრი რუსული ბომბი აღჭურვილია პარაშუტით, რომელმაც უნდა შეანელოს მისი დაშვების სიჩქარე, რათა დაბალ სიმაღლეზე მფრენმა მოიერიშემ მოასწროს აფეთქების ადგილიდან გაცლა. ეს გარკვეულწილად მიწაზე მყოფთაც უტოვებს რამდენიმე წამს თავის გადასარჩენად... სამწუხაროდ, უცოდინარობას უფრო მეტი მსხვერპლი მოჰყვება ხოლმე. აფხაზეთის ომის დროს გუდაუთიდან აფრენილმა რუსულმა Су-25-ებმა სოხუმს პარაშუტიანი ბომბები დააყარეს. იმის მაგივრად, რომ სასწრაფოდ თავშესაფარი ეპოვათ, ჩვენი მეომრები ბომბების დაშვების ადგილისკენ ავტომატმომარჯვებულები გარბოდნენ — რუსი პარაშუტისტების ჰაერშივე დახოცვა უნდოდათ(?!).

ვიმედოვნებთ, ის, რაც მოგიყევით, არასოდეს მოხდება ჩვენთან; თუმცა არავის გვაწყენს იმის ცოდნა, თუ როგორ ვუშველოთ თავს საჰაერო დაბომბვის დროს.

*P.S. ვორონეჟთან, სამხედრო პოლიგონზე საფრენოსნო-ტაქტიკური სწავლება დაიწყო რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების 105-ე საავიაციო დივიზიამ. ზუსტ დაბომბვებსა და სარაკეტო დარტყმებში ვარჯიშობს ამ დივიზიის 40-მდე საბრძოლო თვითმფრინავი (Су-24М და Су-25) და პილოტები. არ არის გამორიცხული, ეს მზადება ჩვენში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდებოდეს.*

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# გრიცკოს „ფერადი“ ოცნება

***გ**რიცკო სამსონოვს საქართველოში ჩამოსვლამდე კიდევ რამდენიმე გვარი და სახელი ჰქონდა გამოცვლილი, მაგრამ რაკი აქ, ჩვენთან, ამ გვარსახელით გაასამართლეს, ჩვენც ასე მოვიხსენიოთ, რადგან მისი ნამდვილი ვინაობის დამდგენები მანამდეც ამაოდ დაშვრნენ. ნურც ჩვენ დავკარგავთ დროს და პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.*

გარეგნულად გრიცკო ერთი უბირი კაცი გახლდათ. საშუალო ტანის — არც მაღალი, არც დაბალი, მოკლედ შეკრეჭილი ქერა თმით, ცისფერი თვალებითა და აპრეხილი ცხვირით ტიპური რუსის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ალბათ ასეც იყო. თუმცა სინამდვილეში მისი წარმომავლობა უცნობი გახლდათ. ქუთაისის ავტოქარხანაში ზეინკლად მუშაობდა და საერთო საცხოვრებელში ათევდა ღამეს. თავისი საქმის ნამდვილი ჯადოქარი იყო და მისი ფოტო არასდროს ჩამოდიოდა საამქროს მოწინავეთა დაფიდან, რაზეც მუდმივად პროტესტს გამოთქვამდა. ასე სჩვევიათ კრიმინალებს. აბა, რომელ ქურდს აძლევს ხელს საკუთარი თავის სახალხოდ აფიშირება. არც გრიცკო იყო გამონაკლისი და რაკი იმხანად სხვა არაფერი იყო მოსაპარავი, თავისივე სურათს იპარავდა ხოლმე. ორი დღის შემდეგ ვიღაც უხილავი კვლავაც ძველ ადგილზე აბრუნებდა ახალ ფოტოს და გრიცკოც დაუზარებლად უგზავნიდა ჩრდილოურ მოკითხვას უცნობი „კეთილისმყოფლის“ დედ-მამის სულს.

ერთი აკვიატებული ოცნება ჰქონდა გრიცკოს: ბანკი ან ლომბარდი გაექურდა, წაეღო დიდი, ძალიან დიდი სიმდიდრე და მერე სადღაც, რუსეთის რომელიმე მიყრუებულ ხუტორში, თბილ ღუმელზე წამოწოლილს გაეტარებინა მთელი სიცოცხლე. მაგრამ აქამდე რატომღაც სულ წვრილმან ქურდობებზე ასამართლებდნენ. არადა სასჯელი ერთნაირი იყო — გინდ ვირი მოგეპარა, გინდაც ჩოჩორი. ბოლო პატიმრობისას დაიფიცა — თუ კიდევ დამიჭერენ, მხოლოდ დიდი საქმისთვისო და ახლა, აქ, ქუთაისში აპირებდა ამ ჩანაფიქრის განხორციელებას. ადრე თუ მარტოდმარტო, ასისტენტების გარეშე ქურდობდა, ახლა გრძნობდა, ამ საქმეს დამხმარის გარეშე ვერ გაქაჩავდა და იქვე, საერთო საცხოვრებლის მასავით სლავური წარმომავლობის ბინადარს, კოსტია კოსტენკოს დაუკავშირდა, რომლის კრიმინალური წარსული არაფრით ჩამოუვარდებოდა გრიცკოსას და გარიგებაც შედგა: — ბანკი ან ლომბარდი. ნაკლებზე დაწვა არ ღირს. თუ ქეიფია, ქეიფი იყოს, ჭიქა არყისთვის თავის გაწირვას აღარ ვაპირებ, — უთხრა კოსტიას გრიცკომ და მეორე დღესვე საქმეს შეუდგნენ. ორი კვირა შიგნიდან ზვერავდნენ ბანკს. ხან ერთი შედიოდა საქმიანი კაცის იერით, ხან მეორე. ორივე ერთად არავის უნახავს. ის კი არა, საერთო საცხოვრებელშიც ერიდებოდნენ სახალხოდ ერთმანეთთან ურთიერთობას. ბანკის შინასამზარეულო კი შეისწავლეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შენობაში ვერ შეაღწევდნენ. როგორ არ იმტვრიეს თავი, რა გეგმები და ნახაზები არ გააკეთეს. ბანკის უკან, ვეებერთელა ნაძვის ხეზეც კი აცოცდნენ ერთ ღამეს, იქნებ აქედან სახურავზე გადავძვრეთო, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

— გრიგორი სემიონოვიჩ, ერთი თვე გავიდა, რაც ამ საქმეს ვეჩალიჩებით. იქნებ თავი დავანებოთ ამ იდეას, სხვა რამეზე ვიფიქროთ, — საყვედურნარევი კილოთი აუწყა თავისი მოსაზრება კოსტია კოსტენკომ გრიცკოს.

— არა, ძმაო, არ გამოვა. მთელი სიცოცხლე საპატიმრო ლაგერებში გავატარე და ეს იმედი მასულდგმულებდა. ახლა ამაზე უარის თქმა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება ჩემთვის. ერთი თვე კი არა, ხუთი წელი რომ დამჭირდეს, ამიერიდან თვალდახუჭული აღარ წავალ საქმეზე. ისიც დაიმახსოვრე, საქმის შესრულება მხოლოდ ტექნიკური მანიპულაციაა. მთავარია, მისი წინასწარ შესწავლა და ყველაფრის ზუსტად გათვლა. აი, მაშინ შეიძლება ოპერაციის წარმატებაზე ლაპარაკი, სხვა შემთხვევაში მეტისმეტად დიდია სახრჩობელას რისკი.

— კარგი, გრიგორი სემიონოვიჩ, პირობას ვდებ, აღარ დავიწუწუნებ, მაგრამ არაფერი რომ არ გამოდის.

— გინდა თქვა, რომ ბანკში არაფერი გამოვა, მაგრამ ქუთაისში ლომბარდიც ხომ არის. ახლა მის შესწავლას შევუდგებით.

— აუ, ეგ რა თქვით, გრიგორი სემიონოვიჩ. აქაური ლომბარდი ქალაქის ცენტრში ისეთ ადგილზეა, ირგვლივ იმდენი ხალხი ირევა, უეჭველად გავიშიფრებით. აჯობებს, სხვა რამე მოვიფიქროთ.

— არ გაგიგია, თევზის დაჭერა რომ მღვრიე წყალში უფრო იოლია. ბევრ ხალხში უფრო ნაკლებად შეგვამჩნევენ. შენ მგონი ძველი საათი გიდგას ოთახში. მომიტანე, ხვალ ამ ნივთით მივადგები ლომბარდს.

— კი, მაგრამ ის ხომ ჩემი ხელით აწყობილი ჯართია, ლომბარდში ასეთი რამ ვის აინტერესებს?

— მე ერთი გაუნათლებელი, ხეპრე კაცი ვარ. ჩემი ბაბუის დანატოვარი საათია და ანტიკვარს ჰგავს. ამ სიბერეში დაოჯახებას ვაპირებ, მარტო საათი ხომ არ ეყოფა ოჯახს...

— აი, ეს მესმის, გრიგორი სემიონოვიჩ. მიიღეთ ჩემგან „ძვირფასი ძღვენი“ და ბედნიერებაც მისურვებია ამ „საქორწინო“ მოგზაურობაში, სადაც იმედია, ხელისმომკიდეობა არ ამცდება.

მეორე დღეს გრიცკო „ბაბუის დანატოვარი“ საათით დიდხანს იდგა ლომბარდის რიგში და იქაურობის თვალთვალით ისე იყო გართული, არც გაუგია, როგორ აღმოჩნდა სარკმელთან.

სარკმლის იქით მჯდომ კაცს, საულვაშეზე რომ უშველებელი მეჭეჭი ჰქონდა, საათი გაუწოდა და ახლა ოთახის დათვალიერებას შეუდგა. მართალია, მეჭეჭიანმა ხელიც არ ახლო საათს — უმჯობესია, ეგ ჯართი რიონში გადააგდოო, — უთხრა, მაგრამ გრიცკო მანამდე უმტკიცებდა, ეს ოჯახური რელიკვიაა, რომანოვების უძველესი შტოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აჩუქა ჩემი პაპის პაპას პორტ-არტურის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის და უფრო ძვირფასი არაფერი მაქვსო, ვიდრე კარგად არ დარწმუნდა, რომელ მხარეს მიჰქონდათ სარკმელში ჩაბარებული ნივთები. მერე კი ნაღვლიანი სახით დაშორდა სარკმელს და ყოველი შემთხვევისათვის, სხვების გასაგონად ჩაილაპარაკა: — ეჰ, როდის გაიგებენ ნამდვილი ნივთის ფასს? ან იქნებ ღმერთს არ უნდა ჩემს საუნჯესთან გამყაროს? არა უშავს, ხვალ სხვა ნივთს მოვიტან, იქნებ ის მაინც ამოიცნონ ამ ხეპრეებმა.

ორი თვე მოანდომეს გრიცკომ და კოსტიამ ლომბარდის შესწავლას. ყველაფერი მაქსიმალური სიზუსტით გათვალეს. მხოლოდ ოპერაციის დაწყების თარიღიღა იყო დასადგენი.

— იცი, კოსტია, დღეს ქალაქში აფიშები გამოჩნდა — თვის ბოლოს ერევნის ჯაზორკესტრი იწყებს გასტროლებს საზაფხულო კინოთეატრში. დიდი ჟრიამული იქნება. ამით უნდა ვისარგებლოთ.

— თანახმა ვარ, თვის ბოლომდე დავიცადოთ, თუნდაც წელიწადი იყოს. აკი დაგპირდით, აღარ ვიწუწუნებ-მეთქი.

**ორი თვე მოანდომეს გრიცკომ და კოსტიამ ლომბარდის შესწავლას. ყველაფერი მაქსიმალური სიზუსტით გათვალეს. მხოლოდ ოპერაციის დაწყების თარიღიღა იყო დასადგენი.**

— ძალიან კარგი, ახლა ნელ-ნელა სამუშაო იარაღი შევაგროვოთ და გასტროლების დაწყებას დაველოდოთ.

## განძის საუფლოში

მეტალის საჭრელი იარაღი სანტექნიკოსებს მოჰპარა კოსტიამ, სადღაც, ბალახვანში, ავტოქარხნიდან შორს. ამის მეტი რა იყო ქარხანაში, მაგრამ ვინმეს რომ მერე აზრად მოსვლოდა, ესენი მოიპარავდნენო, საქმე გაურთულდებოდათ. ზედმეტი ეჭვი გაუჩნდებოდა გამოძიებას. ძალაყინებიც არ წაუღიათ ქარხნიდან, სადღაც სხვაგან აწაპნეს ისინიც. რკინის ხერხები მაღაზიაში იყიდეს და ახალშეღამებულზე, როცა მთელი ქუთაისი სომხურ ჯაზ-ორკესტრს მიაწყდა, როცა დიდიც და პატარაც საზაფხულო ესტრადის სალაროებთან ბილეთების რიგში ჭიდაობით იყო გართული, კოსტიამ და გრიცკომ უპრობლემოდ აზიდეს თავიანთი იარაღი და ორი დღის სასმელ-საჭმელი ლომბარდის სახურავზე.

შაბათი იყო. 1958 წლის 9 სექტემბერი. წლების მანძილზე სოციალისტური იდეოლოგიისთვის მიუღებელმა ჯაზმა ხრუშჩოვის მიერ ნაწილობრივ აშვებული მუხრუჭების წყალობით, ქუთაისამდეც მიაღწია. ცენტრალურ პარკში, სადაც კონცერტები იმართებოდა, ისეთი კაკოფონია იდგა, იფიქრებდით, გამარჯვების დღის ფეიერვერკისთვის ემზადებიანო. ვიდრე სამი საათის განმავლობაში ჯაზის ჰანგებით გაბრუებული მსმენელი ტაშისცემითა და მოწონების სტვენით გამოხატავდა თავის აღფრთოვანებას, იქვე, პარკის გვერდით მდგარ ლომბარდის სახურავქვეშ შემძვრალი, ორი წელზემოთ შიშველი მამაკაცი გამეტებით სცემდა რკინის ძალაყინებს რკინაბეტონის ჭერს და ძალიანაც სიამოვნებდათ, რომ აქაც კი, პარკის გარეთ, ბეტონის ნგრევის ხმას მუსიკის ხმა ფარავდა.

— მუსიკის არაფერი გამეგება, სემიონოვიჩ, მაგრამ ეტყობა, დღეიდან ჯაზის მოყვარული გავხდები.

— ჰო, მაგრამ ამისთვის ხვალ საღამოსაც მოგვიწევს კონცერტის მოსმენა. სხვანაირად ვერ „ჩავწვდებით“ ჯაზის საიდუმლოს, კოსტია ჩემო, — ჩაიქირქილა კმაყოფილმა გრიცკომ და ამით აგრძნობინა, ხვალ დაღამებამდე აქედან წასვლაზე არც იფიქროო. იმ ღამით, ვიდრე მუსიკის ჰანგები მიწყნარდებოდა, ლომბარდის ძირითადი საცავის მხარეს ბეტონის გადახურვა კი ჩაანგრიეს, მაგრამ ახლა არმატურაღა იყო ჩასაჭრელი. გრიცკომ არ გარისკა — ახლა აქ საჭრელი აპარატის ანთებამ შეიძლება საქმე გაართულოს. სახურავის ღრიჭოებიდან შეიძლება ნათებას მოჰკრან თვალი. ამაღამ ეს წვრილმანი მავთულები ჩავხერხოთ, დღისით კი არმატურას აპარატით გადავჭრით და სეიფებსაც მივადგებით. წყალსა და კარბიდს უნდა გავუფრთხილდეთ, ეს ახლა ჩვენი პურია, კოსტია.

უსაშველოდ ცხელოდა თუნუქის სახურავქვეშ, მაგრამ ცოტა გამოიძინეს კიდეც და გათენებისთანავე გააგრძელეს დაწყებული



საქმე. ჯერ იარაღი ჩაუშვეს ჭერის ჩანგრეული ღიობიდან, მერე თვითონაც თოკით დაეშვნენ სეიფების ოთახში და ახლა მათ ჭრას შეუდგნენ, მაგრამ ეს მეფის დროინდელი სეიფები ასე იოლად არ ნებდებოდა დაუპატიჟებელ სტუმრებს. კვირადღე იყო. იცოდნენ, წესით, შენობაში არავინ უნდა შესულიყო, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. პირველი ორი სეიფი ამაოდ გაჭრეს — იქ მხოლოდ შედარებით დიდგაბარიტიანი ნივთები ეწყო, რაც ხელს არ აძლევდათ გრიცკოს და კოსტიას. სხვა სეიფებიდან მხოლოდ ძვირად ღირებული ნივთები აკრიფეს და როცა ტომარა სანახევროდ აივსო, გრიცკომ კოსტია შეაჩერა:

— ნუ ვიღორებთ. ოქრომ თუ დაგვაბრმავა, დავიღუპებით. ნუ დაგავიწყდება, რომ ამ ტვირთით გათენებამდე ფეხით უნდა ავიდეთ სათაფლიის ტყეში. თანაც ისე, რომ არავინ შეგვნიშნოს. გრძელი გზა გვიდევს, დიდი ტვირთით გაგვიჭირდება.

კოსტიას ხმა არ ამოუღია. კი ენანებოდა ამდენი სიმდიდრის დატოვება, მაგრამ სიტყვა ჰქონდა მიცემული, ჩემგან წუწუნს ვეღარ გაიგონებო და გრიცკოს აღარ შეჰკამათებია. სულმა მაინც წასძლია და მისგან შეუმჩნევლად ალექსანდრე I-ის დროინდელი ოქროს მონეტებით აივსო ჯიბეები.

ზუსტად ოცდაოთხი სათის შემდეგ, როცა ჯაზის ხმამაღალმა ჰანგებმა კვლავ დაფარა პარკი და მისი შემოგარენი, გრიცკო და კოსტია სახურავიდან დაშვების სამზადისს შეუდგნენ. პირველი კოსტია დაეშვა. მერე გრიცკომ ტომარა ჩაუშვა, მაგრამ ქსოვილი წყლის ჟალუზს წამოედო და გრიცკო რომ ფრთხილად არ ყოფილიყო, თავისივე სიმძიმის გამო გაიხეოდა, მერე კი... გრიცკოს ამის წარმოდგენაც ზარავდა. თოკს ისევ თავისკენ დაქაჩა, მაგრამ ტომარა თითქოს მისწებებოდა ჟალუზს. როგორ არ იწვალა, მაგრამ რომ ვერაფერი მოახერხა, თოკი დაამაგრა და მეორე ბოლოთი თვითონ დაეშვა მის გასათავისუფლებლად. ის იყო, სასურველ ადგილს მიაღწია, რომ დაბლიდან ლამპიონის მკრთალ შუქზე შეფარვით მდგარმა კოსტიამ ანიშნა, გაიყინეო და გრიცკოც ქანდაკებასავით აეკრა კედელს. განგაშის მიზეზი შეყვარებული წყვილი იყო, რომელთაც ჯაზზე მეტად ერთმანეთის ალერსი მონატრებოდათ და ლომბარდის კედელს მოფარებულები ისე გაშმაგებით ეხვეოდნენ ერთმანეთს, კოსტიას წამით დაავიწყდა კიდეც თოკზე ჩამოკიდებული თავისი მეგობარი, რომელსაც სული კბილით ეჭირა. ისღა მოიფიქრა, რომ გაზონიდან ფესვებიანად ამოთხარა მოზრდილი ყვავილი და შეყვარებულებისკენ ისროლა. კოსტია კმაყოფილი იყო თავისი მოხერხებით, აბა, აგურს ხომ არ ვესროდიო, ამბობდა უკვე სამშვიდობოს გასული. თუმცა იმათთვის სულ ერთი იყო, არც გაუგიათ რა ესროლეს, — წამსვე გასცილდნენ იქაურობას. სულშეგუბებულმა გრიცკომაც შვებით ამოისუნთქა და ტომარა გაათავისუფლა.

თენდებოდა, სათაფლიის ტყეში რომ შევიდნენ. გზაში ისე მოქანცულიყვნენ, უკან დაბრუნების თავი არც ერთს აღარ ჰქონდა. მთელი დღე ტყეში იძინეს, განძი დააბინავეს და დაღამებულზე დატოვეს იქაურობა.

## ნაადრევი სიხარულის დასასრული

თითქოს ყველაფერი იუველირული სიზუსტით გაკეთდა. იოტისოდენა შეცდომაც არ დაუშვიათ კომპანიონებს. ხელის ანაბეჭდებიც არ დაუტოვებიათ ძალაყინებსა და სეიფებზე. და მაინც ერთი ტექნიკური იალლიში მაინც გაეპარათ — „ნაბეღლავის“ ბოთლები, რომლებიდანაც წყალს სვამდნენ. ოპერაციის დამთავრების შემდეგ შეაგროვეს და ისე დაამსხვრიეს, რომ იქიდან თითის ანაბეჭდების ამოღება შეუძლებელი ყოფილიყო. ეგონათ, ყველა ბოთლი გავანადგურეთო, მაგრამ სახურავის ქვეშ ერთი ბოთლი მაინც დარჩენოდათ. თუმცა მაძებრებს ეს დეტალი დასაწყისში არაფერში გამოსდგომიათ.

ძებნის ერთი მიმართულება სრულიად სამართლიანად „შავ ბაზარზე“ გადიოდა. საბჭოთა კავშირის მილიციის ყველა სამსახური და მისი დამხმარე ძალები, ანუ აგენტურა შავ ბაზრებს მოედვნენ. პარალელურად მუშაობდნენ სხვადასხვა ვერსიაზეც.

მეათე დღეს ზუგდიდიდან დარეკეს — ორი ცალი ოქროს უნიკალური ჯიბის საათი გაყიდა ვიღაც სამსონოვმა აქაურ ბაზარში. ლომბარდიდან 550 ცალი ასეთი საათი იყო წაღებული. სამსონოვი ქუთაისში ჩამოიყვანეს, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — ეს საათები მე სხვისგან ვიყიდე. ამ ორიოდე დღის წინ ფული დამჭირდა და ამიტომაც ვყიდდიო. „ნაბეღლავის“ ბოთლიდან აღებული თითის ანაბეჭდები სამსონოვისა ნამდვილად არ იყო. ათი დღის მანძილზე რა ხერხს აღარ მიმართეს მილიციის მუშაკებმა, — არც ცემა დაუკლიათ ჯიუტი მძარცველისთვის და არც თავდაღმა ფეხებით დაკიდება. მაინც არ გატყდა გრიცკო. ძიება ჩიხში შევიდა.

მეთერთმეტე დღეც დადგა. შუაღამე გადასული იყო. მაშინ ამ დროს ღია მაღაზიას ან რესტორანს სად ნახავდით? რკინიგზის სადგურების ბუფეტები მუშაობდა მხოლოდ. მილიციის მუშაკები შიმშილმა შეაწუხა. სადგურის ბუფეტიდან ერთი ბოთლი არაყი, ძეხვი და შავი პური წამოიღეს და სამსონოვსაც შეეპატიჟნენ, იქნებ სასმელმა აალაპარაკოსო. იცოდნენ, ისიც მშიერი იყო.

გრიცკომ პურს ქერქი წაატეხა. მერე დაყნოსა და ღრმად შეისუნთქა. არყის ჭიქა თითებით დაატრიალა, ბაგეც არ დაუკარებია, ეტყობა, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ წნეხს ვეღარ გაუძლო, ოპერმუშაკებს შეხედა და მორჩილად ჩაილაპარაკა:

— ეტყობა, ღმერთი თქვენკენაა. ფურცელი მომეცით. ყველაფერს დავწერ.

ირიჟრაჟა, სათაფლიის ტყეს რომ მიადგნენ გრიცკო და პოლიციელები. გრიცკოს ნიშნები დაედო ხეებისათვის, განძის სამალავი რომ არ დაჰკარგვოდა და ამიტომაც ადვილად მიაღწია კლდის ღრმულთან, რომელშიც ჩაშვება შესთავაზა გამცილებლებს. იქ კი დიდი ქვის ქვეშ დამარხული განძის ტომარა ამოათრია მიწიდან.

ამ წერილის ავტორს თვითონ განუცდია მსგავსი აღმოჩენით განცდილი სიხარული და წარმოდგენილი აქვს, როგორ შეუყვარდათ იმ წუთში გრიცკო სამსონოვი, მაგრამ მერე, როცა განძი გადათვალეს და მასში 550 ცალი ჯიბის ოქროს საათიდან ერთიც არ აღმოჩნდა, გრიცკოსადმი მათი დამოკიდებულება, რბილად რომ ვთქვა, საპირისპირო მიმართულებით შეიცვალა.

სამი დღის შემდეგ სამსონოვმა საათების ადგილსამყოფელიც გაიხსენა, — ისიც გამოქვაბულში, ოღონდ სხვა ადგილზე ჰქონოდა გადამალული. თუმცა საათებს ოცდათხუთმეტი ერთეული აკლდა.

გრიცკო თავს იკლავდა, ლომბარდი მარტომ გავძარცვეო და საგამომძიებო ექსპერიმენტიც ბრწყინვალედ ჩააბარა: მარტომ აზიდა სახურავზე ის მძიმე ტვირთი, რომლითაც ჯერ სახურავი ჩაანგრიეს, შემდეგ კი სეიფები დაჭრეს. ამისდა მიუხედავად, საქმეში მაინც რჩებოდა ერთი დიდი კითხვის ნიშანი — ვისი თითების ანაბეჭდი იყო „ნაბეღლავის“ ბოთლზე და სად წავიდა 35 ცალი ოქროს საათი? ამასობაში კოსტია კოსტენკომ ქუთაისიდან მოჰკურცხლა. ერთხანს შუა აზიაში იმალებოდა, მაგრამ როცა შეიტყო გრიცკოს ასამართლებენო, უკანვე დაბრუნდა... ერთადერთი მიზნით — გრიგორი სამსონოვი სასამართლოს მსვლელობისას უნდა მოეკლა იმისთვის, რომ მან განძეული დააბრუნა. კოსტენკოს ჩანაფიქრის აღსრულება არ დასცალდა, მილიციის აგენტურამ კარგად იმუშავა და მალე ისიც სამსონოვს მიუსვეს გვერდით.

*P.S. სასამართლომ 15-15 წელი მიუსაჯა სამსონოვს და კოსტენკოს, რომელსაც ის ოცდათხუთმეტი ცალი საათიც ამოუღეს. „ნაბეღლავის“ ბოთლზე ანაბეჭდებიც, რა თქმა უნდა, მისი აღმოჩნდა.*

*კოსტენკოსი მას შემდეგ აღარაფერი გამიგია. გრიცკო კი, მეოცე საუკუნის ეს ხელმოცარული მონტე-კრისტო, სასჯელის მოხდის შემდეგ ისევ ქუთაისში დაბრუნდა და თეთრი ხიდის კუთხეში თხოულობდა მოწყალებას.*

**ვაჟა გავაშელი**

# გეშინოდეთ, ბუა წერეთელი მოდის...



ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოში ახალ-ახალი მაქინაციების ტალღა აგორდა, რაც ნავთობსადენის მშენებლობაზე მუშაობის მსურველთ მორალური და მატერიალური ზარალის მიყენებით ემუქრება. რამდენიმე დღის წინ ქუთაისიდან გვაცნობეს, რომ ქალაქის სხვადასხვა რაიონში „გახსნილი" ე.წ ასოციაციის ფილიალები ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე დასაქმებას ჰპირდებიან მოსახლეობას. მსურველებს შესავსებად აძლევენ საანკეტო ფურცელს, რის საფასურადაც ორიდან ხუთ ლარამდე თანხასაც ახდევინებენ და უხსნიან, რომ სამუშაოზე მოწყობის შემდეგ პირველი ხელფასიდან 150 დოლარს სამუშაოზე მომწყობს გადაუხდიან. ქუთაისში ნავთობსადენის მშენებლობაზე მაღალ თანამდებობებზე დასაქმების მსურველთაგან 4000-5000 აშშ დოლარსაც ითხოვენ თურმე. როცა ინფორმაციის გადამოწმება ვცადეთ და ქუთათურთაგან მითითებულ მისამართზე „დასაქმების ასოციაციის" წარმომადგენელთან გასაუბრება დავაპირეთ, აღმოჩნდა, რომ ე.წ. ასოციაცია საპნის ბუშტივით გამქრალიყო. თურმე, მეტი სანდოობისათვის (იმერეთშიც და ქვეყნის სხვა რეგიონებშიც) ე.წ. ასოციაციის წევრები მხოლოდ ხუთ კაცს ჰპირდებიან სარფიან სამუშაოს. ქრთამიც რომ შეაძლიო, უარით გამოგისტუმრებენ. სულ მალე ისიც შევიტყვეთ, რომ „ფილიალების" „სათავო" ოფისი თბილისში, მაჩაბლის ქუჩის 8 ნომერში მდებარეობს. აღმოჩნდა, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბბინაში განთავსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ტერიტორიაზე სტრატეგიული მნიშვნელობის მილსადენების მშენებლობასთან დაკავშირებული დასაქმებისა და ეროვნული კონტროლის საზოგადოებრივი ცენტრი" მართლაც დაჰპირებია მოქალაქეებს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში დასაქმებას. მოქალაქეებისათვის საანკეტო ფურცლებიც მიუციათ და განუცხადებიათ: დაწვრილებით ინფორმაციებს ა.წ. 26 სექტემბერს, 12სთ-ზე სპორტის სასახლეში გამართულ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ყრილობაზე მივიღებთო. ჩვენდა გასაკვირად, ამის ინიციატორი და წამომწყები ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ირაკლი წერეთელი ყოფილა. იმ დღეს სპორტის სასახლესთან საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა ზღვა ხალხმა მოიყარა თავი. ყველა დიდი იმედით ელოდებოდა ირაკლი წერეთლის მოსვლას, რომელსაც იმ დღეს თურმე ყველა მათგანი უნდა დაესაქმებინა. დაგვიანებით მოსულმა წერეთელმა ხალხს მოუბოდიშა, „სპორტის სასახლეში ვერ შევდივართ, თურმე დიდი კონცერტისთვის ემზადებიან და სკამებს ღებავენო", თანაც დასძინა, — „ამ დაქცეულ ქვეყანაში თუ ვინმეს ეკონცერტება, ღმერთმა სიხარული არ მოაკლოს, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ ჩვენმა გახრწნილმა ხელისუფლებამ ამ შეკრების ჩასაშლელად ზემოქმედება მოახდინა სპორტის სასახლის დირექციაზე და სკამების გადაღებვა ძალით დააწყებინაო". ერთი სიტყვით, ხალხმა წერეთელს შესთავაზა, ოღონდ სათქმელი თქვი და ფეხზე დგომით მოგისმენთო. წერეთლის საინფორმაციო მოხსენებიდან კი შემდეგი გაირკვა: არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ტერიტორიაზე სტრატეგიული მნიშვნელობის მილსადენების მშენებლობასთან დაკავშირებული დასაქმებისა და ეროვნული კონტროლის საზოგადოებრივი ცენტრი" სწორედ ირაკლი წერეთლის უშუალო ინიციატივით შექმნილა და მხოლოდ მილსადენების მშენებლობაზე კი არა, ნებისმიერი კანონით ნებადართულ სამსახურში მოწყობას ჰპირდება მოქალაქეებს, თუმცა როგორც ჩვენთან საუბარში განაცხადა, საქმე არც ისე მარტივად არის.

— ჩვენ არავის ვაძლევთ იმის პირობას, რომ სამსახურს მოვუძებნით, ადგილები ყველამ თავად მოიძიეთ. მერე მოდით ჩემთან, დავურეკავ ან მივალ იმ სამსახურში, სადაც თავისუფალი ადგილი ექნებათ, ჯერ ვთხოვ, რომ კაცი დამისაქმონ, თუ ვერ გაიგებენ, მოვთხოვ, თუ ესეც ვერ გაჭრის, ვაიძულებ, ვეტყვი, რომ მუშაობას შევუჩერებ. ასე რომ, თუ ნებით არა, ძალით დამყვებიან და თუ გვერდით დამიდგებით, ყველას შეეშინდება ჩემი და უმუშევრებსაც დავასაქმებ.

— **გატყობთ, პარტიას ფუნქციას შეუცვლით და დასაქმების სამსახურად აქცევთ.**

— პარტია პარტიად დარჩება, უბრალოდ მე ხალხის უფლებების დასაცავად ვიბრძოლებ, ხალხიც ამას დაინახავს და ჩემი პოლიტიკური რეიტინგი გაიზრდება; თანაც თუ ვინმეს დავასაქმებ, არავის დავატან ძალას ჩვენს პარტიაში გაწევრებაზე. ვეტყვი, აწი ყველაფერი შენს სინდის-ნამუსზე იყოს-მეთქი. ხალხისთვის საქმეს უსასყიდლოდ გავაკეთებ, გამჭვირვალე პოლიტიკა მაქვს, არაფერს ვმალავ.

— **ამ დროს კი თქვენი ინიციატივით შექმნილი ასოციაციის ფილიალები ფულს აკეთებენ რაიონებში.**

— მე განვუცხადე წელან ხალხს, რომ ამნაირებს არ ენდონ.

— **ამით საქმეს რა ეშველება? ფარატინა ანკეტებში გადახდილ ფულს უკან ვინ დააბრუნებს?**

— ხელისუფლებას მივმართავ, რომ ყველა გამომძალველი პასუხისგებაში მისცენ.

— **ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას და გვაცნობეს, რომ თქვენს ასოციაციას და პარტიას არ შეუძლია ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე ვინმეს დასაქმება და ამის დამამტკიცებელი არგუმენტებიც მოგვაწოდეს.**

— თავის დროზე მე აშშ-ის საელჩოს და გია ჭანტურიას ნავთობის ოფისსაც ვაცნობე, რასაც ვაპირებდი და თუ დღემდე მაინც არაფერი იციან და აქაც არ მობრძანდნენ, ეს უკვე მათი პრობლემაა. ვალდებული არ ვიყავი, მათთვის პირადად დამერეკა.

— **ხალხი თქვენგან კონკრეტულ პასუხებს ელოდებოდა და იმიტომ ჩამოვიდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან. თქვენ კი კონკრეტული ნამდვილად არაფერი გითქვამთ.**

— იცი რას გეტყვი, კონკრეტული პასუხი გავეცი ყველას, გამგები გაიგებს და შენც მათ შორის, თუ რა თქმა უნდა, გაგება გინდა. თუ არადა, რას მელაპარაკები. შენ მე ენაში ვერ მომიგებ.

— **რატომ მიბრაზდებით? ყველა იმ პირობით იყო მოსული, რომ თქვენ მათ სამსახურის შოვნაში დაეხმარებოდით.**

— ჩვენ ამას არავის შევპირებივართ. თქვენ კი გეტყობათ, რომ ტენდენციური ხართ და პროვოკატორობთ. რანაირ კითხვებს მისვამთ?..

— **აბა ხალხმა ხომ უნდა გაიგოს, როგორ აპირებთ დახმარებას?**

— ვთქვი და ვიმეორებ, თუ ხალხის ნება იქნება და ჩვენს მხარდაჭერას მოითხოვენ, როცა სამუშაოზე დასაქმების მსურველთათვის უცხოური კომპანიები ტენდერს გამართავენ, დავესწრებით და გავაკონტროლებთ, რათა კორუფციას და მექრთამეობას არ ჰქონდეს ადგილი.

— **ეჭვი გაჩნდა ხალხში, რომ დღეს აქ პოლიტიკური მოტივით უფრო მოაწყვეთ მიტინგი. საპარლამენტო არჩევნებისთვის ხომ არ ემზადებით?**

— არა. ფული არა გვაქვს და არჩევნებისთვის არაფერს ვაპირებთ. თუმცა არის შანსი, რომ ფული გაგვიჩნდეს და მაშინ კი დავაპირებთ. რაც შეეხება ჩვენი ასოციაციის შექმნის მიზეზს, აღვნიშნავ, ეს იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველოში დაუსაქმებელთა აღრიცხვა გადავწყვიტეთ და ამიტომაც შევავსებინეთ ანკეტები. ჩვენთან რეგისტრაცია 22-მა ათასმა უმუშევარმა გაიარა. ეს მონაცემები კომპიუტერში შევიყვანეთ...

წერეთლის საინფორმაციო პოლიტიკური მიტინგის დამთავრების შემდეგ გაწბილებული ხალხი აღშფოთებას ვერ მალავდა: „ახლა მოვუთმენთ, ტყუილად რომ ჩამოგვიყვანა და ვნახავთ, რას გააკეთებს. თუ ისევ გაგვაწბილა, არ იფიქროს, ვინმემ ქუდი დაიხუროს და სახლში ბოღმაჩახვეული დაბრუნდეს. კაი დღეს დავაყრით. თურმე ტყუილად გვპირდებოდა კომპიუტერში შეტანილ მონაცემებს სპორტის სასახლეში თქვენ თვალწინ გადავცემ ნავთობსადენის მშენებელ კომპანიებს და თქვენს დასაქმებას მოვთხოვო. შევარდნაძეს და სააკაშვილს დასცინის და ამ დროს თვითონაც დაპირებებით ცდილობს ხალხის გაბრუებას"...

რა მოხდება, როგორ განვითარდება მოვლენები, მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი ნავთობსადენის მშენებლობაზე დასაქმების ერთ-ერთ მსურველსაც მოვუსმინოთ, რომელმაც ცოტა არ იყოს და გამამხიარულა კიდეც: „მთავარია სადმე ყური მოჰკრათ, რომ თავისუფალი სამუშაო ადგილი არსებობს, მერე მიხვალთ ირაკლისთან, რომელიც კონკრეტული სამსახურის უფროსს გამოეცხადება, შეაშინებს, მე ბუა ვარო და ისიც წერეთლისაგან პროტექციაგაწეულ კადრს შიშით სამსახურში მიიღებს".

რა გითხრათ, ამ ზღაპრებისა პირადად მე არაფერი მჯერა, საქართველოს მოსახლეობას კი საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციისა და უშუალოდ „ბრიტიშ პეტროლიუმისაგან" მოწოდებულ ინფორმაციებს მოგახსენებთ: სიმართლეს არ შეესაბამება დაპირებები იმის თაობაზე, რომ გარკვეული საფასურის საზღაურად თქვენ ამ პროექტებში დაგასაქმებენ. ნუ ანდობთ ფულს ნურც სხვადასხვა პირს და ნურც ორგანიზაციას, ვინაიდან მათ არა აქვთ უფლებამოსილება მოსახლეობასთან დასაქმების საკითხებზე მოლაპარაკების წარმოებისა. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე სამუშაოდ მიიღებენ მხოლოდ კომპანია „ბი-პი"-ს („ბრიტიშ პეტროლიუმის") მიერ საერთაშორისო ტენდერის მეშვეობით შერჩეული ძირითადი სამშენებლო კონტაქტორის „სპი კაპაგ-პეტროფაკისგან" შერჩეულ კანდიდატურებს. კომპანია „ბი-პი" და „სპი-კაპაგ პეტროფაკი" არ იხელმძღვანელებენ რეკომენდაციებითა და „პრივილეგირებული სიებით". სამუშაოზე აყვანის თარიღამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე სამშენებლო კონტაქტორი ადგილობრივ მოსახლეობას პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით მიაწვდის ინფორმაციას მშენებლობის დაწყებისა და სამუშაო ადგილების შესახებ რაიონების მიხედვით.

***ეკა ლომიძე***

# გაბედული ნაბიჯი

**თითოეულ ჩვენგანს, გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ, განვლილი გზის გადახედვა გვიწევს და ღმერთმა დაგვიფაროს, იქ ერთი გაბედულად გადადგმული ნაბიჯი მაინც ვერ აღმოვაჩინოთ! ვიწყებთ პატარა საგმირო ამბების თხრობას...**

**შალვა ნათელაშვილი:**

ეს ამბავი ჩემს ბავშვობაში, ფასანაურში მოხდა. შინ ვთამაშობდი, მეზობელი ეზოდან, ძაღლის გაბმული ყმუილი შემომესმა. რა თქმა უნდა, დავინტერესდი და ამბის შესატყობად, იქითკენ გავიქეცი. შორიდანვე დავინახე ხეზე თოკით მიბმული მურა (რომელმაც, როგორც ჩანს, საშიშროება იგრძნო და წინასწარ აყმუვლდა), რამდენიმე მეტრში კი ორი კაცი — იარაღშემართული ჩვენი სოფლის მონადირე და ძაღლის პატრონი. ვიდრე ადგილამდე მივაღწევდი, თოფმა იგრიალა, მურას მოხვდა და მისი ყმუილი ახლა საწყალობელმა წკავწკავმა შეცვალა, მაგრამ არ მომკვდარა, ჯერ კიდევ ფეხზე იდგა. მონადირემ თოფი ისევ რომ შემართა, რაღაც უცნაური ხავილი ამომივიდა ყელიდან და კაცები, უნებურად ჩემკენ მოტრიალდნენ. სანამ რამის ახსნასა და ვითარებაში ჩემს გარკვევას მოასწრებდნენ, უკვე ძაღლის წინ მუხლებზე ვიყავი ჩაცუცქული, მთლად გასისხლიანებულს ყელზე ვეხვეოდი და მის დამშვიდებას ვცდილობდი. იქაურობას ვერაფრით მომაცილეს. ძაღლის პატრონი იძულებული გახდა ჩანაფიქრის განხორციელება — თავიდან მოეცილებინა ბებერი და უსარგებლო ცხოველი — სხვა დროისათვის გადაედო, მაგრამ „სხვა დრო" მას აღარ დაუდგა — მურა ჩემს ეზოში წავიყვანე, ჭრილობა შევუხვიე და ამის შემდეგ იგი თავის ძველ პატრონს აღარასოდეს დაბრუნებია, უფრო მეტიც — თუ სადმე თვალს მოჰკრავდა, საშინელი ხმით აყეფდებოდა. სამაგიეროდ, მე შევიძინე ნამდვილი მეგობარი — მიყვარდა, ვუყვარდი და რაც უფრო მეტად დააძაბუნა ჭრილობამ, მით მეტად მომეძალა მისი დაცვის სურვილი.

იმ დროის სოფლებისათვის დამახასიათებელი იყო ხალხის დიდი თავყრილობები, ე.წ. ბირჟა, სოფლისავე ცენტრში. ამ მხრივ, არც ფასანაური გახლდათ გამონაკლისი. ტელეგადაცემები ჯერ კიდევ არ არსებობდა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, სწორედ აქ ხდებოდა. პირველ პოლიტიკურ დებატებსაც სოფლის ბირჟაზე ვეზიარე, რაც ძირითადად, ხრუშჩოვისა და მის მიერ გამოგზავნილი შავი პურის ლანძღვა-გინებით ამოიწურებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს ეზოდან გასულ მამას ავედევნე, მე მურა ამედევნა, მურას კი ლეკვა — ჩვენი პატარა ძაღლი და ასე, სრული შემადგენლობით, თავყრილობისაკენ გავემართეთ. ბებერ მურას ორღობეში ნაგაზები გამოენთნენ და ქვეშ მოიგდეს, მე მათ ქვები დავუშინე, სამაგიეროდ კი, ერთ-ერთმა მათგანმა წვივზე კბილი გამკრა. გავმწარდი და იქვე გადავწყვიტე — მურასა და ჩემი დაჩაგვრისათვის ორღობის ძაღლებზე შური მეძია! ასე გულანთებულმა, ბრძოლ-ითა და დავიდარაბით, როგორც იქნა, ბირჟამდე მივაღწიეთ. მამა ჯგუფ-ჯგუფად მდგარ თანასოფლელებს შეერია, დაღლილი



მურა მზეს მიეფიცხა, ლეკვამ კუდი აიპრიხა და აქეთ-იქით სირბილს მოჰყვა, მე კი, გარემო დავზვერე და შურისძიების ობიექტი ავირჩიე...

ერთი დიდი ნაგაზი მოშორებით, ადამიანებისა და თავისი მოძმეებისაგან განცალკევებით იდგა, სველი ლაშებიდან ბასრი კბილები და გრძელი, წითელი ენა უჩანდა, სივრცეს ბრაზიანი თვალით გაჰყურებდა, თითქოს რაღაც პრობლემა აქვს გადასაჭრელიო, თან კუდს ნება-ნება იქნევდა... წარმოვიდგინე, რომ მას სულ ადვილად შეეძლო მურას დაჩაგვრა. ამ წარმოსახვამ გონება დამიბნელა. უკან დავიხიე, მთელი ძალით გამოვექანე და გატრუნულ ცხოველს ზურგზე მოვახტი, ძაღლმა ელვის სისწრაფით მოატრიალა თავი და მუხლს ზემოთ, რბილ ნაწილში (მსუქანი ბავშვი გახლდით) ხორცის მოზრდილი ნაჭერი ამაგლიჯა...

ამ დროისათვის ოთხი წლისა ვიყავი.

ბიძაჩემის „ჭიჭიკო მოსკვიჩში" ჩამსვეს და საავადმყოფოში გამაქანეს. რაც უფრო მეტად შფოთავდნენ ირგვლივ მყოფი ადამიანები ჩემი მდგომარეობის გამო, მით უფრო ხმამაღლა ვტიროდი, ანუ მაშინაც ვპოპულისტობდი (იცინის) და თქვენ წარმოიდგინეთ, არა მხოლოდ თანასოფლელების, საავადმყოფოს მთელი მედპერსონალის ყურადღების მიქცევაც კი მოვახერხე.

***ნათელა თუთისანი***

ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი მონიტორით 375-დან
კომპუსი
ტელ: 939-103
250-255
ალ. ყაზბეგის 24[ა]
• სრული ტექნიკური სერვისი და პროგრამული მხარდაჭერა (ქსელები, ინტერნეტი და სხვ.)
• გარანტია 3 წლამდე
• პრინტერები 65-დან

მოსკოვი
ბანკი ქართუ
ექსპრეს გადარიცხვები
უსწრაფესი ფულადი გზავნილები რუსეთსა და საქართველოს შორის ფიზიკური პირებისთვის!
დრო — 5 წუთი
ღირებულება — თანხის 2%
ვალუტა — აშშ დოლარი
ფილიალები და სერვის-ცენტრები
თბილისში: ჭავჭავაძის გამზირი №39ა (სათაო ბანკი), ტელ: 25-14-50 ინგოროყვას ქ. №8, ტელ: 93-89-23, ირ. აბაშიძის ქ. 24, ტელ: 25-06-13, მელიქიშვილის ქ. 1 (ფილარმონიასთან), ტელ: 98-34-11, ცაბაძის ქ. 8, ტელ: 93-58-77, თელავის ქ. 20 (შერატონ-მეტეხი პალასი), ტელ: 77-85-37,
რუსთავის ფილიალი: მესხიშვილის ქ. 1ა, 824 15-05-90,
ფოთის ფილიალი: აღმაშენებლის ქ. 57, 829 32-22-04,
ქუთაისის ფილიალი: ფალიაშვილის ქ. 4 823 14-11-45
თბილისი

## სათნომყოფელნი უფლისა

# მშვენება და დიდება საქართველოისა (პეტრე იბერი — მართლმადიდებელი ეპისკოპოსი!)

*ამ რამდენიმე ხნის წინ გამოიცა მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის წიგნი: „პეტრე იბერი — მართლმადიდებელი ეპისკოპოსი“. ნაშრომში ავტორი დამაჯერებელი არგუმენტებით ცხადყოფს, რომ ამ დიდ ღვთისმეტყველსა და სასულიერო მოღვაწე ქართველ უფლისწულს, XV საუკუნემდე, ღირსი მამის შესატყვის პატივს მიაგებდა ქართული ეკლესია. შემდგომ პერიოდში კი, მეზობელი ქვეყნის მტრული პოლიტიკური მიზანდასახულობით, დაწყებულა სომხური და ასურული ტენდენციური საღვთისმეტყველო წყაროების აქტიური გავრცელება საქართველოში, რომლებიც, ყალბ საბუთებზე დაყრდნობით, „ადასტურებდნენ“ პეტრე იბერის თითქოსდა მონოფიზიტობას. ამ ვერსიას გულუბრყვილოდ მინდობილმა იმდროინდელმა ქართულმა საეკლესიო მატიანეებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს პეტრე იბერის რელიგიური მრწამსი...*

*არადა, ქართული აგიოგრაფიული წყაროები და, სახელდობრ, მაკარი მესხის პეტრე იბერისადმი მიძღვნილი თხზულება, მხურვალე მამულიშვილობასთან ერთად, ხაზგასმით აღნიშნავს ქართველი უფლისწულის მართლმადიდებლობისადმი ერთგულებას. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ პეტრე იერუსალიმის ჯვრის მონასტერშია დაკრძალული (≈491), სადაც შემონახულია ფრესკა მისი გამოსახულებით.*

*გულთამხილაობის და სასწაულმოქმედების ღვთივბოძებული ნიჭი, რომელიც მაკარი მესხის თხზულებიდან ქვემოთ საგანგებოდ ამოკრებილ ეპიზოდებში პეტრე იბერს მიეწერება, იქნებ დამატებით არგუმენტად გამოდგეს ამ დიდი მამულიშვილის სარწმუნოებრივი ღვაწლის ღირსებით აღდგენისათვის!*

### წყლით ანთებული კანდელი

მომავალში პეტრე იბერის სახელით ცნობილ ქართველ მეფისწულ მურვანოს ბუზმიჰრის-ძეს, პოლიტიკურ მოვლენათა მიზეზით, 12 წლის ასაკიდან მეფე თეოდოსის კარზე უხდებოდა ყოფნა კონსტანტინოპოლს. ჭაბუკი მთელ დღეს ლოცვაში, მარხვასა და მღვიძარებაში ატარებდა. სამეფო შესამოსელის ქვეშ ფლასი ეცვა და დიდად ღვთისმოსავ ყმაწვილს ყრმობითვე ადამიანთა კურნების ნიჭი ჰქონდა მიმადლებული.

მურვანოსს, მამის მეოხებით, წილად ხვდა სპარსეთში მცხოვრებ ქრისტიანთაგან წარმოგზავნილი, ამ მაჰმადიანურ ქვეყანაში ქრისტესათვის წამებულთა წმინდა ნაწილები და მათ მსახურებდა უდიდესი მოკრძალებით. ძილის დროს წმინდა ნაწილების წინ წვებოდა ხმელ საწოლზე საგებლის გარეშე და წმიდანები მხედართა სახით ეცხადებოდნენ მას, ნუგეშს სცემდნენ და მარადიული ცხოვრების შესახებ მოუთხრობდნენ.

ერთ ნათლისღების დღეს, როდესაც მთელი სამეფო სახლეული — დიდი და მცირე — თვით მეფე-დედოფლის ჩათვლით ეკლესიის გზას დაადგა, მურვანოსი მათ არ გაჰყოლია, არჩია, გულმოდგინედ ელოცა და კანდელი აენთო მოწამეთა წმინდა ნაწილების წინაშე. მურვანოსმა სთხოვა მსახურს ზეთი მოეტანა კანდელისთვის, მაგრამ განაწყენებულმა მსახურმა, რომელიც იძულებული გახდა მისი წყალობით შინ დარჩენილიყო, არ შეუსრულა ბრძანება.

მურვანოსი არ განრისხებია, მშვიდად აავსო კანდელები წყლით ზეთის ნაცვლად, ხელები აღაპყრო და ზეგარდმო მადლი ითხოვა ღმერთისაგან და წმინდა მოწამეთაგან, რათა ანთებულიყო კანდელები. მოხდა სასწაული: კანდელები აინთო და შვიდი დღე-ღამის განმავლობაში ზეთის გარეშე ენთო.

ეს ამბავი ამცნეს მეფე თეოდოსს და, როდესაც მეფემ და მისმა დიდებულებმა იხილეს უზეთოდ ანთებული კანდელები, „განკვირდეს და ადიდებდეს ღმერთსა და ჰნატრიდეს მონასა მისსა მურვანოსს, და ამბორს უყოფდა მეფე პირსა მისსა წმიდასა“.

### მიწისძვრით გაცხადებული რისხვა უფლისა

მეფე თეოდოსის სასახლეში მურვანოსს ჰყავდა უახლოესი მეგობარი, დამრიგებელი და თანამოაზრე — ასაკით მასზე უფროსი თანამემამულე, მითრიდატე ლაზი. ერთხელ მათ დატოვეს კონსტანტინოპოლი და ფარულად გაემართნენ სალოცავად იერუსალიმს. თან მიჰქონდათ მოწამეთა წმინდა ნაწილები და „საფასე, რაიზომი უხმდა“ — უკუნ ღამეს მათ გზაში ნათლის სვეტი უნათებდა.



ერთ-ერთ ქალაქში ისინი შეიპყრო ქალაქისთავმა და საპყრობილეში ჩასვა.

იმ ღამეს დიდი მიწისძვრა მოხდა ამ ქალაქში და ბევრი სახლი დაინგრა. ძილში გამოცხადებით ქალაქისთავმა შიშის ზარის მომცემი ადამიანები იხილა, რომლებიც ეუბნებოდნენ: — გაათავისუფლე შენი ტუსაღები, თორემ მთელი ქალაქი თავზე დაგექცევაო.

დილაადრიანად აღდგა შეშინებული, მივიდა საპყრობილეში, ფეხებში ჩაუვარდა უსამართლოდ დასჯილთ და პატიება სთხოვა; გათავისუფლებულებს კი ევედრებოდა, არსად წასულიყვნენ, დარჩენილიყვნენ მის სამფლობელოში და როგორსაც ითხოვდნენ, ისეთ მონასტერს აუშენებდა მათ. მურვანოსმა და მითრიდატემ აპატიეს, მაგრამ იქ არ დარჩენილან — მათი გზა იერუსალიმისკენ მიდიოდა!

### ანგელოზები ამცნობენ მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებას

როდესაც ქალაქ მაიუმის (პალესტინა) ეპისკოპოსი გარდაიცვალა, ქალაქის მცხოვრებლებმა პატრიარქს სთხოვეს, მათთვის ეპისკოპოსად სწორედ პეტრე დაენიშნათ, მაგრამ ვერაფრით ვერ დაითანხმეს იგი. მაშინ მას თვით უფალი გამოეცხადა ანგელოზთა მხედრობის გარემოცვაში და ჰკითხა: — პეტრე, იცი თუ არა, რა ვუბრძანე ჩემს მოციქულს, პეტრეს, როცა ფეხის დაბანაზე მეურჩებოდა?

პეტრემ ძრწოლით მიუგო, რომ იცოდა.

— ახლა კი შენც გეტყვი — უთხრა უფალმა — არ გექნება წილი ჩემს სამკვიდრებელში, თუ არ დამწყემსავ ჩემს ცხვრებს!

სანთლებითა და კელაპტრებით გამოვიდნენ მაიუმის მცხოვრებნი ქუჩაში და გალობითა და ლოცვით მიეგებნენ თავიანთ ახალ ეპისკოპოსს. მრავალი სასწაული აღესრულა ქალაქში ამ დღეს პეტრე იბერის ხელით...

ხელდასხმიდან სულ მოკლე ხანში ქალკედონში შედგა მსოფლიო საეკლესიო კრება, სადაც განმტკიცდა მართლმადიდებლური სარწმუნოება და შეაჩვენეს მწვალებლები, მათ შორის, მონოფიზიტები. ამ პერიოდს განეკუთვნება პეტრე იბერის კიდევ ერთი ხილვა: ერთ დღეს, როდესაც პეტრე იბერი იდგა ჟამისწირვაზე, ჰქონდა გამოცხადება: მოდიოდნენ წმინდა ანგელოზები და მწვალებელთაგან ვნებული მართლმადიდებელთა სულები უფლის წინაშე დიდებით აჰყავდათ ზეცად; იქვე ხედავდა ქვესკნელს, ჯოჯოხეთში მიმავალ მწვალებელთა სულებსაც... ამ ხილვის ღირსი იმიტომაც შეიქნა, რომ ექადაგა თავისი სამწყსოსთვის ჭეშმარიტი აღმსარებლობა და განემტკიცებინა რწმენაში ორგულნი და მცირედ მორწმუნენი. და მართლაც, ისე მოძღვრავდა იგი თავის სამწყსოს, რომ მას, შორეულ ქვეყანაში მოღვაწე ქართველს, ცხრა მთას იქით დარჩენილი თანამემამულენი სიამაყით უხმობდნენ, ვითარცა „სამკაულსა და სიქადულსა ქართველთასა“.

## რას გვეტყვი, მამაო?

**— თუ შეიძლება განგვიმარტეთ, რას ნიშნავს „არქიმანდრიტის“ წოდება და ვის ექვემდებარებიან იერარქიულად ბერები?**

— არქიმანდრიტი — ეს არის ყველაზე მაღალი საეკლესიო ხარისხი, მინიჭებული ბერისთვის. რაც შეეხება ბერებს, ისინი იერარქიულად დაქვემდებარებულნი არიან ეპისკოპოსებზე.

**— ახალი სტილით 1 ოქტომბერს აღინიშნება რწმენისა და მამულისათვის თავდადებული წმინდა მოწამეების — ბიძინას, ელიზბარისა და შალვას ხსენების დღე. ხომ არ არსებობს მათი ტროპარ-კონდაკი, რათა ლოცვით მივმართოთ მათ ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად?**

— დიახ, არსებობს მათი ტროპარ-კონდაკი, რომელთაც ქვემოთ გთავაზობთ.

***ტროპარი:*** „ღვაწლით შემოსილნო უფლისანო, ნეტარ არს მიწა იგი, რომელი განიპოხა სისხლითა თქვენითა და წმიდა სამარხო იგი, რომელთა შეიწყნარეს გვამნი თქვენნი, რამეთუ სტადიონსა მას შინა მტერი მოაუძლურეთ და ქრისტე ღმერთი კადნიერად ქადაგეთ, მას, ვითარცა სახიერსა, ევედრენით შეწყალებად სულთა ჩუენთა“.

***კონდაკი (ბიძინასი):*** „მოწყლული სურვილითა მეუფისათა, არა რიდებდა ტანჯვასა ხორცთა თვისასა, მსგავსად იაკობისსა ასოეულად დაჭრასა, ვინა მოვედით, კრებულნო მორწმუნეთაო, და შეუთხზათ ქებაი პირსსა ქებისასა ბიძინას, რათა მეოხ იყოს ქრისტეს მიმართ ჩვენ ყოველთათვის“.

***კონდაკი (ერისთავთა):*** „გიხაროდენ, მორწმუნენო, რომელთა მეორედ მიიღეთ ნათლისღებაი სისხლითა თქვენითა და განსწმიდეთ სულნი თქვენნი და სუნნელ იქმნენით, ყვავილნო შვენიერნო და ბრწყინვალებანო მორწმუნეთანო, ელიზბარ და შალვა, მეოხნო და მცველო სულთა ჩუენთაო“.

## გულითადი განდობანი

# მკითხველის წერილი სარედაქციო კომენტარით

***ჩემი უიღბლო სიყვარული***

რაც მე შემემთხვა, შეიძლება ბევრს გადახდენია, მაგრამ გამოსავალი უპოვია, მე კი გამოუვალ სიტუაციაში ვარ. დახმარებისთვის ვერც დედას და ვერც მეგობრებს ვერ მივმართავ, რადგან მეშინია. მეშინია იმის, რომ ჩემს საქციელს ყველა გაამტყუნებს.

„ვახო“ ერთი თვის წინ გავიცანი. რამდენჯერმე ერთად მოვხვდით სუფრაზე. მას ჩემს მიმართ მნიშვნელოვანი არაფერი გამოუმჟღავნებია, მაგრამ რაღაცნაირად, ქალური ინტუიციით ვგრძნობდი, რომ ჩემდამი გულგრილი არ იყო, მაგრამ ამ აზრს თავიდან ვიშორებდი: ჯერ ერთი იმიტომ, რომ განსაკუთრებული არაფერი შემინიშნავს და მეორე იმიტომ, რომ მას ცოლი და შვილი ჰყავს! რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ვიგრძენი, რომ უიმისოდ აღარ შემეძლო. არ ვაზვიადებ! მართლა ნამდვილი და წრფელი სიყვარულით შემიყვარდა, ის ჩემი ცხოვრების მთავარი ნაწილი გახდა. თავს ყველანაირად ვაიძულებდი, თავიდან ამომეგდო, ვიცოდი, რომ დიდ შეცდომას ჩავდიოდი, მეგონა ის მე არასოდეს შემომხედავდა სხვანაირი თვალით, მხოლოდ მეგობრად მთვლიდა! ვიცოდი, რომ თავს უიმედო სიყვარულისათვის ვწირავდი, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო.

...თურმე ჩემი სიყვარული სულაც არ იყო უიმედო. თურმე მასაც ვუყვარდი, უჩემოდ არც მას შეეძლო, მაგრამ ჩვენს სიყვარულს წინ ვახოს ცოლ-შვილი ეღობება. მე არ ვაპირებ დავანგრიო მისი ოჯახი, ეს ვახომ უნდა გადაწყვიტოს, გაშორდეს თუ არა ცოლს, ან მის ცოლს რად უნდა ისეთი ქმარი, რომელიც სხვაზე ფიქრობს. ვახოს ბავშვი აკავებს, არ უნდა მისი შვილი უმამოდ გაიზარდოს. მომავალში რა იქნება, არ ვიცი. ერთმანეთი გვიყვარს, მაგრამ ერთად ვერ ვიქნებით, უერთმანეთოდ კი არ შეგვიძლია. ვახომ ცოლი ადრეულ ასაკში მოიყვანა და ეს შეცდომა მძიმედ დაუჯდა. მირჩიეთ რამე.

***ნანა***

P.S. მაპატიეთ, რომ წერილი დიდი გამომივიდა, სხვაგვარად ვერ შევძლებდი ჩემი წუხილის გადმოცემას. მე ვახოს საყვარლად ვერ გამოვადგები, რადგან პატიოსანი გოგო ვარ. უბრალოდ წრფელი სიყვარულით მიყვარს. ასეთი თვალით არც ვახო მიყურებს. წერილს ჩემი ცრემლები ეტყობა, თავი ველარ შევიკავე, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.

***

***ნანა, შენმა ამბავმა ძალიან დამაფიქრა და ვეცდებით განუგეშოთ და იქნებ ერთად გავერკვეთ, როგორ შეიძლება შენს აფორიაქებულ გულს სიმშვიდე დავუბრუნოთ.***

***წერ, რომ ცოლშვილიანი მამაკაცი შეგიყვარდა, რომ ეს სიყვარული წრფელია და არ ისახავს მიზნად სხვების გაუბედურებას.***

***როგორც წერილიდან ჩანს, ერთი ჩვეულებრივი გოგონა ხარ, ფიქრითა და ოცნებით სავსე, ძველმოდური, ასე ვთქვათ, რომანტიკული. თანამედროვე ცხოვრებაში მორალი დემოკრატიულია და ჩვენს პირად ცხოვრებაში თითქოს არავინ უნდა აფათურებდეს ხელს, მაგრამ როგორც ჩანს, შენი სიყვარულის გამჟღავნების ძალიან გეშინია, რადგან თავს დამნაშავედ გრძნობ (ცოლშვილიანი მამაკაცი რომ შეგიყვარდა) და ამიტომ რჩევისათვის არც დედას და არც მეგობრებს არ მიმართავ. ცრემლებით დარდს ვერ მოერევი, მარტოს ძალიან გაგიჭირდება. ასე მგონია, შენ აქამდეც მარტო იყავი, სანამ სიყვარული შეგიფართქალებდა გულს, სწორედ სიმარტოვემ განაპირობა სიყვარულის მოთხოვნა. ადამიანები ხომ გამუდმებით მოვითხოვთ რაღაცრაღაცების საზღაურს და ზოგჯერ იმას, რაც სულაც არ გვეკუთვნის. შენ, შენი სიყვარულის საზღაურად გინდა, რომ საყვარელი მამაკაცი მუდამ გვერდით გყავდეს. ვწუხვარ, როდესაც ამბობ: „მის ცოლს რად უნდა ისეთი ქმარი, რომელიც სხვაზე ფიქრობს“. ამით რისი თქმა გინდა, — რომ არა შენ, ვახო, მარტოსული, უბედური ადამიანი იყო და დღეს მხოლოდ იმიტომ „ისჯება“, რომ „ადრეულ ასაკში მოიყვანა ცოლი“?!***

***კარგად დაფიქრდი, როდესაც ამბობ — „ვახომ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, გაშორდეს თუ არა ცოლს“. როგორც ჩანს, შენი გულის სწორის ოჯახს განაჩენი უკვე გამოუტანე (ოღონდ არ გინდა ამის აღიარება) და ახლა ისიც გინდა, რომ ეს საშინელი გადაწყვეტილება ვახომ (და არა შენ) მოიყვანოს სისრულეში.***

***სიყვარული არც დანაშაულია და არც სენი, მისი გადატანა ვაი-ვაგლახით არ შეიძლება. დამერწმუნე, შენი სიყვარული ახლა რომანტიკულ საბურველშია გახვეული და რაც მეტ წინააღმდეგობას აწყდები, მით უფრო გითრევს მაცდური მორევი. ამიტომ ერთხელ კიდევ დაფიქრდი, რომ შენმა სიყვარულმა სხვას უბედურება არ მოუტანოს, ცხოვრებისეულ სიტუაციებზე მაღლა დადექი და სიყვარულის ლაბირინთებში გზა ისე გაიკვლიე, რომ ღირსება შეინარჩუნო.***

***რედაქციის სახელით***
***ლია იაკობაშვილი***

## საქართველოს ჭრილობიანი ისტორია

# უცნობი ქირისუფალი თანამემამულის საფლავზე

შარშან აღდგომის წინა დღეს, ქალაქგარეთ, რაიონში მომიწია წასვლამ. გზაში გასართობად გაზეთები ვიყიდე, სწორედ იმ გაზეთში წავაწყდი სტატიას ახალგარდაცვლილ არტიომ ბოროვიკის შესახებ. არტიომის გარდაცვალებიდან 40 დღე სრულდებოდა. სწორედ მაშინ წავიკითხე პირველად არტიომის საყვარელი ლეგენდა...



კაცი მოკვდა, ცად ამაღლდა და ულამაზეს ადგილას, ოკეანის პირას თვით იესო ქრისტე შეხვდა. კაცს გაეხარდა ღმერთის ხილვა, შვება იგრძნო, გაეღიმა. ღმერთმა შესთავაზა ბოლოჯერ გადაევლო თვალი განვლილი ცხოვრებისათვის. მართლაც ცაზე კინოლენტივით იცვლებოდა კადრები: ბავშვობა, სიყმაწვილე, მშობლები. ოჯახი, სამსახური და ასე ბოლო დღემდე. ყოველივე ამას თან სდევდა ქვიშაზე ორი ნაკვალევი — კაცის და ღმერთის. როდესაც ეს ყველაფერი იხილა, კაცი ღმერთს მიუბრუნდა და უთხრა: — მაცხოვარო, თურმე მთელი ცხოვრება ჩემ გვერდით ყოფილხარ, მე კი ვერ გხედავდი, მაგრამ ერთ რამეზე მაინც გული მწყდება, როდესაც ძალიან მიჭირდა, განსაცდელში ვიყავი, ავადმყოფობდი, ვტიროდი, განვიცდიდი, ვიტანჯებოდი, რატომ მაშინ არ იყავი ჩემთან ერთად, მაშინ რატომ მტოვებდი? ხედავ მაგ დროს მხოლოდ ერთი ნაკვალევი რომ მისდევს ეკრანს? ღმერთმა კაცს მხარზე ხელი მოხვია, — მაშინ მე ხელში აყვანილი მიმყავდი, ეგ ჩემი ნაკვალევიაო — უპასუხა.

მთელი გზა მეტი აღარაფერი წამიკითხავს, რაღაც საოცარი შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი. რაიონში ჩასვლისას მეგობრის ქმარ-შვილი დამხვდა. მათ თავიანთ სოფელში ჩამიყვანეს. პირდაპირ სკოლაში მივედით, სადაც ირინა სკოლის დირექტორად მუშაობს. საღამომდე ერთად ვიყავით, ინსტიტუტის დროინდელ მოგონებებში დრო მალე გავიდა. ირინას ვუთხარი: შენთან წავალ სახლში, ხარკოვში დავრეკავ და ახლავე მოვალ-მეთქი. სკოლასა და სახლს შორის ტყე-პარკია, სადაც საძმო საფლავია. საერთოდ, საფლავების მეშინია და ვარჩიე შორი გზით მომევლო.

გზად რომ მოვდიოდი, ფეხები უკან მრჩებოდა, ასეთი შეგრძნება არასოდეს მქონია, თითქოს რაღაც ძალა ტყე-პარკისკენ მეწეოდა, ჩემს შიშს ვძლიე და საძმო საფლავისკენ შევუხვიე. ვერ ამეხსნა, რა ძალა მაიძულებდა იქ მისვლას. მონუმენტზე მეომრების სია იყო, ორჯერ სულმოუთქმელად წავიკითხე და შვებით ამოვისუნთქე, ქართული გვარი არსად იყო; ისის იყო წასვლა დავაპირე, რომ რაღაც ისევ უკან მექაჩებოდა, ხელახლა დავუბრუნდი დაღუპულთა სიას და ჩემდა გასაოცრად, ვიპოვე ქართული გვარი — **ფოცხიშვილი, 19 წლის**.

არ შემიძლია გადმოგცეთ ჩემი განცდა, თითქოს უახლოესი ადამიანის საფლავთან ვიდექი. აქ, შორეულ სოფელში სტუმრად ჩასული ერთადერთი ქართველი ვიყავი, რომელსაც შეეძლო ქრისტეს აღდგომის წინა დღეს მოენახულებინა თავისი თანამემამულის საფლავი. ეს იყო ის ძალა, რაც მეზიდებოდა ქართველი მეომრის საფლავისკენ.

იქნებ ახლობლებმა არც იციან იმ საფლავის არსებობის შესახებ, ალბათ დღესაც უგზო-უკვლოდ დაკარგულად თვლიან ახლობლები მას.

მინდა თქვენი რედაქციის სახელით შევეხმიანო ჯარისკაცის ახლობლებს და მივაწოდო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ სად არის დაკრძალული მათი სისხლი და ხორცი.

***Украина, г. Харьков***
***Кегичевский р-он***
***село Лозовая***
***მადონა კაპანაძე, ხარკოვი***

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.**

***გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა***



# ასეთი მთავრობა ერთ წელიწადში იაპონიასაც დაანგრევდა

## — არ მინდა მახვშობა! არ მინდა! — *რევაზ შავიშვილი*



*მ ისივე თქმით, ჩვეულებრივი ადამიანია, აკეთებს იმას, რასაც სხვები და როცა სთხოვენ — მოუთხროს მკითხველს თავისი ყველაზე გაბედული ნაბიჯის შესახებ, ამბობს — ასეთი არ მახსენდება, თითოეული ჩემი ნაბიჯი ჩვეულებრივია და ცხოვრებისეული მომენტებიდან გამომდინარეობს. ყოველთვის ისე ვიქცევი, როგორც გარკვეულ დროსა და სივრცეში მიმაჩნია საჭიროდ და არასოდეს დავფიქრებულვარ, ვარ თუ არა, ამა თუ იმ მომენტში გაბედული. აი, ასეთია მოკლე და კონკრეტული პასუხი, რის შემდეგაც ეს საკითხი, წესით, ამოწურულად უნდა ჩაითვალოს და ჟურნალისტი თავის გზას გაუდგეს, მაგრამ თუ ძალიან ჩაეძიებით (ისე, როგორც ამ შემთხვევაში მე მოვიქეცი) და თქვენთვის სასურველი შედეგის მიღებას ისევ შეეცდებით, ძალიან სერიოზულ რევაზ შავიშვილს, შეუძლია სიცილ-სიცილით ასეთი პასუხიც გაგცეთ: „ერთხელ, ხუთი ლიტრი ღვინო დავლიე, ეს რეკორდია ჩემთვის — ე.ი. იმ დღეს, გაბედულად მოვიქეცი; ჩვიდმეტი კილო დავიკელი, ამაზე მეტი გაბედულება რა გინდათ; ცოლიც შევირთე თავის დროზე — რა, თქვენ გგონიათ, ეს არ იყო გაბედულება? აი, სულ ეს არის! თუმცა, არა, არის რაღაც, რისი გაკეთებაც მომავალში აუცილებლად მომიწევს — ბაზარში არასოდეს ვყოფილვარ, წავალ და კიდევ ერთ გაბედულ ნაბიჯსაც მივითვლი...“*

*ძნელი არ არის, იუმორში (შიგადაშიგ სარკასტული ინტონაცია რომ გაკრთება) ამოიცნო იმ ადამიანის პოზიცია, ვისაც საკუთარ თავზე აღმატებით ხარისხში საუბარი ღირსების შელახვად მიაჩნია.*

*მიუხედავად რესპონდენტის სიტყვაძუნწობისა, პოლიტიკოს რევაზ შავიშვილის მკაცრ პორტრეტს, ერთი-ორი ახალი შტრიხი მაინც შეემატება:*

— **„ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“...**

— აბსოლუტურად ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა, ათასობით ჩემი თანატოლისაგან არაფრით განსხვავებული.

— **მაინც როგორი ბავშვი იყავით — სამართლიანი, უსამართლო, მჩაგვრელი, სუსტი...**

> **ეს მაშინ მოხდა, როდესაც კონტროლის პალატის თავმჯდომარე ვიყავი. ერთ-ერთ ოჯახში, სტუმარი მამაკაცი, სუფრასთან მსხდომ დანარჩენ სტუმრებს, მეც მათ შორის, გვიყვებოდა, როგორ მიუტანა რევაზ შავიშვილს წინა დღით ქრთამად ოცდაათი ათასი დოლარი... მერე კი, ისეთი პროცესები დაიწყო, თამადა იძულებული გახდა ბრძანება გაეცა: „ქალბატონებმა დატოვეთ სუფრა!“**

— მჩაგვრელი, ალბათ არა, დანარჩენი არ მახსოვს!

— **რატომ ჩაუთვალეთ საკუთარ თავს გაბედულებად ცოლის შერთვა?**

— იმ დიდი პასუხისმგებლობის აღების გამო, რაც ასეთ შემთხვევაში მამაკაცს ეკისრება.

— **რას საქმიანობდით პოლიტიკაში მოსვლამდე?**

— ვმუშაობდი გეოფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად, ვწერდი სამეცნიერო ნაშრომებს, ვიცავდი დისერტაციებს და ა.შ.

— **თქვენ იმ თაობის წარმომადგენელი ხართ, ღმერთის ძიება რომ მოუწია, თავად სად ეძებდით მას — ბიბლიაში, ეკლესიაში, საკუთარ თავში...**

— ყველგან და ყველაფერში, ცხოვრებაც სხვა არაფერია.

— **იპოვეთ?**

— (პაუზა) ვიპოვე, თუმცა სად, არ გეტყვით.

— **ბატონო რევაზ, როცა კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტი დატოვეთ, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ეს გააკეთეთ ერთი პოლიტიკოსის მიერ თქვენი მისამართით გამოთქმული უარყოფითი შეფასებით განაწყენებულმა...**

— არა, არა! ვიცი, რასაც გულისხმობთ. იმ პოლიტიკოსს, კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგომამდეც და გადადგომის შემდეგაც, ჩემი მისამართით, მხოლოდ დადებითი აზრი აქვს გამოთქმული. შეფასებაში კი, რომელზეც თქვენ საუბრობთ, გაკვრით გამოიხატა განაწყენება იმის გამო, რომ თავდაცვის მინისტრს გამოვესარჩლე. თუ გახსოვთ, უფრო ადრე, 96 წელსაც გადავდექი და ეს გაცილებით უფრო ხმაურიანი ამბავი იყო, თუმცა, ორი კვირის შემდეგ, უკან მომაბრუნეს. მანამდეც ვითხოვე გადადგომა მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე, მაგრამ ეს ფაქტი არ გახმაურებულა, რადგან პრეზიდენტს ასე სურდა.

— **რატომ მოგიხდათ ამდენჯერ გადაწყვეტილების მიღება გადადგომის თაობაზე, ზეწოლას განიცდიდით?**

— თავის დროზე კონტროლის პალატის თავმჯდომარეობა ერთი წლის ვადით მთხოვეს, საბოლოოდ ვადა რვა წელიწადს გაგრძელდა. ორგანიზაციული საქმე კი, რომელიც იქ შემეძლო მეკეთებინა, გაცილებით ადრე დავასრულე. კონტროლის პალატის მთავარი ფუნქცია დანაშაულის გამოვლენა და ამის შესახებ საზოგადოების ინფორმირებაა, ვფიქრობ, რომ ჩვენ ამას საკმაოდ კარგად ვაკეთებდით. დღეს, ხალხმა ზუსტად იცის, როგორ მოქმედებს მისი ხელისუფლება, საზოგადოებისათვის ასეთი ინფორმაციის მიწოდების ტრადიციას მაშინდელმა კონტროლის პალატამ დაუდო საფუძველი. თქვენ ზეწოლა ახსენეთ, არ მიყვარს, კულუარებში მომხდარი ამბების გახმაურება, მაგრამ ერთს გეტყვით — ყოველი დღე ჩემთვის იყო ინტრიგებისა და წინააღმდეგობების დაძლევის დღე! ქართული პოლიტიკის ისტორიაში — არც კომუნისტური მმართველობისა და არც დამოუკიდებლობის პერიოდში, ხელისუფლების არც ერთი წევრის მიმართ მთავრობას არ გაუკეთებია ისეთი მკაცრი განცხადება, როგორიც 1994 წელს, ჩემს წინააღმდეგ გააკეთა. მიზეზი? — ერთი საგაზეთო ინტერვიუ, რომელშიც ხმამაღლა განვაცხადე — ასეთი მთავრობა ერთ წელიწადში იაპონიასაც დაანგრევდა-მეთქი!

— **თუ წარმოვიდგენთ საქართველოს მინიმოდელს, როგორც დიდ, პატრიარქალურ ოჯახს, რომლის მახვშიც თქვენ იქნებოდით — რით დაიწყებდით, რა გზებით ეცდებოდით სილატაკის დაძლევას?**

— გავიმეორებ იმავე სიტყვებს, რაც 94-ში ვთქვი — ასეთი მთავრობა, ერთ წელიწადში იაპონიასაც დაანგრევდა.

— **დიახ, მაგრამ ჩემი დასმული კითხვის მიხედვით, თქვენ მახვში ხართ, ბატონო რევაზ, და ოჯახიც თქვენი გადასარჩენია!**

— არ მინდა მახვშობა! არ მინდა! მე ვიცი, რომ მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად არსებობს წამალი და ეს წამალი ხალხის თვითშეგნების გამოფხიზლება და ღირსების გრძნობის შეძენაა. ეს ყველაფერი აუცილებლად მოხდება და თანაც, გაცილებით უფრო მალე, ვიდრე გვგონია.

— **ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ არასოდეს არავისი კაცი არ ყოფილხართ და შესაბამისად, არც თავად გყავთ თქვენი კაცები, რომ გყავთ მეგობრები და თანამოაზრეები და „ვინც სხვაგვარად ფიქრობს, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს რა არის კაცი“. მაინც, რა არის კაცი?**

— ეს, იმდენად ფუნდამენტური ცნებაა, რომ განმარტება არ სჭირდება. აქედან გამომდინარე, კონკრეტული პასუხი იმის შესახებ, თუ რა არის კაცი, მე პირადად არა მაქვს, ისე კი, ილიას შემოქმედების გულდასმით წაკითხვას ვურჩევდი მათ, ვისაც ასეთ საკითხებში ორიენტირება უჭირთ.

— **არავის კაცი ხართ და არც თქვენი კაცები გყავთ ანუ „არც არავის ემონებით, არც ბატონობთ არავის“. ასეთი სულიერი მდგომარეობის მატარებელ ადამიანებს ძალაუფლების მწვერვალების დაპყრობა იშვიათად ან საერთოდ არ გამოსდით, არადა ამბობთ, ხელისუფლებისაკენ მეც ისევე ვისწრაფვი, როგორც მიხეილ სააკაშვილიო — წინააღმდეგობაში ხომ არ მოდიხართ საკუთარ თავთან, ეს ყველაფერი ალოგიკურად ხომ არ გეჩვენებათ?**

— მოდით, ასე გეტყვით — თქვენი თეზა, იმის თაობაზე, რომ ასეთ ადამიანებს ძალაუფლების მწვერვალების დაპყრობა არ გამოსდით, ჩემს შემთხვევაში, ფაქტით არის გაბათილებული, იმიტომ, რომ მე ძალაუფლების მწვერვალზე უკვე ვიყავი, საკმაოდ დიდხანსაც და იგი საკუთარი სურვილით დავტოვე. მერწმუნეთ, იქიდან გაცილებით მაღალი მწვერვალის დაპყრობაც უფრო ადვილი იყო, თუმცა ასეთი ლტოლვა არ მქონია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკას თავს დავანებებ! როცა პარტია იქმნება, მისთვის კარდინალური საკითხი ხელისუფლებისთვის ბრძოლაა. თუ საზოგადოებას კარგად გავაგებინებთ, რაც გვინდა და თუ სიმართლეა ის, რასაც ჩვენ ვიტყვით, მწვერვალების დაპყრობასაც წინ არაფერი დაუდგება.

— **რას ჰპირდებით სამომავლოდ თქვენს შვილსა და მის თაობას?**

— არ მიყვარს ბანალურობა!

— **გინდათ თქვათ, რომ ბანალური კითხვა დაგისვით?**

— (პაუზა) არა, ჩემი შესაძლო პასუხი იქნება ბანალური.

— **გმადლობთ, შეღავათები საჭირო არ არის, რადგან ვფიქრობ, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მიუხედავად იმისა, როგორადაც არ უნდა გამოიყურებოდეს იგი, თითოეული პოლიტიკოსის ვალია!**

— მხოლოდ ერთი რამ შემიძლია დავპირდე ჩემს შვილსა და მის თაობას — ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, მათ არ იგრძნონ, რომ ჩემი შემდგომი თაობა არიან.

— **ამბობენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცით...**

— ვიცოდი ოდესღაც, ბავშვობაში. რუსთაველის დაბადების 800 წლის იუბილე რომ ჩატარდა, 11 წლისა ვიყავი, იმ დროისათვის უკვე შემეძლო ნებისმიერი დაწყებული სტროფის გაგრძელება, თუმცა ამაში საამაყოს ვერაფერს ვხედავ. ამ ასაკში ხომ ეს მხოლოდ მექანიკური დაზუთხვა იყო. პიროვნება, ვინც პოემის დაზეპირება მირჩია, დღესაც ძალიან მიყვარს და ჩემს მასწავლებლად ვთვლი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ცუდად მოიქცა — არ შეიძლება ბავშვს დააზეპირებინო ის, რის არსშიც ბოლომდე წვდომა ჯერ არ შეუძლია. გარკვეული მონაკვეთების გამეორება „ვეფხისტყაოსნიდან“ დღემდე მჩვევია, ოღონდ, მხოლოდ სიმთვრალეში.

— **უფრო ხშირად რომელ მონაკვეთს იმეორებთ?**

— ბევრს, კონკრეტულად ვერ გამოვყოფდი, თუმცა კაცობის არსის არმცოდნეებს „ანდერძის“ კითხვას ვურჩევ.

— **დაასახელეთ საქართველოს წარსულიდან რომელ პოლიტიკოსთან თანამშრომლობას ისურვებდით.**

— ვერ გეტყვით, უფრო სწორად, არ გეტყვით — თანამშრომლობას ვერ ვკადრებ მას, ვისაც ამ შემთხვევაში მოვიაზრებ.

— **ქალი ბოლო ასწლეულიდან, რომელიც მოგწონთ.**

— ჟაკლინ ბისე!

— **თქმულება რევაზ შავიშვილზე.**

— მას სახლში, ბროლის უნიტაზი აქვს! — მაპატიეთ თემისთვის.

— **მუშტი-კრივის შემთხვევები თუ გქონიათ?**

— რამდენიც გნებავთ (პაუზა). როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, ბოლოს ეს მაშინ მოხდა, როდესაც კონტროლის პალატის თავმჯდომარე ვიყავი. ერთ-ერთ ოჯახში, სტუმარი მამაკაცი, სუფრასთან მსხდომ დანარჩენ სტუმრებს, მეც მათ შორის, გვიყვებოდა, როგორ მიუტანა რევაზ შავიშვილს წინა დღით ქრთამად ოცდაათი ათასი დოლარი — ნუ დაუჯერებთ მითებს, თითქოს შავიშვილი ხოცავს მათ, ვინც ფულის შეთავაზებას გაუბედავს, როგორც ხედავთ, ცოცხალი და საღ-სალამათი ვარ, ამ კაცმა ფულიც აიღო და საქმეც გააკეთაო... მის გარდა, იქ მყოფთაგან, უცნობი არავისთვის ვყოფილვარ, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი, ისეთი პროცესები დაიწყო, თამადა იძულებული გახდა ბრძანება გაეცა: „ქალბატონებმა დატოვეთ სუფრა!“

— **არსებობს თუ არა კითხვები, რომლებიც გსურთ, რომ ჟურნალისტებმა დაგისვან, მაგრამ რატომღაც ჯერ ეს არ გაუკეთებიათ?**

— დიახ, არსებობს! მაგრამ თქვენს დღევანდელ კითხვებში ასეთი ნამდვილად იყო!

— **კონკრეტულად?**

— კონკრეტულად კითხვა, რომელმაც მოითხოვა პასუხად მეთქვა — მე ჟაკლინ ბისე მომწონს!

*როცა „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნე, ერთ დროს ქვეყნის პირველი მაკონტროლებელი გეუბნებათ — არ მახსოვსო, დანამდვილებით უნდა იცოდეთ, რომ კონკრეტული ფაქტი თუ მოვლენა, რომლის შესახებაც ამ წუთში საუბრობთ, ყველა დანარჩენზე უკეთ ახსოვს!*

*როცა ის ხმადაბლა, გაბმით იცინის (რაც ხშირად ხდება), გირჩევთ, ყური კარგად მიუგდოთ — ამ დროს სივრცეში უამრავი ინფორმაცია იფრქვევა!*

*როცა მისგან ინტერვიუს აღებას გადაწყვეტთ (კოლეგების გასაგონად ვამბობ), უმჯობესია, დიქტოფონი შინ დატოვოთ, ასეთ შემთხვევაში, თქვენს კითხვებზე გაცილებით გულწრფელ პასუხებს მიიღებთ და შესაძლოა ისეთი ინფორმაციაც მოიპოვოთ, რომელზეც ხმის ჩამწერით ხელში, ვერც იოცნებებდით. აი, მაგალითად — ბატონმა შავიშვილმა, კითხვის ქვემოთ — „მუშტი-კრივის შემთხვევები თუ გქონდათ?“ ფრაზა — „რამდენიც გნებავთ“ საკუთარი ავტოკალმით მიაწერა, მაგრამ გაცილებით უფრო საინტერესო აღმოჩნდა ზეპირი განმარტება ამ საკითხის ირგვლივ: „არათუ შემთხვევები მქონია — მუშტი-კრივი ჩემი პროფესიაა! ქუჩაში გავიზარდე და ასეთი ამბებისგან თავი არასოდეს დამიძვრენია. საჭიროების შემთხვევაში, დღესაც იმავეს გაკეთება შემიძლია“.*

*P.S. გასულ კვირაში, თბილისში კიდევ ერთი ახალი პარტიის პრეზენტაცია შედგა. ნეოლიბერალური პარტიის სიაში თანამოაზრეთა შორის, თავმდაბლობიდან გამომდინარე, ბატონი რეზოს გვარი ბოლოშია.*

**ნათელა თუთისანი**


## ძველაღმოსავლური მკურნალობის მეთოდები XXI საუკუნის მედიცინაში

როგორც ცნობილია, ყველაფერი ახალი-კარგად დავიწყებული ძველია. ეს გამონათქვამი არც მედიცინისათვის არის უცხო. მკურნალობის მეთოდები, რომლებითაც თანამედროვე ექიმები სარგებლობენ, ხშირად, 4000-5000 წელს ითვლიან. უძველესი აღმოსავლური მედიცინის დახმარებით, ჩვენი წინაპრები ურთულეს დაავადებებს კურნავდნენ. დღეს, მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები ცდილობენ და არცთუ ისე უშედეგოდ,ააღორძინონ მკურნალობის უძველესი მეთოდიკა.

რეფლექსოთერაპია თითქმის ერთადერთი მეთოდია მედიცინაში, რომელიც წარმოიშვა მრავალი საუკუნის წინ და დღესაც, პირვანდელი სახით გამოიყენება. მისი სახესხვაობაა აკუპუნქტურა და წარმოადგენს ყველაზე უძველეს სამკურნალო საშუალებას არატრადიციულ მედიცინაში.

აკუპუნქტურა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმდინარეობაა ძველაღმოსავლურ მედიცინაში. ძველი ჩინეთისა და ინდოეთის მეცნიერთა წარმოსახვით, ადამიანი სამყაროს მინიატურას ანუ მიკროკოსმოსს წარმოადგენს,. ამიტომ უძველესი წარმოდგენა მთლიანი ორგანიზმის ფუნქციებზე დამყარებული იყო მასში არსებულ ფუნქციონალურ და სულიერ საწყისებზე.

აკუპუნქტურის მეთოდი გულისხმობს მკურნალობას ჩინური ნემსებით, გრძელი და წვრილი წვერით. წვერი შეიძლება იყოს ოქროს, ვერცხლის ან ფოლადის. ჩხვლეტა ხდება ბიოლოგიურად აქტიურ ე. წ. აკუპუნქტურულ, ჩინურ წერტილებში. პროცედურის დროს ან შემდგომ, ტარდება მოწვა, ანუ წერტილების გახურება ცალ-ცალკე, ე.წ. აბზინდის სიგარის საშუალებით. აკუპუნქტურა და მოწვა ორგანიზმში იწვევს გენერალიზებულ რეაქციას და ატარებს „ადაპტაციის რეაქციის” ხასიათს.

მეცნიერული მონაცემების საფუძველზე დადგენილია რეფლექსოთერაპიის, კერძოდ კი, აკუპუნქტურის მაღალი სამკურნალო ეფექტი შემდეგი მიმართულებით: 1. ტკივილგამაყუჩებელი, 2. ვეგეტატურ-ენდოკრინული ფუნქციის გაუმჯობესება, 3. სისხლის მიმოქცევის და ორგანოების მიკროცირკულაციის გაუმჯობესება, 4. არტერიული წნევის ნორმალიზაცია, 5. ანტისპასტიკური მოქმედება, 6. თავის ტვინისა და გულის ფუნქციის ნორმალიზაცია, 7. რეაბილიტაცია ქიმიოთერაპიის შემდგომ, 8. კუჭ-ნაწლავის დაავადებათა მკურნალობა, 9. ართრიტის, ართროზის, სქოლიოზის, ოსტეოქონდროზის და სხვა რევმატული დაავადებების მკურნალობა; ფაქტიურად, აკუპუნქტურის შესაძლებლობები თითქმის ამოუწურავია.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი” დანერგილია მრავალი დაავადების მკურნალობა კომპლექსური თერაპიის გზით. თანამედროვე, კლასიკური მედიცინის მეთოდები შერწყმულია ძველაღმოსავლური მკურნალობის მეთოდიკასთან. მნიშვნელოვან, დადებით ეფექტს იძლევა აკუპუნქტურა, მოწვა, წერტილოვანი ჩინური მასაჟი, აურიკულოაკუპუნქტურა, „სუ-ჯოკ” — აკუპუნქტურა და სხვა. ამგვარი მიდგომა პრობლემისადმი ყველაზე ეფექტური გზაა ქიმიური მედიკამენტების მიღების შესამცირებლად. სამედიცინო ცენტრში გამოიყენება ფიზიოთერაპია, კვანტური, ლაზერული, მაგნიტური, ფოტოთერაპია, ელექტროფორეზი და სხვა. ორიგინალური, ექსკლუზიური პრეპარატები ისრაელიდან, ძველი ჩინეთის მეთოდიკა თანამედროვე ინტერპრეტაციაში, უახლესი პრეპარატები და ტექნოლოგიები მთლიანობაში ქმნიან მკურნალობის ძლიერ, დადებით ეფექტს.

მათთვის, ვინც უკვე უზომოდ გადაიღალა მუდმივი, მედიკამენტოზური მკურნალობითა და ქირურგიული ჩარევით, არსებობს საშუალება, გადაწყვიტოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების უდიდესი ნაწილი უნიკალური, ძველაღმოსავლური მედიცინის დახმარებით. მედიცინის, რომლის მეთოდიკა და შესაძლებლობანი დღესაც უზომო განცვიფრებას იწვევს.

**სამედიცინო ცენტრი „ექიმი გ ილი“**

**ტ: 29-05-25 25-27-09**

# ძაღლი შინ არ ვარგოდაო...



წინა კვირას რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ბრძანა, — საქართველოს პრეზიდენტი მოლა ომარისგან არაფრით განსხვავდებაო.

რუსეთმა საქართველო სამი წლის წინ, ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებისთანავე ამოიჩემა, მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანას ათასობით ლტოლვილმა შეაფარა თავი. ამბობენ, მათ შორის მებრძოლებიც იყვნენო.

იმის მაგივრად, ჩეჩენი ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტ ასლან მასხადოვთან მშვიდობიანი მოლაპარაკება გაემართა, რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს მოუღერა თოფი. თუმცა საქართველოს ყელში გაჩხერის მიზეზი ამ ქვეყანაში ჩეჩენ მებრძოლთა ყოფნა სულაც არ გახლავთ. თავიდათავი ის არის, რომ შევარდნაძემ ნატოში შესვლა განიზრახა. რუსეთს კუდი იმანაც აუწვა, რომ შევარდნაძე შუა აზიისა და შავი ზღვის დამაკავშირებელი ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების ცერემონიალში მონაწილეობდა. ეს მილსადენი რუსეთს მილიარდობით დოლარსართმევს. „ბევრს ჰგონია, თუ საქართველო აირევ-დაირევა, ნავთობი ჩვენს ტერიტორიაზე გაივლის“, — ამბობს პოლიტოლოგი ბორის კარგალიცკი.

ნუთუ რუსეთი მარტოოდენ ყეფით არ დაკმაყოფილდება და პანკისის ხეობას და საქართველოს სხვა დასახლებულ პუნქტებში ჯარებს დაგზავნის?..

სამხედრო ექსპერტ პაულ ფელგენჰაუერს ეს სამხედრო ისტერია სისულელე ჰგონია: „მოსკოვს გააჩნია ბირთვული იარაღი, საბრძოლო თვითმფრინავები და 2 მლნ-ზე მეტი ჯარისკაცი, მაგრამ წესიერი ქვეითი ჯარი არა ჰყავს. ამიტომ ისღა დარჩენია, დიდი სიმაღლიდან დაბომბოს საქართველო, როგორც ეს უკვე წინა თვეში გააკეთა“.

მოსკოვის სტრატეგიული კვლევის ცენტრის თანამშრომელი ანდრეი პიონტკოვსკი ამას წინათ ამბობდა, — ჩვენი მთავრობაც კი არ ჩაიდენს ისეთ სიბრიყვეს, როგორიც არის საქართველოსთან ომიო, მაგრამ ახლა ოპტიმისტური განწყობა გაუქრა: — კრემლმა პროპაგანდისტული სამხედრო მანქანა აამუშავა, რომელსაც ვეღარ გააჩერებენ და ვაითუ მასშტაბური დაბომბვა მინიმალური იყოს იმასთან შედარებით, რაც შეიძლება მოხდესო.

შეიძლება კრემლს გულში ავი უდევს: დაჟინებით ეუბნება უარს საქართველოს პანკისის ხეობაში დამკვირვებლების გაგზავნის თაობაზე და თან რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი „პრევენტული დარტყმებით“ იმუქრება. რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე 20-45 კმ ფართის უსაფრთხოების ზონის შექმნას ითხოვს, მაგრამ ვინ უნდა უზრუნველყოს ამ ზონის უსაფრთხოება, ამაზე ივანოვი კრინტს არ სძრავს.

***ფრანკფურტ რუნდშაი***

# სამი წელია საკუთარ თავს ვანადგურებთ...

სულ უფრო აშკარა ხდება, რომ ჩეჩნეთის პრობლემას მხოლოდ მოლაპარაკება უშველის.. არადა კრემლი მოლაპარაკებობანას თამაშობს, გონიერი პოლიტიკოსები კი დიალოგის გამართვას ცდილობენ. ამას წინათ ციურიხში ასლან მასხადოვის წარმომადგენელს აჰმედ ზაკაევს შეხვდა რუსეთის პირველი დუმის სპიკერი **ივან რიბკინი**. ის დამოუკიდებელი პოლიტიკოსი გახლავთ და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობს. ცოტა ხნის წინ საქართველოს პრეზიდენტმა და რიბკინმა ხანგრძლივად ისაუბრეს მრავალ საჭირბოროტო საკითხზე.

— რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებით ქართველმა პარლამენტარებმა მიმიწვიეს. შევხვდი ფრაქციების ხელმძღვანელებს, საგარეო საქმეთა მინისტრს, დიდხანს ვესაუბრე ედუარდ შევარდნაძეს. ოფიციალურმა პროპაგანდამ ხმა გაავრცელა, საქართველო რუსეთის ჯარებს თავის ტერიტორიაზე, პანკისზე, გავლის უფლებას არ აძლევს, რომ ჩეჩენ მებრძოლებს ზურგიდან დასცხონო. ეს მტკიცება გეოგრაფიის სრულ უცოდინარობაზე მეტყველებს. ჩეჩნეთის სამხრეთი საზღვარი კავკასიის მთავარ ქედზე გადის. ამ ხეობის გავლა მხოლოდ ფეხითაა შესაძლებელი, ტვირთი კი სახედარს უნდა აჰკიდო; და რა საბრძოლო ტექნიკის გავლასა და ზურგიდან დარტყმაზეა ლაპარაკი? ეს სრული სიცრუეა. პანკისის ხეობაში უკვე ასი წელია ცხოვრობენ ქისტები. იქ რუსის ჯარის გამოჩენას ცხადია, ომი მოჰყვება. რასაკვირველია, საქართველოს ეს არ უნდა.

ჩეჩენ მებრძოლებს, სანამ სხვის ტერიტორიებზე მოხვდებოდნენ, საკუთარი საზღვარი უნდა გადაელახათ. ვერ შევაკავეთ. ვის უნდა დავდოთ ბრალი?

**— ბევრი გააკვირვა და გაალიზიანა საქართველოს ლიდერის მიერ გელაევზე ნათქვამმა — „ინტელიგენტი ადამიანიაო“...**

— საქმეში ჩახედულებმა იციან, რომ გელაევმა, ბასაევმა და ბევრმა სხვა საველე მეთაურმა საბრძოლო ნათლობა პოდმოსკოვიეს სასწავლო ბაზებში მიიღეს, მერე რუსეთის თაოსნობით, აფხაზ სეპარატისტებთან ერთად იბრძოდნენ საქართველოს მთლიანობის წინააღმდეგ. ახლა ისინი რუსეთის მტრები არიან. ამგვარი დომხალი ვის არ დაახვევდა თავბრუს?..

საერთოდ, საქართველოსთან კონფლიქტი ჩეჩნეთში მარცხის დასაფარავადაა მოგონილი. საჭიროა ჩეჩნეთთან მოლაპარაკების დაწყება. ვარიანტი ბევრია. ციურიხში მე და აჰმედ ზაკაევმა შევიმუშავეთ კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი ვარიანტი, რომლის შესახებაც მაინტერესებდა ედუარდ შევარდნაძის აზრი და თუ ის მოიწონებდა, მისთვის შუამავლობა მეთხოვა. მან მოიწონა ჩვენი გეგმა და თუ რუსეთის



მთავრობა სთხოვს, მზად არის შუაკაცობა იკისროს..

**— ეს ხომ არარეალურია, რასაკვირველია, არ სთხოვენ.**

— საუბედუროდ, მართალი ბრძანდებით. არადა, საქართველოს ლიდერი ამიერკავკასიაში ავტორიტეტით სარგებლობს და როგორც ამიერკავკასიის სხვა ლიდერებს, დიდი გავლენა აქვს ჩეჩნეთში.

მათ გარეშე მშვიდობა აქ არ გადაწყდება. ელცინს ეს მშვენივრად ესმოდა და ამიტომაც ატარებდა კისლოვოდსკის შეხვედრებს. თუ სერიოზულად ვიფიქრებთ მშვიდობაზე, ეს შეხვედრები უნდა განახლდეს.

კრემლის მთავარი შეცდომა ისაა, რომ ჩეჩნურ წინააღმდეგობას აფასებს, როგორც საერთაშორისო ტერორიზმს. დიახ, ტერორისტებიც ბევრია იქ, მაგრამ მთავარი მამოძრავებელი სეპარატიზმია და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. დროა ყველაფერი თავიდან შეფასდეს. პრეზიდენტმა გარემოცვა უნდა შეიცვალოს, სისხლში გასვრილები უნდა ჩამოიცილოს. მოვლენების შეჯამების დრო დადგა და საქართველოსთან დაკავშირებული არავითარი ავანტიურა არ გვიშველის...

***ამონაწერი ინტერვიუდან***
***ნოვიე იზვესტია №170***

# როგორ მოხვდნენ ჩეჩენი მეომრები საქართველოში

***რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვისა და გენერალური შტაბის უფროსის ანატოლი კვაშნინის უხეში გამოხდომები საქართველოს წინააღმდეგ, იძულებულს გვხდის, კიდევ ერთხელ გავახსენოთ მკითხველს და უმაღლეს მთავარსარდალს, თუ როგორ ახერხებდნენ მებრძოლები რუსეთის ტერიტორიიდან საქართველოში და სხვა სახელმწიფოებში გადასვლას.***



დღემდე რუსეთის მთელ ტერიტორიაზე რუსეთის პასპორტებთან ერთად საბჭოთა პასპორტიც მოქმედებს. ჩეჩნეთში ზავგაევის დროს (1995-1996 წწ) და ბოევიკების ხელში მმართველობის აღების შემდეგაც (1997-1999 წწ) რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო ამარაგებდა ჩეჩნეთს საბჭოთა პასპორტებით. ერთდროულად მოქმედებდა იჩქერიის მგლისსახოვანი და ჩეჩნურწარწერიანი პასპორტებიც. მაგრამ ყველა ჩეჩენს საბჭოთა დოკუმენტი ერჩია. ეს კი ქრთამის — 100 დოლარის — გარეშე შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ, ბანდიტები სულ სხვადასხვა გვარებით ყიდულობდნენ პასპორტებს. მაგალითად, ადამიანთა გამტაცებელ სავლადი აბდრაზაკოვს ხალილოვის სახელზე ჰქონდა პასპორტი და მშვიდად დასეირნობდა რუსეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში.

რამდენიმე პასპორტი ჰქონდა სხვადასხვა გვარით — ბანდიტ ჰუსეინ ესებაევს. 2000 წლის ზამთარში სწორედ რუსეთის შსს-ს თანამშრომლებმა, რასაკვირველია, საზღაურის ფასად, გადაიყვანეს ის საქართველოში.

წელს, მარტში, პანკისის ხეობაში შევხვდი ჰუსეინ ესებაევს. როგორც ჩეჩნეთში, აქაც ტყვეებით ვაჭრობდა. ერთი თვის წინ დაღუპულა რუსეთის მესაზღვრეებთან შეტაკებისას.

ვოლგოდონსკის აფეთქებების ინიციატორს ადამ დეკუშევს ოთხი პასპორტი აქვს. ყველა საბჭოური და ჩეჩნეთში გაცემული. რუსეთის შსს-ს საპასპორტო სამსახური უხვად გზავნიდა იჩქერიაში პასპორტებს და მათ გაცემას არ აკონტროლებდა. ასეთივე ხერხით იღებდნენ საზღვარგარეთის პასპორტებსაც.

ცნობილია, რომ 2000 წელს, ფედერალურ ჯარებთან შეტაკებისას დაჭრილი იჩქერიის უშიშროების მდივანი დოკუ უმაროვი ნალჩიკში მკურნალობდა. აქ მას მფარველობდა ჩრდილო კავკასიის „რუბოპი“ და იჩქერიის „გუბოპი“. შემდგომში ისიც მათვე გაამგზავრეს საქართველოში.

დღეს დოკუ უმაროვის ბანდფორმირებები ტერაქტებს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე აწყობენ.

ფაქტები მოწმობენ, რომ რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები ხელს უწყობდნენ ბოევიკების საქართველოში გადასვლას. ამას შეიძლება დაემატოს ისიც, რომ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური რუსლან გელაევთან და დოკუ უმაროვთან მოსალაპარაკებლად საქართველოში ჩეჩენ საიდუმლო აგენტებს გზავნიდა და ამის შესახებ საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა არაფერი იცოდნენ.

***ვიაჩესლავ იზმაილოვი,***
***სამხედრო მიმომხილველი***
***ნოვაია გაზეტა №70***

# ტერორისტების „მოაგარაკეობა“ უნდა დამთავრდეს

რუსეთის დუმის თავმჯდომარე გენადი სელეზნიოვი ბობოქრობდა ინგუშეთში ჩეჩენ მებრძოლთა ჯგუფის შესვლის გამო — ახლაც იტყვის შევარდნაძე, ჩვენთან ბანდიტები არ არიანო? მისი აზრით, ბანდიტები ორივ კუთხიდან (საქართველოდანაც და რუსეთიდანაც) მარწუხებში უნდა მოაქციო. ვინც ტყვედ ჩაბარდება — ჩაბარდეს, დანარჩენი უნდა ამოჟლიტო. დროა გათავდეს საქართველოში მათი მოაგარაკეობაო.

სელეზნიოვს იმედი აქვს, რუსები ამ ბანდიდან ცოცხალს არავის გაუშვებენ. მაგრამ ეს ხომ უკანასკნელი ბანდა არ არის, რომელიც საქართველოში ჩაბუდებულა. ამიტომ საჭიროა თბილისში დაიხუროს იჩქერიის ყველა ორგანიზაცია და პუნქტი, უნდა შემოწმდეს, ვინ მოეწყო იქ თბილად, მოიშალოს მათი საზღვრისპირა დასასვენებელი ბაზებიო.

სელეზნიოვი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას სთავაზობს, ჯერ საქართველოში გაისეირნოს, საკუთარი თვალით ნახოს ყველაფერი და მერე მიიღოს რეზოლუციები.

***რია ნოვოსტი***

## მოკლედ

— ინგუშეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო არ გამორიცხავს, რომ გალაშკის რაიონში ბლოკირებულ ბოევიკებს შორის იყოს ჩეჩენი საველე მეთაური რუსლან გელაევი.

— სოფელ გალაშკიში დაღუპული დიდი ბრიტანეთის მოქალაქე სკოტ ჰერვეის როდერიგ ჯონი იყო პროფესიონალი ჟურნალისტი და საქართველოს ტერიტორიაზე შესვლის ვიზა კანონიერად ჰქონდა მიღებული.

როგორც ლონდონის ტელეარხის „ფრონტის ხაზის ახალი ამბების“ ჟურნალისტი რობერტ ადამსი ამბობს, მათი კორესპონდენტი როდი სკოტი (ასე ეძახდნენ კოლეგები) იმ რეგიონში დოკუმენტურ ფილმზე მუშაობდა.

— სომხეთი მზად არის იკისროს შუამავლობა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის მოსაგვარებლად. ამის შესახებ სომხეთის პარლამენტში განცხადება გააკეთა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვარდან ასკანიანმა. მისი თქმით, თუ ურთიერთობის დაძაბვა ამ ორ სახელმწიფოს შორის საბრძოლო მოქმედებაში გადავა, დაზარალდება სომხეთი. ასკანიანს იმედი აქვს, რომ კიშინიოვის სამიტზე რუსეთისა და საქართველოს პრობლემას მშვიდობიანი გზით გადაწყვეტენ.

# სვლა ელჩით

ჯერჯერობით ოფიციალური წყაროები არაფერს ამბობენ რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩრდილოეთ ამერიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ვლადიმირ ირაკლიევიჩ ჩხიკვიშვილის საქართველოში რუსეთის ელჩად დანიშვნის თაობაზე.

მიუხედავად ამისა, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წყაროები იტყობინებიან ჩხიკვიშვილისა და პუტინის შეხვედრისა და მიღებული თანხმობის შესახებ. თუ ეს ხმები დამტკიცდა, ვლადიმირ ირაკლიევიჩი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ახლახან რუსეთის ამჟამინდელი ელჩი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოიძახეს და უსაყვედურეს საქართველოს ტერიტორიის დაბომბვის გამო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუს დიპლომატ ჩხიკვიშვილს, ქართველი ერის კეთილშობილი საგვარეულოს წარმომადგენელ ჩხიკვიშვილთან ქიშპობა მოუწევს. მისი ნათესავები ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდნენ რუსეთ-საქართველოს მეგობრობას, რომელიც ასე იოლად დავივიწყეთ. მამამისი, ირაკლი ჩხიკვიშვილი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მთავარი რედაქტორი იყო, ბიძამისი, საბჭოთა კავშირის გმირი დავით ჩხიკვიშვილი დიდ სამამულო ომში მამაცურად იბრძოდა მოსკოვის გადასარჩენად, მოგვიანებით კი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გახდა.

რას იფიქრებდა ვლადიმირ ჩხიკვიშვილი, თუ მისი ბედის ბორბალი ასე დატრიალდებოდა — მთელი თავისი დიპლომატიური კარიერის მანძილზე დასავლეთის ქვეყნებში მუშაობდა.

იმასაც ამბობენ, მას ნიდერლანდების ელჩობას უპირებდნენო. და უცებ... თუმცა ჩხიკვიშვილისთვის მოულოდნელი არ არის ამგვარ საპასუხისმგებლო, „ცხელ“ წერტილებში გაგზავნა. 90-იანი წლების ბოლოს იგი 8 თვე იყო აშშ-ში რუსეთის ფედერაციის დროებითი რწმუნებული, ანუ ნახევარ წელზე მეტ ხანს წარმოადგენდა რუსეთის ინტერესებს ყველაზე საპასუხისმგებლო დიპლომატიურ ადგილზე. ეტყობა, ახლა ასეთი ადგილი გახდა საქართველო.

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №37***


**AMERICAN ACADEMY IN TBILISI**

**The American Academy in Tbilisi is seeking candidates for teaching for the academic year 2003-2004. Openings are available for the following subjects: English, History, and Georgian. All candidates must take the Institutional TOEFL test and submit a CV, three letters of recommendation, and a statement of purpose as to why they are applying. Preferred candidates will be fluent in English, have advanced degrees in their subject, teaching experience (preferably in school), and computer literacy. Successful candidates will study for one year in U.S. before returning to teach. Applications are available from the school at 37A Cavchavadze Ave. (22 74 41, 22 78 89). Deadline for applying: October 21, 2002.**

**ამერიკული აკადემია თბილისში აცხადებს კონკურსს ქართულის, ინგლისურის და ისტორიის მასწავლებლის თანამდებობაზე 2003-2004 სასწავლო წლისთვის. კანდიდატებმა უნდა ჩააბარონ ინსტიტუციური TOEFL ტესტი (ტესტირება შედგება 15 ოქტომბერს), წარმოადგინონ რეზიუმე, ოფიციალური ტრანსკრიპტები, სამი სარეკომენდაციო წერილი, და ესსე, რომელშიც ახსნილი იქნება, თუ რატომ სურთ აკადემიაში მუშაობა. უპირატესობა მიენიჭება კანდიდატებს, რომლებიც კარგად ფლობენ ინგლისურს, აქვთ უმაღლესი განათლება შესაბამისი სპეციალობით, პედაგოგიური გამოცდილება (სასურველია სკოლის მასწავლებლის) და გააჩნიათ კომპიუტერთან მუშაობის ჩვევები. წარმატებული კანდიდატები გაივლიან ერთწლიან მომზადებას აშშ-ში. მსურველებმა მოგვმართეთ მისამართზე: ჭავჭავაძის 37ა ☎ 22 74 41; 22 78 89.**

**საბუთების მიღების ბოლო ვადაა 21 ოქტომბერი, 2002წ.**

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიითხრობენ

**6 წლის ლაშა ვარაზაშვილი** დედას მიჰყავს სკოლაში, გზაზე შეხვდათ ერთი დარბაისელი კაცი. დედა ეუბნება:

შვილო, ეგ ძია ძალიან კარგი კაცია, თურმე სულ ხუთებზე სწავლობდა, შენც ხუთებზე უნდა ისწავლო.

ლაშა გაჯიუტდა, — არ ვისწავლი ხუთებზე!

რატომ? — გაუკვირდა დედას.

— გუშინ მე და ბაბუას შემოგვხვდა ეს კაცი და ბაბუას გამოელაპარაკა. შემდეგ ბაბუამ თქვა, — დიდი უტვინო ვინმეაო. ხუთებზე რომ ვისწავლო, მეც ხომ უტვინო გამოვალ?

***

**3 წლის ნიტას** წამწამი ჩამოუვარდა ლოყაზე.

— წერილი თუ სიხარული? — ჰკითხა დაჩიმ.

— სიქალული, — აირჩია ნიტამ.

დაჩიმ წამწამი უბეში ჩაუგდო — სიხარული ჩაგიგდეო.

ნიტამ კაბა აიწია და უცებ ატირდა:

— ცალიელია, ალაფელი სიქალული ალ ალი.

***

**4 წლის ვაჩე მაკარიძე** ტელევიზორში ფილმს უყურებდა ვუპი გოლდბერგის მონაწილეობით. ერთგან ვუპის გმირმა თქვა, — არა მგონია, ჩემს მშობლებს ვუყვარდეო.

ვაჩემ ტუჩები აიბზუა და გაეპასუხა, — ასეთი მურიანი როგორ ეყვარებოდი!...

***

**პატარა მარი მაღრაძეს** დედამ ბურთების დახატვა სთხოვა.

— დედიკო, მე ხომ მრგვალს ვერ ვხატავ და უნდა დავაკვერცხო.

## იპოვე 11 განსხვავება



## I ანა, გამოიცანი

**1. რომელ მცენარეს მიმართავს ქართველი კაცი სიტყვებით: „შვილივით ნაზარდო"?**
ა) ვაშლს; ბ) ლიმონს; გ) ლობიოს; დ) ვაზს.

**2. სულხან-საბა ორბელიანის იგავის მიხედვით, რა მიართვა მეფეს ვეზირმა, როცა მეფემ მას უტკბესი და უმწარესი საჭმელი მოსთხოვა?**
ა) თაფლი; ბ) წიწაკა; გ) ენა; დ) ბოლოკი.

**3. რომელი მცენარე იზრდება ყველაზე სწრაფად?**
ა) ნაძვი; ბ) ევკალიპტი; გ) კაკალი; დ) მუხა.

**4) ანდაზის მიხედვით, რა არ გათეთრდება, „რაც უნდა ხეხო ქვიშითა"?**
ა) დაფა; ბ) შაშვი; გ) ყორანი; დ) კამეჩი.

მიიყვანე ძაღლი ძვალთან ქოხის გავლით



## II რებუსი






შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ მცენარეთა სამყაროს სახელს.

## III





იპოვე ნახატზე ქვემოთ მოცემული დეტალები

მოძებნე საფრთხობელა, რომელსაც პიჯაკზე სხვადასხვა ჯიბე აკერია, არ ახურავს ყვავილიანი ქუდი და საყელოზე ბაფთა უკეთია





იპოვე ორი ერთნაირი სავარძელი

## ქიავორდი

| „გამარჯობა, ჩემო თბილის ..." | „უდიპლომო ... " (მხ. ფილმი) | ბავშვთა გადამდები სახადი | „... კვამლი მაღალიო, მეც იმისი მაყარიო" | საქართველოს უგვირგვინო მეფე |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

| ადამიანის თავის ჩონჩხი | უწვერულვაშო მამაკაცი | ნოტი | ნახევრად ძვირფასი ქვა | ქალაქი კახეთში | მაფიის სამშობლო, კუნძული |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო"

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK

# გაგრა — ჩვენი დაკარგული სამოთხე

დასაწყისი იხ. „კვირის პალიტრა“ №38

მთელი ღამე გარეთ, რამდენიმე მეზობელთან ერთად გავატარე.

შემოდგომის სუსხი უკვე მოსძალებოდა ჰაერს... აივანზე შალმოხურულები ვისხედით და ხვალინდელ დღეზე ვლაპარაკობდით:

— ხვალ, ალბათ ახალი ძალებით შევუტევთ და ისევ ძველ პოზიციებზე გადავისვრით.

— ხვალ ყარყარაშვილიც აქ იქნება!

— შეიძლება უკვე ჩამოსულიცაა!..

— მაგარი ბრძოლები იქნება ხვალ!

ამ ბჭობაში ვიყავით, როდესაც ზღვიდან რაღაცამ გამოანათა და ჩაქრა. ორიოდე წუთში, ოდნავ მოშორებით იგივე განმეორდა. ღამით, ზღვაზე, რაიმეს გარჩევა შეუძლებელია, ამიტომ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გემიდან ან ნავიდან ისროდნენ ანთებულ მაშხალებს... ამ ფაქტმა შეგვაფიქრიანა, მაგრამ მისთვის მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ მიგვინიჭებია. შემდეგ შევიტყვეთ — აფხაზები ქალაქში სწორედ იმ ღამით შემოპარულან და წინასწარ შერჩეულ აფხაზთა სახლებში გამაგრებულან. ზღვიდან პერიოდული განათებები კი ამ სახლებში გამაგრებულ აფხაზთათვის ერთგვარი ნიშანი იყო, რადგან ქალაქზე შეტევა მტერს ზღვიდანაც უნდა განეხორციელებინა. გაგრა იმ ღამეს აფხაზებს ფაქტობრივად უკვე აღებული ჰქონიათ, ეს დილით ყველასთვის ნათელი გახდა.

გამთენიისას ქალაქში სიჩუმე ჩამოდგა. სულ მალე კი სროლები დაიწყო... აფხაზთა სნაიპერების სამიზნე რომ არ გავმხდარიყავით, შედარებით უსაფრთხო ადგილას გადასვლა გადავწყვიტეთ... ეზო-ეზო, „შავი გასასვლელებით“ საავადმყოფომდე მივაღწიეთ, ამასობაში ჩვენი სახლი უკვე აფხაზმა სნაიპერებმა დაიკავეს.

საავადმყოფოს მიმღებში საშინელი სურათი დაგვხვდა. საკაცეებზე დასვენებულ ბიჭებს მოჭრილი თავები გვერდზე ჰქონდათ მიწყობილი...

კიდევ კარგი, დაჭრილები, ღამით, განთიადში გადაუყვანიათ. მხოლოდ ერთი იწვა რეანიმაციულ განყოფილებაში სპეცაპარატზე მიერთებული (აფხაზებმა, როგორც კი საავადმყოფო აიღეს, ეს აპარატი მაშინვე გამორთეს, თურმე).

საავადმყოფოს თავშეფარებულებმა შიდაგასასვლელი ხიდით პოლიკლინიკაში გადავირბინეთ და ეზოში თავმოყრილი დაფოთლილჩაფხუტიანი და თავზე მწვანე ლენტშემოხვეული მეომრები შევნიშნეთ, პოლიკლინიკის გრძელი დერეფნის ბოლოში კი, გაგვიხარდა — აშკარად ჩვენები იყვნენ, ცარიელ კაბინეტებში რიგრიგობით რომ იხედებოდნენ.

— ბიჭებო, ქვემოთ ჩეჩნები არიან, იქით ნუ წახვალთ, — გავაფრთხილეთ მეომრები.

ერთ-ერთმა მათგანმა ამხედ-დამხედა და კბილებში გამოსცრა: „ტი შტო, დევოჩკა, ს ლუნი სვალილას?“

მოულოდნელობისგან ენა ჩამივარდა.

ცოტა რომ მოვსულიერდი და გონს მოვედი, გამახსენდა, რომ ჩანთაში ნამდვილი „ბომბი“ მედო — რედაქციისთვის გამზადებული მასალები. 1-ელ ოქტომბერს სკოლაში გადაღებული კასეტა და კიდევ ჩანაწერებით სავსე უბის წიგნაკი.



... კასეტიდან ლენტი ამოვიღე და, სხვა ყველაფერთან ერთად, ლაბორატორიის კედელს აყოლებულ, მოჭრილ მილში გადავმალე.

დამალვა მაინც ვერ შევძელით, „ძველმა ნაცნობებმა“ დაგვიჭირეს და პოლიკლინიკის მისაღებში, კედელთან ჩამოგვამწკრივეს. სულ ოთხნი იყვნენ, თავზე არაფერი ეხურათ და ამიტომაც ამერია ჩვენებში. ერთი მათგანი, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ „მთვარიდან ჩამოვარდნილი“ ვეგონე, ყველაზე მეტად აქტიურობდა.

აქცენტზე შევატყვე, აფხაზი იყო და სანამ დაკითხვას დაიწყებდა, იქით ვკითხე:

— შენ სადაური აფხაზი ხარ?

გაკვირვებით გამომხედა და დამცინავი ხმით დააყოლა:

— იმედი ნუ გაქვს, გაგრელი არ ვარ, ოჩამჩირელი ვარ, ასე რომ...

ოჩამჩირეში აფხაზზე გათხოვილი მამიდა და ჩემი ტოლი მამიდაშვილები მყავდა, რა თქმა უნდა, აფხაზები. ვიცოდი, ამას უნდა ჩავჭიდებოდი და ცოტა გათამამებულმა ვკითხე:

— თუ ოჩამჩირელი ხარ, გია და ვალერი ლაბახუები გეცოდინება...

— არ ვიცი, მე ტამიშში ვცხოვრობ! — კიდევ უფრო გაღიზიანებით მომიჭრა და ნიშნის მოგებით დაამატა:

— მერედა სად არიან ახლა შენი მამიდაშვილები, ვის მხარეს იბრძვიან?

— რა თქმა უნდა, აფხაზების მხარეს! — ვიცრუე. სინამდვილეში ისინი არც ერთ მხარეს არ იბრძოდნენ — ვერც ქართველს ესროდნენ ტყვიას და ვერც აფხაზს. მით უფრო, რომ, მართალია, თვითონ აფხაზები იყვნენ, მაგრამ მათი ბიძები (მამის ძმები) თავიდანვე ქართველებად იყვნენ ჩაწერილები და ქართული ოჯახები ჰქონდათ (მამიდაჩემის მეუღლემ სიტუაციიდან „გამოსავალს“ სწორედ მაშინ, ომის დროს „მიაგნო“ და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა).



— შენ თვითონ რა გვარი ხარ? — ცოტა მოლბა აფხაზი.

მე მეუღლის გვარი დავასახელე:

— გუნია, ჩვენ გუნიები ვართ...

უკვე ცხადზე ცხადი იყო, რომ იმ დღეს, ყველას, პოლიკლინიკის კედელთან „მიყენებულთ“, ღმერთი გვიფარავდა...

აფხაზმა ჩემი გვარის გაგონებაზე შემართული ავტომატი დაუშვა, სხვებსაც თვალით ანიშნა — შეჩერდითო, მერე მომიბრუნდა და ირონიული ღიმილით მითხრა:

— შენი ბედი, რომ გუნია ყოფილხარ, ჩემი ბიძის მოგვარე.

ჩვენს არყოფნაში კი საავადმყოფოში ასეთი რამ მომხდარა: მისაღებში გამგელებული აფხაზები, ჩეჩნები და კაზაკები შემოცვენილან, პალატებსა და კაბინეტებში შეყუჟული 22 ქართველი ექიმი და ექთანი ეზოში გამოუყვანიათ და ის იყო უნდა დაეხვრიტათ, რომ მთავარი ექიმი ვალენტინა ჩაჩბა, ფეხებში ჩავარდნია — გევედრებით, ამათ ნუ მომიკლავთ, ექიმები ხომ ჩვენც გამოგვადგებიანო...

## ხვალ გაგრაში „ძმათა სასაფლაო“ გაითხრება

...ქალაქის ქუჩებსა და ეზოებში გამართულ ხელჩართულ ბრძოლებში ბოლო ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ გაგრის რჩეული ბიჭები...

ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის დიდ ნაწილს, რომელმაც ქალაქიდან გასვლა ვერ მოასწრო, სიკვდილი გზაში დაეწია.

როგორც სასწრაფო დახმარების მძღოლები ამბობენ, ქუჩები მოფენილია დახოცილებით, რომელთათვისაც პირველი დიდი „ძმათა სასაფლაო“ გაითხრება... ჯერჯერობით, მხოლოდ... 320 კაცზე...

სულ მალე საავადმყოფოში აფხაზი, ჩეჩენი, კაზაკი, რუსი დაჭრილები მოჰყავთ... ბზიფისა და გუდაუთის ჰოსპიტლებიდან სასწრაფოდ ჩამოდიან აფხაზი ექიმები.

კიდევ კარგი, საავადმყოფოში ქართველ და აფხაზ ექიმთა შეხვედრას გაუგებრობა არ მოჰყოლია — ორივე მხარე ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული დარჩა.

## ჩემი „ახალი პროფესია“

მართალია, დილით საფრთხეს გადავურჩი, მაგრამ აქ დარჩენა მაინც საშიშია, მით უფრო, ქართველი ჟურნალისტისთვის.

ვალენტინა ჩაჩბამ რომ დამინახა, თვალებს არ დაუჯერა, — შენ აქ რა გინდაო, — გაკვირვებისგან კინაღამ იკივლა და პალატაში შემიყვანა:

— ხალათს, ქუდს და მარლის ნიღაბს გამოგიგზავნი, გადაიცვი, ვითომ აქ მუშაობ. რაღაცას მოვიფიქრებ და საქმეს გამოგიჩენო — მითხრა და წავიდა.

საღამო ხანს სამშობიაროში ექთანმა გული მეტრევულმა შემოჰყო თავი და მამცნო: კიბესთან შეიარაღებულმა აფხაზმა გიკითხაო. აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, საქვაბეში დავმალულიყავი თუ მთავარი ექიმისთვის მეთხოვა შველა. ისევ აფხაზთან შეხვედრა ვამჯობინე და გულიც თან გავიყოლე...

წვერმოშვებულ, თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩასმულ აფხაზში ჩვენი რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი აფხაზი ბესო ხაგუში ამოვიცანი.

ერთი ამოვისუნთქე, განვლილი დღეების საშინელებათა განცდამ ერთბაშად იფეთქა და ცრემლები ღვარად წამსკდა. ბესოს ჩემი დაწყნარება არც უცდია, ტირილით გული რომ ვიჯერე, თითქმის ბოლომდე ჩამწვარ სიგარეტს მეორე ღერი მოუკიდა და, როგორც იქნა, ხმა ამოიღო:

— ამ დილით, კოლხიდაში, ალიკა ფილია ხელში ჩამაკვდა!

ალიკაც ჩვენთან, რედაქციაში მუშაობდა, მაგრამ ახლა ბესოს ვერაფერი ვუთხარი... ვერ ვანუგეშე...

## აფხაზები ფსოუზე გადავიდნენ

საავადმყოფო 2 ოქტომბრიდან უკვე სამხედრო ჰოსპიტლად იწოდებოდა და ამის შემდეგ მეც ჰოსპიტლად მოვიხსენიებ.

... ჰოსპიტალში, როგორც ამას სამხედრო რეჟიმი მოითხოვს, იდეალური დისციპლინა და წესრიგია. შემოსასვლელში აფხაზი და ჩეჩენი მეომრების საათობრივი მორიგეობაა დაწესებული. აქ შემოსვლა მხოლოდ სპეციალური საშვითაა ნებადართული.

მორიგეობა ხშირად უწევს ერთ ჩეჩენ ქალს, რომელიც, თურმე, საუკეთესო სნაიპერი ყოფილა და რომელსაც საზღაურად აფხაზებისთვის გაგრაში ყველაზე ლამაზი და მდიდრული სახლი მოუთხოვია.

... განსაკუთრებული დისციპლინა და მობილიზება ჰოსპიტალში 5 ოქტომბერს, განთიადი-ლესელიძის აღების დღეს იგრძნობოდა. დაჭრილების მიღება დილიდანვე დაიწყო. შესასვლელში საკაცეები დაალაგეს, გამოიძახეს მთელი მედპერსონალი. სასწრაფო დახმარების მანქანების უკმარისობის გამო საავადმყოფოს გალავანთან ათამდე მსუბუქი მანქანა იდგა, რომელთაგან ერთს, გარკვევით ეწერა — „ჩეჩნია“.

... სისხლს, ძირითადად, ქალები აბარებენ, თუმცა, რიგში მეომრებიც დგანან. მედმუშაკი ლიანა ხინთიბიძე მიყვება, „უნდა გენახა აფხაზი ქალების სახეები. ჩვენს მეომრებს სისხლი არ მოაკლდეთო და მზად იყვნენ, ორივე ხელი გამოეშვირათ. ერთ დონორს სისხლის ხუთი ჩამბარებელი მოჰყავდა, იმ ხუთს — კიდევ ხუთი... სისხლს არააფხაზი მეომრებიც აბარებდნენ. როცა შევეკითხებოდი, რომელი ჯგუფის სისხლი გაქვთ-მეთქი, ბრაზობდნენ — მედალიონებზე მიგვითითებდნენ, სადაც პატრონის შესახებ ყველანაირი ინფორმაცია იყო ჩაწერილი. იმათ კი, ვისაც მედალიონები არ ეკეთათ, სისხლის შესახებ მონაცემები ხელზე ჰქონდათ ამოტვიფრული.

აფხაზებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ დღის ბოლოს თუ არა, მეორე დილით მაინც გავიდოდნენ ფსოუმდე. ჩვენ, ჰოსპიტალში მყოფ ქართველებს, რაღაცის იმედი კი შეგვრჩა, თუმცა, სასწრაფო დახმარების მანქანების ქართველი მძღოლები ამ მცირე იმედსაც გვიწურავენ.

... განთიადისას ჰოსპიტალში მოსალოდნელზე ნაკლები რაოდენობის დაჭრილები მოიყვანეს. როგორც ჩანს, ნაკლებ წინააღმდეგობას აწყდებიან, არადა, ჰოსპიტალში ხმები მოდიოდა, ქართველებმა განთიადის გზაზე ხიდები დანაღმესო.

მერედა, ვინ განაღმა ხიდები?

## ფატის „ლიმონკა“

ფატი სასწრაფოს ახალგაზრდა ექიმია, ლამაზი, სიცოცხლით სავსე. ჯინსზე ხალათი აცვია, ცალ მხარეს ოდნავ გადაზნექილი დადის — ირგვლივ ათასი ჯურის გადამთიელია და მათგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ჯიბიდან „ლიმონკას“ არ იშორებს.

შიშით ყველას გულები გვაქვს დახეთქილი და ამიტომ იშვიათად, სამშობიაროდან ვინმემ ცხვირი გამოყოს. ფატის კი დღეში ხუთჯერ ნემსის გასაკეთებლად მიეჩქარება. მზა შპრიციით შემოირბენს დაჭრილი აფხაზებითა და ჩეჩნებით გადაძეძგილ პალატებს. სინამდვილეში კი „დაზვერვაზეა“. ფატისგან ვიცი, რომ აფხაზ ექიმებს გაგრის აღების მერე საორდინატოროში დაწყებული ქეიფი ჯერაც არ დაუმთავრებიათ. ფატი მიყვება, როგორი კარგი კვება აქვთ დაჭრილებს. თუ გამოძახება აქვს და ქალაქშია გასასვლელი, მაშინ ხომ უამრავი ინფორმაცია მოაქვს მოკლულ, დარბეულ, სახლდამწვარ ქართველებზე, გაგრის ომში გამარჯვებით გადიდგულებულ აფხაზებზე.

... არასოდეს დამავიწყდება ფარდას ამოფარებული ფატის ჩუმი ტირილი, როდესაც ფსოუზე გასული აფხაზები გამარჯვების ზალპებს ისროდნენ... ფატი დაჭრილი თუ მის ხელში დაღუპული ბიჭების გამო ტიროდა.

## იქ ქართველებს კლავენ

გაგრაში აფხაზებისთვის ომი დამთავრდა. ე.წ. შავ სიაში ჩაწერილი იქ ჩარჩენილი ქართველებისთვის კი ეს ომი ყოველღამე გრძელდება.

... ძილი ჩვენთვის ფუფუნებაა, ამიტომ ვსხედვართ და მთელი ღამე სროლის ხმებს ვითვლით. ზოგი სულ ახლოდან ისმის, ზოგიც შორიდან — მძიმედ, ყრუდ!

... ეს ქართველებს კლავენ და ხმებსაც ამიტომ ვითვლით.

თითოეულ ჩვენგანს ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევის მისებური ვარიანტი აქვს. ზოგი ტყეტყე გაპარვაზე ფიქრობს, ზოგი, ჩემსავით, ვიღაცის იმედადაა, ზოგიც სასწრაფო მანქანით აპირებს საზღვარზე გადასვლას...

## ცხრადღიანი „მივლინების“ დასასრული

ვალენტინა ჩაჩბა მირჩევს, თავშესაფარი შევიცვალო, ქართველების შეხიზვნისთვის მას საფრთხე ემუქრება.

მეორე დილით ბესო მაკითხავს და საზღვრისკენ ვიღებთ გეზს. ბესოს გარდა მანქანაში მე და ფატი და რედაქციის კიდევ ორი თანამშრომელი ვსხედვართ.

უკან პატარა ავტობუსი მოგვყვება, სადაც კიდევ თხუთმეტამდე ქართველი ზის.

მანქანაში გაშეშებული ვზივარ და უაზროდ გავყურებ გარემოს.

ქუჩის განაპირას საჩვენებლად დაყენებული ქართული სამხედრო-საბრძოლო მანქანა მაღიზიანებს, რომელსაც დიდი მწვანე ასოებით აწერია: Спасибо Грузии за боевую технику!

საზღვარზე, რომელსაც აფხაზები დღეს უკვე რუსეთ-აფხაზეთის სახელმწიფო საზღვარს ეძახიან, აფხაზური დროშა ფრიალებს...

სანამ ბესო ჩვენი გაყვანის საქმეებს მოაგვარებდა წითურწვერებიან, კბილებამდე შეიარაღებულ აფხაზს ჩაგვაბარა (ყოფილა შემთხვევა, როცა საზღვრამდე მიყვანილი ქართველები იქვე, ფსოუს ხიდის ქვეშ დაუხვრეტიათ). წითურწვერიანმა შეგვათვალიერა, შემდეგ ვიღაცას დაუსტვინა და ხელით ანიშნა — მოდიო.

დაბალი, მამაკაცივით დაკუნთული კომუფლიაჟიანი ქალი მოგვიახლოვდა:

— საით გაგიწევიათ, მერცხლებო, თბილ ქვეყნებში? მერედა, ხომ იცით, რომ უკან ვეღარასოდეს დაბრუნდებით? — მკვეთრი აფხაზური აქცენტით წაუსისინა ქალმა და უშვერი სიტყვებიც ზედ მოაყოლა.

მოგვიანებით პასპორტები ვიღაც ჩეჩენმა შეგვიმოწმა და ისე, სხვათა შორის, თავის ქნევით ჩაილაპარაკა: „კაკიე მესტა ვი ასტავლიაიტე, კაკიე მესტა?“

შემდეგ, როცა ჩემი ქალაქი ვინ მოთვლის, რამდენჯერ ტკივილამდე მომნატრებია, ხშირად მიფიქრია იმ უცხოტომელ მესაზღვრეზე, რომელმაც გაგრა და მთელი მისი ზღაპრული სიდიადე პირველად სწორედ იმ შემოდგომით აღმოაჩინა.

**P.S.** „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ კორესპონდენტები დიმიტრი ხოლოდოვი და საშა მნაცაკანიანი ადლერის აეროპორტში გავიცანი. დაწვრილებით გამომკითხეს, რა სიტუაცია იყო გაგრაში, როგორ ექცეოდნენ ჟურნალისტებს და ა.შ.

— თქვენ არაფერს დაგიშავებენ, აფხაზები რუს ჟურნალისტებს დიდი პატივით ხვდებიან, — დავამშვიდე ისინი.

„მოსკოვსკი კომსომოლეცის“ ბიჭებმა თანამიგრძნეს, ტელეფონის ნომრები დამიტოვეს, თვითონ კი ფსოუს გამშვები პუნქტისკენ გაეშურნენ...

აფხაზეთი რუსი ჟურნალისტებისთვის ყარაბაღის, სამაჩაბლოსა და დნესტრისპირეთის შემდეგ, მეოთხე ცხელი წერტილი იყო პოსტსაბჭოურ სივრცეში, სადაც ისინი, მცირე გამონაკლისის გარდა, მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდნენ, ყველა ზემოჩამოთვლილ ომსა თუ კონფლიქტში გამარჯვებისთვის „იბრძოდნენ“, ანუ ყველგან და ყველაფერში, უხეშად რომ ვთქვათ, თავიანთ „რუსულ საქმეს“ აკეთებდნენ...

მუშაობის ამგვარ სტილს, როგორც ვიცით, დღესაც არ ღალატობენ რუსი ჟურნალისტები.

ჩვენ, ქართველ ჟურნალისტებს კი, ბევრი რამ გვეშლებოდა.

ომი და სიტყვის თავისუფლება ისე სწრაფად შემოვიდა ჩვენს ცნობიერებაში, რომ ჟურნალისტებმა ჯეროვნად ვერც აღვიქვით. ჭკუის დამრიგებელიც არავინ გამოგვჩენია და ჩვენც ისეთივე მოუმზადებლები შევხვდით ომს, როგორი მოუმზადებელიც თავად იყო — წესების, მეთოდებისა და ხერხების, ტაქტიკისა და სტრატეგიის გარეშე...

შედეგად ის მივიღეთ, რომ ომსაც და სიტყვასაც ძალიან გავუშინაურდით და მტერს ლამის პირდაპირ ყურში ჩავძახეთ: — გაგრაში ამა და ამ რაოდენობის ტექნიკა და ტყვია-წამალი გაიგზავნაო; დაჭრილი მეომრები ყოველდღე ვერტმფრენებით ჩამოჰყავთ თბილისშიო (შეგვეძლო აფრენა-დაფრენის დროც მიგვეთითებინა); საბრძოლო შტაბი სოფელ კოლხიდაში ამა და ამ შენობაშია გამაგრებულიო...

გამონაკლისს, რა თქმა უნდა, არც მე წარმოვადგენდი, თუმცა ბევრი ჩემი კოლეგისგან განსხვავებით, ერთი უპირატესობა მაინც მქონდა — ჩემ მიერ მომზადებულ ყველა მასალას ვიზას გაგრის სამხედრო კომენდატურასა და სახელმწიფო მეთაურის რწმუნებულის აპარატთან შექმნილი პრესსამსახურის ხელმძღვანელი, მეორე მსოფლიო ომის დროს, იმ რკინისებრი დისციპლინის ეპოქაში გამობრძმედილი პროფესიონალი, ალექსანდრე თოფურია აძლევდა.

ბატონი ალექსანდრესნაირი ბევრი რომ გვყოლოდა, ალბათ, მტრის წისქვილზეც არ დავასხამდით წყალს და რუსი ჟურნალისტებივით, სხვის ომში თუ არა, საკუთარ ომში მაინც გავაკეთებდით ყველა იარაღზე უფრო ბასრი იარაღით — სიტყვით გასაკეთებელ ქართულ საქმეს!

*ვენერა რურუა,*
*საქალაქო გაზეთის „გაგრის“ ყოფილი თანამშრომელი, ჟურნალისტი*

CMYK

**აგრესიულ ყოველდღიურობაში, პოლიტიკოსთა უსაგნო პაექრობათა შემყურე და ყოფითი პრობლემებით გადაღლილი მკითხველი, როგორც ჩანს, მაინც იცლის ლექსისთვის. გვეხმიანებიან და გვთხოვენ, „კვირის პალიტრის“ გვერდი ზოგჯერ ქართველ პოეტთა ნაცნობ და ახლობელ სტრიქონებს დავუთმოთ, რომ ასე მაინც შეძლონ ჭეშმარიტ პოეზიასთან შეხვედრა, რადგანაც ველარ იცლიან წიგნებისათვის, გაზეთში კი, მიმდინარე მოვლენების ანალიზის ფონზე გამომკრთალი ლექსის სტრიქონი მცირე ხნით მაინც დაგვავიწყებს მოძალებულ სატკივარს და...**
**პოეზიის ამ გვერდზე ყველასათვის საყვარელი ლექსები შემოგთავაზეთ.**

## იოსებ გრიშაშვილი

### დავბერდი? არა!

ცხოვრებისაგან წყალწაღებული
მე შენს სიყვარულს ჩამოვეკიდე.
გამარჯვებული, გალაღებული
მიყვარხარ კიდევ!
დავბერდი? არა! ლექსების ფერებს
დაჰკრავს სურნელი საუკეთესო,
ნამდვილ სიყვარულს რა დააბერებს,
სულზე უტკბესო!
ვინ დააწყნარებს მეტეხის მორევს?
ვინ შეაჩერებს ლექსს ნიავქარულს?
მტკვარში ცოცხალ თევზს ვერვინ გამოლევს,
გულში — სიყვარულს.
და თუ ხანდახან ფშატის ხესავით
ვერცხლის ჭაღარას მეც შევერევი, —
გწამდეს, შენს თვალებს დაუკვნესავი
ვერ შეველევი.
დავბერდი? არა! ლექსების ფერებს
დაჰკრავს სურნელი საუკეთესო,
ნამდვილ სიყვარულს რა დააბერებს,
სულზე უტკბესო!

## გალაკტიონ ტაბიძე

### • • •

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე — ამას გევედრები.
ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ,
სული მიუვლინე ისე შენმიერი,
დილა გაუთენე ისევ ციურიდან,
სული უმანკოთა მიეც შვენიერი.
ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,
მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა, ამას გევედრები.

## პაოლო იაშვილი

### პირამიდებში

იქ, სადაც სდუმან პირამიდები.
მზის ქორწილის დროს, მე დავწვები
მზისფერ სილაზე,
იქ, სადაც სდუმან პირამიდები, შენ მომინდები,
შენი თვალები, შენი მკლავები, შენი სინაზე.
შენ მოგაფრენს ცხენი არაბული,
თვალებ დანაბული,
საყვარელ ხელებს მივეცემი,
როგორც ნაზ საწოლს
და შენ დამკოცნი ვით დედოფალს,
ვით მონას და ცოლს.
ტკბილი იქნება ცხელ სილაზე ჩვენი თამაში,
მზიურებს მაშინ
არაფერი მოგვაგონებდა...
პირამიდებში ატირდებოდა ლოდინით რაში,
ლურჯ სფინქსთან მივა, უცქერს
დიდხანს და დაღონდება.
სილიან ტანით მდინარისკენ გავეშურებით,
მწვანე ტალღებში დავამშვიდებთ
ჩვენს ღელვას, ალურს.
გამოფხიზლდება შენი რაში სფინქსის ყურებით,
დაუწყებს ძებნას უდაბნოში თავის სიყვარულს.

*ელენე დარიანი*

## ტიციან ტაბიძე

### ანანურთან

თამუნია წერეთელს

შენ აქ რა გინდა, მაგრამ ყოველთვის
მომაგონდები ამ ანანურთან.
შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის,
ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა.
არც კი გიცნობდი, არც კი მენახე,
ისე გხატავდა თამარს ვრუბელი.
ხარ დანგრეული შენ „მოდი ნახე“,
ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი.
ისე ნაზია ეს მოგონება,
როგორც დემონის ფრთების შეხება,
სჯობს გაიხარონ სხვა გოგონებმა,
მოიბან შენი ირმის ფეხები.
დე! გაიხარონ იმათ მგოსნებმაც,
მათი ცხოვრება ხვალე იწყება,
ჩვენს მგლოვიარე, მწუხარ ოცნებას
დაფარავს მიწა და დავიწყება.
გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები,
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები.
ასე კვდებოდა ალბათ ათასი
და მოწმედ ჰყავდათ ეს ანანური,
ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი
და თვითმკვლელობის იავნანური.

## კონსტანტინე გამსახურდია

### ისლის სახლი

ისლის სახლი, ისლის სახლი!
ქარი!
ქარი!
ქარი!
შენ მაჩვენე მზის სიახლე
და ზღაპრების მხარე.
მე
ზღვის ნისლებს გადავყევი და მთებს
მივეფარე,
ველარ ვნახე შენი სახე, ველარ მოგისწარი.
ისლის სახლი, ისლის სახლი!
ქარი!
ქარი!
ქარი!
ჩემი სისხლი შენსკენ იწევს,
ჩემი სისხლი ჩქარი.
ისლის სახლი, ისლის სახლი!
ქარი!
ქარი!
ქარი!

## ტერენტი გრანელი

### მე და გალაკტიონი

ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი,
ახლა მიგონებს ალბათ ზოზია.
გალაკტიონში არის დემონი
და ჩემში უფრო ანგელოზია.
ყოველდღე ვიღებ ძვირფას
ბარათებს,
ბაღში მივდივარ, ეს დღე ცივია.
გალაკტიონში მიწა ანათებს
და ჩემში უფრო ზეცის სხივია.
შორს ქარი კივის, ახლო მტერია,
ახლა ღამდება, შვიდია სრული.
გალაკტიონში ლურჯი ფერია
და ჩემს ლექსიდან მოჩანს უფსკრული.
ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი,
ახლა მიგონებს ალბათ ზოზია.
გალაკტიონში არის დემონი
და ჩემში უფრო ანგელოზია...

## გრიგოლ რობაქიძე

### საქართველოს

ამაყი ნება: თავადობის და შურის კერძი.
ლაღი თარეში: სილამაზის ეშხით შვებული.
ხელმწიფებისთვის ოქროვანი კოლხეთის ვერძი,
და სისხლი გმირის: შმაგი რიტმით
ხარხოშებული.
ტაძარი ოშკის: თეთრი ლოცვით ათოვლებული.
საშო ზმანების: ხან მყოფელი და ხან კი ბერწი.
სევდათა ვაზის ცრემლიანი მოჭრილი ლერწი
და ცხელი ჯვარი: ნინოს თმებით განელებული.
მე მიყვარს შენი გამოხედვა: ძველი მესხური, —
მზის სინელეში შოთას სიტყვით
რო მოესხურა,
მაგრამ ხედავდე: სააკაძე ლანდივით მოდის:
უცხო შორეთის სიყვარულით პირგამეხილი, —
და უცდის გმირი: გამთელდება ნეტავ თუ ოდეს
შენს უნდო მკერდში მისი ხმალი გადატეხილი.

## გიორგი ლეონიძე

### მყვირალობა

ჩამაჭრდა კახეთს ჰაერი,
ტყეები გადიყირმიზა,
ენკენისთვეში მთებიდან
ისმის ყვირილი ირმისა.
— რასა ჰყვირიან ირმები
ყორან-მთას, ყარაიასა?
სახუნდარიდან მარეკი
გულში გაარტყამს ტყვიასა...
ხარი ირემი ფურს ეძებს,
მთაში ნასუქი ღიჭითა;
ქაფსა ჰყრის გადაკაწრული
ეკლებითა და ხიჭვითა.
თავი ანება ცალისთვის
იალაღების მწვანესა,
მოამტვრევს რქების ლაწანით
ჩალას, ტყეს, ლერწმოვანებსა.
დაშტერებული ჯოგები
მორბიან თავდაყირანი...
ხარი ფურს ეძებს ღრიალით,
მე — სიყვარულსა მყვირალი!
გახელებული ხარი ვარ,
გეშს ვიღებ ნიავქარზედა,
მაჩვენეთ ჩემი ოცნება,
რქა ხედ მივაფშხვნა რქაზედა!
სულ მივამტვრიო, მივლეწო,
გულში რაც გადაირაზა...
შევყვირებ,
როგორც ირმები
ჰყვირიან ყარაიასა!

## სიმონ ჩიქოვანი

### • • •

არ მშორდება ჭირვეული მარტი,
ჩამიქროლებს ქარით ეტლიანი.
გამომტაცა ყველა მისამართი



ლადო გუდიაშვილი. „ანანო“

და ვერ შევძელ გზებზე ხეტიალი.
აფრებივით ფარფატებენ დღენი,
ჯერ მთებია, მერე მკრთალი ხევი.
ჩემს ხელნაწერს ვერსად მივაგენი,
ვერ ვიპოვე მოძმის ნაკვალევი.
სად მივდივარ ან მოვდივარ სიდან,
ნუთუ მართლა დამელია ჯადო
და სიცოცხლე, მხოლოდ ერთი ციდა,
ყველა გამვლელს როგორ ვუწილადო.
იანვარი, თებერვალი, მარტი,
სამი თვეა მეტად უღიმღამო.
გულის ჯამში დამიგროვდა ჭვარტლი
მოგიზგიზე სიყვარულის გამო.

## ბონდო კეშელავა

### ლოდინი

შემოჭდობია სოფელს
ჩამოჭირხლული მთები,
ჩაფიქრებული ვზივარ,
ბუხრის ღუღუნით ვთვრები.
ბურანში ვარ და ვნატრობ:
ნეტავ გაიღოს კარი,
შინ შემოიჭრეს ღიმით
ერთ-ერთი მეგობარი.
— მოსულა, გავიხალისოთ,
ოცნებავ, ნაყოფნაყარო!
ჩქარა მარანში შევიდე,
ჭურს ავაშორო აყალო!
წავიჩურჩულე ესა და,
მგონი, იღება კარი,
მიმოვიხედე,
მარტო ვარ,
მიმქრალ ბუხართან მჯდარი,
შევუჩინჩხილე მუგუზალს,
გარეთ ზუზუნებს ქარი.

## გიორგი შატბერაშვილი

### ტივის ხე

მას შემდეგ, რაც ჩვენ დავშორდით,
წყალს მივდევ დაუდგრომელსა,
ორთაყვირები დამემსხვრა,
გულზე მდინარე მომეცა...
დროც მიდის, როგორც მდინარე...
თურმე შენ გადამივიწყე,
დაშლილა, ტივი დაშლილა,
მივცურავ ერთი ტივის ხე.
არ ვიცი, ბედი ავბედი
წამიღებს რომელ მხარესა,
მიმატივტივებს მდინარე
გულაღმა მწოლიარესა.
ტივი დაშლილა, წყალს მიაქვს
ორთაყვირების ნამტვრევი,
ვიხსენებ შენსა ღიმილსა,
ხანდახან მომენატრები...
ხანდახან... გესმის? ხანდახან...
თურმე მეც გადავივიწყე.
მზე ჩადის, ტივი დაშლილა,
მივცურავ ერთი ტივის ხე...

## გრიგოლ აბაშიძე

### თბილისი

ნუ დაუჯერებ ზღაპრად მოთხრობილს,
მაგრამ ეს ლექსი არის ნამდვილი:
მე დაჭრილი ვარ, როგორც ხოხობი
და თბილისში ვარ ჩამოვარდნილი

მე ისე ლექსს რა გამაბედვინებს
გულში თუ ტრფობის ქარი არა ქრის.
მიწა სჭამს ყველა ჯალალედინებს,
მიწა კვლავ ბრწყინავს თბილის-ქალაქის.

და დილით, მზე რომ გააღებს ცისკარს,
ერთ სხივს ჩემკენაც გამოაგზავნის,
მე მზის სხივის და თბილისის ხნის ვარ,
მეც გაჩენილი ვარ გორგასალის.

მეც არ ვუჯერებ ზღაპრად მოთხრობილს,
მაგრამ ეს ლექსი არის ნამდვილი:
მე დაჭრილი ვარ, როგორც ხოხობი,
და თბილისში ვარ ჩამოვარდნილი.

## ირაკლი აბაშიძე

### პირველი თოვლის სიმღერა

წუხელ თოვდა,
ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,
გენახე და ძილში თბილად დაგეხურე...
მე ავდექი პირველ თოვლზე განთიადში
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს.

დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე
თოვლი, თეთრად დასახული,
ასე თეთრად, გულუბრყვილოდ ჰყვავის ასე
იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.

ჰყვავის ასე,
და განთიადს მიხალისებს
ეს ზამთარიც, დეკემბერში თოვლის ხვავი,
ის თბილისის ხეივნებში კიპარისებს
იმერულად გამოასხამს ტყემლის ყვავილს.

დგას ბუჩქები ვერის ბაღში, შემკრთალები,
ზედ თოვლია თუ ფრიალი ფაფანაკთა?!
ანდა იქნებ ავჭალიდან თეთრ კარვებით
ადგა ჯარი და თბილისში დაბანაკდა?!

რა თოვლია!
შენობებს და ბაღში ხარდანს
ფარავს თეთრად დასახული...
ეს პირველი თოვაც ისე გამეხარდა,
როგორც გუშინ მიხაროდა გაზაფხული.

მიხარია
ცხელ ზაფხულის დაბრუნებაც,
წვიმაც, ქარიც უსაქმურად დანაბერი...
ბევრი კარგი რამ სცოდნია ამ ბუნებას,
მაგრამ, კარგო, შენისთანა არაფერი!

## გაბრიელ ჯაბუშანური

### იცით, მე ვინ ვარ?

იცით, მე ვინ ვარ? — რომ არ ვთქვა ბევრი, —
მცირე მტვერი ვარ შოთას კალმისა,
გურამიშვილის ვარ ცოტა ცრემლი
და ერთი თასმა ვაჟას ქალმნისა...
მე ჭავჭავაძის ვარ სისხლის წვეთი,
ბარათაშვილის ვარ ერთი ოხვრა: —
ამიტომ მქვიან, ალბათ, პოეტი
და მათ მუხლებთან მიხდება მოხრა...

# მინდა, ჰოლივუდში ჩასვლა დამებედოს

— თუ საუბარი არ გინდათ, ნულარ დამირეკავთ...



*„ის საოცრად ბავშვურია თავისი ქცევებით და სცენის მიღმა სრულებით ავიწყდება თითქოს საქმე. სიმღერის დროს კი ასაკისთვის უჩვეულო არტისტიზმით ხიბლავს მაყურებელს და სასიამოვნო ვოკალით იპყრობს სმენას“ — ასე აფასებენ* ***სალომე ბასიანს*** *ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული ბავშვთა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „ოქროს მაგნოლიას“ დამთავრების შემდეგ. ფესტივალზე სალომემ მეორე საპრიზო ადგილი აიღო, ჩაიკოვსკის საფორტეპიანო კონცერტის ოთარ ყუფუნიასეული ვოკალური ინტერპრეტაციის შესრულებისთვის. მანამდე კი სალომემ ასევე წარმატებულად მოიარა გერმანია, სადაც ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ბერიკებთან“ ერთად იმყოფებოდა და მონაწილეობა მიიღო როგორც სპექტაკლში, ისე კონცერტში. უფრო ადრე კი, საქართველოში ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართულ სოლო კონცერტზე ოცზე მეტი სიმღერა შეასრულა და თანაც ყოველგვარი ფონოგრამისა და ჩანაწერის გარეშე. „ვერ ვიტან ფონოგრამას, მიყვარს სიმღერა ჩანაწერების გარეშე, სწორედ მაშინ ვხედავ ჩემს შესაძლებლობებს, ჩემს მინუსებს და პლუსებს და ვსწავლობ, როგორ გავხდე უკეთესი“ — მთელი სერიოზულობით ამბობს 11 წლის გოგონა და სიამოვნებით იხსენებს უცხოეთში მოგზაურობის ამბებს.*

— შარშან ზაფხულში მომისმინა ბაქოელი პრიმა მომღერლის, მანანა ჯაფარიძის პროდიუსერმა აქშანამ, მოვეწონე და აშშ-ში ბავშვთა მუსიკალური საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორს ჩემი შემოქმედების ამსახველი ვიდეო და აუდიომასალები გაუგზავნა. იქ თურმე დირექტორთა საბჭოს გადაუწყვეტია „ოქროს მაგნოლიაზე“ ჩემი მიწვევა. 2 სექტემბერს გავემგზავრე კიდეც ლუიზანის შტატში და ფესტივალზე მეორე საპრიზო ადგილი ავიღე. ჟიურის თავმჯდომარემ ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალების ასოციაციაშიც მიმიღო.

**— ეს რას მოგიტანს?**

— ბევრ სიკეთეს. ახლაც ჩემი მოგზაურობის ხარჯები მათ დააფინანსეს. მათი საშუალებით მეცოდინება მსოფლიოს რომელ ქვეყანაში რა ღონისძიება გაიმართება და სად შევძლებ მონაწილეობის მიღებას, არც სპონსორების ძიება მომიწევს. ყველანაირ ფინანსურ პრობლემას თავად აგვარებს ეს ასოციაცია.

**— ამერიკაში ალბათ შთაბეჭდილებები ბლომად დაგიგროვდა.**

— დიახ. თავდაპირველად გამაოცა იმ ფაქტმა, რომ ორი რუმინელი გოგონა მომვარდა და მითხრეს, გვიხარია, რომ გაგიცანითო. მე გაოცებისაგან კინაღამ დავმუნჯდი. ვიფიქრე, ვილაცაში ვეშლები-მეთქი, მაგრამ მერე გაირკვა, რომ თურმე მათი კომპოზიტორი და პედაგოგი ყოფილა ის კაცი, ვინც რუმინეთში ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალებს აწყობს. ის გამუდმებით მიწვევდა ახლახან ჩატარებულ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ არ გავუგზავნე თანხმობა, მეშინოდა, აშშ-ის ფესტივალიც იმავე დროს არ გამართულიყო.

**— შენი ფოტოსურათებიდან ცხადი ხდება, რომ მთელი ჰოლივუდი და დისნეი ლენდი დალაშქრე.**

— აუ, რა გამახსენეთ. თბილისში რომ მოვფრინავდით, ვფიქრობდი, რა ბედნიერება იქნება ახლა თბილისშიც რომ დისნეი ლენდი დამხვდეს, როგორ გაიხარებენ ქართველი ბავშვებიც-მეთქი, მაგრამ აქ ჩამოსულს ყველაფერი ძველებურად დამხვდა და სამწუხაროდ ჭორადაც არ მსმენია, რომ ვინმე ქართველი ბავშვებისათვის ასეთი მაგარი სანახაობის მოწყობას აპირებდეს. ჰოლივუდში ძალიან მომეწონა „კოდაკ სტუდიის“ ფართო და გრძელი კიბე, რომლითაც „ოსკარების“ გადაცემის ცერემონიალზე ამერიკის კინოვარსკვლავები მიემართებიან დარბაზისკენ. ასჯერ ავირბინე და ჩამოვირბინე, მინდოდა ჰოლივუდში ხშირად ჩასვლა დამბედებოდა.

**— ამერიკაში ტელევიზიითაც გამოსულხარ.**

— ჰო, გამოვედი, სომხებს ორი ტელეარხი აქვთ ლოს-ანჯელესში. ჩემმა ამერიკელმა მასპინძლებმა ბატონმა შოთა სიგუამ და პაატა პაპუაშვილმა შესთავაზეს მათ ჩემზე გადაცემის გაკეთება. იცით რა მოხდა?.. სომხები აღტაცებულები მომვარდნენ. რუმინელების შემდეგ მეორედ გავოცდი. თურმე შარშან ამერიკელ სომხებს ერევნიდან გაგზავნილი ფესტივალის მასალები უნახავთ, იქ მოუსმენიათ ჩემი შესრულებით სომხური სიმღერა და ხშირად ატრიალებდნენ კიდეც ტელეეკრანზე. ასე რომ, აშშ-ის სომხურ დიასპორაში პოპულარობით ვსარგებლობ. აქვე არ შემიძლია არ გავიხსენო ნიუ-ორლეანში ნომერ პირველ ქართველად წოდებული ზაზა მარჯანიშვილი. მუსიკოსი, რომელზეც იქაური საინფორმაციო საშუალებები გამუდმებით წერენ (ეს ის ზაზაა, რომელმაც „უცნობს“ „მოდი გავაკეთოთ რამეს“ კლიპი გადააღებინა ჰოლივუდში — ე.ლ.). ახლა ის ჩემთვის საინტერესო პროექტებს ამზადებს, ნოემბრის შუა რიცხვებიდან ისევ ვეწვევი ამერიკას.

**— თავგადასავლები ხომ არ გქონდა აშშ-ში?**

— ძალიან მინდოდა, რომ მქონოდა, ჰოლივუდში იმ პლაჟზე, სადაც „მაშველებს“ იღებენ, ბევრი ვიცელქე, მაგრამ, იმ დღეს იქ ისეთი არავინ იყო, თვალში რომ მოვხვედროდი. კინოში თუ მიმიწვევენ, სიამოვნებით დავთანხმდები.

**— მსახიობობა გინდა?**

— *(იცინის)* არა, მომღერლობა! მსახიობობა — შეთავსებით, მინდა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მომღერალი ვიყო. ამისთვის შრომას არ დავიშურებ. ზოგჯერ ძალიან მინდა ვიცელქო და ვიგიჟო, მაგრამ ჩემი ოცნებები რომ გამახსენდება, ბავშვურ სულს ვიოკებ და საქმეს ვაკეთებ. ძალიან მომწონს გამოთქმა: „ისეთ ჯარისკაცს რა ვუთხრა, გენერლობაზე რომ არ ოცნებობსო“, მეც გენერლობა მინდა *(იცინის)*, უი, რა ვთქვი, მაგარი მომღერალი უნდა გავხდე.

**— სკოლაში სწავლას როგორღა ახერხებ?**

— ხუთებზე. ვახერხებ ყველაფერს. მარტო სიმღერა რას მომცემს. ელემენტარული, ჟურნალისტთან საუბარი რომ შეგეძლოს და მკითხველს თავი მოაწონო, ამისთვის განათლებაა საჭირო. უცხოეთში ფესტივალებზე მოგზაურობისას კი ვიგრძენი, რომ თუ კარგად იცი უცხო ენები და ამასთანავე აზროვნებ კიდეც, ყველა გაფასებს და პატივს გცემს.

**— ახლახან მეორე კლიპი გადაიღე, კმაყოფილი ხარ?**

— ძალიან. უკვე ორი კლიპი მაქვს — „მიფრინავს დრო“ და „ჩემი ბავშვობა“. სასაცილოა, ყველა სიმღერაში ბავშვობას მივტირი, არადა, ვგრძნობ, რომ ჩემთვის არასდროს დამთავრდება ბავშვობა. კლიპის გადაღებაზე ბევრი ვიმხიარულეთ. ჩვენი ოპერატორი ლევან აბულაძე კინაღამ დავახრჩვეთ, წყალქვეშა სცენების გადაღებისას თავზე ხელს აჭერდნენ და წყლიდან თავის ამოყოფის საშუალებას არ აძლევდნენ. ჩემი მეორე კლიპის გადაღება მძაფრსიუჟეტიანი ფილმის გადაღებას უფრო ჰგავდა. ძალიან მომწონს რეჟისორი ზაზა ორაშვილი და მგონია, რომ მისი შემოქმედებით ჩემი სიმღერები მაყურებლისთვის უფრო საინტერესო გახდება.

**— თაყვანისმცემლები მოგიმრავლდა ალბათ.**

— დიახ. უამრავი ვინმე მირეკავს. მეკითხებიან: თქვენი გაცნობა თუ შეიძლებაო და მერე ყურმილს მიკიდებენ. თუ საუბარი არ უნდათ, რაღას მირეკავენ, მიკვირს. არ მკითხოთ ახლა შეყვარებული გყავს თუ არაო? არ მყავს, თუ არ გჯერათ, დედიკოს ჰკითხეთ. მან ყველაფერი იცის. ჯერ ასეთ რამეებზე არ ვფიქრობ.

*ეკა ლომიძე*

## ორშაბათი 30 სექტემბერი

## სამშაბათი 1 ოქტომბერი

## ოთხშაბათი 2 ოქტომბერი

## ხუთშაბათი 3 ოქტომბერი

## პარასკევი 4 ოქტომბერი

## შაბათი 5 ოქტომბერი

## კვირა 6 ოქტომბერი



# „ბუდარიული“ ინტერვიუ „ბუდარასტთან“



*იმ დღეს „კვირის პალიტრის“ რედაქციის ეზოში უცხო მანქანა შემოვიდა. უცებ ვილაცამ ჩაიჩურჩულა: — მოვიდა, „ბუდარია“ მოვიდა, ვაი! და მანქანის თვალთვალი განაგრძეს...*

*ასე ხუმრობით თუ დავიწყებ ამ ინტერვიუს, თორემ სხვა რა უნდა დავწერო, როცა ერთ-ერთი „ბუდარიელი“,* ***ალეკო მალხაზიშვილი*** *ბევრი ჩემი რესპონდენტისაგან განსხვავებით, ყოველგვარი ფარული კამერის გარეშე თავად გვეახლა რედაქციაში და ღიმილი და იუმორი არ დაიშურა ჩვენთვის, თქვენთვისაც. მისი დოსიეთი დაინტერესებულ მშვენიერ გოგონებს (რომლებიც თავად ალეკოსაც ძალიან აინტერესებს) ვაცნობებთ, რომ იგი 27 წლისაა, დაბადების დღე აქვს 14 აპრილს, უცოლშვილოა, არც შეყვარებული ჰყავს და გაიძახის — არ შეიძლება, რომ მყავდესო. არ გეგონოთ, რამე უჭირდეს ან აღთქმა ჰქონდეს დადებული. უბრალოდ, უკანასკნელად ერთი წლის წინ ყოფილა შეყვარებული და მას შემდეგ სიყვარულის ღმერთისგან მიტოვებული თავს იმით იიმედებს, რომ კიდევ ერთხელ, შეყვარებულ მდგომარეობაში ყოფნა აღარ მინდაო. ალეკოსთან საუბარი მისი საყვარელი თემით დავიწყეთ:*

— რა თემა, რას ამბობ, ქალი თემაა? უბრალოდ ყველაზე დიდი სიყვარულითა და სიამოვნებით ქალზე ვსაუბრობ. აი, როცა ტრასაზე მივდივარ და ქალს ვხედავ, მანქანას ვაჩერებ და გზას ვუთმობ (შეჩერდა, ფიქრობს). კიდევ რითი გამოვხატავ სიყვარულს? გზას ვუთმობ. ეს ხომ სიყვარულია? სხვა რამეებსაც ვაკეთებ, მაგრამ ახლა ნუ ჩამეძიები, რა?

**— შენმა მეგობარმა „ბუდარიელმა“ ბაკურ სვანიძემ შენზე ლექსი დაწერა, „ორი მთის სადღეგრძელო“. თუ გახსოვს ეგ ლექსი და თუ ამიხსნი, რას ნიშნავს.**

— ჰო, ბაკური წინათ ლექსებს წერდა და ერთი მეც მომიძღვნა. *„იუმორს ემსახურება, / საცივი უყვარს გემოთი / და ყველა სუფრას ამთავრებს / ორი მთის სადღეგრძელოთი“.* ეს არის ქალის მკერდის სადღეგრძელო. ხომ მიხვდი ახლა, მართლა რომ მყვარებია ქალები.

**— კიდევ ქეიფიც გიყვარს, საცივიც, ამბობენ, თუ სუფრაზე მხოლოდ საცივია, ალეკოს გარდა ყველა მშიერი რჩებაო.**

— ეგრეა, ეგრე... ქეიფი მიყვარს. სადღეგრძელოებიც, ოღონდ ორი პ-ს, სამი ც-ს და 5 მ-ს სადღეგრძელოები არა. რაიმე ორიგინალური, მაგალითად: ეს იმას, აი, ჩვენი სიბრძნის ტოტებს გაუმარჯოს, ნიავს რომ ასვენებენ და ა.შ.

**— ალეკო, თითზე რა ბეჭედი გიკეთია. ეს ლალში ჩასმული ნამგალი და ურო რას ნიშნავს, კომუნისტი ხარ?**

— არა, კომუნისტი კი არა ვარ, ვღადაობ. არც ლალის თვალია ბეჭედში. ეს არის ძველი კიტელის, მუნდირის ღილი, რომელიც კრასნოდარში ვიყიდე, სერპ ი მოლოტის თვალი ჰქვია ამას. მე ვერცხლის ბეჭდის თვლად ვაქციე და ეგ არის და ეგ.

**— მახსოვს „ბუდარიაში“ თავიდან ბევრნი იყავით, ახლა ორნი დარჩით.**

— ჰო, მე და ბაკური დავრჩით, დანარჩენები გაიცხრილნენ, მხოლოდ ჩვენა ვართ ნამდვილი „ბუდარასტები“.

**— „ბუდარია“ თავიდან „იბერვიზიაში“ გამოჩნდა, მისი დაშლის შემდეგ II არხზე გადაბარგდით, ახლა ამბობენ, რომ II არხსაც ტოვებთო.**

— ეს ჯერ არ არის გადაწყვეტილი, თუმცა სავარაუდოა, რომ ტელეკომპანია „202“-ზე გადავალთ, ვნახოთ.

**— ძველი მხიარულთა და საზრიანთა გუნდიც დაშლილა.**

— „როტაცია“ განვიცადეთ. ახალ გუნდს ჰქვია „თსუ+“. ძველებიდან დავრჩით მე, გიგა ნასარიძე, სოფო ბანძავა და ოთო ლომთაძე. კრასნოდარში ვიყავით ახალი ნაკრები და ფინალშიც გავედით. იანვარში სოჭში გავემგზავრებით და გავიმარჯვებთ. არტ-იმედი და ფონდი „გამარჯვება“ გვაფინანსებს.

**— რადიო „FM-100.3“-ზეც მესმოდა შენი ხმა, სად წახვედით?**

— დეკემბრამდე პაუზა გვაქვს. მალე გამოვჩნდებით.

**— თურმე ბევრი თქვენი ხუმრობა ანეკდოტის საფუძველი ხდება ხალხში.**

— კი, ასეა. ერთხელ ტაქსის მძღოლმა გვიამბო ანეკდოტად გადაკეთებული ჩვენივე ხუმრობები. სვანმა ფრანგული ისწავლა და თითზე ჯვარი დაიწერა, არ დამავიწყდესო. რატომღაც სვანებს აბრალებენ ჩვენს ხუმრობებს. დუტასა და „ოცი ათასზე“ რომ ვიხუმრეთ, ისიც სვანს დააბრალეს. მე დუტას ვბაძავდი და ასეთ კითხვას ვსვამდი. თქვენ ცოლს რა ზომის მკერდი აქვს A) -სამი; B) -ოთხი; C) -ხუთი; D) -თხუთმეტამდე... მერე როგორ არის, თქვენც იცით — კლიენტი მეგობართან ზარს ითხოვს...

**— ხშირად რუსეთში მოგზაურობთ. თქვენნაირ დონ ჟუანს თავგადასავლები ბლომად ექნება.**

— ვისთან, ქალებთან? მაგას რუსის გოგოები ეძახიან თავგადასავლებს, თორემ ჩვეულებრივ ენაზე სექსი ჰქვია. თავგადასავლები არ მაქვს, ქალებისთვის არ ვჩხუბობ, მშვიდად მიმდინარეობს ურთიერთდაბმის პროცესი. მაშინ, როცა ზვიო და ნიკა გაუგებარი რუსულით ლაპარაკობდნენ, კარგი კურიოზი შეემთხვათ. რუსეთის ერთ ქალაქში, სასტუმროს ლიფტში იქაური თანამშრომელი დაემგზავრა. მან თავაზიანად გაუღიმა ბიჭებს და უთხრა: „ია ვნიზ, ა, ვი?“ ნიკამ იფიქრა, ქალმა გვიცნოო და უპასუხა: „ია ნიკა, ა ონ ზვიად“.

**— ბაკური შენს გვერდით არ არის, მაგრამ მისი სული ახლა აქ ტრიალებს. ხომ არაფერს იტყოდი მის მაგივრად?**

— ხსოვნა იყოს. (სიცილით იგუდება), რაც მე დავაკელი, ბუნების ძალამ არ დააკლოს. ბაკური საშინელი კაცია. ქალებს „მახევს“, ამიტომაც არ დამყავს რუსეთში... ვხუმრობ. ბაკური ჯიგარია. მასზე სასაუბროდ ერთი გვერდი არ მეყოფა.

*ეკა ლომიძე*



# რუსეთის იმპერატრიცა და იმპერატორი ნიკოლოზ II: „რუსეთი თავზე გვენგრევა“

## — ჩემი გამოჩენისთანავე უმცროსკლასელები ყვიროდნენ — სიკვდილი მოდისო...



პატარა, სიფრიფანა გოგონა მთელი გატაცებით ცეკვავს და მისი „მომაკვდავი გედით“ აღფრთოვანებული მაყურებელი გამუდმებით ითხოვს გამეორებას. გოგონას თითქმის აღარ ჰყოფნის ფიზიკური ძალა, მაგრამ წარმატების სიხარული და მაყურებლის ემოცია არ აძლევს შეჩერების უფლებას — თითქოს მზადაა, რომ დაიფერფლოს. ბავშვობის დროინდელი ეს ლამაზი ფრაგმენტი ერთი ქართველი მსახიობი ქალის ცხოვრებიდანაა, თუმცა, ეს ქალბატონი სულაც არ გამხდარა ცნობილი ბალერინა და არც არასოდეს უცეკვია თეატრის დიდ სცენაზე. გოგონა სიამოვნებით ცეკვავდა მეზობლებისთვის სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე და გრძნობდა, რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო მიილტვოდა ნამდვილი თეატრის სცენისკენ, იქ, სადაც ჯადოსნური სამყარო ელოდებოდა... **დარეჯან ხარშილაძემ**, ამჟერად რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობმა, თავისი ცხოვრება მთლიანად დაუკავშირა თეატრსა და კინოს. მისი სამსახიობო კარიერა კი სწორედ ეზოში, სახელდახელოდ გამართულ სცენაზე დაიწყო.

— ბევრი რამ იყო ჩემს ცხოვრებაში ისეთი, რაც მსახიობობისკენ მიბიძგებდა. მამაჩემი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დუბლაჟის რეჟისორი იყო. ხშირად დავყვებოდი გადამღებ ჯგუფთან ერთად ექსპედიციებში, დედაჩემის ბიძაშვილის, დუდუხანა წეროძის როლებით აღფრთოვანებულს მეც ძალიან მინდოდა მსახიობობა. სურვილს ერთი გარემოებაც მიძლიერებდა. ჩემი კლასელი იყო უშანგი ჩხეიძის დისშვილი, მაია ტატიშვილი და ხშირად მასთან ვიყავი სახლში, რომელშიც განთავსებულია უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი. სწორედ ამ სახლში ვისმენდი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობის ნინო ჩხეიძის მონაყოლს თავის დიდებულ ძმაზე.

— **ე. ი. ყველა პირობა შეგექმნათ, რომ მსახიობი გამხდარიყავით.**

— დიდი გავლენა მოახდინა იმანაც, რომ სკოლაში გორკის დღეებისადმი მიძღვნილ სპექტაკლში სიკვდილის როლი შევასრულე. ყველა მილოცავდა წარმატებას, მიაჩნდათ, რომ, აქტიორული ნიჭი გამოვავლინე. საქმე იქამდეც მივიდა, რომ დერეფანში ჩემი გამოჩენისთანავე უმცროსკლასელები კიოდნენ — სიკვდილი მოდისო. მაშინ მერვეკლასელი გახლდით.

— **პოპულარობა კი ალბათ მოგვიანებით მოგიტანათ სატელევიზიო სპექტაკლმა „ნოველა სიყვარულზე“, რომლის შემდეგაც მართლაც საინტერესო და შთამბეჭდავი როლები ითამაშეთ.**

— „ნოველა სიყვარულზე“ რეჟისორ დალი გურგენიძის სადიპლომო ნამუშევარი იყო. მისმა პედაგოგმა თემურ ჩხეიძემ 5-იანი დაუწერა. თვით სპექტაკლი კი ძალიან პოპულარული გახდა მაყურებელში. პარტნიორობას მიწევდა შესანიშნავი მსახიობი, არაჩვეულებრივი მეგობარი და ძალიან ლამაზი მამაკაცი — სამწუხაროდ, აწ გარდაცვლილი გია ძნელაძე.

— **მას შემდეგ თითქმის 25-მდე ფილმში ითამაშეთ. განსაკუთრებული დამოკიდებულება თუ გაქვთ რომელიმე მათგანის მიმართ?**

— ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და უარი არასოდეს მითქვამს არც ეპიზოდურ და არც მთავარ როლზე. ყველაზე სერიოზულ ნამუშევრად მიმაჩნია როლი ლანა ღოღობერიძის ფილმში „დღეს ღამე უთენებია“. ფილმში ევას როლი ვითამაშე. მახსოვს, გადაღების პროცესში, სასიყვარულო სცენაზე მუშაობის დროს ცივ მდინარეში ვჭყუმპალაობდით „ცოლ-ქმარი“, წყალი ყინულივით იყო. ვკანკალებდით და ვიცინოდით. ფეხი რომ არ დამსხლტომოდა, ქვებზე უზარმაზარი კედები მეცვა. გადამღები ჯგუფიდან გვიყვიროდნენ, ცოტა უკან დაიწიეთო. ჩვენც ღრმად ვიწევდით წყალში და უცებ ტალღამ წამიღო. ჩემი პარტნიორი, გურამ ფალავანდიშვილი მეძახდა — ჰა, მითხარი, იხრჩობი, გიშველოო? ქვას ჩავეჭიდე, მოვახერხე და ამოვბობღდი წყლიდან. გადამღები ჯგუფიდან კი გაისმა — კიდევ ერთი დუბლი გადავიღოთო. არა, რას ამბობთ, აღარ შემიძლიამეთქი — კატეგორიულად ვიუარე. ამავე ფილმში ქორწილის სცენის გადაღებისას შემსვეს ულამაზეს თეთრ ცხენზე, რომელიც ძირითადად საბრძოლო სცენების გადაღებისთვის იყო გაწვრთნილი. მაყრიონმა თოფი რომ დასჭექა, ცხენი დაფრთხა, ბეწვზე გადავურჩი სიკვდილს. ყველა მილოცავდა, მხოლოდ მეჯინიბე მიწყრებოდა — როგორ გაუშვი ცხენი, ხომ შეიძლებოდა, გაქცეულიყო და ვეღარ დამეჭირაო.

— **პარტნიორობდით თუ არა თეატრის სცენაზე ქართული სცენის დიდოსტატებს?**

— რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ, რომ „მეფე ლირში“, „კავკასიურ ცარცის წრეში“ ვთამაშობ გენიალური რამაზ ჩხიკვაძის, გურამ საღარაძის გვერდით.

— **რაიმე მოულოდნელ ან კურიოზულ ამბავს ხომ არ გაიხსენებდით?**

—— არასოდეს დამავიწყდება ერთი ეპიზოდი. „კვაჭი კვაჭანტირაძეზე“ ვმუშაობდით. მე — რუსეთის იმპერატრიცა და სოსო ლაღიძე — იმპერატორი ნიკოლოზ II გორგოლაჭებით, როგორც ცოცხალი სურათები, ისე შევდივართ სცენაზე და ვამბობთ შემდეგ ფრაზას: „რუსეთი თავზე გვენგრევა“. ამის თქმა იყო და კულისებში ჩვენ უკან რკინები ჩამოინგრა და დეკორაციები ჩაიტანა. იქ რომ ვყოფილიყავით, ცოცხლები ველარ გადავრჩებოდით მე და სოსო. ახლა ღიმილით ვიხსენებ ამბავს, რომელსაც შეიძლება შევწირვოდით.

— **ფილმში „მოკვეთილი“ თქვენი პერსონაჟი ჯავარა უცნაური პერსონაჟია. არ გაგიჭირდათ როლში შესვლა?**

— იცით, საქმე რაშია, სპექტაკლის დაწყების წინ, როცა საგრიმიოროში ჯდები, გრიმის გაკეთების პროცესში უკვე შედიხარ როლში, რომელსაც სპექტაკლის დამთავრებისთანავე ტოვებ. კინოში კი ეს შესვლა-გამოსვლა ძალიან მალე ხდება, გონზე მოსვლას თითქმის ვერ ასწრებ და მსახიობის ოსტატობაც ამ სწრაფ ემოციათა ცვალებადობაში ვლინდება. გია მატარაძის „მოკვეთილი“ ჩემთვის ძალიან საინტერესო და დასამახსოვრებელი ფილმია, მომავალი მეუღლეც თენგო დოდელია სწორედ მაშინ, გადაღებებზე გავიცანი, გადამღები ჯგუფის დირექტორად მუშაობდა. ასე რომ, „მოკვეთილის“ დამსახურებაა ჩემი ერთადერთი შვილი ლუკაც.

— **რომელსაც მსახიობობა რომ არ უნდა?**

— არა. კატეგორიულად უარობს ამას. თუმცა, სანამ პატარა იყო და მისი დაყოლიება შეიძლებოდა, ორ ფილმში მაინც გადაიღეს.

— **გამოყოფდით რომელიმე როლს თქვენი შემოქმედებიდან?**

— არ მინდა ჩემს რომელიმე როლს ყურადღება და სითბო მოვაკლო, მაგრამ „მე-19 საუკუნის ქართული ქრონიკა“, საშა რეხვიაშვილის ფილმი — ჩემთვის საყვარელი ნამუშევარია. ჩემი დებიუტი, პირველი მთავარი როლი ამ ფილმში შედგა.

— **მაინც მგონია, რომ მეტი პოპულარობა მოგიტანათ ფილმმა „დღეს ღამე უთენებია“.**

— ჰო, მახსოვს, პრიზი თუ ჯილდო — „ხუთწლედის მატიანე“ მივიღეთ, ფულადი ჯილდოც მოგვცეს.

— **საოცრად ჰგავხართ ამ ფილმში თქვენ და თამარ სხირტლაძე ერთმანეთს.**

— მართლაც. ამ მსგავსების გამო გადაწყდა რომ ორივეს გვეთამაშა, თორემ ჩაფიქრებული იყო, გრიმით ისევ მე მეთამაშა, რაც მაინც აღძრავდა ხელოვნურობის განცდას — მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ხანში შესულ ქალს ისე ვერ განვახორციელებდი, როგორც შესანიშნავი ქალბატონი თამარი. მახსოვს, ყურები არ მქონდა გახვრეტილი და სასწრაფოდ გამიხვრიტეს, რათა ორივესთვის — ჩემთვის და თამარ სხირტლაძისთვის ერთნაირი საყურე გაეკეთებინათ, რათა ხაზი გაესვათ მსგავსებისათვის.

— **ამ ბოლო დროს მუსიკალურ კლიპებშიც გამოჩნდით.**

— დიახ, ლელა წურწუმიას სიმღერაში „წვიმს“, ერთ ფრაგმენტში ვჩნდები. ასევე ვმონაწილეობ აჩი მეფარიძის ფაშიზმის ამსახველ კლიპშიც. რეჟისორი გიორგი კიკალიშვილი იღებდა ტელესერიალს თბილისელებზე, 5 სერია გადავიღეთ და მერე უფულობის გამო გადაღება შეწყდა. თუ გაგრძელდა ფილმზე მუშაობა, საქმე ისევ გამომიჩნდება...

*ეკა ლომიძე*

# — მაშკას ძალიან შევუყვარდი და ქმარი ეჭვიანობით გალიას ანგრევდა...

მისი შესრულებული როლები კარგად ახსოვს საზოგადოებას. ერთი განსაკუთრებული უნარიც დააბედა ღმერთმა: რაც არ უნდა პატარა ეპიზოდში გაიელვოს მისმა სახემ, შეუმჩნეველი არავის დარჩება. გარეგნობაც ისეთი აქვს, ათას კაცში არ აგერევა... ეს ყველაფერი ერთად განაპირობებს მსახიობის იღბალს... რომელსაც ნამდვილად ვერ დაემდურება **ბაადურ წულაძე**...

— კარგი მსახიობი და ცუდი მსახიობი არ არსებობს. მსახიობი ან ხარ, ან არა... ნამდვილად არსებობს იღბალი. რაღაც უნდა ერთმანეთს დაემთხვეს, რეჟისორი უნდა შეგხვდეს, როლი უნდა იყოს საშენო. მაგრამ როგორც კი შანსი მოგეცემა, ხელიდან აღარ უნდა გაუშვა. შენი გამოჩენა ეკრანზე შენთვისაც და მაყურებლისთვისაც მოვლენა უნდა იყოს... მე პირველად მიხეილ კობახიძის „ქორწილში“ გამოვჩნდი, როგორც მსახიობი. ალბათ გახსოვთ, თითქმის არაფერი მითამაშია, გაზეთს ვკითხულობდი ერთ პატარა ეპიზოდში... აი, ის იყო ჩემთვის მოცემული შანსი და გამოვიყენე, იმიტომაც ყველას დაამახსოვრდა... იმის მერე მოვდივარ და მოვდივარ.... აი, იმ პატარა ეპიზოდმა განაპირობა ჩემი მსახიობობა, თორემ არასოდეს ვიფიქრებდი არტისტობაზე.

— **თქვენი ძირითადი პროფესია რეჟისორობა იყო, როგორ შეგარჩიათ ბატონმა მიხეილ კობახიძემ ფილმისთვის?**

— „ფეოლა“ რომ გადავიღე, უსაქმოდ ვიყავი. კინოსტუდიაში დავდიოდი, იქ მითხრა ერთხელ: მართალია ფული არ მაქვს, მაგრამ მაინც მინდა გადავიღო კინო, მოდი, უფულოდ გადაიღე ამ ეპიზოდშიო. დავთანხმდი. მხოლოდ მას მერე, რაც „ქორწილმა“ პრემიები მიიღო, ჩვენც აგვინაზღაურა, თორემ სუფთა ენთუზიაზმზე ვმუშაობდით. დღეს ვერაფერს გეტყვით, რამდენად მოვწონვარ საზოგადოებას, ალბათ ბევრს არც მოვწონვარ (ხომ არ შეიძლება, ყველას მოსწონდე?) მაგრამ ერთი რამ დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ: რასაც ვაკეთებ, მაღალ პროფესიულ დონეზე ვაკეთებ.

— **რამდენადაც ვიცი, რეჟისორობაზეც კი არ ფიქრობდით თავიდან და თქვენი ხელოვნებაში მოხვედრა ბედნიერი შემთხვევითობის წყალობაა.**

— დედას უნდოდა, ინჟინერი ვყოფილიყავი. მე ძალიან მჯეროდა მისი. მამა გადასახლებული მყავდა. რომ დაბრუნდა, ჩემზე ისეთი გავლენა აღარ ჰქონდა, დედის სურვილებს კი დიდ ანგარიშს ვუწევდი. ოქროს მედალზე დავამთავრე სკოლა და წავედი მოსკოვში, რომ ინჟინერი გავმხდარიყავი. ადრე მომიწია ჩასვლა. დავათვალიერე ქალაქი და დავინტერესდი: კინოინსტიტუტი რა უნდა იყოს-მეთქი. სკოლაში როცა ვსწავლობდი, საღამოს კინომექანიკოსად ვმუშაობდი და ამდენად, მაინტერესებდა კინოს სამყარო. გავედი გამოცდებზე და ჩავირიცხე... არა და, აზრზე არ ვიყავი, ხელოვნება რა იყო, თვითშემოქმედებაში არასოდეს მიმიღია მონაწილეობა, არ მიმღერია და არ მიცეკვია... იმან მიშველა, რომ ბევრს ვკითხულობდი. ჩემს ბავშვობაში წიგნები არ იყო, მაგრამ მე მქონდა ბაბუაჩემის ბიბლიოთეკის ნაწილი, რომელიც განადგურებას გადაურჩა. 7-8 ურემი წიგნი გაიტანეს ჩვენი ეზოდან და დაწვეს... მაგრამ დაგვრჩა ერთი ზანდუკი წიგნებით სავსე. აი, იმათ ვკითხულობდი და მერე მეგობრებს არტისტულად ვუყვებოდი, ეს იყო და ეს...

— **ბაბუათქვენის დიდი ბიბლიოთეკა ახსენეთ, ბაბუა თურმე სამღვდელო პირი ყოფილა...**

— დიახ, მღვდელი ლავრენტი წულაძე იყო ბაბუაჩემი. მას ჯერ ფოთში ჰქონდა სკოლა გახსნილი, მერე მშობლიურ სოფელ ჭანჭათში. ქართულ და რუსულ ენებსა და ლიტერატურას ასწავლიდა. საღვთო სჯულს კითხულობდა, ლექსებსაც წერდა, „ივერიაში“ იბეჭდებოდა, ძალიან განათლებული კაცი იყო. იცნობდა ილიას, ვაჟას. ფოთში რომ მუშაობდა, ვაჟა ესტუმრა თურმე და თამბაქოს ქისა აჩუქა ბაბუაჩემს. ეს რელიკვია ჩემთან ინახება... ხელისუფლება რომ შეიცვალა და წითლები შემოვიდნენ, ბაბუამ არ გაიხადა ანაფორა. შეეწირა თავის რწმენას.

ღამით „კომსომოლები“ დაუხვდნენ და მოკლეს. ამით არ დამთავრებულა ჩვენი ოჯახის ტრაგედია. მამაჩემი, ბიძები გადაასახლეს. მამაკაცი აღარ დარჩა ჩვენს ოჯახში. მამიდაჩემი არ გათხოვდა და თან გადაგვყვა მე და ჩემს დას. მან გვასწავლა ყველაფერი: გვიყვებოდა ზღაპრებს, გვიკითხავდა წიგნებს, ამიტომ იყო, რომ სკოლაში შესვლამდე უკვე ბევრი რამ ზეპირად ვიცოდით... მერე სახლი ჩვენ არ გვქონდა და არაფერი... რაღაც მუყაოებით ვითომ კორიდორი გვქონდა გაკეთებული... დიდი გაჭირვებით ვცხოვრობდით. ეზო გვქონდა პატარა... მოვიდოდი სკოლიდან ერთ საათში, საათ-ნახევარში ვისწავლიდი გაკვეთილებს. მერე ქუჩაში ვიყავი. ქუჩამ მასწავლა ყველაფერი: რომ არ უნდა დაჩაგრო ვინმე, უფროსს პატივი უნდა სცე... არაფერს ვაშავებდით. ან რა უნდა დაგვეშავებინა? შატალოზე თუ წავიდოდით, ეს იყო და ეს... მაშინდელი ბათუმის პარკში ვიმალებოდით. იცით, როგორი იყო ბათუმის პარკი? „რობინზონ კრუზოსა“ და „15 წლის კაპიტნის“ ჯუნგლების სცენები სულ იქ არის გადაღებული... მე ის დაბურული პარკი მომწონდა. ის იყო ჩემეული... და საერთოდ, ახლა, როცა ასაკში ვარ, ყველაზე ბედნიერ წლებად ისევ ის გაჭირვებული ბავშვობა მიმაჩნია. შიმშილი იყო ბათუმში. დაიწყებოდა თუ არა არდადეგები, გამიშვებდნენ სოფელში. იქ ბოსტნეული იყო, ხილი, კვერცხი... ხორცი იქაც არ გვქონდა... 3 თვეში ერთხელ თუ დაკლავდა ბებია ქათამს.



— **როგორი ბავშვი იყავით, გამხდარი თუ...**

— გამხდარი და ჭამაში ჭირვეული... ახლა, იცოცხლე, ყველაფერს ვჭამ... მაშინ სპორტზე დავდიოდი უფროსი ბიძაშვილის მიბაძვით... X კლასში სპორტს თავი დავანებე, ყურადღება სწავლაზე გადავიტანე და ნელ-ნელა აი, ეს ფორმა მივიღე...

— **სამაგიეროდ, ამ აღნაგობამ ბევრი როლი გაჩუქათ.**

— ალბათ სხვანაირი რომ ვყოფილიყავი სხვანაირად წარიმართებოდა ჩემი ბედიც...

— **თქვენი ყველა პერსონაჟი ჭამისმოყვარულია, „ბურატინოს თავგადასავალში“ საერთოდაც ტრაქტირის პატრონი ხართ... ახლა „რუსთავი-2“-ის დილის პროგრამაშიც სამზარეულოდან გვესალმებით წინსაფარაფარებული.**

— საერთოდ, გურმანი ვარ. როცა შემომთავაზეს სადილების რეცეპტები ვასწავლოთ მაყურებელსო, ვიუარე. საქართველოში ქართველ ქალს როგორ უნდა ასწავლო სადილის მომზადება?! ეს უაზრობაა. მაგრამ... სამზარეულოს თემა მაინტერესებს. მიმაჩნია, რომ ამ რთულ ცხოვრებას იუმორის შეფერილობა თუ არ მიეცი, დაიღუპები...

— **თქვენ უამრავ ქვეყანაში გადაგიღეს. ესეც ერთგვარი იღბალია.**

— გადამიღეს მოსკოვის, სვერდლოვსკის, ბელორუსიის, უკრაინის, მოლდავეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ყაზახეთის სტუდიებში... ექსპედიციები მქონდა ყველგან, ტაჯიკეთის გარდა... ვინ არ მითამაშია: აზერბაიჯანელი, შვედი, სომეხი, ფრანგი, ბერძენი, უზბეკი, ყაზახი... ახლა ებრაელი ვითამაშე საკენ ნარინდბეკოვის ფილმში. ეს ძალიან ცნობილი რეჟისორია, საფრანგეთში აქვს პრემიები აღებული, სხვადასხვა ფესტივალის ლაურეატია. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მის ფილმში — „ლეილას ლოცვაში“ ვითამაშე... და საერთოდ, არასოდეს მითამაშია ისეთი როლი, რომ მერე შემრცხვენოდა. კომედიებში ხომ შესანიშნავად ვგრძნობდი თავს! ეს იყო ჩემი სამყარო, სადაც მე ჩემთვის ვერთობოდი.

— **ამბობთ, ვერთობოდიო... ბევრი რამ კადრს მიღმა დარჩებოდა, რაც ამისი თქმის საფუძველს გაძლევთ.**

— მიყვარდა, რასაც ვაკეთებდი და ვერთობოდი... თეატრში ვერაფრით ვითამაშებდი. ეს ჩემი საქმე არ არის. როგორ შემეძლო გამეძლო დილით რეპეტიციისათვის, საღამოს სპექტაკლისათვის და სულ ერთი და იგივე მეკეთებინა თვეობით, წლობით?! არა, მე კინო მიყვარს... კადრს მიღმაც ბევრი კარგი რამ რჩება, სასაცილოც, სევდიანიც... მრავალსერიიან ფილმს ვიღებდით, „ალიასკა კიდ“ ერქვა. იქ პარტნიორი მყავდა, მაიმუნი — მაშკა. უნდა შემჩვეოდა გადაღებამდე. თურმე არ შეიძლება დედალი მაიმუნი მამალს დააშორო, ამიტომ მე და მაშკა რომ ერთმანეთს ვეჩვეოდით, მისი „ქმარი“ იქვე გალიაში იჯდა. უნდა გენახათ, როგორ შევუყვარდი მაშკას. დამინახავდა, გამოექანებოდა, იცინოდა... მისი ქმარი კი ეჭვიანობისგან გალიის გისოსებს ანგრევდა. ბევრი ვიცინეთ ამაზე... საერთოდ, გადაღებები ჩემთვის ძალიან სახალისოა. ამ ფილმს ინგლისელი რეჟისორი იღებდა, ამერიკელი მსახიობები თამაშობდნენ. მე მათგან განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, პატივისცემას ვგრძნობდი. იქ იცით, როგორ არის? როცა მსხვილი პლანით იღებენ მსახიობს და მისი თანამოსაუბრე კადრში აღარ ჩანს, ითვლება, რომ მისი სამუშაო ამოწურულია და იგი დასასვენებლად მიდის. ასეთ დროს მე ადგილზე ვრჩებოდი ხოლმე და ჩემს პარტნიორს რეპლიკებს ვაწვდიდი... ე.ი. დიალოგს ვმართავდი, ოღონდ, კადრს მიღმა ვიმყოფებოდი. ჩემს ამერიკელ პარტნიორს მსგავსი თანადგომა არ ენახა, უკვირდა — როგორ, შენ დაამთავრე გადაღება, არ წახვედი და მე მეხმარებოდიო?! ისიც ყოფილა, სცენის გადაღების შემდეგ ტაში დაუკრავთ ჩემთვის... ასეთ დროს სულ იმაზე ვფიქრობ, რომ მათთვის მე საქართველოს წარმომადგენელი ვარ... რაც მე წარმატება მექნება, ჩემი სამშობლოს წარმატებაა.

*ლელა ჯიყაშვილი*

გინახავთ ადამიანი, რომელიც საკუთარ დედას ვერ იტანს?! — ასე დაიწყო თავისი აღსარება 47 წლის დიმიტრი ფ-ძემ, — დედაჩემმა ცხოვრება ამირია. თავის დამოკიდებულებას სიყვარულს ეძახის, არ ესმის ჩემი, ახლობლებში თავს მჭრის — უმადურია, ცოლის ჭკუას აყოლილი და უნებისყოფოო... მესმის მისი, ადრე დაქვრივდა, ყველაფერი შემომწირა, მაგრამ ეს მე ხომ არ მითხოვია? ნეტავი გათხოვილიყო. ყოველდღე რომ ვეცემე მამინაცვალს, ისეთს რას დამაკლებდა, რასაც დედის გადამეტებული და ხშირად უადგილო მზრუნველობა მაკლებდა. მეხუთე თუ მეექვსე კლასამდე სკოლაში ხელჩაკიდებულს დამატარებდა. იქით მუსიკალური... ასჯერ უთხრა ჩემმა მასწავლებელმა, — უნიჭოა, ტყუილად აწვალებთო... ვიოლინოს ხმას დღემდე ვერ ვიტან, ბიჭების დაცინვა კი კოშმარად მესიზმრება — სკრიპაჩ, შალახო დაუკარიო!...

დედა არ მუშაობდა. ბიძაჩემებს ავალდებულებდა — თქვენი ძმის ერთგული ვარ, როგორც გნებავთ, შემინახეთო. პატიოსნებად ჩემი დევნა მიაჩნდა ალბათ: ვერც კინოში და ვერც თეატრში დედის გარეშე ვერ წავიდოდი, მით უმეტეს, ექსკურსიაზე. ჩემი ტოლები რომ ერთობოდნენ, მე ზედმეტი ნაბიჯის გადადგმის უფლება არ მქონდა...

17 წლისას ისევ მამოწმებდა, ყურები თუ გამოვიწმინდე და კბილები თუ გავიხეხე ძილის წინ...

მშობელთა კომიტეტის უცვლელი თავმჯდომარე იყო და მარტო ჩემსას კი არა, ჩემი კლასელების ცხოვრებასაც კი აკონტროლებდა, რის გამოც ბიჭებმა მცემეს — დედაშენს მიხედეო! სიგარეტის მოწევის გამო „ჩაუშვა“ ისინი მშობლებთან... კეთროვანივით მერიდებოდა ყველა. „დედიკოს ბიჭი“ იყო ჩემი სახელი, ნამდვილი მეც დამავიწყდა.

კარგა ხანს ვერ ვბედავდი შეწინააღმდეგებას. მერიდებოდა, მეშინოდა და... მეცოდებოდა კიდეც, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი.

18 წლისას მეზობლის ძმისშვილი შემიყვარდა. იგი სოფლიდან ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში სწავლის გასაგრძელებლად. ვინც მიცნობდა, სიახლოვეს არ მეკარებოდა დედაჩემის შიშით თუ სიძულვილით: აბა, ვის ენდომებოდა ასეთი დედამთილი...

ნატომ არ იცოდა დედაჩემის ამბავი, თანაც ნუ მიწყენენ ქალაქელი გოგონები და სოფელში გაზრდილები ბევრად მომთმენნი, თბილები, ყურადღებიანები არიან... დედამ რომ გაიგო ნატო მიყვარდა, ჯერ — ბავშვის სიყვარული არ გამიგია მეო, ხელი ჩაიქნია, მერე კი, როცა სულ ნატოს გვერდით მხედავდა, მსაყვედურობდა, — დედას სხვა გოგო გირჩევნიაო. ვერ ხვდებოდა, რომ დედას თავისი ადგილი აქვს შვილის ცხოვრებაში და მის დაკავებას ვერასოდეს შეძლებს თუნდაც უსაყვარლესი ქალი. ეჭვიანობა ზიზღში გადაიზარდა და დედაჩემის ისტერიული კივილი ყოველდღე ესმოდათ მეზობლებს: „იმ გაუზრდელ ტეტიას შინ არ შემოგაყვანინებო!..“ ნატოს ყურამდეც მიაღწია ამ ამბავმა და ატირებულმა მითხრა: არ მინდა, თქვენ შორის ჩავდგე, ვისაც დედა გირჩევს, ის შეიყვარე, ნურც მას გაუხეთქავ გულს და ნურც თავს გაიუბედურებო. ისე ძვირფასი იყო ჩემთვის ეს პატარა გოგო, რომ მის დაკარგვას სიკვდილი მერჩივნა. დედის წინააღმდეგობის მიუხედავად, დავქორწინდით, მე 21-ის ვიყავი, ის — ოცის...

მთელი ხუთი თვე არ გველაპარაკებოდა დედა, სადილსაც ცალკე იკეთებდა, ჭურჭელიც დაგვიმალა. თუ რამეს იტყოდა, ისე მწარედ, გულს გვიკლავდა, — შეგეტყო დედის გარეშე ცხოვრება, გახდი, დაგლახდი, ჭუჭყიანი დადიხარო. არადა ნატო ძალიან მარჯვე იყო, ყველა საქმე გამოსდიოდა, მაგრამ დედაჩემი არ აძლევდა განძრევის საშუალებას. გადავწყვიტეთ, ბინა გვექირავა. დღისით ვსწავლობდით, ღამით ვმუშაობდი — ნატოს ბიძამ ერთ-ერთი საწარმოს დაცვაში მომაწყო. ბევრი დამაკლდა, მაგრამ დედის ხმა რომ არ მესმოდა, ბედნიერ სიმსუბუქეს ვგრძნობდი. თუმცა არც იქ მოგვასვენა დიდხანს. მოვიდა — ხალხი რას იტყვისო და შინ დაბრუნება „გვთხოვა“. ისევ ნატომ იძალა: — ცოდვაა, უბედური ქალია, იქნებ ჩვენმა სიყვარულმა შეცვალოსო...



# „დედიკოს ბიჭობა“ სირცხვილი კი არა, ტრაგედიაა!..

ბავშვი რომ შეგვეძინა, ახლა იმაზე გადაიტანა დედაჩემმა მთელი ყურადღება, თავისთან ჰყავდა და მისი აღზრდის მთავარი არგუმენტი ეს იყო: — იქნებ შენ მაინც გამიმართლო, ბებო, მამაშენმა სოფლელ დედაშენში გამცვალა, დედაშენი კი თავად გაუზრდელია, მაგრამ ნუ გეშინია, მე გიპატრონებო.

ერთ მშვენიერ დღეს კი ნატოც დაიღალა, შეკრა თავისი ბარგი და სოფელში დაბრუნდა მშობლებთან. დედაჩემმა ბავშვი არ გაატანა, მაგრამ სასამართლოთი მოგვიგო ნატომ, რაშიც ჩემი დამსახურებაც იყო: მივხვდი, ჩვენთან რომ დარჩენილიყო, დედაჩემი ჩემს შვილსაც გააუბედურებდა და ნატოს სასარგებლოდ უარი ვთქვი შვილზე...

დედაჩემი შვილიშვილის დაკარგვასაც შეეგუა, მე ღვინოს მივეძალე... მაგრამ შვილმა გადამარჩინა. 14 წლისამ ჩემი ნახვა მოინდომა და... ისეთი ტკივილი იყო მის თვალებში, როცა უთხრეს, მამაშენიაო, სიკვდილი ვინატრე. ფეხებში ჩავუვარდი და შევეხვეწე: — ოღონდ არ შემიძულო და შენს თავს ვფიცავ, წვეთს აღარ დავლევ-მეთქი!.. არც დამილევია.

— **ნატოს შეურიგდით?**

— სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია, ის გათხოვდა, მაგრამ მას ბრალი არ მიუძღვის მომხდარში. ჩემი ოჯახისა და სიყვარულის დაცვის მაგივრად, ლოთობა დავიწყე...

— **დედა?**

— არ მიხსენოთ! მარტო ცხოვრობს და „კმაყოფილია“ ალბათ... არ მინდა მასთან შემთხვევით შეხვედრაც კი. მხოლოდ ჩემი შვილისთვის ვცოცხლობ. მამინაცვალი პატივს სცემს, მაგრამ... იმას თავისი ორი ბიჭი ჰყავს კიდევ!..

— **ამბობენ, „დედიკოს ბიჭობა“ სირცხვილიაო...**

— სირცხვილისა რა მოგახსენოთ და ტრაგედია ნამდვილადაა. იმედი მაქვს, ჩემს მაგალითზე გამოფხიზლდებიან ის დედები, ვინც არ იცის ზღვარი შვილის სიყვარულსა და... ბოროტებას შორის!...

***ინგა ჯაყელი***

# ნეტა რამდენს იწონიდა დეზდემონა?



## კარგ ცოლს წონაც კარგი უნდა ჰქონდეს

მავრიტანიაში მოწიფული ყმაწვილისთვის საცოლეს მშობლები არჩევენ. სანტიმეტრითა და სასწორით შეიარაღებულნი სარძლოს ამ პრინციპით აფასებენ: რაც უფრო მსუქანია, მით უკეთესი. კარგ ცოლს წონაც კარგი უნდა ჰქონდეს. ქალიშვილების მშობლებიც, რასაკვირველია, მტკიცედ იცავენ ამ ტრადიციას და როგორც კი გოგონას 12 წელი შეუსრულდება, იწყება კვების უმკაცრესი პროცედურა. საწყალს პაწაწინა კარავში კეტავენ, საიდანაც ტუალეტში გასვლაც ეკრძალება და იწყებენ ცხიმიანი საკვებით გამოტენვას, არ აკლებენ ნაღებს, რძეს და უამრავ კალორიულ საჭმელს. საკვების მიღება თითქმის შეუსვენებლად მიმდინარეობს, ჭამაზე უარის თქმა სასტიკი ცემით მთავრდება. ყოფილა შემთხვევა, რომ მამას სიკვდილის პირას მიუყვანია გოგონა ჭამაზე უარის გამო.

რამდენიმე დღის შემდეგ, ლერწამივით მოქნილი გოგონა ქონის ტომრად იქცევა. სულს ძლივს ითქვამს და ფიზიკურ დატვირთვას ველარ უძლებს. მაგრამ მავრიტანიელი მამაკაცისთვის ეს სილამაზის იდეალია. ისე, შექსპირის „ოტელოში“ არაფერია ნათქვამი დეზდემონას გარეგნობაზე, სცენაზე უნატიფესი და უნაზესია, მაგრამ წესით, არც ერთი თავმოყვარე მავრი ასეთ ქალს არ შეირთავდა, — დეზდემონა სულ ცოტა, 120-120-120 პროპორციისა უნდა ყოფილიყო, რომ ოტელოს თავგზა აბნეოდა.

ქალის სილამაზის ამგვარი აღქმა აფრიკაში ძალზე გავრცელებულია. მაგალითად, ზანზიბარში სასიძოს საქორწინო სიმღერა ასე იწყება: „ო, რა მსუქანია ჩემი სიყვარული“.

მავრიტანიელ ქალს ორი მთავარი ფუნქცია აკისრია: შვილების გაჩენა და ქმრის სახლის დამშვენება. ეს მშვენება კი მხართეძოზე წამოწოლილი ქმრისგან სისტემატურ პატივსა და ყურადღებას ითხოვს. მას უნდა აჭამო, ჩააცვა და ძვირფასი სამკაულებით აავსო. გასაკვირი არ არის, რომ მიუხედავად მუსლიმანური წესისა, მავრიტანიელ მამაკაცს ფიქრადაც არ მოსდის რამდენიმე ცოლის ყოლა — აბა, რა აუვა სამი ცოლის ჭამა-სმას, ჭირვეულობას და... წარმოიდგინეთ, რამხელა ფართობი დასჭირდება!

დგება დღე, როდესაც აფრიკელი მამაკაცი ფორიაქობს, ღელავს, ღამე ძილი ეკარგება, ლუკმა ყელში ეჩხირება და ნიანგებსაც ველარ იჭერს. ეს იმას ნიშნავს, რომ ცოლის თხოვის დრო დაუდგა. მისი შემდგომი ქცევა კი მისი ტომის ადათ-წესებზეა დამოკიდებული.

შეყვარებული ყმაწვილი პირველ რიგში იკვლევს თავისი მომავალი საცოლის გენეალოგიას. ქორწინებაზე ტაბუა დადებული არა მარტო შორეულ ნათესავებზე, არამედ თანატოლი ბიჭების დებსა და ბიძაშვილებზე. ნუერებში (ტომია) ერთ წელიწადში დაბადებული ყველა მამაკაცი ძმად ითვლება და ავტომატურად მათი ოჯახის წევრებიც ნათესავები ხდებიან. თუ ყმაწვილს გაუმართლა, მისი რჩეული ნათესავი არ აღმოჩნდა და მოახერხა ქალიშვილის უკაცრიელ ადგილას გამოჭერა (სხვამ არ უნდა დაინახოს) პირდაპირ ეკითხება, თანახმა არის თუ არა ცოლად გაჰყვეს. დასტურის შემთხვევაში იწყება ქორწინებისწინა რთული მარათონი — ვაჭრობა ქალის მშობლებთან. საქმე თუ დადებითად არ გადაწყდა, საქმეში ჯადოქარი ერევა. მერე დგება საზეიმო დღეები.

ქორწილი სამ ეტაპად იყოფა: ჯერ გამოსასყიდის გადაცემას ზეიმობენ, მერე პირველ საქორწინო რიტუალს მეორე მოსდევს. ეს საქორწილო ზარ-ზეიმი ოთხ თვეს გრძელდება, მაგრამ ახალგაზრდები სრულფასოვან მეუღლეებად მაინც არ ითვლებიან. პირველი ღამის შემდეგ ქალს, რომელიც უკვე აღარც პატარძალია, მაგრამ არც ცოლი — თავს პარსავენ და მშობლების სახლში მიჰყავთ. თავის ნახევრად ქმარს ფარულად ღამე ხვდება და როცა მისი პირმშო გარკვევით წარმოსთქვამს „დედას“ და „მამას“, მხოლოდ მაშინღა მიიჩნევენ ოჯახს სრულფასოვნად და, რასაკვირველია, სათანადოდ აღნიშნავენ ამას.

***კალეიდოსკოპი №39***

# ოქროს ოქტომბერი



**სასწორებო — ოქტომბერი თქვენი თვეა**

იგრძნობთ ენერგიის მოზღვავებას, მოქმედების ძალა და სურვილი მოგეძალებათ. თქვენი რომანტიკული და სამიჯნურო ურთიერთობები ამ თვეში ჰარმონიულად განვითარდება. ხანდახან ეჭვიც შეგეპარებათ, მაგრამ უამისოდ არაფერი გამოვა. საქმიანი ურთიერთობისთვის ოქტომბრის მეორე ნახევარი უფრო კარგია, ვიდრე პირველი. ყურადღების ცენტრში იქნებით, ყველას ეყვარებით და ბევრ ახალ მეგობარს შეიძენთ.

საყვარელ მამაკაცს მუდამ მბრძანებლობთ და ისიც გისრულებთ ყველაფერს. იმარჯვებთ იქ, სადაც არ ელით გამარჯვებას, მაგრამ არ გადაამეტოთ, ცეცხლს ნუ ეთამაშებით. მეგობრებმა შეიძლება არ გაპატიონ, რომ თქვენი გამოჩენისას მათი „კავალრები“ ყველაფერს ივიწყებენ. დიდი მფარველი გამოგიჩნდებათ. ჩაფიქრებულ საქმეს შესანიშნავად გაართმევთ თავს. გზა მოგებას მოგცემთ.

**პოზიტიური დღეები:** 3-5, 8-10, 17-18, 27

**ნეგატიური დღეები:** 6-7, 15, 20, 22-23, 25-26

# ტესტი: გიყვართ საკუთარი თავი?



1. ჯადოქარს სთხოვდით, თავიდან „დაებრუნებინა“ თქვენი ცხოვრება?
2. გსიამოვნებთ, როცა თქვენი შურთ?
3. თქვენი სულიერი სიმშვიდე დამოკიდებულია მატერიალურ მდგომარეობაზე?
4. შეგიძლიათ დიდხანს მარტო ყოფნა?
5. მოგეშვებათ თუ არა გულზე, როდესაც გაიგებთ, რომ თქვენს ახლობელს ისეთივე უსიამოვნება შეემთხვა, როგორიც თქვენ?
6. შეგიძლიათ თქვათ, რომ ხელმოცარული ხართ?
7. რას ფიქრობთ სარკეში ყურებისას?
   ა) დრო არავის ინდობს;
   ბ) არა მიშავს რა;
   გ) ძალიან კარგადაც გამოვიყურები!
8. ქათინაურებზე იმორცხვებთ?
9. სხვის მიმართ გრძნობის გამჟღავნება გიჭირთ?
10. აქცევთ თუ არა ყურადღებას სხვის აზრს?

**შევაჯამოთ:** გარდა მე-7 კითხვისა, ყველა დანარჩენ კითხვაზე უარყოფითი პასუხის გაცემის შემთხვევაში დაიწერეთ 5 ქულა (დადებითი პასუხისთვის — 0).

მე-7 შეკითხვის პასუხზე: ა) 0 ქულა; ბ) 2 ქულა; გ) 5 ქულა.

**35-60 ქულა.** ნამდვილად გიყვართ თქვენი თავი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვაც გეყვარებათ. სწორედ ეს განსაზღვრავს თქვენს წარმატებას, სიცოცხლის სიყვარულსა და მხიარულ ხასიათს. კეთილგანწყობას აფრქვევთ და ამიტომაც ყველას უყვარხარ. დარწმუნებული ხართ თქვენს თავში და სხვასაც ობიექტურად აფასებთ.

**15-30 ქულა.** სხვადასხვანაირად აღიქვამთ საკუთარ თავს: ხან მოგწონთ, ხან კი ზედმეტად აკნინებთ, თუ გადამეტებული კრიტიკული თვალით უყურებთ საკუთარ თავს. ეს ხელს შეგიშლით როგორც პირად და საქმიან სფეროში. ისე სხვებთან ურთიერთობაშიც. ეცადეთ, სულიერი შეჭირვებისას თქვენს დადებით მხარეებზე გაამახვილოთ ყურადღება, თანაც რაც უფრო შეაქებთ თავს, მით უკეთესია თქვენთვის.

**0-10 ქულა.** საკუთარი თავი არ მოგწონთ. სხვებისგანაც სიკეთეს არ ელით, რადგან თვლით, რომ სიყვარულის ღირსი არა ხართ. ხანდახან გძულთ კიდეც თავი და არასწორ გადაწყვეტილებებს იღებთ. დროა შეცვალოთ ასეთი დამოკიდებულება თავისადმი, რადგან თუ თქვენ არ გეყვარებათ თქვენი თავი, სხვა ამას არ გააკეთებს.

# ფულის ხარჯვა სტრესებს ხსნის

**კაცებს თუ დავუჯერებთ, ქალებზე მფლანგველი და მაღაზია-მაღაზია სიარულის სენით შეპყრობილი ამქვეყნად არავინაა. იმასაც კი იფიქრებ, ეს ქალბატონები სასწრაფოდ ცხრაკლიტულში თუ არ გამოამწყვდიეს, ბედკრულ ქმრებს ოჯახს გაუნადგურებენო.**

**...და მაინც, ტენდენციური რომ არ ვყოფილიყავი, ვინ უფრო მომჭირნეა და ვინ ფლანგავს ოჯახის ქონებას, ამის დასადგენად, ორივე სქესის წარმომადგენლებს მივმართე.**



**ნინო (38 წლის)** — ჩემი ქმარი ქალზე როგორ იტყვის, მფლანგველიაო. თვითონ არის მფლანგველიც და უკუღმართიც! ბაზარში თუ გაუშვი, ყველაფერს გადასაყრელს იყიდის და თანაც ისე ძვირად, გული გაგისკდება. არადა მეტრაბახება, ყველაფერი სულ ძვირფასი მოგიტანეო. მაღაზიაში თუ ერთად შევალთ რაიმეს საყიდლად, ეგ ყველაფერს ძვირიანს ყიდულობს და მე თუ რამე ისეთს დავადგი თვალი, აქოთქოთდება — რა ამბავია, ამ ფასად ორ ნივთს იყიდის კაციო. ამის მერე მაგას შეუძლია თქვას, ჩემი ცოლი მფლანგველიაო?

**ლევანი (42 წლის)** — ქალი უფრო მფლანგველია თუ კაცი? ორივე. არის ხოლმე შემთხვევა, როცა ცოლს თვალებში ვერ ვუყურებ, ისე მრცხვენია ჩემი მფლანგველობის. მაგალითად, სული წამძლევს და კაზინოში მივდივარ საცუღლუტოდ. იქ მთელ ფულს ვხარჯავ და გარეთ გამოსულს და ჭირის ოფლდასხმულს მახსენდება ცოლ-შვილის მოკრძალებული მოთხოვნები. თავში ხელებს ვირტყამ და ვვიშვიშებ, — ეჰ, კაცი ხარ ახლა შენ? სულ გამოგელია ტვინი-მეთქი. მაგრამ ხდება ისე, რომ ჩემი ცოლი ფლანგავს „ქონებას“ უახლეს პარფიუმერიასა და კოსმეტიკაში ისე, რომ წარბსაც არ იხრის. აი, მაშინ კი ვცხარდები და ისევ საკუთარ თავს ვსაყვედურობ, — ეჰ, ლევან, როგორ გამოშტერდი. რამ მიგაცემინა ქალისთვის ამდენი ფული. წასულიყავი, ბავშვები წაგეყვანა მუშტაიდში, ან სულაც კაზინოში შეგევლო, იქნებ რა ბედი გელოდა-მეთქი...

***ეკა ლომიძე***





ასლგა-დამღები მანქანის ფირმა

მამლუქთა დედა-ქალაქი

100კგ

დაბალი, ფართო დივანი

სრული მარცხი, კრახი

სამხედრო წოდება

ბუნებრივი ღია ყავისფერი პიგმენტი

მაგარის ანტონიმი

ნახატის და-ფარვა ლაქით (სიტყვასი-ტყვით)

ამერიკელი მსახიობი და მოდელი

დედამიწის წიაღისეული მინერალუ-რი შრე

0°C-ზე დაბალი ჰაე-რის ტემპე-რატურა

წინასწარმეტყ. ძვ. რომში

„ოტელოს“ პერსონაჟი

ხრიკი, ფანდი

ხის მკვრივი ნაწილი

ქვეყანა, (დედაქა-ლაქი – დელი)

მსოფლიო კომპი-უტერული ქსელი

თეთრი, ცეცხლგამ-ძლე თიხა

ფართის ერთეული მეტრულ სისტემაში

გურამ ფან-ჯიკიძის რომანი

მარცვლეუ-ლი კულტურა

კურორტი თურქეთში

ყოვლის-შემძლე (საბა)

ცხენის ჯიში



ატმოსფერ-ოს მდგომ. გარკვეულ ადგილზე

სვე

საიდუმლო სიტყვა

ინდოეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი

ჩრდილ-ოამერიკუ-ლი ხარი

ჩრდ. ამე-რიკ. ჰოკეის-ტთა ჯილდო, თასი

ქალის დაბალი ხმა

ხილის სიროფი მანნის ბურღულით

მუსიკალური გამის მეხუთე საფეხური

ძველი ხელნა-წერი

„ძველი თო-ფი“, „შინა-ბერა“ (ფრა-ნგი მსახ.)

მხატვ-რული შედარება

მდინარე კამის შენაკადი

გარეთ ატლასი, შიგნით ათასი

მაღალი ხე

აღმოსავ-ლური ტკბილე-ული

სახელმ-წიფო კარიბის ზღვაში

ფრეიდის ნაწარმოები „ტოტემი და ...“

ფრანგი ფიზიკოსი

„დაჩის ზღაპრები“ (... იოსე-ლიანი)

ჟან მარეს ცნობილი კინოსახე

მდინარის კალაპოტის კლაკნი

ლითონის ფული

შეჯიბრი ავტომო-ბილებით

ინდიელ სემინოლთა ბელადი

აკირა კუროსავას ფილმი

პატარა მოთხრობა

უქოჩრო თუთიყუში

მთვარის პოეტური ეპითეტი

ხეივანი ქალაქში

საარჩევნო ყუთი

ძველი ბერძნების სიმებიანი საკრავი

ოპერა „ფაუსტი“ (კომპოზი-ტორი)

იაპონური თეატრი

დარტყმა გვერდიდან



დიდი ბაღი ქალაქში

ნარიყი ადგილი ზღვაზე

არქივი თავისი არსით

ორი გამეტის შეერთების შედეგი

ნოტი



ჯაზის მო-მღერალი ... ფიცჯე-რალდი

ეგვიპტელ მეფეთა ტიტული

ქილიტა

უარყოფი-თი პასუხი თხოვნაზე

... მეფარიძე

შეადგინა რამაზ ალანიამ

# ჟან გაბენი: — ეს რა გენიოსი გყოლიათ

რამდენიმე წლის წინ ჰოლივუდმა საოცარი ფილმი გადაიღო, რომლის სიუჟეტიც ნამდვილ ამბავზეა აგებული. მთავარ როლს რობი უილიამსი ასრულებს. მისი გმირი ექიმია და პაციენტებს სიცილით კურნავს. ეს ფილმი სულაც არ ჰქონდა ნანახი ჩვენს ლეგენდარულ იპოლიტე ხვიჩიას, მაგრამ ისიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სიცილი მალამოა, უებარი წამალი, რომელიც ადამიანს აჯანმრთელებს და სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

თავად მსახიობები მას „ნაციონალურ იპოლიტეს“ ეძახდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მასში ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი ყველა კომიკური თვისება იყო გამთლიანებული. ხალხი გვარის გარეშეც ხვდებოდა, ვისზე იყო ლაპარაკი. არავინ კითხულობდა: „რომელი იპოლიტეო?“ იპოლიტე კი თვლიდა, რომ ხუმრობა ალალი და საღი უნდა ყოფილიყო, კაცს დიდხანს უნდა გაჰყოლოდა. ჩასაქირქილებელი ხუმრობა, რომელსაც „ღვარძლისფერი“ დაჰკრავდა, ხუმრობად არ მიაჩნდა და ქარის საფარფატებელს ეძახდა.



იპოლიტე ხვიჩია 1985 წლის 31 იანვარს გარდაიცვალა, 75 წლის ასაკში. საშინლად სუსხიანი დღეები იდგა. ქარი მიწამდე აწვენდა ხეებს და მიუხედავად ყინვისა და ქარბუქისა, მთელმა საქართველომ გააცილა მსახიობი „ვარდისფერ“ გზაზე. საიდან არ მოდიოდნენ — ტყიბულიდან, ხონიდან, ქუთაისიდან ხომ დათვლაც შეუძლებელი იყო, იმდენ ჭირისუფალს მოეყარა თავი.

დრო თითქოს ანელებს სევდას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. „დღე არ გავა, მამა არ გავიხსენო. მისი ხმა ზოგჯერ ისე ჩამესმის ყურში, თითქოს იგი ჩემს გვერდით იყოს“, — მეუბნება იპოლიტე ხვიჩიას ერთადერთი ქალიშვილი, ქალბატონი ნუნუ, მას არ უჭირს იმ ეპიზოდების გახსენება, რომელიც მამასთან არის დაკავშირებული, პირიქით, უზარმაზარ სიამოვნებას ანიჭებს და უსასრულოდ სურს სათაყვანებელ ადამიანზე ილაპარაკოს...

## რა არ უყვარდა მამაჩემს?

მამას პანაშვიდებსა და დაკრძალვებზე სიარული არ უყვარდა, იმიტომ კი არა, რომ მიცვალებულის ეშინოდა; არა, ერიდებოდა იმ მხიარულ აჟიოტაჟს, რომელიც მისი დანახვისას ატყდებოდა ხოლმე. ერთხელ, დედამ სთხოვა, ახლობლის პანაშვიდზე გაგვყევიო. მამაც დათანხმდა. როცა მიცვალებულის ოთახში შევედით, მომსვლელი თუ ჭირისუფალი მისკენ შეტრიალდა. რატომღაც სიცილი აუტყდათ. ეს გასაგებიც იყო ერთი მხრივ. ხალხმა ხომ მისი კომიკური სახეები შეისისხლხორცა, მაგრამ მამაჩემი იმ წუთებში ძალიან უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა. არაფერი შეიმჩნია, ჭირისუფლებს მიუსამძიმრა, მერე კი ჩქარი ნაბიჯებით გავიდა გარეთ. ჩვენც აღარ დაგვიცადა. ამის



შესახებ სახლში არაფერი აღარ გვითქვამს. მოგვიანებით კი ყოველთვის ვარიდებდით ასეთ ადგილებში წასვლას.

## როგორ გახდა ყვინჩია ხვიჩია

როდესაც მამას უფროსმა ძმებმა — აკაკიმ და საშამ სკოლაში დრამატული წრე შექმნეს, პატარა იპოლიტეც ჩაერთო თურმე სამსახიობო საქმეში. 1925 წელს, თოთხმეტი წლისა თბილისში ჩამოვიდა და სწავლა სამრეწველო ეკონომიკურ ტექნიკუმში გააგრძელა. ბინად დეიდასთან იყო, იზრდებოდა ოლღა დეიდას შვილებთან, დათკასა და მიხოსთან ერთად (შემდეგში ცნობილი პიროვნებები, პროფესორები — დავით და მიხეილ კვესელავები). სასწავლებლის დამთავრების მერე ხან სად მუშაობდა, ხან სად. მეთულუხჩედ და პურისმცხობლადაც კი იყო, მაგრამ ვერსად იპოვა თავისი ადგილი. ბოლოს მიმხვდარა, რომ სცენა იყო მისთვის გატაცებაც და მთავარი საქმეც. მამამ ხონის მუშა-ახალგაზრდობის თეატრში დაიწყო მუშაობა. იმ პერიოდში ქუთაისის თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა რეჟისორი დოდო ანთაძე, დიდი კოტე მარჯანიშვილის საუკეთესო მოწაფე და მისი საქმის ბრწყინვალე გამგრძელებელი. მან დასი თეატრის ძველი და ახალი თაობების წარმომადგენლებისაგან დააკომპლექტა. იპოლიტე ნანახი ჰყავდა ხონის სცენაზე და თავისთან მიიწვია. მოგვიანებით მამა ღიმილით იხსენებდა დიდ რეჟისორთან პირველ შეხვედრას. დოდო ანთაძის კაბინეტის კარი რომ შეუღია, მორიდებით უკითხავს, შეიძლებაო? რეჟისორს შეუპატიჟებია: მობრძანდი, დაბრძანდიო. შესულა და დამჯდარა სკამზე იპოლიტე.

— აბა, წარმომიდექი!

დაბნეულა მამა:

— ახლა არ ვიდექი ფეხზე, დაჯექიო, ხომ მითხარით? კაი, ბატონო, ავდგები (და ამდგარა), იპოლიტე ყვინჩია გახლავართო.

— ააა... გიცნობ, გიცნობ. მოდი, შევცვალოთ „ყ“ — „ხ“-თი, რა მოხდება, დაშავდება ვითომ რამე? უფრო კარგად იჟღერებს! — თვალი თვალში გაუყარა რეჟისორმა.

— კი, ბატონო! არც არაფერი დაშავდება; „ხ“-ც და „ყ“-ც ორივე ერთი ოხერია.

ასე და ამრიგად, ყვინჩია გახდა ხვიჩია.

### ხელწერილი

„მე, იპოლიტე ალექსის ძე ხვიჩია, რესპუბლიკის სახალხო არტისტი და სახელმოხვეჭილი კომიკი, ვალდებული ვარ ჩემი ძვირფასი პარტნიორების წინაშე დავიცვა (ნარდში) თამაშის ხელშეუხებლობის პრინციპი, ანგარიში გავუწიო პარტნიორის მოგებას და არ მივითვისო იგი:

1. ერთის მაგივრად არ გამოვიყენო სამი ქვა უსირცხვილოდ (მაინც წამასწრებენ და რა ფასი აქვს?!)
2. წამდაუწუმ არ ვუწოდო ჩემს ძვირფას და ნიჭიერ პარტნიორებს შემდეგი სიტყვები: უპატრონო, კრეტინი, დეგენერატი, კიკა და ა.შ.
3. გავუფრთხილდე სხვის ნწევას და შარი არ მოვდო ჩემს სასარგებლოდ.
4. არ ვიტრაბახო სხვასთან ძლივს მოგებული პარტიებით და არ დავამცირო წაგებული ნიჭიერი მონინააღმდეგე.
5. ვაღიარო ერთხელ და სამუდამოდ, რომ კირა და მარიკა ჭეშმარიტად დიდებული ნიჭით დაჯილდოებული მოთამაშეები არიან, რომ მათთან თამაში მგვრის სიამოვნებას და ხანდახან შიშსაც კი!

ოღონდ ახლა შემირიგდნენ და მეთამაშონ, ამიერიდან ამ პირობების ყველა მუხლს დავიცავ, რაზედაც ვაწერ ხელს...

მაგრამ, თუ ავდექი ფეხზე, თქვენ მო... კარგების ტრ...ს თქვენი იპო“.

სწორედ, ანთაძის დამსახურებაა იპოლიტეს, როგორც კომიკოსის აღმობრწყინება. მართალია, ხშირად მამა გულისტკივილით ამბობდა ხოლმე: მე ტრაგედიისთვის ვარ დაბადებული, არადა, კომედიაში ვიღუპებიო. სამაგიეროდ, დოდო ანთაძეს არაერთხელ უთქვამს: ხვიჩია დაჯილდოებულია ბუნებრივი, ძალდაუტანებელი კომიზმითო.

## კანის ფესტივალი და ფეხბურთის გულშემატკივარი კუჭკუჭი

ალბათ ყველას გახსოვთ გუგული მგელაძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ბურთი და მოედანი“. იქ მამა ფეხბურთის თავგადაკლულ გულშემატკივარს ასახიერებს, რომელიც „ერთადერთ“ სიდედრს „სასიკვდილოდ“ იმეტებს ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად. თუ რა გადახდება კუჭკუჭის ამ უკიდეგანო გატაცების გამო, — ყველამ კარგად იცით, ხოლო მამას კადრს მიღმა რაც გადახდა, — ეს შეიძლება ბევრმა არ იცოდეს. გადაღების დროს ვერა და ვერ მოუძებნეს შესაფერისი ტრუსი. შელამებისას შინ მობრუნებულმა მამამ თვალი მოჰკრა თოკზე გასაშრობად გადაკიდულ შავ ნიფხავს. გაიბადრა იპოლიტე. სწორედ ასეთი ესაჭიროებოდა მის გმირს... და მამამ ბებიაჩემს, თავის „ერთადერთ“ სიდედრს, მოჰპარა ის ნიფხავი, რომლითაც მთელმა ევროპამ გაიცნო. კანის ფესტივალზე, როცა „ბურთი და მოედანი“ უჩვენეს, თავისი სიდინჯით ცნობილ მსახიობს — ჟან გაბენსაც ვერ შეუკავებია სიცილი. მის გვერდით მჯდარა ჩვენი რეზო ჩხეიძე. ფრანგული კინოს ლეგენდას და დიდოსტატს ბატონი რეზოსთვის ჩუმად გადაულაპარაკებია: ეს რა გენიოსი გყოლიათო?!

## იპოლიტე და სესილია

მამამ ისეთი გულიანი ხუმრობა იცოდა, მისგან არავის არაფერი სწყინდა. ყველასთან შეეძლო შეხუმრება, დიდთან თუ პატარასთან, ქალთან თუ კაცთან.

„ფეოლას“ გადაღებისას, ბათუმში მამას მთელი ოჯახი ვახლდით. სწორედ, ამ დროს სესილია თაყაიშვილი ისვენებდა ბათუმში. ერთხელაც, გადაღებიდან დაბრუნებულმა მამამ ზღვაში ბანაობა მოისურვა. ჩვენც გავყევით. გზაზე სანაპიროდან მომავალი, მზეზე გარუჯული და დასვენებით კმაყოფილი სესილია შემოგვხვდა.

— აუ, სესილია, გამომასწარი? — შუბლზე იტკიცა მამამ ხელი.

— რა გინდა, ბიჭო, რა? — თავისებურად დაუცაცხანა სესილიამ.

— რა და შენი ნახვა მინდოდა საბანაო კოსტიუმში (მამას სუსტი წერტილი იყო „კუპალნიკებში“ გამოწყობილი ქალების ყურება).

— უჰ, მეხი კი დაგაყარე, ა, და შემხედე! — სესილიამ ხალათი გადაშალა და საბანაო კოსტიუმში დაენახვა.

— დიდუუუ! ყვავს ააჩხავლებ! — იყვირა მამამ.

— დამეკარგე აქედან! — კვლავ შეუტია თაყაიშვილმა. დამსვენებლები გაფაციცებულები უთვალთვალებდნენ ამ ორი მსახიობის შეხვედრას, მათი დიალოგი რომ მოისმინეს, ხმამაღლა ახარხარდნენ.



## იპოლიტე და მისი პარტნიორი ღორი

რეზო ჭარხალაშვილი მდინარე ქსანზე იღებდა ფილმს „მეზობლები“ (აკ. ბელიაშვილის მოთხრობის მიხედვით). ფილმში არის ასეთი ეპიზოდი — მოპარული შვიდფუთმნიანი ღორით იპოლიტემ ბონდის ხიდი უნდა გადაიაროს. გადამღები ჯგუფის წევრებმა მოჭრეს უზარმაზარი მორი და გადეს წყალზე. რეჟისორმა განკარგულება გასცა, იპოლიტეს გაეყვანა ღორი ხიდზე.

— ვერ გავალ! — იუარა მამამ.



— გადაირიე? რას ჰქვია, ვერ გახვალ? — შეიცხადა რეჟისორმა.

— რომ გადავვარდე? — გაგიჟდა მამა.

— რა გიჭირს მერე? გასცურავ და ამოხვალ ისევ!

— რავა, რა მიჭირს. შენ გადავარდი, თუ კაია... ცურვა არ ვიცი, კაცო, ცურვა! — აყვირდა...

ყველა გაოცდა, იპოლიტეს ცურვა არ სცოდნიაო. მოიყვანეს მყვინთავები და დააიმედეს: ახლა გადი, აგერ ვართ ჩვენო. როგორც იქნა, გაბედა მამამ, მაგრამ მაინც ბურდღუნით დაიძრა წინ: — აგერ კი ხართ, მარა წყალში ხომ არ იქნებით, რომ გადავვარდეო!

ყველანი დაძაბულები მივჩერებოდით მამას და მის „პარტნიორ“ დიდ ღორს, იპოლიტე ნელ-ნელა შიშით მიიწევდა წინ, თან ქვემოთ, წყლისკენ იყურებოდა. რეჟისორმა იქუხა: ქვემოთ კი არა, პირდაპირ უნდა იყუროო. გაიხედა და ფეხიც აუცდა, ღორთან ერთად წყალში ზღართანი მოადინა. ატყდა ვაი-ვიში. შეწუხდა რეჟისორი. აქეთ-იქით დავრბოდით ჩვენც. სანამ მყვინთავები წყალში მოძებნიდნენ მამას (ტყუილუბრალოდ როდი ეეჭვებოდა მათი დახმარების), იპოლიტემ ამოყვინთა. ღორს კბილები ჩაევლო იპოლიტეს ჭრელი, ყვავილებით მორთული პერანგისთვის და რის ვაი-ვაგლახით ზევით ექაჩებოდა. დახრჩობას ღორმა გადაარჩინა. მამა კი ამოვიყვანეთ წყლიდან, მაგრამ ღორი გაგვექცა. გალუმპული იპოლიტე სიმწრით ყვიროდა: დიდუუ, სადაა ამხელა მწვადი? ამის გაქცევა იქნებოდა? დამიჭირეთ, მომიყვანეთო. მიწაზე ვგორავდით ყველანი.

## იპო — აზარტული მონარდე

სიგიჟემდე უყვარდა ნარდი. ბოლო პერიოდში, როცა ხშირად ავადმყოფობდა, გარეთ აღარც უნდოდა გასვლა. სამაგიეროდ, ცას ეწეოდა სიხარულით, თუ ვინმე გვესტუმრებოდა. განსაკუთრებით ძლიერი მეტოქეების დანახვა უხაროდა. ასეთები იყვნენ: ჟურნალისტი და პოეტი კირა კვეიძე, კომპოზიტორი და მომღერალი ნუგზარ ერგემლიძე და შვილიშვილი მარიკა. განსაკუთრებით კირას და მარიკას უთამამდებოდა. თამაშის დროს სულ ჩხუბობდა, ხშირად იტყუებოდა, ამიტომაც მოთამაშეები პროტესტის ნიშნად მოჩვენებითად გარბოდნენ ჩვენი სახლიდან. ამ დროს მამა წამოვარდებოდა, მკლავში ჩაეჭიდებოდა და სთხოვდა, ოღონდ დარჩით და მეტს აღარ „ვითაღლითებო“. ერთხელ მეტოქეებმა კატეგორიულად მოსთხოვეს პატიოსანი თამაში, რაზედაც ხელწერილი უნდა შეედგინა. მამაც დათანხმდა და შეადგინა ხელწერილი, რომელსაც ზემოთ გთავაზობთ.

## კიდევ რა მახსოვს?

მამას გადაღებებზე მუდამ თან დავყვებოდით. მახსოვს რეჟისორებს ხშირად გაუციათ ასეთი განკარგულება: ყველაზე დიდი ბაწარი გაჭიმეთ, გალავანი შემოარტყით გადასაღებ მოედანსო. ეს იმისთვის კეთდებოდა, იპოლიტეს სანახავად მოზღვავებულ ხალხს გადაღებისთვის რომ ხელი არ შეეშალა.

„წარსული ზაფხულის“ გადაღებისას გურიაში — სუფსასა და ახალსოფელში ხეზე ჩიტებივით შემომსხდარი გოგო-ბიჭები დილიდან გვიან საღამომდე უთვალთვალებდნენ მამას და ხან „თხუნელა ბიძიას“ ეძახდნენ, ხან „კუჭკუჭის“.

„პირველი მერცხალის“ გადაღებისას ხომ ნადირობა იყო დოდო აბაშიძესა და მამაჩემზე გამოცხადებული. მეგრელები დღეში ცხრაჯერ მოდიოდნენ გადასაღებ მოედანზე და ეპატიჟებოდნენ იპოლიტეს და დოდოს. ისინი კი უბოდიშებდნენ: დიდი მადლობა, მაგრამ ნანა მჭედლიძეს (ფილმის რეჟისორი — მ.ბ.) ვერ დავაღალატებთ. როცა ფილმის გადაღება დამთავრდება, მერე სიამოვნებით გამოგყვებითო.

მამას ძალიან უყვარდა მოლხენა. ტრადიციაც ჰქონდა — როგორც კი ფილმის გადაღებას მორჩებოდნენ, მთელ გადამღებ ჯგუფს ეპატიჟებოდა. დედაც მუდამ ხელს უწყობდა. მამას ბაკუნას ვეძახდით, რადგან ბაკიბუკით იცოდა სიარული. საჭმელებიდან გიჟდებოდა ხაჭაპურზე. შუაღამეც რომ ყოფილიყო და ხაჭაპური ენატრა, დედა არ დაზარდებოდა. მუდამ მზადყოფნაში იყო ბაკუნასათვის გამოეცხო ხაჭაპური. ბაკუნას და „ხაჭაპუროვნას“ (ასე ეძახდა დედას) ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

## იპოლიტე ხანდახან სევდიანიც იყო

ერთხელ, ანსამბლი „გორდა“ საიუბილეო თარიღს აღნიშნავდა. მამაც იყო მიწვეული. საღამოს, როცა სუფრა გაიშალა, იპოლიტემ სიტყვა ითხოვა. ყველა სმენად იქცა. ერთი სათხოვარი მაქვსო, — უთხრა საღამოს მესვეურებს. ბრძანეთ, ბატონო იპოლიტეო, — თუ ჩემს დაკრძალვაზე მოხვდებით, ჩვენებს სურათი წინ არ გაატანინოთო. — რატომო? — გაიკვირვეს მსმენელებმა. — ხალხი სურათის დანახვაზე გაიცინებს, არადა მინდა, ამ ერთხელ მაინც მომეგებონ ცრემლითო.



არ გამართლდა მამას ეჭვი. მის დანახვაზე მუდამ მოცინარი ხალხი უკანასკნელ გზაზე იპოლიტეს ალალი ცრემლით მიაცილებდა.

ახლობლებსაც და სხვებსაც ხშირად უკითხავთ მისთვის: მაინც რომელი როლი გიყვარს გამორჩეულადო? მამა კი პასუხობდა: ბატონო ჩემო, შვილები ყველა ერთნაირად საყვარელიაო.

P.S. იპოლიტე ხვიჩია ამბობდა ხოლმე: კვალს ლოკოკინაც კი ტოვებს, კაცმა კაცური კვალი უნდა დატოვოსო. მან ნამდვილად ღირსეული კაცის კვალი დატოვა, რადგან არ მეგულება ადამიანი მასზე აუგი ეთქვას.

**მარინა ბაბუნაშვილი**

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს



***ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.***

**დროდადრო ძლიერ ტკივილს ვგრძნობ ბეჭის კუნთებში, ხან ერთ, ხან ორივე მხარეს (ძირითადად მარცხენა მხარეს). რა დაავადებაა და რით ვიმკურნალო?**

***თქვენი მკითხველი***

მსგავსი ჩივილი ყველაზე მეტად დამახასიათებელია ხერხემლის, გულმკერდის მალების ოსტეოქონდროზისთვის, თუმცა დიაგნოზის დასაზუსტებლად უმჯობესია ნევროპათოლოგს მიმართოთ. ოსტეოქონდროზის სამკურნალოდ გამოიყენება ანთების საწინააღმდეგო, ხრტილოვანი ქსოვილის აღმდგენი პრეპარატები, ფიზიოთერაპია, მასაჟი, ვარჯიში. კონკრეტულ მკურნალობას ექიმი დაგინიშნავთ.

**ჩემი ერთი წლის პატარა ძილში გამუდმებით ხვრინავს. დაკავშირებულია თუ არა ეს გაცივებასთან და საჭიროა თუ არა, რომ ცხვირში რაიმე ჩავაწვეთო, კონკრეტულად რას მირჩევთ?**

***მაია კობიაშვილი***

ბავშვის ხვრინვის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზი ადენოიდებია, მეორე კი — ცხვირ-ხახაში მშრალი ლორწო. უმრავლეს შემთხვევაში ბავშვის ხვრინვა საძინებლის ჰაერზე მისი ორგანიზმის რეაგირების შედეგია. თუ ჰაერი მშრალი და ცხელია, ოთახში მრავლადაა მტვრის ბუდეები (ხალიჩები, რბილი ავეჯი), რაც უნდა აწვეთოთ ცხვირში, ხვრინვა არ გაუვლის. გაცივებასთან მისი კავშირიც შესაძლებელია, თუკი მანამდე ბავშვი არ ხვრინავდა და მხოლოდ გაცივების შემდეგ დაიწყო ხმაურიანი სუნთქვა ღამით.

**ყოველთვის უნდა ამოვიღოთ თუ არა სიბრძნის კბილი?**

***მკითხველი***

სიბრძნის (მერვე) კბილს იღებენ შემდეგ შემთხვევებში: თუ ამოსვლისას მას არ ჰყოფნის ადგილი და ამოჭრის მცდელობა უშედეგოა; თუ კბილი ზიანდება კარიესით ან მისი გართულებებით, ხოლო სამკურნალოდ ძნელი მისადგომია, თუ ზედა მერვე კბილი ამოიჭრა, ხოლო ქვედა — არა და ზედა კბილი არ მონაწილეობს ღეჭვის პროცესში. მაგრამ ყველა პაციენტს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება და კბილის ამოღების საკითხს სტომატოლოგი პაციენტის პირის ღრუს დათვალიერებისა და რენტგენოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით წყვეტს.

**— ვარ 50 წლის მამაკაცი, დილაობით მაქვს სიმძიმის გრძნობა თავის არეში, განსაკუთრებით ცუდად ვარ ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის დროს, დამტანჯა წნევამაც. ნაცნობის რჩევით გავიკეთე რეოგრაფიული გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც აღმოჩნდა, რომ „თავის სისხლძარღვების ავსების ამპლიტუდა დაქვეითებული“ მაქვს. რომელ სპეციალისტს უნდა მივმართო ამ დიაგნოზით და როგორია ჩემს დაავადებასთან ბრძოლის საშუალებები?**

***გურამ ბიბილეიშვილი***

თქვენ მიერ აღწერილი სიმპტომები: თავში სიმძიმის შეგრძნება და წნევის ცვალებადობა სხვადასხვა დაავადების დროს გვხვდება. ყველაზე ხშირად კი ეს ნიშნები ახასიათებს არტერიულ ჰიპერტენზიას (მაღალ წნევას), რომელიც სათანადო მკურნალობას საჭიროებს. რაც შეეხება რეოგრაფიული ინდექსისა და „სისხლძარღვების ავსების“ დაქვეითებას, აღნიშნული გამოკვლევის მიხედვით გადამწყვეტი პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგან რეოგრაფია არ იძლევა სისხლძარღვთა ობიექტური ცვლილებების ზუსტ სურათს. კვლევის ეს მეთოდი მინიმალური სპეციფიკურობით ხასიათდება და დიაგნოზის დაზუსტება მისი მეშვეობით შეუძლებელია. უმჯობესია ჩაიტაროთ სხვა გამოკვლევა (მაგალითად, ულტრაბგერითი დიპლეროგრაფია ან დუპლექსური სკანირება). მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომელ პათოლოგიურ პროცესთან გვაქვს საქმე და ამის მიხედვით შემუშავდება მკურნალობის ტაქტიკა.

***თამარ მამაცაშვილი***

## სათვალე უსინათლოებისთვის

ავსტრიელმა მეცნიერებმა გამოიგონეს მოწყობილობა, რომლის დახმარებითაც ყველა (დაბადებიდან) უსინათლო შეძლებს დაინახოს სამყარო. ეს ე.წ. კიბერ-თვალი, შედგება სილიკონური ჩიპისგან, რომელიც ჩაინერგება უშუალოდ პაციენტის თვალის კაკალში და სპეციალური სათვალისგან, რომელიც წარმოადგენს თავისებურ ვიდეოკამერას, ხოლო სათვალით დაფიქსირებული ობიექტების გამოსახულება გადაეცემა პაწაწინა ჩიპს, ის კი, ელექტრომაგნიტური ტალღების დახმარებით გადასცემს ყველა ინფორმაციას თვალის ბადურას.

გამომგონებლებმა პროექტი წარმატებით გამოსცადეს ცხოველებზე და მზად არიან ექსპერიმენტი ჩაატარონ აბსოლუტურად უსინათლო ადამიანებზე.

***შტერნი***

## ფეხების შეშუპებას შველის



ფეხების შეშუპება მიუთითებს სისხლისა და ლიმფების ცუდ ცირკულაციასა და წყლის არასწორ ცვლაზე. როგორც წესი, ამ მოვლენებს იწვევს ორგანიზმში კალიუმისა და ნატრიუმის ბალანსის დარღვევა. შეშუპების დროს, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ასწიოთ სისხლში კალიუმის დონე, რისთვისაც კვების რაციონში უნდა შეიტანოთ ხილი და ბოსტნეული, კალიუმის მარილით მდიდარია: კომბოსტო, კანიანად შემწვარი კარტოფილი, ბადრიჯანი, ყაბაყი, ლეღვი, ყურძენი და ქლიავი.

**აი, კიდევ ერთი ხალხური რეცეპტი:** ბამბის ქსოვილისგან შეკერეთ ფეხების სიგრძის (მუხლებამდე პარკები კოლგოტის მსგავსად), ჩაყარეთ არყის ხის იმდენი ფოთოლი, რომ 1 სმ-ის სისქეზე დაფაროთ მთლიანად ფეხები, 3-4 საათის შემდეგ ფეხები იწყებს გაოფლიანებას, მაშინ ახალი ფოთლებით უნდა შეცვალოთ. 1-2 ასეთი სეანსი და ფეხები დაგიცხრებათ.

***მედიცინა №37***

## მივირთვათ მეტი კარტოფილი და დავიკლოთ წონაში

**გახდომის მსურველებმა უნდა გაითვალისწინონ ლათინურ-ამერიკელი ინდიელების შესანიშნავი დიეტა. ამ რეცეპტის ეფექტიანობა საუკუნეების მანძილზეა შემოწმებული — სამხრეთ ამერიკა ხომ „მიწის ვაშლის“ სამშობლოა... გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს:**



**1.** კარგად გარეცხეთ 1,5 კგ მსხვილი კარტოფილი, შეაწყვეთ გაზქურაში და შეწვით. გაყავით 6 ნაწილად და მიირთვით მთელი დღის მანძილზე — სჯობს ცხლად და კანიანად, უმარილოდ და უზეთოდ. უნდა მიაყოლოთ ჩვეულებრივი წყალი — დღეში 3 ლ. ამ დიეტის დროს გამორიცხულია ნებისმიერი სპირტიანი სასმელის დალევა.

დიეტა გრძელდება 3 დღე. ამ ხნის განმავლობაში უნდა დაიკლოთ 3 კგ.

**2.** კარგად გარეცხილი 1,5 კგ კარტოფილი კანიანად მოხარშეთ, გაანაწილეთ 4-6 ულუფად. დღეში 2-ჯერ მიირთვით ყოველგვარი სანელებლის გარეშე და უმარილოდ. შეგიძლიათ კერძს დაუმატოთ ცოტა ზეითუნის ზეთი და ლიმონის წვენი. კურსის ხანგრძლივობაა ერთი კვირაა. შედეგი იგივეა — დაიკლებთ 3 კგ-ს.

**3.** კარგად გარეცხილი 1,5 კგ კარტოფილი კანიანად შეწვით ღუმელში ან მოხარშეთ ორთქლზე, დაასხით ლიმონის წვენი, ცოტა ზეითუნის ან მზესუმზირის ზეთი. დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და ნიორი. შეგიძლიათ კარტოფილი ჩაჭყლიტოთ და მოამზადოთ პიურე ცხელი წყლით.

დიეტის ხანგრძლივობაა 15 დღე. ამ ხნის მანძილზე ორგანიზმი ყოველდღიურად იღებს 1250 კკალორიას, ცილისა და $B^1$, PP და C ვიტამინების დღის თითქმის სრულ ნორმას (!სამჯერ მეტი აუცილებელ მინიმუმთან შედარებით), კალიუმს — 300%, რკინას — 90%, მაგნიუმს და ფოსფორს — 75%, კალციუმს. გარდა ამისა, კარტოფილი შეიცავს შეუცვლელ ამინომჟავებს, კერძოდ, ლიზინს, $B_2$ ვიტამინსა და პექტინებს.

სამხრეთამერიკელი ინდიელები კარტოფილის ამ დიეტებს იყენებენ სწორი ნაწლავის ღრმა წმენდისათვის ყოველგვარი ოყნის გარეშე.

***ტაინაია ვლასტ №18***

## როგორ შევაჩეროთ ცხვირიდან სისხლდენა



ზოგჯერ პატარებს ცხვირიდან სისხლდენა ეწყებათ.

ამ უსიამოვნო შემთხვევის სწრაფად შესაჩერებლად ბავშვი დასვით სკამზე და ცხვირის ფუძეზე დაადეთ ყინულიანი ქსოვილი (არავითარ შემთხვევაში თავი უკან არ გადაუწიოთ).

ერთ ჭიქა წყალში გახსენით 1 ჩ/კ ვაშლის ძმარი და აუხსენით პატარას, ცხვირით ფრთხილად როგორ შეისრუტოს და გააჩეროს 2-3 წუთი ეს სითხე ნესტოში. მაღლა აუწიეთ ბავშვს ხელები და თითი დააჭირეთ იმ ნესტოს, საიდანაც სისხლი მოსდის. თუ ორივე ნესტოდან მოსდის სისხლი, დაასველეთ ბამბის ტამპონები 3%-იან წყალბადის ზეჟანგის ხსნარში და ფრთხილად გაუკეთეთ ნესტოებში.

გახსენით 1 ჩ/კ მარილი 1 ჩ/ჭ ცივ წყალში და რამდენჯერმე ცხვირით შეასრუტვინეთ პატარას.

ამ საშუალებების გამოყენების შემდეგ თუ სისხლდენა არ შეწყდა, მაშინ დაუყოვნებლივ ექიმთან წაიყვანეთ — დაზიანებული არ იყოს მსხვილი სისხლძარღვი.

***მედიცინა №7***


## პროსტატის ადენომა „ომნიკი“ პრობლემების გადაწყვეტა

სტატისტიკურად დადგენილია, რომ ყოველ მეორე მამაკაცს 50 წელს ზევით პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია ანუ პროსტატის ადენომა აღენიშნებათ. ასაკის მატებასთან ერთად პროსტატის ადენომის სიხშირე მატულობს, ხოლო 80 წელს გადაცილებული მამაკაცებისათვის ეს მაჩვენებელი თითქმის 100%-ს უახლოვდება.

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, პროსტატის ადენომა არის პროსტატის კეთილთვისებიანი სიმსივნე, რომელსაც საფუძვლად პროსტატის ზომებში მომატება — კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია უდევს. გადიდებული პროსტატა იწვევს შარდსადენ მილზე ზეწოლას, რაც შარდის ბუშტიდან შარდის ნორმალური ნაკადით გამოსვლას ეწინააღმდეგება. ამრიგად პროსტატის ადენომა იწვევს მოშარდვის აქტის დარღვევას, რაც გამოვლინდება შემდეგი სიმპტომებით: შარდის სუსტი და წყვეტილი ნაკადი, მოშარდვის შემდეგ ბუშტის არასრული დაცლის და დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება, გახშირებული შარდვა განსაკუთრებით ღამის განმავლობაში, მოშარდვის იმპერატიული სურვილი (სურვილის გაჩენისას გადაუდებელი მოშარდვა. ზოგჯერ შარდის უნებლიეთ დაღვრა.), იძულებითი შეუკავებლობა.

პროსტატის ადენომის ზემოთ აღნიშნული ნიშნები ნელ-ნელა ვითარდება და დაავადების გარკვეულ ეტაპზე მეტად შემაწუხებელ ხასიათს იღებს, რაც მნიშვნელოვნად აქვეითებს მამაკაცის შრომისუნარიანობას და მისი ნორმალური ცხოვრების რიტმს არღვევს.

დღეისათვის პროსტატის ადენომის მკურნალობის საწყის ეტაპზე, უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება მედიკამენტოზურ თერაპიას. ამჟამად ცნობილი პრეპარატები, რომლებიც პროსტატის ადენომის სამკურნალოდ გამოიყენება, ისეთი გვერდითი მოვლენებითა და ნაკლოვანებებით ხასიათდება როგორიცაა: სქესობრივი აქტივობის დაქვეითება, არტერიული წნევის დაცემა, რაც გამოვლინდება თავბრუსხვევით, გულისცემის აჩქარებით, თავის ტკივილით, პირის სიმშრალით, საერთო სისუსტით. ამის გამო ექიმი ხშირად იძულებულია საერთოდ მოუხსნას პაციენტს პრეპარატი ან უკეთეს შემთხვევაში შეამციროს დოზირება, რაც თავის მხრივ მკურნალობის დაბალ ეფექტურობას განაპირობებს.

პროსტატის ადენომის მედიკამენტოზურ მკურნალობაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია იაპონურმა ფარმაცევტულმა კომპანიამ– Yamanouchi-იმ. (იამანუჩი). აღნიშნული ფირმის სამეცნიერო კვლევით ცენტრში, წამყვანი მეცნიერების მიერ, პროსტატის ადენომის სამკურნალოდ შემუშავდა პრეპარატი **ომნიკი.**

პრეპარატი **ომნიკი** გამოირჩევა მაღალი ეფექტურობით, უსაფრთხოებით, მიღების მარტივი წესით. მას არ ახასიათებს ზემოხსენებული გვერდითი მოვლენები, ხოლო პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესება აღინიშნება მკურნალობის დაწყების მე-2-3 დღიდან.

**პრეპარატი ომნიკი, ტამსულოზინის ჰიდროქლორიდი გამოდის 0.4 მგ. 30 კაფსულის სახით.** მიღებისას არ საჭიროებს დოზის შერჩევას და ინიშნება მხოლოდ ერთხელ დღეში: 1 კაფსულა დილით, ჭამის შემდეგ.

**ომნიკის** მაღალმა ხარისხმა და ეფექტურობამ განაპირობა მისი ფართოდ გავრცელება მთელ მსოფლიოში: ამერიკის კონტინენტზე, ევროპაში, აზიაში და ამავდროულად, პოპულარული გახდა საქართველოშიც.

პრეპარატმა წარმატებით გაიარა კლინიკური გამოცდა საქართველოს წამყვან უროლოგიურ კლინიკებში. მას ფართოდ გამოიყენებენ თავიანთ პრაქტიკაში და დადებით შეფასებას აძლევენ საქართველოს მოწინავე და წამყვანი უროლოგები: **პროფ. მანაგაძე, პროფ. ბოჭორიშვილი, პროფ. ჩიგოგიძე, პროფ. უჯმაჯურიძე** (უროლოგიის ეროვნული ცენტრი), **პროფ. ქორიაშვილი, პროფ. ჯაფარიძე, პროფ. გზირიშვილი** (თსსუ უროლოგიის კათედრა), **პროფ. შიოშვილი** (თბილისის სამედიცინო აკადემიის კლინიკა) და სხვა სპეციალისტები.




**პრეპარატის შეძენა ხელსაყრელ ფასში შესაძლებელია სამედიცინო ფირმა "ავერსის" საცალო აფთიაქების ქსელში, რესპუბლიკის მასშტაბით.**

დამატებითი ინფორმაციისთვის და კვალიფიციური კონსულტაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ ზემოთ ხსენებულ სპეციალისტებს.

R

**იქნებ განმარტოთ, ცელულიტი პათოლოგიაა თუ ორგანიზმში მიმდინარე ბუნებრივი პროცესი?**

*ლ. ქათამაძე, ქუთაისი*

ცელულიტი დაავადებაა თუ არა, ამის შესახებ დღესაც კამათობენ. თუმცაღა, მემკვიდრეობითი ფაქტორის გამორიცხვა არ შეიძლება: ცელულიტი დედიდან ქალიშვილს გადაეცემა, მთავარი გამომწვევი კი, ჰორმონალური დისბალანსი, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციონირების დაქვეითება ან კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციონირების დარღვევაა. პროცესს ამძიმებს და აღრმავებს ცუდი ეკოლოგიური პირობები, სისტემატური წალუკმება, თამბაქო, ალკოჰოლი, სტრესი, ყავა. ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატის, მათ შორის კონტრაცეპტივების მიღება, მდორე ცხოვრება.

შედეგად ბარძაყებზე, დუნდულებზე, ფეხის ზედა ნაწილებში ცხიმი გროვდება. სისხლძარღვთა კედლების გამავლობა მატულობს, რის შედეგადაც ხდება ქსოვილებში ჭარბი წყლის შეკავება. ვითარდება შეშუპება და ცხიმის გარშემო ქსოვილთა გამაგრება. ასაკის მატებასთან ერთად სიტუაცია უფრო მძიმდება.

ცელულიტისთვის დამახასიათებელი „ფორთოხლის ქერქის“ არსებობის შემჩნევისთანავე მიმართეთ სპეციალისტს — ენდოკრინოლოგს.

დიდი და საჩვენებელი თითით დააწექით ბარძაყის კანს, თუკი მისი სიგლუვე მცირედითაც დარღვეულია, გირჩევთ უკვე შეუდგეთ ბრძოლას! თქვენი მთავარი იარაღი — ნორმალური კვება და ტანვარჯიშია. ასევე — კრემები, მასაჟი, აპარატული მეთოდი და სხვ.

ცელულიტის საწინააღმდეგო კრემი კარგია პროფილაქტიკისათვის, ასევე ის შესაძლოა ეფექტური იყოს იმ შემთხვევაში, თუკი უჯრედებს ნორმალური შრომისუნარიანობა ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ. ასეთი კრემები შეიცავენ წყალმცენარეებს, A ვიტამინს, ცხიმის დამშლელ ფერმენტებს, კოფეინს, მკვდარი ზღვის მარილებს...

არსებობს საშუალებები მაგნიტური ნაწილაკებით, ასევე პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ დადებითად და უარყოფითად დამუხტულ იონებს. ისინი ოსმოსისა და დიფუზიის პრინციპით ზემოქმედებენ. კრემის შემადგენლობაში შეიძლება იყოს საშუალებები, რომლებიც ინარჩუნებენ წონასწორობას ცხიმების დაშლასა და წარმოქმნას შორის, ასევე ფერმენტები, რომლებიც აფერხებენ ცხიმის ჩალაგებას ორგანიზმში. თუკი ცელულიტი უკვე მოგერიათ, კრემების ხმარების მაგიერ მიმართეთ კოსმეტიკურ ცენტრს.

აპარატული საშუალებების კომპლექსური გამოყენება ეფექტურია, თუმცა ძვირი ჯდება.

**მასაჟი ვაკუუმით.** ძალიან წააგავს ხელით მასაჟს, ოღონდ უფრო ეფექტურია. ამისთვის კოსმეტიკური ქილები გამოიყენება. კანზე მიმაგრებისთანავე ქილები აუმჯობესებს ადგილობრივ სისხლმომარაგებას, ასევე ლიმფოდრენაჟს, ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლას და ხელს უწყობს ცხიმის წვას.



# ცელულიტი

არსებობს **დერმოტონია** — დერმის რეფლექსოთერაპიული მკურნალობა. ასევე **ჰიდროფორტეთერაპია** — რისი წყალობითაც ცხიმოვან ქსოვილში 10სმ-ის სიღრმეში შეჰყავთ სპეციალური გელი, რომლის კომპონენტები აქტიურებენ უჯრედულ მეტაბოლიზმს, აუმჯობესებენ სისხლის მიმოქცევას.

**იმპულსური ზემოქმედება.** კომპიუტერული დიაგნოსტიკით ადგენენ ცხიმოვანი და კუნთოვანი ქსოვილის შეფარდებას და იმპულსის ზემოქმედების პროგრამას. კუნთოვანი ბოჭკოების გაძლიერებული შეკუმშვა აქტიურებს სისხლის მიმოქცევას, ნივთიერებათა ცვლას, გაიწოვება ცხიმოვანი შემკვრივებები.

**ლიმფოდრენაჟი.** აპარატით ხსნიან ლიმფის შეგუბებას, რაც აუმჯობესებს კანის კვებას.

**ულტრაბგერითი პულსთერაპია.** დადებითი შედეგი 3-4 სეანსის მერე შეიმჩნევა. იდეალურია მისი შეთანხმება ხელით მასაჟთან.

**ოზონოთერაპია.** ოზონი წვრილი ნემსით შეჰყავთ ადგილობრივად, რაც აძლიერებს კვებით პროცესებს, სისხლის და ლიმფის მიკროცირკულაციას. საჭიროა კვირაში 10-20 ჩხვლეტა. თუკი ჰეპატიტი გაქვთ გადატანილი ან გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა გაწუხებთ, ეს მეთოდი უკუნაჩვენებია.

**ელექტროლიპოლიზი.** კანქვეშა ელექტროსტიმულაცია სპეციალური ელექტროდების საშუალებით იწვევს ცხიმის წვას. ესეც კარგია ხელის მასაჟთან ერთად.

**გადახვევა.** უძველესი და ეფექტური მეთოდია. არჩევანი დიდია: „ცხელი“, „ცივი“, ნაწილობრივი ან მთლიანი, მჭიდრო დახვევა ბანდაჟის საშუალებით და სხვ. პრეპარატების ასორტიმენტიც დიდია და არჩევანიც ინდივიდუალურია. მაგ. ზღვის წყალმცენარეებში არსებული კონცენტრირებული იოდი ხელს უწყობს ცხიმის დაშლას, კოფეინი უშუალოდ მონაწილეობს ცხიმების გახლეჩაში და სხვ.

**ლიპოსაქცია.** ამ ოპერაციის დროს ექიმი სკალპელის ნაცვლად სპეციალურ შპრიცს ხმარობს. მეთოდი ეფექტურია, როდესაც საჭიროა მხოლოდ ცალკეულ ადგილებზე ზემოქმედება, მაგრამ თუკი ცხიმი განაწილებულია მთელ ორგანიზმში, მაშინ ნაკლებეფექტურია. 40 წლის შემდეგ ჩვენ ცხიმოვან უჯრედებს განახლების უნარი ნაკლებად აქვთ და ცელულიტი ხელახლა არ წარმოიქმნება. მხოლოდ არ უნდა დაგავიწყდეთ, მუდამ იზრუნოთ ფორმის შესანარჩუნებლად.

*მაია მუხიგული*

# ადრე დაიბადებიან დაუნები

არკანზასის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა შეიმუშავეს ტექნოლოგია, რომლის მეოხებითაც შესაძლებელია ჯერ კიდევ მუცლად მყოფი ჩვილის აზრების დანახვა. მაგნიტოენცეფალოგრაფიის საშუალებით მოხერხდა ფეხმძიმე ქალის მუცლის განათებით ბავშვის ტვინის ელექტროაქტივობის ცვლილების დაფიქსირება. აღმოჩენის პრაქტიკული გამოყენების შანსს მეცნიერები ხედავენ თავის ტვინის ფუნქციის დარღვევის პროგნოზირებაში. დიაგნოსტირებით შეიძლება ფეხმძიმობის შეწყვეტა, რასაც მოჰყვება დაუნი ბავშვების შობადობის შემცირება...

*ნიუ ზუიქი*

## შემოსულა შემოდგომა...

# საოცარი ქაცვი



ქაცვი უნიკალური ნაყოფია. მედიცინაში მას ვიტამინების წყაროდ მიიჩნევენ. ამ ეკლიანი მცენარის ნაყოფი, რომელიც აგვისტოს ბოლოსა და სექტემბერში ნარინჯისფრად მწიფდება, სხვა მცენარეთა შორის ჩემპიონია A ვიტამინის — ბეტა-კაროტინის შემადგენლობით. როგორც ცნობილია, A ვიტამინი ორგანიზმში არეგულირებს ცილების სინთეზს, ნუკლეინის მჟავებს, პასუხს აგებს ეპითელური ქსოვილის აგებულებაზე, აძლიერებს მათი აღდგენის პროცესს. სწორედ ამიტომ გამოიყენება ქაცვი წყლულების, დამწვრობის, ეროზიისა და მოყინვის სამკურნალოდ. გარდა აღნიშნული ღირსებებისა, ბეტა-კაროტინი არის ბრწყინვალე უჯრედოვანი მემბრანის სტაბილიზატორი, ანტიოქსიდანტი და იმუნომოდულატორი. ასევე ახასიათებს სიმსივნის საწინააღმდეგო თვისება. დამტკიცებულია, რომ ქაცვის ზეთის მიღება ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს. აუმჯობესებს ღვიძლის ფუნქციას. გარდა ამისა, ქაცვი შეიცავს E,C, B,K, PP ჯგუფის ვიტამინებს, ფოლიუმის მჟავას, ორგანულ მჟავებს, სეროტონინს, რომელთა წყალობითაც მას ახასიათებს ზოგადგამაჯანსაღებელი მოქმედების უნარი, გააჩნია ანტიბაქტერიული ეფექტი.

ქაცვი შეგიძლიათ ასე შეინახოთ: გაატარეთ ხორცსაკეპში ან საწურში და დააყარეთ თანაბარი რაოდენობის შაქარი (1:1), ერთი კვირის განმავლობაში ურიეთ, შემდეგ გადაიტანეთ ქილებში და მჭიდროდ დახუფეთ.

ქაცვის ზეთს ასე დაამზადებთ: ნაყოფი გარეცხეთ და ბნელ ადგილას გაახმეთ, დაფქვით ყავის საფქვავში, დაასხით იმდენი შემთბარი მცენარეული ზეთი, რომ ნაყოფი დაფაროს. გააჩერეთ ერთი კვირა ოთახის ტემპერატურაზე, ბნელ ადგილას. დროდადრო ურიეთ. შემდეგ გადაწურეთ და ზეთი გააჩერეთ იმდენ ხანს, სანამ არ დაიწმინდება (გამჭვირვალე უნდა გახდეს და არ შეჰყვეს ნაყოფი). შეინახეთ მინის ჭურჭელში.

***ლიზა №38***

# ჯანმრთელობის საგანძური



**ნიახური** — ერთ-ერთი საუკეთესო არომატული და სპეციფიკური გემოს ბოსტნეულია, რომელიც შეიცავს არა მარტო ეთეროვან ზეთს, არამედ ბევრ სასარგებლო ნივთიერებას და მინერალს და წყლულის საწინააღმდეგო U ვიტამინს. სამკურნალოდ გამოიყენება მისი არა მარტო ფოთოლი, არამედ ფესვებიც. მისი ნაყენი ბრწყინვალე ტკივილგამაყუჩებელია და კუჭის წყლულოვანი გარსის ანთების საწინააღმდეგო საშუალებაა.

2 ჩ/კ ნიახურის გამხმარ და დაფქულ ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, დაახურეთ თავზე და გააჩერეთ 20 წუთი. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

არანაკლებ სასარგებლო, სამკურნალო თვისებები ახასიათებს ოხრახუშის ფესვებს, იგი საუკეთესო შარდმდენია.

2 ს/კ დაქუცმაცებულ ოხრახუშის ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და თავდახურული გააჩერეთ 30 წუთი. გაწურეთ და მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე ერთი საათით ადრე.

**ძირთეთრა** — სისხლძარღვების სპაზმების მომხსნელია (ჰიპერტონიკების საყურადღებოდ!), დამამშვიდებელი და ძილის მომგვრელია.

2 ს/კ დაქუცმაცებულ ძირთეთრას ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი და გაწურეთ. მიიღეთ 1/3 ჭიქა 3-ჯერ დღეში ჭამამდე.

***ოტდოხნი! №37***

# დეპრესიის დროს...

არ მიიღოთ ფსიქოტროპული ნივთიერებანი; ალკოჰოლი; ნარკოტიკების შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია: სიკვდილი გინდათ? — კი, ბატონო!

უმჯობესია გაერთოთ: მეგობრებში, ახლობლებში და ა.შ.

აუცილებლად გამონახეთ რაიმე საქმე;

იფიქრეთ მხოლოდ სასიამოვნო ამბებზე, იოცნებეთ, და რაც მთავარია! გახსოვდეთ, რომ ყველაფერი წარმავალია: სამწუხაროდ, კარგიც და საბედნიეროდ — ცუდიც. გაივლის დრო და დღევანდელ უსიამოვნებას გაიხსენებთ, როგორც თქვენი ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდს.

## ვარჯიში სტრესის წინააღმდეგ

თქვენ გაღიზიანებული, დაძაბული და განერვიულებული ხართ, შეასრულეთ შემდეგი ვარჯიში:

დადექით სწორედ, ფეხის ქუსლები — ერთად, ხელები დაუშვით ტანის გასწვრივ. ახლა ასწიეთ ფეხის ქუსლები 5 სმ-ის სიმაღლეზე (ე.ი. ფეხის წვერებზე დგახართ), თავი გასწიეთ უკან, ნიკაპი — მაღლა, სუნთქვა შეანელეთ და ამ პოზაში გაჩერდით რამდენიმე წუთი. შემდეგ დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ვარჯიში გაიმეორეთ 7-ჯერ.

***ლიზა №23***




სიახლე დამწვრობის ცენტრში
სვირინგების მოცილება
მის: კაპანაძის №3 დამწვრობის ცენტრი, პლასტიკოსი-ქირურგი გუგა ქაშიბაძე ☎ 96-88-17; 98-70-68 (საღამოს); 899-17-25-38

ქარჩაულის სითხით
ხალების, მეჭეჭების, პაპილომების, გემანგეომების და სხვა კანის დაავადებების მკურნალობა გარანტიით.
მკურნალობს ექიმი-დერმატოლოგი
მარიანა ქარჩაული
მის: ყაზბეგის გამზ. №8, (ყოფ. პავლოვი) II სად, ბინა 24.
☎ 38-94-51; 899-51-84-68 ლიც. №2553

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ანნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

სამედიცინო ცენტრი „მედი“
MEDI
უკონტაქტო ეპილაცია
ლიპოსაქცია
ნაოჭების გასწორება
ტუჩების კორექცია
მკერდის გადიდება
სახის კანის გაახალგაზრდავება
ბლეფაროპლასტიკა
ეპილაცია
თმის გადანერგვა
კონტურული მაკიაჟი



ალექსანდრიტის ლაზერის უახლესი სისტემის აპარატით
ჭარბთმიანობისაგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება
■ სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
■ ჩხვლეტის გარეშე
■ უმტკივნეულოდ
■ სწრაფად
ალ. ყაზბეგის გამზ №1 ტელ: 25 02 02 93 89 75
ელ. ფოსტა: meditb@gol.ge

## ტონი ბლერმა სადამ ჰუსეინი ამხილა

ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა საიდუმლო მოხსენება ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ. ტექსტი, „დოსიე ერაყზე“, რომელიც ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის მასალების საფუძველზეა შედგენილი, გავრცელდა სამი ოფიციალური — მთავრობის, თავდაცვის და საგარეო საქმეთა სამინისტროების საიტით.

ტონი ბლერის კაბინეტის მტკიცებით, ერაყი განაგრძობს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის შექმნას. ამ იარაღის ბირთვული ქობინის მატარებელი შეიძლება გახდეს რაკეტა „ალ-ჰუსეინი“, რომლის მოქმედების რადიუსი 65 კმ-ია. მას ერაყი უმალავს საერთაშორისო თანამეგობრობას. ასე რომ, ერაყის რაკეტებმა შეიძლე-



ბა გაანადგურონ ბრიტანეთის ბაზები კვიპროსზე, საბერძნეთში, თურქეთში, სპარსეთის ყურესა და ისრაელში. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ერაყი აფრიკის ერთ-ერთ სახელმწიფოსთან საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა ურანის შესყიდვის თაობაზე. ლონდონის აზრით, წყალბადის იარაღის შესაქმნელად ბაღდადს კიდევ ორი წელი დასჭირდება.

„დოსიეს“ განხილვისას ბრიტანელმა მინისტრებმა დაასკვნეს, რომ თუ გაერომ ვერ მოახერხა ბაღდადის განიარაღება, მის წინააღმდეგ ძალის გამოყენება გარდაუვალი გახდება.

***კომერსანტი №173***

## მოკლედ

**რიო-დე-ჟანეიროს** ფინანსურ ცენტრში ჩამოინგრა ხუთსართულიანი შენობა, სადაც მოთავსებული იყო სასტუმრო, რესტორანი და მაღაზია. ხელისუფლება ვარაუდობს, რომ ნანგრევებქვეშ შეიძლება რამდენიმე ადამიანი იყოს მოყოლილი. შენობის ჩამონგრევის მიზეზად კოკისპირული წვიმები მიაჩნიათ.

**ესპანეთში** მორიგი ტერაქტი მოაწყო ექსტრემისტულმა ჯგუფმა ETA-მ. ქალაქ ლეიცის ავტობუსის გაჩერებაზე გაკრული ETA-ს პლაკატის ჩამოხსნის მცდელობისას ბომბი აფეთქდა. დაიღუპა სამოქალაქო გვარდიის ოფიცერი და რამდენიმე მგზავრი.

**აშშ**-ის შტატ ნებრასკაში დაინგრა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ტელეანძა, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. ანძის სიმაღლე 596 მეტრი იყო. ტრაგედიის მიზეზი უცნობია.

**ინდოეთის** გუჯარათის შტატში შეიარაღებულმა ყაჩაღებმა ხელში ჩაიგდეს ინდუისტთა ტაძარი. შეტაკება პოლიციასთან შვიდ საათს გაგრძელდა, ყველა ყაჩაღი განადგურებულია. დაიღუპა მრევლის 21 წევრი.

**CNN**-ის ცნობით, ეროვნული უშიშროების დარგში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა კონდოლიზა რაისმა, აშშ-ში დაკავებული „ალ-ქაიდას“ წევრების ინფორმაციაზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ სადამ ჰუსეინი ბაღდადში „ალ-ქაიდას“ ტერორისტებს იფარავს და ასწავლის ქიმიური იარაღის გამოყენებას.

**საფრანგეთში** გაიხსნა საერთაშორისო ავტოსალონი. ავტოინდუსტრიაში ევროპული და მსოფლიო სიახლეების სიმრავლე მოწმობს, რომ დარგი კრიზისიდან გამოვიდა და ეკონომიკური ზრდის პროცესშია.

**აღმოსავლეთ ტიმორი**, მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფო, რომელიც ახლახან გამოეყო ინდონეზიას, 27 სექტემბერს გაეროს 191-ე წევრი გახდა.

## გერმანული ხმებიც იყიდება

გასულ კვირას ჩატარებული არჩევნები თვით გერმანელებსაც კი იშვიათ მოვლენად მიაჩნიათ. საქმე მოულოდნელი შედეგები როდია, არამედ ის, რომ სწორედ ამ არჩევნების დროს პირველად წააწყდნენ გერმანელები ხმების გაყიდვის პრობლემას. ყველაზე სკანდალური ერთ-ერთი ფირმის „Forschritt“-ის ისტორია იყო. მან ინტერნეტით გააკეთა განცხადება — მზად ვართ, ამომრჩეველთა ხმები 10 ევროდ გავყიდოთო. განცხადებას უამრავი ამომრჩეველი თუ არაამომრჩეველი გამოეხმაურა, როგორც ფირმამ განაცხადა, 70 000 კაცი. გაყიდვით კი 15 000 ხმა გაიყიდა. ახლა ფირმის საქმეს პოლიცია იძიებს, მაგრამ როგორც ამბობენ, საქმეს ჩაფარცხავენ. „Forschritt“-მა განაცხადა, — ეს მხოლოდ ხუმრობა იყოო. ხელისუფლებას კი ამ ვაჭრობის მტკიცებულება არ აქვს. ხმების გაყიდვაზე განცხადებები გამოქვეყნდა თვით ავტორიტეტულ „Frankfurter Rundschau“-შიც.

გამოკითხვამ ცხადყო, რომ ყოველი მეათე გერმანელი ხმოსანი მზად იყო საკუთარი ხმა 500 ევროდ გაეყიდა.

***შტერნი***

## „ვეფხვები“ ავტონომიაზე თანახმანი არიან

გაიმართა პირველი ოფიციალური მოლაპარაკება შრი-ლანკის ხელისუფლებასა და ტერორისტული ორგანიზაციის „თამილ ილამის გამათავისუფლებელი ვეფხვების“, წარმომადგენლებს შორის. ეს ორგანიზაცია ათ წელიწადზე მეტია იბრძვის ჩრდილოეთ შრი-ლანკის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად. „ვეფხვები“ ქვეყნის მესამედს აკონტროლებენ.

მოლაპარაკება ტაილანდში ნორვეგიის მეთვალყურეობით გაიმართა. დამკვირვებელთა აზრით, იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც სეპარატიზმის პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი, ჩატარებული შეხვედრა მოლაპარაკებათა ეტალონად უნდა იქცეს. მართლაც, ორივე მხარე კომპრომისზე წავიდა. შრი-ლანკის ხელისუფლება „ვეფხვებს“ თანასწორი პირობებისა და უფლებების დონეზე შეხვდა. გარდა ამისა, უარი თქვა ერთ-ერთ უმთავრეს პირობაზე — სეპარატისტების დაუყოვნებლივ განიარაღებაზე. თავის მხრივ, „ვეფხვებიც“ აღარ მოითხოვენ დამოუკიდებლობას — ისინი თანახმანი არიან იმ ტერიტორიის ავტონომიაზეც, რომელსაც აკონტროლებენ.

მიუხედავად მოლაპარაკების წარმატებით დასრულებისა, მხარეები თანამდგომებს ყურადღებითა და მილოცვებით დიდად არ გაუნებივრებიათ. „ნორვეგიული მეთოდიკა ეფექტურია, მაგრამ არაეფექტიანი, — ამბობს ერთ-ერთი ისრაელელი ექსპერტი, — იგი ანტიტერორიზმის ძირითად პრინციპს არღვევს, რომლის თანახმად დაუშვებელია ტერორისტებთან თანაბარუფლებიანი მოლაპარაკება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიტუაციის კონტროლი მათ ხელში გადადის. ამას რა შედეგები მოსდევს, კარგად იციან დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, რუსეთსა და ისრაელში“.

***ვლასტი №37***

## ამერიკა საკუთარ ბინ ლადენებს ამრავლებს

ვაშინგტონი ტერორისტ-ფანტომებს დასდევს, ქვეყანა კი ნამდვილი ტერორისტებით აივსო. მათ არ ახურავთ ჩალმა, არც არაბულად ლაპარაკობენ, ალაჰი არ სწამთ, არც ჰურიები, ზეცაში რომ ელიან ყოველი ჯიჰადის შემდეგ, არც „ალ-ქაიდას“ ემმაკაცებიან და უსამა ბინ ლადენიც სძულთ, რადგან ასპროცენტიანი ამერიკელები ბრძანდებიან. მასმედიაში მათზე არაფერს წერენ, კონგრესში მათ საკითხს არ განიხილავენ. ეს ტერორისტი-უჩინმაჩინები კონსპირაციას არ იცავენ და არ მალავენ საკუთარ მიზანს — აშშ-ის მთავრობის დამხობას.



ერთ-ერთი მათგანია დევიდ ბერგერტი. ბინ ლადენი მასთან ანგელოზია. მის შეიარაღებულ ბანდას ამერიკაში მილიციას უწოდებენ. აშშ-ის კონსტიტუციის მეორე შესწორების მიხედვით, ამერიკელებს თავდაცვისა და იარაღის ტარების უფლება აქვთ. ბერგერტმა ეს იცის. ისიც იცის, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიხედვით, მთავრობა, რომელიც უზურპატორია, უნდა დაემხოს. ბანდამ გადაწყვიტა, ეს დრო დადგაო. კბილებამდე შეიარაღდა და თავდაპირველად მონტანის შტატის ხელისუფლების 26 წარმომადგენლის შეპყრობა გადაწყვიტა. მერე ამბოხებულთა გასანადგურებლად გამოგზავნილ ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფებს ამოხოცავდნენ. ვაშინგტონი სანამ რეგულარულ არმიას დაძრავდა, ბერგერტი „ჭეშმარიტ ამერიკელ პატრიოტებს“ მიმართავდა საღვთო ომის მოწოდებით — „აშშ თეთრკანიან ქრისტიანებს დავუბრუნოთო“. ასეთი იყო მონტანის შტატის მილიციის გეგმა.

იტყვით, ალბათ, რა სისულელეაო. მართალია, სისულელეა, მაგრამ ძალზე სახიფათო. მას ხომ უამრავი მსხვერპლი მოჰყვებოდა! საბედნიეროდ, შეთქმულება გამოააშკარავეს. მაგრამ ბერგერტისნაირები ამერიკაში ბლომად არიან. მაგალითად, მიჩიგანში ადგილობრივმა მილიციამ სცადა ორი ფედერალური შენობის დაბომბვა, მისურიში — სამხედრო ბაზებზე თავდასხმა, კალიფორნიაში პროპანის საწყობის აფეთქებას გეგმავდნენ, ფლორიდაში — ატომური ელექტროსადგურის დანგრევას.

სხვათა შორის, მილიცია და „ალ-ქაიდა“, მიუხედავად სრული რასობრივი განსხვავებისა, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, უპირველესად, ფანატიზმითა და ექსტრემიზმით. ტყუილად როდი ერთიანდება მილიცია ამ ბოლო დროს მოძრაობა „ქრისტიანულ იდენტურობასთან“. ეს უკანასკნელი ებრაელებს „სატანის შვილებად“ ნათლავს, ფერადკანიანებს — არაადამიანებად. მილიცია და „ქრისტიანული იდენტურობა“ აშშ-ის მთავრობას „უდიდეს ბოროტებად“ თვლიან. ეს ხალხი ჩიკაგოელი ხულიგნები არ გეგონოთ — უმრავლესობა განათლებული გახლავთ.

კვლავ ბერგერტს დავუბრუნდეთ. მისი ორგანიზაციის წევრებს მიაჩნიათ, რომ ნიუ-იორკის ტერაქტები ფედერალური ხელისუფლების ნახელავია. კოლუმბაინში მოსწავლეების მასობრივი მკვლელობაც ფედერალების მოწყობილიაო, აცხადებენ. მიზეზი? ადამიანის გონების გასაკონტროლებელი ახალი ტექნოლოგიის იარაღის პრაქტიკული გამოცდა სურდათო. თვით სავსებით უვნებელი ფანტელების კოლოფის სურათიც კი საოკუპაციო ზონებად აღიქვეს, სადაც ვითომ თეთრკანიან ქრისტიანებს გამოამწყვდევდნენ გაეროს მხრივ აშშ-ის ოკუპაციის დროს. ისევ სიბრიყვე, მაგრამ კვლავაც ძალზე საშიში, თუმცა ჭეშმარიტების მარცვალი მასში არის. საკმარისია გავიხსენოთ აშშ-ის სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიღებული ზომები და კონგრესის ახალი კანონი, რომელიც „თავდაცვის მიზნით თავისუფლებათა შეზღუდვას“ ითვალისწინებს, ან სენატორ ჯესი ჰელმსის გამოსვლა კაპიტოლიუმში, სადაც მან გაეროს „ძირგამომთხრელი ანტიამერიკული ორგანიზაცია“ უწოდა...

მონტანა მონადირეებისათვის ნამდვილი სამოთხეა. სამოთხე მათთვის, ვისაც ხარირემზე ან დათვზე ნადირობა უყვარს. გამოცდილი მონადირეები აფრთხილებენ დანარჩენებს — ხარირემს სანამ დასდევთ, თუ ფხიზლად არ იქნებით, შეიძლება უკნიდან შავი დათვი წამოგეპაროთო. ამასთან დაკავშირებით მიმომხილველმა კრისტოფმა მოსწრებულად შენიშნა: „ბუშის ადმინისტრაცია იმდენად გაერთო შორეული ხარირმის დევნით, რომ ადგილობრივი დათვები — დევიდ ბერგერტისნაირები — დაავიწყდა“.

შენიშვნა არა მარტო მახვილგონივრული, ძალზე დროულიცაა.

***იზვესტია №172***
***მელორ სტურუა***
***(იბეჭდება შემოკლებით)***

## უკრაინას ფინანსური დახმარება გაუყინეს

ამერიკელი ექსპერტების დასკვნით, კიევმა დაარღვია გაეროს ემბარგო — ერაყისათვის სამხედრო ტექნიკისა და იარაღის მიწოდების თაობაზე. ამ დასკვნის საფუძველზე აშშ-მა უკრაინას ფინანსური დახმარება გაუყინა.

„ჩვენ ინფორმაცია მივაწოდეთ უკრაინის ხელისუფლებასა და ნატოს მოკავშირეებს ჩვენ მიერ გაკეთებული დასკვნის, აგრეთვე დახმარების შეჩერებისა და უკრაინასთან პოლიტიკის გადახედვის შესახებ“, — განუცხადა როითერს აშშ-ის ადმინისტრაციის ინკოგნიტო მაღალჩინოსანმა. აშშ-ის ნაციონალური უშიშროების სააგენტოს თანამშრომლებმა ექსპერტიზა ჩაუტარეს იმ ფირებს, საიდანაც ცნობილი გახდა იარაღით უკანონო ვაჭრობის ამბავი. ეს ფირები 11 აპრილს გადაუცია აშშ-ის უშიშროებისთვის ვინმე ნიკოლაი მალნიჩენკოს, რომელიც 1999-2000 წლებში უკრაინის პრეზიდენტის, ლეონიდ კუჩმას დაცვაში მუშაობდა. იგი 1999 წლის ნოემბერში პრეზიდენტის კაბინეტში ჩუმად იწერდა მის საუბრებს. დღეს მალნიჩენკო ლტოლვილის სტატუსით აშშ-ში ცხოვრობს. მისი თქმით, ეს ფირები ადასტურებს კუჩმას დანაშაულს — ერაყისათვის იარაღის მიყიდვის ფაქტს. უკრაინის ხელისუფლება ამ დასკვნამ ძალიან შეაშფოთა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ანატოლი ზლენკომ თავის მოხსენებაში მკაფიოდ აღნიშნა, — უკრაინა მკაცრად იცავს ერაყთან დაკავშირებულ გაეროს სანქციასო.

***ლენტა.რუ***

## რუსეთმა დაადგინა თავისი საზღვრები კასპიის ზღვაზე



აზერბაიჯანისა და რუსეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს „კასპიის ზღვის ფსკერის გაყოფას“. ამ დოკუმენტმა ფაქტობრივად ბოლო მოუღო კასპიის გარშემო მყოფი სახელმწიფოების გადაუწყვეტელ პრობლემას — „ფსკერს ვყოფთ, წყალი საერთოა“. ირანს დაუჟინია, — კასპიის ზღვა 5 თანაბარ ნაწილად უნდა გაიყოსო, მაგრამ ახლა უკან დახევა მოუწევს.

ჰეიდარ ალიევმა და ვლადიმირ პუტინმა ხელი მოაწერეს ნანატრ ხელშეკრულებას. ასეთივე დოკუმენტი უკვე მოქმედებაშია რუსეთსა და ყაზახეთს შორის.

მნიშვნელოვანია ის, რამ ბაქო-ჯეიჰანის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით აშშ-მა კვლავ გაააქტიურა თავისი პოლიტიკა ამ რეგიონში, მას ისედაც ბევრი სადავო აქვს ირანთან და თუ თეირანი წინ აღუდგება კასპიის ნავთობის გასვლას საერთაშორისო ბაზარზე, მაშინ ის აშკარად აღმოჩნდება ამერიკული სამხედრო მანქანის წნეხის ქვეშ ისევე, როგორც ავღანეთი და ერაყი.

***იტოგი №37***

## მემარცხენეები პოზიციას თმობენ... შვედეთშიც კი

შვედეთში გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა, რომლის დროსაც გამარჯვება სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ერგო, პარადოქსია, მაგრამ ცხადყო — ევროპაში მემარცხენე პარტიები პოზიციას თმობენ.

შვედეთის პრემიერ-მინისტრმა იორან პეტერსენმა თავისი პარტიის გამარჯვებას ისტორიული უწოდა. ფორმალურად ეს მართლაც ასეა. დანიაში, იტალიაში, პორტუგალიასა და საფრანგეთში მემარცხენეთა სრული მარცხის შემდეგ, შვედი სოციალ-დემოკრატების გამარჯვება საერთოევროპული ტენდენციების აშკარა დარღვევაა. მემარჯვენეთა აშკარა პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ პარლამენტში მათი წარმომადგენლობა გაიზარდა. მართლაც, ქვეყნის პარლამენტში შვედურ პოლიტიკურ პარტიათაგან ყველაზე მემარჯვენე ლიბერალური პარტიის ფრაქცია იქნება წარმოდგენილი. საერთოევროპული საზომით, ეს პარტია სრულიად უვნებელია, შვედეთისათვის კი — ლამის რასისტული. რასისტს უწოდებენ მის ლიდერს ლარს ლეიონბორგს, რომელმაც წინადადება წამოაყენა — მოქალაქეობა იმ იმიგრანტებს მივცეთ, რომლებსაც შვედური ენა ეცოდინებათო.

***როითერი***

ვაკანსია

საქართველოს რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი (სერმა) აცხადებს დამატებით კონკურსს ფინანსების, მარკეტინგის, ზოგად და ოპერაციათა მენეჯმენტის სპეციალობის ბიზნეს-კონსულტანტების თანამდებობების დასაკავებლად.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ სერმას ინტერნეტ-გვერდი: www.cerma.ge სათაური: <თანამშრომლები>; ქვესათაური:<ვაკანსიები>
საბუთების (თანმხლები წერილი და CV) მიღების ბოლო ვადაა 2002 წლის 4 ოქტომბერი.

შენიშვნა: იმ პირთა განაცხადებს, რომელთაც 2002 წლისათვის უკვე მიმართეს სერმა-ს სამუშაოზე მოწყობის სურვილით, ხელახლა აღარ განვიხილავთ.

TCS

ინგლისური ენისა და კომპიუტერის თბილისის ცენტრალური სკოლა TCS (თისიესი)
ინგლისური ენისა და კომპიუტერის შესწავლა ინდივიდუალურად

- საბავშვო, თინეიჯერების და მოზრდილთა პროგრამები.
- კემბრიჯის უნივერსიტეტისა და ამერიკული საერთაშორისო გამოცდებისათვის მომზადება სერტიფიკატის მოპოვებით.
- სტუდენტთა გაგზავნა ინგლისში ენის შესასწავლად.
- მუშაობა ინგლისში ბიზნესის სფეროში სტაჟირებისა და ენის პრაქტიკის მიზნით.
- კომპიუტერი - საწყისი და საოფისე კურსი Windows, Word, Excel, Internet, E-mail.

მის: ფიქრის გორა, ლ. შარაშიძის ქ. №5 (ი. ნიკოლაძის შეს.)
ტელ: 22 04 70; 92 34 54 E-mail: adel@kheta.ge

სახელმწიფო მეწარმეების დახმარებას ამჯერად „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ საშუალებით შეეცდება. როგორი შედეგით დასრულდება ეს მცდელობა, ამას მომავალი გვიჩვენებს. თუმცა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის ბრძანებულებებისა და შესაბამისი კანონის საფუძველზე შექმნილ სააგენტოს მოწინააღმდეგეები უკვე გამოუჩნდნენ. ისინი აცხადებენ, რომ საინვესტიციო სააგენტოს საქმიანობა დუბლირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი სახელმწიფო ფონდის საქმიანობასთან, რომელიც დღემდე, სხვათა შორის, არაეფექტურად მუშაობს. ამ მოსაზრებას ეთანხმება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძეც. მისი აზრით, სააგენტო პრივილეგირებულ მეწარმეთათვის გრანტის გამცემი უწყება იქნება და მეტი არაფერი. მისი მტკიცებით, საბიუჯეტო სესხები უნდა გაიცეს მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს მიერ და ესეც უკიდურეს შემთხვევაში. თავის დროზე, საინვესტიციო სააგენტოს შექმნა მრეწველებისთვის იმდენად პრინციპული საკითხი იყო, რომ მათ 2002 წლის ბიუჯეტს მხოლოდ მაშინ დაუჭირეს მხარი, როცა მთავრობა სწორედ ზემოთ ნახსენები სააგენტოს შექმნაზე დაითანხმეს და ბიუჯეტშიც მისი საქმიანობისთვის 11 მლნ ლარი ჩაიდო.

ამ დღეებში კი „ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ“ მუშაობა დაიწყო და უკვე კონკურსიც გამოაცხადა. სააგენტო მეწარმეების მიერ ბანკიდან მოთხოვნილი თანხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებას, ანუ მათ დახმარებას შეეცდება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ სააგენტოს აღმასრულებელ დირექტორს **ვაჟა კაპანაძეს**:

— „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ უპირველესი მიზანია საქართველოში მეწარმეობის ხელშეწყობა საწარმოო-საინვესტიციო პროექტების ფინანსური მხარდაჭერის გზით. მართალია, ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 11 მლნ ლარი, მაგრამ სულ ახლახან პარლამენტმა მიიღო შესწორება ბიუჯეტში, რომლის საფუძველზეც სააგენტოს კუთვნილი თანხა კატასტროფულად შემცირდა. დღეს ჩვენ მხოლოდ 1 მლნ ლარის დახარჯვას შევძლებთ. დანარჩენი 3 მლნ ლარი ჩაის სუბსიდირებას მოხმარდება, ხოლო 7 მლნ თავდაცვის სამინისტროს გადაეცა. ისღა დაგვრჩენია, ის 1 მლნ რამენაირად ვიკმაროთ და ამჯერად მხოლოდ ერთი პროგრამით შემოვიფარგლოთ. კერძოდ, წელს სააგენტო განახორციელებს საბანკო სესხების საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების პროექტს, ანუ საკრედიტო რესურსები მეწარმეებისთვის უფრო ხელმისაწვდომი უნდა გავხადოთ. მოგეხსენებათ, კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო განაკვეთი მეწარმეებისთვის ძალიან მაღალია. ამ შემთხვევაში არც ბანკებს გაემტყუნებათ, რადგან ისინი ამ პროცენტს რისკისა და საბაზრო მოთხოვნებიდან გამომდინარე აწესებენ. სააგენტო სწორედ ამ რისკის შემცირებას შეეცდება. ჩვენ მე-

# კიდევ ერთი საშუალება პრივილეგირებული ბიზნესმენებისთვის?




წარმეს სესხის საპროცენტო განაკვეთის დაფარვაში დავეხმარებით და ამით, გარკვეულწილად, მოიხსნება ის რისკიც, რაც კრედიტის დაბრუნებას ახლავს თან. ბუნებრივია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბანკები ხვალვე პროცენტს გაანახევრებენ, მაგრამ სააგენტოს საშუალებით ბანკები შექმნიან საბრუნავ საშუალებებს, გაეზრდებათ მომხმარებელთა რიცხვიც და არ გამოვრიცხავ, ერთ მშვენიერ დღეს პროცენტმა მართლაც დაიწიოს. თორემ ისე გამოდის, რომ იმ კატასტროფულად მაღალი პროცენტით ზარალდება ისევ ის კეთილსინდისიერი მეწარმე. გარდა იმისა, რომ მას საკუთარი სესხის დაბრუნება უწევს, ფაქტობრივად, იმ მეწარმის ნაცვლადაც იხდის, ვინც ბანკს ფულს არ უბრუნებს. მოგეხსენებათ, ბანკი ეცდება, არ დაზარალდეს. ყოველივეს მიუხედავად, ნურავის შეექმნება იმის ილუზია, — აი, გამოჩნდა სააგენტო და იგი ჩვენს პროცენტებს მთლიანად გადაიხდისო. არა, ბატონებო. ამ შემთხვევაში შემუშავებულია შემდეგი სახის შეზღუდვები: სააგენტოს თანხებით უნდა დაიფაროს საპროცენტო განაკვეთის მხოლოდ 70%; წლიური სარგებელი არ უნდა იყოს 15%-ზე მეტი და ასევე, ერთ მეწარმეზე წელიწადში 300 ათას ლარზე მეტი არ გაიცემა.

კონკურსში მონაწილეობა საწარმოსა და ბანკის ერთობლივი განაცხადის საფუძველზე ხდება. პროექტების განხილვა თვეში ორჯერ გაიმართება. პროექტების საკონკურსო განხილვისას პრიორიტეტი მიენიჭება იმ სამრეწველო პროექტებს, რომლებიც უზრუნველყოფს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას, საექსპორტო და იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოებას და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების დაჩქარებას...

## ჩვენ გვწერენ!



ძვირფასო პალიტრელებო! ძალიან გვიყვარს და გვეხმარება გაუსაძლისი პირობების დაძლევაში თქვენი გაზეთი. თითქმის ყველა აუცილებელ ცხოვრებისეულ საკითხებს მოიცავს. იქნებ ერთი გვერდი სოფლის მაცხოვრებელთათვისაც გამოჰყოთ — „სოფლის გასაჭირი“. გასაჭირი კი ძალიან ბევრი გვაქვს ოზურგეთელებს. მთავარი გასაჭირი ჩვენი თხილია. თქვენი გაზეთიც ხომ წერდა თხილის შესახებ. კი გვაქვს თხილი, მაგრამ უნდათ მინიმალურ ფასებში წაგვართვან. თხილი თუ ამდენ ხანს 1,80 -2 ლარი ღირდა, ახლა — 0,30-0,50-0,70 თეთრი. თუ ამ ფასებზე მეტს ვინმე შემოგვთავაზებს, სასტიკად უსწორდებიან. ზოგი ამბობს, სიორიძე ხელმძღვანელობს ამ საქმესო (აფერუმ, დეპუტატო). ზოგი ამბობს — შენგელიაო. მოკლედ, რა მნიშვნელობა აქვს ვინ. ჩვენს ერთადერთ სარჩოს ხელიდან გვართმევენ. იქნებ დაგვეხმაროთ და გაგვარკვიოთ რა ხდება. რისთვის არსებობს მთავრობა (არსებობს კი?), თუნდაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სუყველამ კარგად ხომ ვიცით თხილის ფასი. თხილი ჩვენი ერთადერთი იმედია, აშკარა შიმშილობას რომ გადავურჩეთ. ეს იმედიც თუ გადაგვეწურა — დამერწმუნეთ, კარგი არაფერი მოხდება.

გთხოვთ დაგვეხმაროთ და გამოაქვეყნოთ გაზეთში რა მოგველის ჩვენ და ჩვენს თხილს.

***პატივისცემით... (წერილი ხელმოწერილია)***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 28 სექტემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1750 |
| ევრო | 2,1267 |
| ინგლ. ფუნტი | 3,3876 |
| რუსული რუბლი | 0,0688 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3150 |

# საქმიანი ქუჩა? ეს რაღაც ახალია

## რა ღირს კომერციული ფართი თბილისში...



ბიზნესისათვის სწორად შერჩეული ადგილი, ხშირად წარმატების ერთგვარი საწინდარი ხდება. დღეს ძალზე მნიშვნელოვანია, სად მდებარეობს მაღაზია, რესტორანი, კაფე-ბარი, სილამაზის სალონი; სად არის განთავსებული დიაგნოსტიკური ცენტრი თუ სტომატოლოგიური კაბინეტი; სად, რომელ უბანში, რომელ შენობაში და რომელ სართულზეა ტურისტული სააგენტო თუ იურიდიული მომსახურების ბიურო. უძრავი ქონების სააგენტოები კატეგორიულად უარყოფენ იმ მოსაზრებას, რომ დღეს, ფაქტობრივად, უძრავი ქონების ბაზარი გაჯერებულია და სასურველი ადგილის შერჩევა თითქმის შეუძლებელია: მართალია, მოთხოვნა დღითი დღე იზრდება, მაგრამ ასევე ინტენსიურად ვითარდება თავად ბაზარი. პრესტიჟულ უბნებში, განსაკუთრებით ქუჩის პირას მდებარე სახლების პირველ და არცთუ იშვიათად, მეორე სართულებს ისე უკეთებენ რეკონსტრუქციას, რომ გამოდგეს საოფისედ, სუპერმარკეტისათვის ან თუნდაც სილამაზის სალონისათვის. ასეთი პერსპექტივის მქონე ბინა დღეს თითქმის აღარ იყიდება. ფართის გაქირავება სარფიან საქმედ იქცა არა მარტო იმ დაწესებულებისათვის, რომლებსაც „მემკვიდრეობით“ ერგოთ უზარმაზარი შენობები, არამედ კერძო პირებისთვისაც.



სად, რა და როგორ ქირავდება? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის მოსმენა დღეს მხოლოდ უძრავი ქონების სააგენტოებში თუ შეიძლება.

მოვუსმინოთ ქალაქში ერთ-ერთი ცნობილი სააგენტოს წარმომადგენელს **დათო ხუციშვილს**.

— ფასები ამჯერად უკვე აღარ არის ისეთი მაღალი, როგორც თუნდაც ხუთი წლის წინ იყო. იმ პერიოდში თბილისში ძალიან ბევრი უცხოელი ბიზნესმენი ჩამოდიოდა და ფასებიც სწორედ ამიტომ იყო აწეული. დღევანდელი თბილისის უძრავი ქონების ბაზარი, ფაქტობრივად, იმ ქართველ ბიზნესმენებზეა აქცენტირებული, რომლებიც მცირე და საშუალო ბიზნესს ეწევიან — ვაჭრობენ, აქვთ რესტორნები თუ კაფე-ბარები...

**— კონკრეტულად, რა ფასებთან გვაქვს ახლა საქმე?**

— გაცილებით იაფი დაგიჯდებათ, თუკი ფართი გასარემონტებელია და ამ საქმეს თავად გააკეთებთ. ამ დროს ფასი თითქმის ნახევრდება. არცთუ იშვიათად, 1500 დოლარად შეფასებული ოფისი 500 დოლარადაც გაგვიქირავებია. როგორც წესი, ასეთი შეთანხმება ორი წელი მაინც რჩება ძალაში.

ბუნებრივია, ქალაქის ცენტრში ფასები მაღალია. ბანკი „ქართუს“ თავზე ერთი კვადრატულის ფასი 15 დოლარიდან იწყება ანუ ნორმალური ოფისის დაქირავება, ვთქვათ, 200კვმ უკვე 3000 დოლარი ღირს. „კინოს სახლშიც“ ძვირი ოფისებია. რა თქმა უნდა, დიდი ფუფუნებაა ისეთ ცნობილ სასტუმროებში ოფისის ქირაობა, როგორიცაა „მეტეხი“ ან „მარიოტი“. აქ ერთი კვადრატულის ფასი 45 დოლარიდან იწყება. გამოდის, 100 კვმ-ის დაქირავება რომ მოისურვოთ, თვეში 4.500 დოლარი უნდა გადაიხადოთ. ვერ ვიტყვი, რომ ასეთ ოფისებზე მოთხოვნა არ არის, პირიქით. არის, მაგრამ თავად კლიენტურის მოთხოვნებია საკმაოდ მაღალი და პრეტენზიული. საერთოდ, ფულიანი ქართველები უფრო ვერას ეტანებიან. პატარა სახლები (ასე უწოდებენ ისინი 2-3-სართულიან სახლებს), პატარა ეზოებით მათთვის მისწრებაა. აქ არ არის ისეთი მაღალი ფასები (100კვმ 800 დოლარიდან 1000 დოლარამდე მერყეობს), მაგრამ საერთო ჯამში მთლიანი სახლის დაქირავება საკმაოდ სოლიდური თანხა გამოდის — დაახლოებით 10-20 ათასი აშშ დოლარი. ვაკე, უნივერსიტეტიდან ვაკის პარკამდე, ქალაქში ერთ-ერთი ძვირი ადგილია. თუკი ვაკის პარკთან 200კვმ-ის ქირაობა 500 დოლარადაც შეიძლება, ცოტა ქვემოთ, ფასი ორჯერ და სამჯერ მეტია. ფალიაშვილის ქუჩაც ძალიან ძვირია. ეს ადგილი უკვე საქმიან ქუჩად იქცა.

**— საქმიანი ქუჩა? ეს რაღაცა ახალია.**

— ამ შემთხვევაში Wall Street-თან არ გვაქვს საქმე, მაგრამ თბილისის თითქმის ყველა ცენტრალური ქუჩა ე.წ. საქმიან ქუჩად ჩამოყალიბდა. აღმაშენებლის გამზირს ამ საქმეში ვერც ერთი ქუჩა ვერ შეედრება. ჩვენთვის, ყველასათვის საყვარელი პეროვსკაია — იგი უფრო პრესტიჟული, ვიტყოდი, ბოჰემური ქუჩაა. საქმიან ქუჩაზე განთავსებული უნდა იყოს ყველა ის ობიექტი, რომელიც საქმიან ადამიანს მთელი დღის მანძილზე სჭირდება — დაწყებული სილამაზის სალონიდან, დამთავრებული ბანკით. იმავე აღმაშენებლის გამზირს თუ დააკვირდებით, აქ თურქმა ბიზნესმენებმა თავიანთთვის პატარა საქმიანი ცენტრი შექმნეს. აქ არის საელჩო, ბანკი, თითქმის ყველა თურქული კომპანიის ოფისები აქვეა განთავსებული. ლანჩზეც შორს არ უწევთ გასვლა. მარტო აღმაშენებელზე, თითქმის გვერდიგვერდ ორი თურქული სასადილო მუშაობს.

პეკინზე კი, ძირითადად, მაღაზიები სჭარბობს. აქ ერთი პატარა მაღაზია 500 დოლარად თუ იშოვე, დიდი მადლობა უნდა თქვა. კოსტავას ქუჩა „ევროპასთან“ სულ უფრო აქტიური ხდება, მაგრამ აქ ხაჭაპურის გაყიდვაც კი ჭირს. საერთოდ, ქალაქის ცენტრალური ადგილები დიდ რესტორებს ვერ იტანს. რუსთაველზე რესტორანში ფული, უბრალოდ, არ უნდა ჩაყარო. გახსოვთ ალბათ, „ტიტანიკი“, რომელიც სულ ახლახან იმ ტიტანიკივით ჩაიძირა. რესტორნების ბიზნესი კარგად მუშაობს დიღმის გზაზე, უფრო ქალაქგარეთ. იქ მარტო შენობებში თვეში სულ მცირე 10 ათას დოლარს იხდიან. თუ შეამჩნიეთ, ამ ტერიტორიაზე რამდენიმე ახალი შენობაც გაჩნდა. ბუნებრივია, სერვისთან ერთად ფასებიც იწევს, მაგრამ აქ პატარა სახლიც რომ იდგეს, გაუქირავებელი არ დარჩება.

**— ასეთ ადგილებში გასაყიდი ფასები ალბათ, ძალიან მაღალია.**

— გიჟია გაყიდოს? თუ ძალიან არ გაუჭირდა, არ გაყიდის. ასეთ შემთხვევებში ფასები მართლაც კატასტროფულია. რამდენიმე თვეა ვერაზე ერთ პატარა მაღაზიას ვყიდით და ვერ გავყიდეთ. მეპატრონეს ფასის დაწევა არ უნდა, იმ ფასში კი არ იყიდება. როგორც წესი, ბიზნესმენს ყიდვას ქირაობა ურჩევნია. თორემ ვისაც დიდი ფული აქვს, ის დღეს ისეთ ოფისებს იშენებს, თვალი დაგრჩება.

**— ამბობენ, ამ ბიზნესით დღეს საკმაოდ გავლენიანი პირებიც დაინტერესებულან.**

— ფართის გაქირავება სუფთა საქმეა და თანაც ძალიან შემოსავლიანი. გადაიდე ფეხი-ფეხზე და დოლარები თავისით მოვა შენთან. არ გადაგიხდიან, გაუშვებ. კლიენტი ყოველთვის მოიძებნება. ამდენად, ბუნებრივია, ამ ბიზნესით საკმაოდ ცნობილი და გავლენიანი ხალხი დაინტერესდა. გახსოვთ, რუსთაველზე, მეტროსთან ოფისების აშენებამ რამხელა აურზაური გამოიწვია, მაგრამ მაინც აშენდა. იმიტომ, რომ მის უკან ერთ-ერთი პარლამენტარი დგას. მათი ძალა ბაზარზე უკვე საგრძნობი ხდება.

***გვერდი მოამზადა ლელა წითლანაძემ***

შპს „გეოკორი“
აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აკურის ქ. №8 (საორგის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

მხოლოდ ჩვენთან
ლუიზოლი
Louise-all
თმის საფარის აღდგენა
(თმის ცვენა, ქერტლი, კანის დაჭიმულობა, ტკივილი, ქავილი)
ლუიზოლის მეთოდით
(მასაჟი, ნემსილოვანი თერაპია, საფირმო შამპუნი, ბალზამი, მკვებავი კრემები და ლოსიონები)
კაბინეტი „ლუიზოლი“ 10.00-19.00
იოსებიძის ქ, №53 ☎37-38-13
ჭავჭავაძის გამზ. 20 ☎29-19-73

„ტრანსფორმის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაძვის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

მხოლოდ ჩვენთან
ლუიზოლი
Louise-all
კბილის ფხვნილი და პირის ღრუს ლოსიონი
გამინფლემი
სწრაფად მოგიხსნით ღრძილების გაღიზიანებას, ნებისმიერ დისკომფორტს
კაბინეტი „ლუიზოლი“ 10.00-19.00
იოსებიძის ქ, №53 ☎37-38-13
ჭავჭავაძის გამზ. 20 ☎29-19-73

# ცხოვრებისეული კურიოზები

## რუსი და ნიგოზი



სტუდენტობისას კურსზე ერთი ბორჯომელი მეგობარი გვყავდა, ვახო. ძალზე გულკეთილი და ენამოსწრებული, ოღონდ თავადაც ხშირად ვარდებოდა კურიოზულ სიტუაციაში.

ერთხელ ვახო, რომელიც რუსულთან საკმაოდ მწყრალად გახლდათ, ბორჯომიდან თბილისში მოდიოდა, ამჯერად ნათესავთან, თანაც დედამისმა მისთვის ნიგვზით სავსე პარკიც გამოატანა.

ვახოს მატარებელში გვერდით რუსი ოფიცერი მოუჯდა, ისიც თბილისს მოემგზავრებოდა. ბუნებრივია, ამხელა გზას უსაუბროდ ვერ გალევდნენ და ვახოს ყოველ მის შეკითხვაზე, რომელსაც, რა თქმა უნდა, ენის არცოდნის გამო ვერ პასუხობდა, სიმწრის ოფლი ასხამდა. საშველი რომ აღარ იყო, ნიგვზით სავსე პარკს თავი მოხსნა და მოსაუბრე რამდენჯერაც პირს სალაპარაკოდ დააღებდა, იმდენჯერ ნიგოზს უმარჯვებდა...

— კიდევ კარგი, პარკში ბლომად იყო ნიგოზი და თბილისამდე მეყო! — კმაყოფილი სახით გვიყვებოდა მეორე დღეს ვახო.

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

## გულითადი სამძიმარი

ერთ ჩემს ახლობელს მამა გარდაეცვალა. ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით წარიმართა. კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს. შვილი ძალიან განიცდიდა მამის დაკარგვას, მეგობრები და ნათესავები ცდილობდნენ როგორმე ენუგეშებინათ. ჰოდა, დგას ეს ჩემი მეგობარი სასაფლაოზე და მორიგეობით მიდიან მასთან მისასამძიმრებლად.



— ვიზიარებ შენს მწუხარებას, ვიზიარებ, ვიზიარებ, ძმაო, ნუ გეშინია, აქა ვართ!.. — ანუგეშებენ მეგობრები და მეზობლები.

სად იყო და სად არა, აზიზაც გამოჩნდა, ჩვენი ქურთი მეზობელი, ალალი, გულიანი კაცი. ისიც მიჰყვა ნაკადს.

— ვიზიარებ, — წარმოთქვა მორიგმა გულშემატკივარმა და ამ დროს აზიზას მჭექარე ხმაც გაისმა:

— გავლიზიანდი, ძმაო, გავლიზიანდი!..

***თვითმხილველი***

## შურისძიება



ვანომ წელს პირველად მიიყვანა შვილიშვილი სკოლაში. თვითონვე წაჰყვა ძველი ჩანთით და ძველი წიგნებით „შეიარაღებულ" პატარა ვანოს. აბა, ახლის ყიდვის ფული სადა მაქვს, შარშან რო ყურძენი ჩავაბარე, იმის ფული წელსაც არ ამიღიაო, დარდობდა.

პატარა ვანოს კიდევ, სულ არ ენაღვლებოდა პაპის უფულობა. თანაც ბალღებმა დასცინეს, ე რა მელოტი პაპა გყოლიაო. ამიტომ შინ, ცოტა არ იყოს, გაბრაზებული დაბრუნდა. პაპამისი კიდევ ეზოში ტახტზე წამოწოლილიყო და გულიანად ხვრინავდა...

საღამო ხანს ვანომ, კარგად რომ გამოიძინა, რატომღაც სარკეში ჩახედვა მოიწადინა და... პირკატა ეცა, თავი ფერადი ნახატებით ჰქონდა აჭრელებული. მიხვდა, ვისი ოინებიც იყო და პატარა ვანოს ყურში ხელი სტაცა!

— ხოდა, რატო სახატავ რვეულ არ მიყიდი!.. — აღრიალდა ისიც.

***ლადო კაკაბელი, სიღნაღი***

# უყურებთ თუ არა სერიალებს? ტესტი

**პაროდიის კუთხე**

**1. ეზოში ზიხართ და მეუღლე გეძახით, სერიალი დაიწყოო. თქვენ:**

ა) აირბენთ კიბეს გულგახეთქილი (11%).

ბ) აუყვებით ნელ-ნელა კიბეს, რადგან ჯერ მაინც რეკლამებია (27%).

გ) ეზოში დარჩებით ერთი 40 წუთით მაინც (43%).

**2. მეგობარი გიყვებათ ერთ-ერთი სერიალის ბოლო სერიას. თქვენ:**



ა) მოაყოლებთ დაწვრილებით, მოითხოვთ პერსონაჟების ჩაცმულობისა და მაკიაჟის დახასიათებას (15%).

ბ) მოაყოლებთ რაც შეიძლება მოკლედ (31%).

გ) მოაყოლებთ უახლოესი გაუქმებული საამქროს გაუქმებულ დაზგაში მოყოლილი ცერა თითის ამბავს (47%).

**3. სამსახურში დაგაგვიანდათ მთელი საათით. თქვენ:**

ა) დაგვიანების მიზეზად სერიალს დაასახელებთ (9%).

ბ) დაგვიანების მიზეზად კბილის ტკივილს მოიმიზეზებთ, არადა, თქვენ ამ დროს სერიალს უყურებდით (25%).

გ) ფეხაკრეფით გაივლით დირექტორის კაბინეტთან, რომელიც ამ დროს მომდევნო სერიალს უყურებს (41%).

**4. ტელევიზიით უჩვენებენ მრავალსერიიანი სერიალის ბოლო სერიას. თქვენ:**

ა) ხან მწუხარების ცრემლები გდით, ხან სიხარულის (23%).

ბ) ემზადებით სატირლად (39%).

გ) კმაყოფილი უყურებთ, თუ როგორ ტირიან სხვები (55%).

**5. გესიზმრებათ სრულიად უცნობი სერიალი. თქვენ:**

ა) ტკბილად განაგრძობთ ძილს (38%).

ბ) მწარედ განაგრძობთ ძილს (54%).

გ) იღვიძებთ და რთავთ ტელევიზორს (70%).

**6. მოულოდნელად შემოგთავაზეს სერიალში გადაღება. თქვენ:**

ა) ბედნიერებისგან ცას ეწევით (46%).

ბ) ნერვიულობისგან „ასტრას" ეწევით (62%).

გ) ყოველი შემთხვევისთვის გადახედავთ სცენარს (78%).

**7. სრულიად შემთხვევით აღმოჩნდით დიდძალი ქონების მემკვიდრე. თქვენ:**

ა) თავი სიზმარში გგონიათ (53%).

ბ) თავი სერიალში გგონიათ (69%).

გ) იმ დღიდან ყოველთვის შეავსებთ ტესტებს (85%).

## დაითვალეთ ქულები:

**თუ თქვენ დააგროვეთ 347%-მდე, მაშინ თქვენ ტესტის საშუალებით ცდილობთ გაიყვანოთ ის დრო, რომელიც სერიალის დაწყებამდე დარჩა.**

**თუ თქვენ დააგროვეთ 348-დან 352%-მდე, მაშინ თქვენთვის ორი სერიის ნახვაც საკმარისია საიმისოდ, რომ გაიგოთ სერიალის მთავარი შინაარსი.**

**და თუ თქვენ 353%-ზე მეტი დააგროვეთ, მაშინ თქვენ ერთი სული გაქვთ, როდის მოვა შაბათ-კვირა, რადგან ამ დღეებში სერიალებს არ უჩვენებენ... თუმცა არა, ზემოდან დამირეკეს, ამ ბოლო დროს თურმე შაბათ-კვირასაც უჩვენებენ სულ, სულ ახალთახალ სერიალებს...**

***სერიალების მიხედვით ტესტის მორიგი სერიალი შემოგთავაზათ ზაქრო ინწკირველმა***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

სახურავიდან აგური გადმოვარდა და გამვლელს თავზე დაეცა. შემთხვევის ადგილზე ხალხი შეიკრიბა:

— რა საშინელებაა! სახურავიდან აგურები ცვივა. ქუჩაში გამოსვლაც საშიში გახდა!

— ეს ხომ პარლამენტარია? — იცნეს დაზარალებული.

— როგორ მომრავლდნენ ეს პარლამენტარები, კაცო, აგური ვერსად დაცემულა!

***ვოვა ჩისტოპრუდოვი, ქუთაისი***



გურიაში, სასტუმროში ჩამოდის თბილისელი.

— ლუქსი გაქვთ?

— უცხო სტუმრებისთვის ყველაფერი გვაქვს, ბატონო!

— რწყილები გყავთ?

— არა, მარა ახლავე გოუშობთ თქვენ ლუქსში!

***„სიხარა", თბილისი***





სვანი ავიდა მატარებელში, გაიხადა პიჯაკი და ჩამოკიდა. გამცილებელს ეუბნება:

— რიონის სადგურში რომ შევალთ, გამაღვიძეო.

ამოვიდა მეორე მგზავრი, პოლიციელი. იმანაც ასევე გაიხადა სამხრეებიანი პიჯაკი და დაკიდა. გამცილებელს იმანაც სთხოვა, ქუთაისს რომ მივუახლოვდებით, გამაღვიძეო.

როდესაც რიონს მიუახლოვდნენ, გამცილებელმა სვანი გააღვიძა. ისიც ადგა, ჩაიცვა პოლიციელის პიჯაკი და ვითომც აქ არაფერიაო, ჩავიდა. შინ რომ მივიდა, სარკეში ჩაიხედა და სამხრეები რომ დაინახა, წამოიყვირა, — მე მაგისი დედა, მაგისი! ჩემს მაგივრად სხვა გაუღვიძებია!

***მარი და მაკა, კასპი***



პრეზენტაციაზე ორი ქუთაისელი შვედურ მაგიდასთან დგას. ერთი ილუკმება, მეორე არა.

— ჭამე, ბიჭო!

— არ მინდა!

— უფულოთაა, ბიჭო!

— ვერ გეიგე, არ მინდა-თქვა?

— მე კი არა, შენ ვერ გეიგე, უფულოთაა-თქვა.

— კაცო, რა შემჭამე, როცა მინდა ვჭამ, როცა მინდა არ ვჭამ!

— ნამდვილი ცხოველივით ხარ, რა!

***ნუცა სხირტლაძე, თბილისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

## ყალბი დოლარი...

**— როგორ განვასხვაოთ ყალბი დოლარი ნამდვილისგან? ანუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი კუპიურა, რომ ადვილად მივხვდეთ და არ მოვტყუვდეთ. გთხოვთ, ჩამოგვითვალოთ დოლარის გაყალბებისგან დამცავი ნიშნები?**

***დოდო მოსეშვილი***



— იმისათვის, რომ ვიზუალურად განვასხვაოთ ნამდვილი დოლარი ყალბისგან, პირველ რიგში, საჭიროა ბანკნოტი დავათვალიეროთ გამჭოლ შუქზე. სინათლეზე გახედვისას ნამდვილ ბანკნოტზე ჩნდება ვერტიკალური დამცავი ხაზი, რომელშიც იკითხება მიკროტექსტი „USA“ და ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი. ასევე გამჭოლ შუქზე გახედვისას პორტრეტის მარჯვენა მხარეს ქაღალდის ფენაში გამოიკვეთება წყლის ნიშანი პორტრეტის გამოსახულებით. ბანკნოტის სხვადასხვა კუთხით დახრისას მარჯვენა ქვედა კუთხეში გამოსახული ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი იცვლის ფერს შემდეგი თანამიმდევრობით: მწვანე-იისფერი-შავი. ასევე შეგვიძლია დავაკვირდეთ ქაღალდის ფენაში ჩაყოლებულ პატარა ზომის ლურჯი და წითელი ფერის დამცავ ბოჭკოებს, რომლებიც მიმობნეულია ბანკნოტის მთელ ფართობზე.

აღნიშნული დამცავი ნიშნები ვრცელდება ახალი დიზაინის მქონე აშშ დოლარის ბანკნოტებზე.

რაც შეეხება ყალბ დოლარს, იგი შესაძლოა განსხვავდებოდეს ზომით ან საღებავის მკრთალი ფერით. ჩვეულებრივ ქაღალდზე დამზადებული ყალბი ფული შრიალებს, როგორც სქელი ხელსახოცი. გარდა ამისა, თუ ყალბ ფულს სველი ხელით შეეხებით, საღებავი გაითხაპნება, რადგანაც საღებავი, რომელსაც იყენებენ ყალბი ფულის დასამზადებლად, წყალგამძლე არ არის და ჰიდროდამუშავების შემდეგ თითებზე გადადის.

ზემოთ ჩამოთვლილი ყალბი დოლარის დამახასიათებელი ნიშნები, შესაძლოა არც გამოგადგეთ, რადგანაც დოლარის გაყალბება შესაძლებელია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. ამიტომ, უმჯობესია იცოდეთ ნამდვილი დოლარის კუპიურის დამახასიათებელი დამცავი ნიშნები.

## ევროს არეალი ფართოვდება...

**— რომელი სახელმწიფოები შედიან ევროს ზონაში? მართალია თუ არა, რომ ინგლისი არ მიეკუთვნება მათ რიცხვს?**

***ზაზა კახაძე***

კითხვაზე უპასუხებს საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო

— 1999 წლის 1-ლი იანვრიდან ერთიანი ევროპული ვალუტა — ევრო საბანკო არხებში მიმოიქცეოდა, ხოლო 2002 წლის 1-ლი იანვრიდან ის უკვე ნაღდი სახით ავსტრიაში, ბელგიაში, გერმანიაში, ესპანეთში, ირლანდიაში, იტალიაში, ლუქსემბურგში, ნიდერლანდებში, პორტუგალიაში, საბერძნეთში, საფრანგეთსა და ფინეთში მიმოიქცევა.

ევროს შემოღებიდან ზუსტად სამი წლის შემდეგ, ამ ვალუტამ ექსპერტების ნდობა აბსოლუტურად გაამართლა და სადღეისოდ მსოფლიოს ერთ-ერთ ლიდერ ვალუტად არის აღიარებული. უახლოეს მომავალში, სავარაუდოა, რომ კიდევ რამდენიმე სახელმწიფომ გამოთქვას ევროსავალუტო კავშირში შესვლის სურვილი.

ევროსავალუტო კავშირში შემავალი 12 სახელმწიფოს ეკონომიკა, განსაკუთრებით კი პოლიტიკა უკვე უშუალოდ უკავშირდება ერთმანეთს.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის მთავრობა არ არის წინააღმდეგი შეუერთდეს ევროზონას, მხოლოდ მას შემდეგ, რაც აუცილებელი ეკონომიკური გამოკვლევები ჩატარდება. ხელისუფლება გამოკვლევათა დამთავრებას მომავალი წლის ივლისისათვის გეგმავს. საბოლოოდ, შეუერთდება თუ არა დიდი ბრიტანეთი ევროზონას, რეფერენდუმი გადაწყვეტს.

## ინგა გრიგოლიას დედა ქართველია...

**— ვიცით, რომ ინგა გრიგოლიას უყვარს სიმართლე. თუ შეიძლება გვიპასუხოს კითხვაზე — რა ეროვნების ჰყავს დედა?**

***თ. კალმახელიძე***



კითხვაზე უპასუხებს ინგა გრიგოლია.

— უკვე აღარაფერი მიკვირს, მაგრამ ამ კითხვას ნამდვილად არ მოველოდი. დედაჩემი ეროვნებით ქართველი გახლავთ, თბილისელი — მარინა ტარიელაშვილი. განათლებით ქიმიკოსი, მაგრამ, როგორც საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა, ჩვენი მთავრობის გადამკიდე, დღეისათვის უმუშევარია. თქვენი გაზეთის მკითხველის ცნობისმოყვარეობა, იმედია, დავაკმაყოფილე. ამას დავამატებ, რომ დედა უსაყვარლესი ადამიანი გახლავთ ჩემთვის, ყველაზე დიდი და ერთგული მეგობარი, რომელიც გამუდმებით გვერდში მიდგას. მართალია მხოლოდ 3 კვირა იქნება, რაც ვცხოვრობ ცალკე, მაგრამ დედასთან ურთიერთობას ისეთივე დოზითა თუ სიხშირით განვაგრძობ, როგორიც აქამდე მქონდა, როდესაც მასთან ერთად ვცხოვრობდი. მე მისი დახმარებისა და თანადგომის გარეშე ცხოვრება რთულად წარმომიდგენია.

## ძველი პროფესია... ტაქსისტი!

**— 22 წელია ტაქსისტი ვარ, ადრე „ვოლგაზე“ ვმუშაობდი, ახლა „ინამარკით“ ვტაქსაობ. ერთი კოლეგა მიმტკიცებს ტაქსისტობა ევროპაში 2-3 საუკუნის წინათაც იყოო. იქნება გამარკვიოთ, რითი ტაქსაობდნენ მაშინ.**

***სერგო ავლოხაშვილი***

მგზავრთა ფასიანი ტრანსპორტირების იდეა ჯერ კიდევ 1639 წელს, ლონდონში გაჩნდა. სწორედ მაშინ შეიქმნა „კოუჩმენთა“ (მედროგეთა) კორპორაცია, რომელიც გასცემდა ლიცენზიებს. თავიდან ტრანსპორტად ჯაბახანა, ოთხთვლიანი ეკიპაჟების გამოყენება სცადეს, რომელიც სულ მალე უფრო მსუბუქი, ორთვლიანი ეტლით შეცვალეს. ამ უკანასკნელს თავი ეხსნებოდა, ანუ კაბრიოლეტი იყო, შემოკლებით — კები. 1903 წელს, იმავე ლონდონში გამოჩნდა შავი ტაქსომოტორები, რომლებსაც, ჩვეულებისამებრ, შავი კები უწოდეს. ამ ავტომობილებში მძღოლის ადგილი გამოყოფილი იყო მგზავრთა სავარძლებისაგან და მის გვერდით საბარგული იყო მოთავსებული. 1905 წელს კომპანია „რენომ“ გამოიგონა ტაქსომეტრი, რამაც გააადვილა მგზავრობის ღირებულების დადგენა. ეს აპარატი მექანიკური იყო და მოძრაობაში ბორბალთან დაკავშირებულ მექანიზმს მოჰყავდა.

## მარიკა თხელიძეს კლიპი MTV-ზეა

**— გვაინტერესებს, გავიდა თუ არა საბოლოოდ MTV-ზე ბასა ფოცხიშვილის კლიპი მარიკა თხელიძის სიმღერაზე. მართალია თუ არა, რომ ამ კლიპის გადაღება თავად MTV-ს დაკვეთით მოხდა, თუ ეს რეკლამის მორიგი ფანდია? გაიჟღერა თუ არა სიმღერამ MTV-ზე და თუ არა, რატომ?**

***თათია დოლიძე***



კითხვაზე უპასუხებს მარიკა თხელიძის დედა — თეონა ლორთქიფანიძე:

— მარიკას სარეკლამო ფანდები საბედნიეროდ, არ სჭირდება. ბასა ფოცხიშვილის კლიპი მის სიმღერაზე „ქართული საცეკვაო მელოდიების პოპური“ უკვე 3-ჯერ იყო ნაჩვენები MTV-ს არხზე. სამწუხაროდ, დღეს ბევრ ჩვენს თანამემამულეს ეშლება ევროპული და ამერიკული MTV ერთმანეთში. კლიპი ამერიკულ MTV-ზე უჩვენეს, სადაც სპეციალური დრო აქვს დათმობილი სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალურ სიმღერებს. სწორედ აქ გაიჟღერა სიმღერამ სამივეჯერ და თქვენ წარმოიდგინეთ, დიდი პოპულარობაც მოიხვეჭა. ნაციონალურ სიმღერათა რეიტინგში მან ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი დაიკავა და ამიტომ 2003 წლის 1-ელი იანვრიდან მთელი მიმდინარე წლის განმავლობაში იგი სისტემატურად გავა MTV-ზე.

## ტელეზომბირება საშიშია...

**— იქნებ, უფრო გასაგებად აგვიხსნათ, რას ნიშნავს 25-ე კადრი და როგორ ხდება ტელემაყურებელთა ზომბირება? როგორ მოქმედებს იგი ადამიანის ფსიქიკაზე? გამოიყენება თუ არა საქართველოში ტელეზომბირების მეთოდი?**

***ერთგული მკითხველი.***

კითხვაზე უპასუხებს **დიმიტრი ნადირაშვილი**, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიის სასწავლო ინსტიტუტის პრორექტორი



— ტელეზომბირების კლასიკური და თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ ფაშისტური გერმანიის და საბჭოთა კავშირის ტოტალური რეჟიმის ტელევიზია თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი (პრესა, რადიო). სწორედ ეს იდეოლოგიური მექანიზმი გახლდათ ტოტალური რეჟიმის სახელმწიფოების პოლიტიკის განხორციელების ძირითადი პრიორიტეტი. ეს მეთოდი პოსტსაბჭოურ სივრცეში დღესაც წარმატებით გამოიყენება და ამ მხრივ საქართველოც არ გახლავთ გამონაკლისი. ტელეზომბირება მიზნად ისახავს სახელმწიფოსა თუ გაბატონებული კლასის, ლიდერებისა თუ ელიტარული ნაწილის ინტერესების მიზანმიმართულ იდეოლოგიურ ზეწოლას ფართო მასებზე. ტელევიზია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში. სწორედ ამიტომ ზომბირების მეთოდის გამოყენება უფრო ხშირად მისი საშუალებით ხდება (თანაც მომგებიან საათებში). უფრო ნაკლებად პრესისა და რადიოს მეშვეობით. სახელმწიფოს ან დაინტერესებული პირის მიერ ინფორმაციის ცალმხრივი და ტენდენციური მიწოდება ტელემაყურებლის საინფორმაციო დამუშავების მიზნით ხდება. კერძოდ ის, რომ ადამიანმა ვერ შეძლოს დამოუკიდებლად აზროვნება, მოხვდეს ილუზორულ ან ჰიპნოზურ სამყაროში. ზომბირებული ადამიანი რეფლექსებით მოქმედებს და ვერ აზროვნებს, არ შეუძლია კრიტიკა და ინდივიდუალური დამოკიდებულებისა თუ პოზიციის გამოხატვა ამა თუ იმ საკითხზე. სწორედ ასეთი ზემოქმედება შეუძლია მოახდინოს სისტემატურმა არაალტერნატიულმა, ცალმხრივმა პროპაგანდამ ადამიანის ფსიქიკაზე. რაც შეეხება 25-ე კადრს, მისი პრაქტიკაში გამოყენება აკრძალულია, რადგანაც იგი ფსიქოტრონულ იარაღად ითვლება. კინემატოგრაფიაში მოძრაობის სრულყოფილად ასახვისთვის საჭიროა 24 კადრის ჩვენება, რის შემდეგადაც ადამიანი მოწოდებულ პროდუქციას (ინფორმაციას) აღიქვამს მთლიანობაში. ხოლო აკრძალულ ტელეზომბირების სახეობას 25-ე კადრი იმის გამო შეარქვეს, რომ იგი ფარულადაა დამატებული 25-ედ და მის აღქმას ადამიანი ვერ ასწრებს, თუმცა იგი აღიბეჭდება მის ქვეცნობიერებაში (ქვეცნობიერად მეხსიერებაში). ეს გახლავთ ტელეზომბირების ისეთი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ფარული ზეგავლენის ქვეშ ექცევა ადამიანის ქვეცნობიერება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ 25-ე კადრი ყველაზე ერთნაირად მოქმედებს.

რაც შეეხება კითხვას, გამოიყენება თუ არა ტელეზომბირების მეთოდი საქართველოში, მოგახსენებთ, რომ მართალია უკვე ჩვენს ქვეყანაში არსებობს სხვადასხვა ტელეკომპანია, რომლებიც მკაცრად, კრიტიკულად აფასებენ შექმნილ ვითარებას საქართველოში, აწვდიან მოსახლეობას კონტრასტულ ინფორმაციას, მაგრამ მათი საქმიანობაც შეიძლება მივაკუთვნოთ ტელეზომბირების ერთ-ერთ ხერხს, რადგანაც რადიკალურად განსხვავებული ინფორმაციის მიღებისას საზოგადოებისთვის რთული ხდება, დამოუკიდებელი აზრის გამოტანა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე და მაყურებელთა უმეტესობის რეაქცია რეფლექსური, მექანიკური, ხშირად ილუზორული ხდება. ამგვარი ტენდენციური და ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია შოკურ ზემოქმედებას უფრო ჰგავს, ვიდრე პროპაგანდას, რის გამოც პიროვნება ვერ პოულობს საკუთარ მეს, ერთმნიშვნელოვნად ვერ გამოხატავს პიროვნულ, საზოგადოებრივ თუ ეროვნულ პოზიციას, რაც უფრო ზომბირებას წააგავს და არა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ზრუნვას.

## ფილტრიანი სიგარეტი

**— მეგობარი მიმტკიცებს, რომ ფაშისტურ გერმანიაში ფილტრიანი სიგარეტი უკვე ომის დროს არსებობდა, მე კი გამიგია, რომ პირველი ფილტრიანი სიგარეტი ამერიკული „ლაკი სტრაიკია“. იქნებ გვაცნობოთ, როგორი ფილტრით აღჭურვილი სიგარეტის მოწევაა რეკომენდებული?**

***მამუკა ხუციანიძე***



— საერთოდ, ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ...

სიგარეტის ხარისხი დამოკიდებულია არა მარტო ფილტრზე, არამედ იმ ქაღალდზე, რომელშიც უშუალოდ თუთუნია გახვეული და წებოზე, რომლითაც ეს ქაღალდია დაწებებული. ასე რომ, სიგარეტის მწეველისთვის შეიძლება თუთუნის კვამლი ისე არ იყოს საშიში, როგორც ქაღალდისა და წებოს კვამლი.

პირველი ფილტრიანი სიგარეტი 1952 წელს გამოუშვა ინგლისურმა ფირმა „ლორილლარდმა“. ეს გახლდათ დღეს ფართოდ ცნობილი „კენტი“, თუმცა ფილტრი აზბესტისგან იყო დამზადებული, რაც არანაირად არ შეიძლებოდა ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ყოფილიყო, ვინაიდან აზბესტი კანცეროგენული ნივთიერებების შემცველია. ამის შემდეგ კონკურენტმა ფირმებმა შექმნეს ბევრად უფრო სრულყოფილი ფილტრი, რომელიც ცელულოზის აცეტატს შეიცავდა. ასე — 1954 წელს პოპულარობა მოიპოვა ფილტრიანმა „ვინსტონმა“, ხოლო ორი წლის შემდეგ „სალემმა“, რომლის ფილტრშიც მენთოლი იქნა დამატებული.

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

## მილოცვა

**ნინო სუმბაძეს!**



ჩვენო საყვარელო ნინო, გილოცავთ დაბადების დღეს, 30 ოქტომბერს. გისურვებთ ბედნიერ ბავშვობას და სწავლაში წარმატებებს. ერისა და სამშობლოს სასახელო ქალი გამხდარიყავი.

*ექვსი წელი შეისრულდა, ახლა უკვე დიდი ხარ,*
*ხელში დედასთან შენც სკოლაში მიდიხარ,*
*და პირველად გიჭირავს*
*რვეულები, წიგნები,*
*გვჯერა, რომ გაიზრდები, კარგი ქალი იქნები.*

*სიყვარულით, ენვერი მამუ და ლალი ბებო*

**ვასილ ბორისის ძე შმაკოვს!**



დაბადების 80 წლის იუბილეს გილოცავთ ღვაწლმოსილ სპორტსმენს, მწვრთნელს (მძლეოსნობაში), საქართველოს და ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, სამამულო ომის ვეტერანს, გენერალ ლესელიძის თანამებრძოლს – კაცს, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო საქართველოს. სამაგალითო თქვენ ხავეარელი ოჯახისთან, მეგობრებისადმი, რომლებიც მრავლად გვყავთ და გულითადად გილოცავენ. ასაკი თქვენისთანა ვაჟკაცს ვერაფერს დააკლებს. კიდევ მრავალჯერ აგვევსოთ ერთად ჭიქა კაიკაბისა და საქართველოს სადღეგრძელოდ.

*მეგობრები*

## ბინები

სასწრაფოდ და იაფად! 3(3), 3-ოთახიანი, გარემონტებული, იზოლირებული ბინა, დიდი აივნით, ჭერი – 3,60, პერსპექტივით. ფასი – $15.000. მის: ასათიანის (ენგელსის) ქ. №37. ტელ: 38-02-18

მაღალჭერიანი, 3-ოთახიანი ბინა ლილოით, პეტრიაშვილის ქუჩაზე. ს/ფ – $24.000. ტელ: 36-44-24; 899 90-27-02

თბილისიდან 35 კმ-ის დაშორებით (საგურამოდან 10 კმ) ვყიდი 800 კვ მ მიწის ნაკვეთს, სახლის დაწყებული მშენებლობით (I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული). ფასი $800. ტელ: 23-07-65

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით. დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებელი, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქეთინო)

ამერიკულ-ტაილანდ-საფრანგეთის ერთობლივი საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ პრესტიჟულ საოფისე სამსახურს – კონსულტანტ-მენეჯერის ვაკანსიას, შრომით ანაზღაურებით. საუკეთესო თანამშრომლები სტაჟირებას გაივლიან საზღვარგარეთ. მის: რუსთაველის, ბელინსკის №2, მე-4 სართ. ოთახი №415. ტელ: 93-38-46 თიკა

გვაქვს ვაკანსიები. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ქმედითი შრომით. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400, აშშ სტანდარტებით. შემოგვიერთდით! მის: მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი მიხეილი

დავასაქმებთ კოსმეტიკისა და იმიჯის სფეროში კონსულტანტებად, 18-დან 45 წლამდე სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონებს (წინასწარი ინტერვიუთ კურსების გავლით). მიღება 10-11 სთ. მის: აღმაშენებლის №65, კლუბი „ნიკე". ტელ: 91-09-40; 899 51-07-51

## ვეძებ სამუშაოს

ვიმუშავებ სილამაზის სალონში. ვაკეთებ ეპილაციას. მაქვს ეპილაციისთვის ყველა საჭირო ხელსაწყო. ტელ: 931-952. შორენა

## მომსახურება

დასვენება: ესპანეთისა და თურქეთის კურორტებზე, შეღავათიან ფასად, სხვადასხვა კატეგორიის სასტუმროში; აჭარაში – ბათუმი, ქობულეთი, სარფი, კვარიათი, გონიო, მწვანე კონცხი, ციხისძირი, მახინჯაური; ახვეზ, ბაკურიანში, ბორჯომში – კვებით და კვების გარეშე, სასტუმროებსა და კერძო სახლებში. მის: ახვლედიანის (ყოფ. პეროვსკაიას) ქ. №21. ტურ. კომპანია „Dilaplus". http://dilaplus.gol.ge. ტელ: 98-69-51; 899 54-00-79

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაცერით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფიანი. მის: მ. „300 არაგველი", არმაზისის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უპირველეს ყოვლისა გაუზიმებელი თმიანობის შემთხვევაში კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი პირველივე სეანსზე. ისარგებლეთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის №66. მე-2 სად. VIII სართ. ბინა 46. ტ: 37-74-22. ჟანნა

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უტკივრად. არ რჩება ნაწიბურები. თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე შეიმჩნევა მკურნალობის შედეგი. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

„ფეხვეტი", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაბარს და გაუზიმებელ თმას. თმის უკვალოდ მორჩენის კი სპირიტის კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრული ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დების წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ. VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

ვაკეთებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას: სამეურნეში ტახტებზე, მატრასებზე, სკამებზე, მოლიების შეცვლა-აღდგენა-განახლებას, ადგილზე. ვეძებ გამოსულ ტყავის სამუშაოს. ტელ. 66-38-26 ალეკო

სილამაზის სალონი „სტილი"! თმის მოცილება სახესა და ტანზე მცენარეული დეპილატორით; ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით; სახის გაწმენდა, თმის მოდელური შეჭრა – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 4-5 ლარი; დეკორატიული მელირება – 15-20 ლარი. აგრეთვე არსებობს კოსმეტიკისა და საპარიკმახერო კურსები. გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი – ირინა ჯანაშია, მეთოდისტი-სტილისტები – ზინა. ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 ბინა); 899 90-67-52

„ცხრაკლიტული": შეამოწმეთ თქვენი ბინის და ავტოფარეხის უსაფრთხოება; საკეტების დამატება, შეცვლა, გარემონტება ხომ არ გნებავთ?; ხის კარის რკინებით გამაგრება, ტყავის გადაკვრა, საზამთროდ კარის დათბუნება, შეღებვა. ტელ: 36-42-16; 899 56-39-69

მინიმალურ ფასში გთავაზობთ პიანინოს და როიალის აწყობას, შეკეთებას, რესტავრაციას. ბავშვთა სახლებს, საბავშვო ბაღებს და ობოლ ბავშვებს ვემსახურებით უფასოდ. ტელ: 52-08-57

კერძო, ოჯახური, აკადემიური ქართულ-რუსული საბავშვო ბაღი რუსთაველზე, მ. „რუსთაველთან". ბავშვებს ვამზადებთ სასკოლოდ, ორი კვალიფიციური პედაგოგი. კვება ორჯერადი, მ/დენი, ბ/აირი, ცხელი წყალი. ვითვალისწინებთ მშობელთა პრეტენზიებს. ტელ: 99-72-99; 34-43-42

## მკურნალობა

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, უახლესი მეთოდით, მოკლე დროში, ყველა ასაკში, მუშაობის საკმაო გამოცდილებით – ალმდგენი სათანადო აპარატებით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და სხვა მეთოდებით ალგიდგენთ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას – ენაბორძიკობას, ენაჩლუნგობას, გონებრივ ჩამორჩენილობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას. მიღება სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეშული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით,. ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, ნაწიბურების, სვირინგების და სხვა არასასურველი წარმონაქმნების სწრაფი, უნაწიბურო მოცილება, კოსმეტიკური დეფექტების შესწორება, ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". ბახტრიონის 18. ტ: 38-27-52; 877-46-82-53

ტკივილის სინდრომის, ქვედა კიდურების სისხლძარღვების დაავადებების, ჰიპერტონიის, ტროფიკული წყლულების, კუჭ-ნაწლავის, სახსრების დაავადებების, ფსორიაზის სწრაფი და ეფექტური მკურნალობა. მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". ხელმძღვანელი პროფ. ლუიზა მარსაგიშვილი. ბახტრიონის ქ. 18. ტ: 38-27-52

მეჭეჭებისა და ხორცმეტების (პაპილომები, კონდილომები, მოლუსკები) მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიის ქვეშ, უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან. მის: ზურაბ ჭავჭავაძის (ყოფ. შეროზიას, შესახვევი დავით აღმაშენებლის №99-თან) ქ. №10. „თვალის დისპანსერი". კაბ. №2. ტელ: 95-30-26 (სამს); 39-00-70 (ბინა); 899 56-96-61

სიახლე არტერიული ჰიპერტონიის მკურნალობაში! მაღალი წნევის ნორმალიზაცია, ახალი, კომბინირებული, აპარატ „Eleqtroeffeqtor"-ისა და მედიკამენტების (გაცემა უფასოა) საშუალებით. ავადმყოფებს ერთთვიანი მკურნალობა უტარდებათ სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკაში, (ვაჟა-ფშაველას №29), ამბულატორიულად, მედიც. მეცნ. დოქტორის მიერ, მე-4 სართულზე (მიმღების მხრიდან), №481 ოთახში, 11-13 სთ. ცნობები და წინასწარი ჩაწერა: 66-04-67; 899 24-49-20

სამედიცინო კაბინეტში „მკურნალი სუმბაძე", ვლებულობთ პაციენტებს დაავადებებზე: ღრძილების გართულებული ფორმები; ჩირქოვანი გლანდები; სტომატიტი; ჰაიმორიტი; ბრონქების გაწმენდა ნიკოტინის დანალექებისაგან; ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთება (ქოლეცისტიტი); თირკმლების, ღვიძლის პრობლემები; კოლიტი; ბუასილი; კანის ჩირქოვანი დაავადებები; ფეხის ფრჩხილის ჩირქოვანი ჩაზრდა; ექსკოპიური დიაგნოსტიკა და ანალიზები დილის საათებში. მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის №113-115 (ეზოს ბოლოში, სამკურნალო ცენტრი), კაბ. №31. ტელ: 91-18-38 (სამს); 69-18-38 (ბინა); 877 41-86-16; ექიმი-მკურნალი ცისანა სუმბაძე

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა – ლოგონევროზი), წნევის, (ჰიპერტონიის) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით. ვაჟა-ფშაველას 16, ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა, მე-13 სართ. ბიორეზონანსული თერაპიის ცენტრი. ექიმი ზურაბ ხარაიშვილი. 10-16 სთ. ტ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

გთავაზობთ მთელი ორგანიზმის კომპიუტერულ-ფუნქციურ დიაგნოსტიკას რ. ფოლის მეთოდით. მის: ბახტრიონის ქ. №18. სამედ. პუნქტი „ლაზერი". ტელ: 53-63-05

ექიმი ალექსიშვილი მკურნალობს ნერვის ანთებას, რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს (დისკის ამოვარდნას), სახსრების დაავადებებს (ანთებას, მარილების დაგროვებას), პოდაგრას, სქოლიოზს, შაკიკს. მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან, შედეგი – მაქსიმალურად გარანტირებული!!! მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (ცოტნე დადიანის №87), კაბ. №11, 11-14 სთ. ტელ: 69-91-92; 39-39-97; 899 57-16-99

## ვასწავლი

მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მოვამზადებთ აბიტურიენტებს და მოსწავლეებს გეოგრაფიასა და ინგლისურში, უნივერსიტეტის პროგრამით (საჭიროებისამებრ, ბინაზე მისვლით). ტელ: 34-63-76; 38-90-35; 899 98-63-76. თამრიკო

ნებისმიერი ასაკის მსურველს შევასწავლი თურქულ სასაუბრო ენას და გრამატიკას. 39-77-81. მარინა

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს ინგლისურში აბიტურიენტებს, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61

ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი, ინგლისური ენის სპეციალისტი, მთარგმნელი, რედაქტორი გასწორებს ქართულ და ინგლისურ სამეცნიერო და მხატვრულ ტექსტებს (სტილი და რედაქტირება); მოამზადებს მოსწავლეებს ინგლისურში აკადემიური მეთოდით. ტელ: 52-82-49; 893 30-87-14. ქეთი

ვამზადებ მოსწავლეებს მათემატიკაში საფუძვლიანად. ტელ: 34-23-67; 69-36-69. ნანა

კომპიუტერული სტუდია – „დავჯი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

გამოცდილი სპეციალისტი, მეცნიერებათა კანდიდატი მოამზადებს აბიტურიენტებს ისტორიასა და გეოგრაფიაში ხელსაყრელ ფასად. ტელ. 22-78-56

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა); 899 90-67-52. ირინა ჯანაშია

კოსმეტიკის კურსები! შეისწავლება: კანის დეფექტები, მკურნალობა, კანის გაწმენდა, ეპილაცია, მასაჟი, ლოსიონები, რძეები, ნიღბები და სხვა, შეღავათიან ფასებში. გაიცემა სერტიფიკატი. მის: „ნაძალადევი", მ. „კავშირის მოედანი", დადიანის (ყოფ. ოქტომბრის) ქ. №26. ტელ: 66-53-56; 893 33-09-66

## იყიდება

ანტიკვარული გრამაფონი, ანტიკვარული ფირფიტებით, რესტავრირებული, საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი $550. ტელ: 96-53-09 (საღამოს). დათო

## სხვადასხვა

**ქველმოქმედთა საყურადღებოდ!**

იქნებ დამეხმაროთ ანას!

ამ ორი თვის წინ ექიმმა მკაცრი განაჩენი გამომიტანა, ოპერაციას თუ არ გაიკეთებ, არაფერი მეშველება. ოპერაციის დიდი თანხა ესაჭიროება, რაც მე არ გამაჩნია, ვერც ოჯახის წევრებს ვუმხელ ჩემს გასაჭირს, რადგან ვიცი, ვერ დამეხმარებიან, პურის ფულს ძლივს შოულობენ.

ძვირფასო მკითხველო, ქველმოქმედებო, იქნებ გულთან მიიტანოთ ერთი ქართველი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალის ტკივილი და დამეხმაროთ საოპერაციო თანხის შეგროვებაში. ტელ. 73-50-65. ანა.

## ხსოვნა

**ნუნუ წერუაშვილი-დავითაშვილის გახსენება**



ერთი წელი გავიდა 28 სექტემბერს, რაც შენმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა. გაუსაძლისი ყოფილა უშენობა, დაგვიტოვე საშინელი სევდა და მწუხარება. ჩემო საყვარელო დაიკო ნუნუ, როგორ უსაზღვროდ მენატრები. ყველას უზომოდ დააკლდი, ენატრები შენს შვილებს, შვილიშვილებს, ნათესავებსა და მეგობრებს.

ღმერთს ვთხოვ, რომ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ელმირა*

**ლადო გუბელაძის გახსენება**



2 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. თვალცრემლიანები გილოცავთ 60 წლის შესრულებას. რაოდენ დიდი ტკივილია ჩვენთვის, როცა სასაფლაოზე უნდა მოგილოცოთ ეს თარიღი. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. ვერავითარი დრო შენს თავს ვერ დაგვავიწყებს. ჩვენო თბილო და ტკბილო მამავ, რამხელა სევდა, რამხელა გულისტკივილი დაგვიტოვე. საოცრად მოსიყვარულე გული გქონდა და ვაი, რომ სწორედ ამ გულმა გიმტყუნა.

ამბობენ, სიკვდილიც, პირველ რიგში, კარგებს ირჩევსო, ღმერთსაც თავისთან რჩეულები მიჰყავსო. ასეთი იყავი შენ, მამა. შენ მხოლოდ თვალს მოაკლდი, თორემ გულებში ისევ ის კეთილი დარჩი. შენისთანები როდი კვდებიან, შენ მხოლოდ გარდაიცვალე. ყველა კეთილად გიგონებს, ყველას ენანები. რამდენი სიკეთე ჩუმად გაგიკეთებია, რამდენ ადამიანს გაუბრწყინე გზა. შენ იყავი დიდი ქველმოქმედი, სპონსორი და მეცენატი. ნამდვილმა ქრისტიანმა, ღმერთის მორწმუნემ და მლოცველმა, საფუძველი ჩაუყარე და ააშენე ფარცხნაყანების წმინდა გიორგის ეკლესია. სამწუხაროდ, შენ ვერ მოესწარი ამ საყდარში ზარის აგუგუნებას.

ზეციურ ცხოვრებაში ამაღლებულს, წმინდა სანთლებს დაგინთებთ მუდამ და ღმერთს შევთხოვთ, სამუდამო ნეტარება დაუმკვიდროს შენს სულს.

გწამდეს, რომ შენი ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება. შენმა კეთილმა სულმა გამყოფოს სამოთხეში და ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი ფარცხნაყანების მიწა.

*შვილები: ლევანი, ლალი, ლადო*

**ბესო ჩოხელის მონატრება**



გავიდა ერთი ტკივილით სავსე წელიწადი, ავად მოსაგონარი 7 ოქტომბრიდან. მხოლოდ 34 წელი და მარად ახალგაზრდობა, – ასეთი ყოფილა შენი ბედისწერა.

ჩვენო ბესო, გვიყვარხარ და გვენატრები, ძალიან გვიჭირს უშენობა, – ოჯახს, სანათესავოს, სამეზობლოს თუ სამეგობროს; ყველაზე მეტად კი, შენს დედას, რომლის თვალზეც ცრემლი არ შრება.

ჩვენს ნათესაობას დაგვაკლდა ის სილამაზე და ხალისი, რომელიც შენ შემოგქონდა, თითოეულის ოჯახში, შენეული თბილი, იუმორნარევი, ტკბილი საუბრებით.

საყვარელო ბესო, წახვედი და დაგვიტოვე მოუნელებელი გულისტკივილი, ამიერიდან შენი სიყვარულით, შენზე მოგონებებითღა ვიცხოვრებთ და ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის, რომელსაც დავიწყება არასოდეს უწერია.

შევთხოვთ უფალს, რომ დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი

*დედის ძმისშვილები და დეიდაშვილები ოჯახებით*

**მზია იაშვილის ხსოვნას!**



ორიოდე კვირის წინ, დავკარგეთ საუკეთესო მეგობარი, ჩვენს საზოგადოებაში კარგად ცნობილი, ჭეშმარიტ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, ოჯახიშვილობით, განსწავლულობით, სიფაქიზითა და მშვენიერი გარეგნობით გამორჩეული მანდილოსანი – მზია იაშვილი.

მზია ყველას ახსოვს, მუდამ მხნე და ღიმილიანი, სიცოცხლეზე შეყვარებული, ყველას მიმართ გულისხმიერი და ყურადღებიანი, ურთიერთობაში, საქმეში ერთგული და ულალატო მეგობარი...

ყველას ხიბლავდა მისი სტუმართმოყვარე, შესანიშნავი ოჯახი, რომელიც მან სამაგალითო პიროვნებასთან – დევი ჩხეიძესთან ერთად შექმნა. იშვიათად თუ რგებია ქალს ისეთი ზრუნვა და თანადგომა, როგორიც ხვდა მას წილად თავისი მეუღლისგან...

მზია იაშვილს მთელი ცხოვრება მოუშუშებელ ჭრილობად აჩნდა სრულიად ახალგაზრდა დედის – ერთ-ერთი პირველი ქართველი მეცნიერი ქალის, სოფიო ჭრელაშვილისა და საყვარელი უმცროსი ძმის, ზურაბ იაშვილის უდროო გარდაცვალება.

მზია პირნათელი და ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. აღზარდა ორი შესანიშნავი ვაჟკაცი, რომელთაც სამაგალითო ოჯახები შექმნეს. როგორც მაღალკვალიფიციურმა ისტორიკოსმა, თავისი წვლილი შეიტანა მეცნიერებაში, გამოაქვეყნა ორი წიგნი, რამდენიმე სხვა შრომა, რომელიც დიდხანს არ დაკარგავს თავის მნიშვნელობას.

ბოლო წლებში მზია ტკბებოდა საყვარელ შვილიშვილებთან და ძმისშვილებთან ურთიერთობით, რომლებზეც დიდი ამაგი ჰქონდა. სამწუხაროდ, არ დასცალდა ეს სიხარული.

ძვირფასო მზია, წარმოუდგენლად ძნელია უშენობა, ბევრს დაგვაკლდა შენი კეთილი გულის სითბო, რასაც ასე ვიყავით მიჩვეულნი შენი მეგობრები, ხანგრძლივი დროის მანძილზე. შენი ხსოვნა არასოდეს წაიშლება ჩვენს გულებში.

*ნუნუ გიორგობიანი, ნუნუ გვაზავა, შუქურა დარახველიძე, ნელი ბურძენიძე*

**2001 წლის 3 ოქტომბერს კოდორის (დალის) ხეობაში ტრაგიკულად დაღუპულთა გახსენება**

ერთი წელი გავიდა იმ შემზარავი ტრაგედიის შემდეგ, რომელმაც შეძრა მთელი დალის ხეობა. მეხის გავარდნას ჰგავდა დალის ხეობის ცაზე ცხრა ადამიანის დაღუპვის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია. მათ შორის იყვნენ ერთი ოჯახის წევრებიც, ის ახალგაზრდები, რომელთაც იმედით შესცქეროდნენ დალელები. მოუშუშებელი იქნება მარადჟამს ეს დანაკარგი, მშობლიური კუთხე არასოდეს დაივიწყებს **ხუტა, გოჩა (ლემინი), სლავიკ ჩხეტიანებს, ლევან კვიციანს, ირა არღვლიანს, თეა ჯაჭველიანს, ლომინო გუჯეჯიანს, ედუარდ ბედაევს, შალიკო რეზესიძეს**. მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის საქართველოს მიწა, ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სულები.

*თქვენი დატანჯული ოჯახები, ახლობლები, ნათესავები, კოდორისხეობლები*

**რობერტ რობერტის ძე ბოკერიას ხსოვნას!**



მესამე 29 სექტემბერია, შენი დაბადების დღე უშენოდ რომ შემოვიდა ჩვენს სახლში, შვილო! სამი წლის უკან, ავმა სენმა შენი სიცოცხლე ჩაგვიქრო, რობერტ! უსაშველო იყო ზაფრა და ელდა. უკურნებელია ტკივილი, რომელიც მუხანათმა ბედისწერამ მოგვგვარა. რა დაუტოვე სასოდ და ნუგეშად შენს უსაზღვროდ დამწუხრებულ მშობლებს, ახლობლებს, მეგობრებსა და მეზობლებს?! უშენო შენი დღეობები, უშენო შენი ნივთები, უშენო შენი წიგნები, რვეულები, სათამაშოები, შენი ხელშენავლები საგნები... დღეს მეთხუთმეტედ ვიზეიმებდით შენს დღეობას. დიდი, ჭკვიანი, ბრძენი და თითქმის ჭაბუკი შვილი გვეყოლებოდი.

დამწვარი 15 ოქტომბერი, ჩვენთვის, შვილო! ამ დღეს ჩაიფერფლა შენი ნორჩი სიცოცხლე. წახვედი და ჩვენი სიცოცხლეც თან გაიყოლე. უსაშველო დარდი და ტანჯვა დაგვიტოვე. შენი სამარის კარია სევდიან დაბადების დღეზე გაუბედურებული და მწუხარე მშობლების მასპინძელი. ამ დღეს შენც ალბათ შენეული ჭკვიანი და ანცი ღიმილით გადმოგვხედავ ზეციური საუფლოდან.

*შენი ტანჯული დედა და მამა*

**ილია (ილო) ზაქარიას ძე მემარნიშვილის გახსენება**



ორმოცი ცრემლიანი და ტკივილიანი დღე შესრულდება 4 ოქტომბერს შენი გარდაცვალებიდან. გაუსაძლისია უშენობა, ჩემს დაბადების დღეს დაღუპულო ძმაო. მიყვარხარ და მენატრები ძალიან. ყველგან შენ დაგეძებ, ჩემი ცრემლიანი თვალებით.

ყველას დაგვაკლდა შენი სითბო და ზრუნვა. ლამაზად განვლე შენი ხანმოკლე სიცოცხლე. ირგვლივ სიკეთეს და სიყვარულს აფრქვევდი.

შენი დიდი ოჯახი მუდამ ვილოცებთ შენთვის. ღმერთს ვთხოვთ, სულის სიმშვიდე მოგეპოვებინოს სამუდამო სასუფეველში.

*შენი და გიული*

**მაყვალა ელიაშვილის გამოსათხოვარი!**



სიყვარულით მოძგერალი გული გაჩერდა; რწმენით ანთებული თვალები დაიხუჭა; მოღიმარ ტუჩებზე ლოცვა გაიყინა და ყველანი მივხვდით, რომ გამოუსწორებელი რამ მოხდა, შიში რეალიზდა, იმედი ამოიწურა. ჩვენ მეგობარი დავკარგეთ, ოჯახმა – დედაბოძი, ეკლესიამ – ჭეშმარიტი მორწმუნე, ქვეყანამ – ერის შვილი და სნეულებმა – მკურნალი.

საკუთარი ცოდვებისგან განწმენდილს, გოლგოთის გზით სიარული გარგუნა განგებამ, სულიერი ამაღლებისთვის – ხორციელი გვემა მოეთხოვა, ყველაფერი ცხოვრებისეულისთვის – ტანჯვით მიღწევა. მაგრამ უკურნებელი სენით სისხლგამშრალს, საყვედური არ დაგცდენია, სამართალი არ გიძებნია, ყოველივე ღვთის ნებად ჩაგითვლია და დარჩენილი სისხლიც, წვეთ-წვეთ, უშურველად გაგიღია იმისთვის და იმათთვის, რაც და ვინც გიყვარდა, რადგან გწამდა, რომ სიცოცხლის აზრი ამაშია.

ამბობენ, ზეციურ საქართველოში გადასახლებულთა სულები, მარადიულად ლოცულობენ ჩვენთვისო – უეჭველია, მათ კიდევ ერთი გულმხურვალე მლოცველი შეემატებათ.

*მცხეთის საავადმყოფოს თანამშრომლები*

**შუქურ ერმალოს ძე ჩიქოვანის ხსოვნას!**



ღია კაცი იყავ, შუქურ ბატონო! დიდი და ლამაზი, ქართული ოჯახის მამა, მრავალი თაობის აღმზრდელი და დამფრთიანებელი; ხელოვნებაში წილნაყარი და სიმღერაზე უზადოდ შეყვარებული. მერე რა, სიკვდილი რომ ასე უცბად მოგეპარა. სავსე ზარდახშით წახვედი.

ხუთი წელია, არ გინახავს შენი ეზოკარი, შვილები და შვილიშვილები, ბადიშები, სამძო თუ აღზრდილები; არ შეჰგებებიხარ ლამაზი ღიმილით, იმედიანად გაბრწყინებული თვალებით. მრავალ ხუთ წელს იცოცხლებ მათ ხსოვნაში სინდისო მამათა, მაგალითო ყრმათა.

*შენი მეუღლე მ. ხოშტარია. აბაშა, სოფ. ნაესაკოვო*

**თამარ საბაურის გახსენება**



„ბა-ა!" – ასე იწყებოდა ყოველი დილა. „ბაბო დაგადნათ თქვენა!" – გვეტყოდი ალერსით.

გამწარებულმა ბებიამ, მას შემდეგ, რაც 3 წლის წინ, თეთრი, გაშლილი თმით, ჩვენი უფროსი ძმა – 18 წლის ლევანი, სამუდამო გზაზე გააცილე, შენს გულს ცრემლი და დარდი სწვავდა, მაგრამ მაინც შეგეძლო ჩვენი ტკბილად მოალერსება, რომელიც სხვას არავის შეუძლია.

ჩვენო თბილო, ტკბილო, ლამაზო, ჩვენს ზრუნვაში დაღლილო, ოქროსხელებიანო ბა! ხსოვნა გამზრდელი ბებიისა, ჩვენს გულებში არასოდეს წაიშლება.

*შენი შვილიშვილები: თამარ, რაფაელ ფიცხელაურები*

# წითელა ბატონები „გამიჯავრდნენ“

ყველაფერი ადრეულ ბავშვობაში დამეწყო, — მითხრა შალვა ი-ძემ, — 4-5 წლის ასაკში წითელა ბატონები „გამიჯავრდნენ“, არავის ჰქონდა ჩემი გადარჩენის იმედი. ექიმსაც კი უთქვამს, — ნუ აწვალებთ, მშვიდად მიცვალება აცალეთო!..

ჩემი „მეორე მე“ კი საკუთარ სხეულს გარედან უყურებდა. ახლა ვხვდები — ასტრალში ვიყავი გასული, ჩემი სული სხეულისგან დამოუკიდებლად დაფარფატებდა, თან ისეთ სიმსუბუქეს ვგრძნობდი, არ მინდოდა სიცხით გათანგულ სხეულში დაბრუნება.



გარდა იმისა, რომ საკუთარ სხეულს და ახლობლებს ვუცქერდი, რაღაც უცნაურ გარემოშიც შემეძლო მოხვედრა. თეთრ სივრცეში უამრავი ჩემი თანატოლი დადიოდა, პეპლები დაფრინავდნენ, ჩიტები ჟღურტულებდნენ და უცნაური მუსიკა მესმოდა, რომელიც უფრო სალამურის თუ ფლეიტის ხმას წააგავდა. ამ მუსიკის ხმაზე ბავშვები წრეში დგებოდნენ და როკავდნენ. მეც მომინდა მათთან ერთად ცეკვა და დავდექი კიდეც წრეში... თითქოს ქარმა ამიტაცა და დამატრიალა მოწყვეტილი ფოთოლივით — უდიდესი ნეტარება და ბედნიერება იყო ჩემთვის ეს ცეკვა...

9 დღე ვყოფილვარ უგონოდ... იმ მეცხრე დღეს ისევ მოვინდომე „ცეკვა“, ჩავდექი კიდეც წრეში და ბავშვები დამფრთხალი ჩიტებივით „აფრინდნენ“ ჰაერში, გაკვირვებულნი მომაჩერდნენ. მეც დავაპირე აფრენა, მაგრამ სხეული ტყვიასავით დამმძიმებოდა...

თეთროსანი ქალი მომიახლოვდა, ღია, შავად მომზირალ კართან მიმიყვანა — დედამიწაზე უნდა დაბრუნდეო, — ხელი მკრა და ბზრიალ-ტრიალით დავეშვი დედამიწაზე. ავტირდი. საკუთარმა ხმამ გამომაფხიზლა. თვალი გავახილე. დედას გული წაუვიდა, ბებიაც დამუნჯებული იჯდა...

ავადმყოფობის შემდეგ მხოლოდ ცეკვის ინტერესი დამრჩა. ვიდექი სარკის წინ და ვცდილობდი ისე მეცეკვა, როგორც იმ უცნაურ, თეთრ სამყაროში, მაგრამ არაფერი გამომდიოდა.

მშობლებმა ექვსი წლის ასაკში ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელ სტუდიაში მიმაბარეს, მაგრამ მასწავლებელმა ჩემს მშობლებს ურჩია — იქნებ ბალეტზე შეგეყვანათ. ის მოძრაობები, რასაც ბავშვი აკეთებს, კლასიკურ ცეკვებს უფრო შეეფერებაო.

7 წლისამ წარმატებით ჩავაბარე გამოცდა და საბალეტო სტუდიის მოსწავლე გავხდი. პედაგოგი არ იყო უკმაყოფილო და საკმაოდ პერსპექტიულ მოსწავლედაც მთვლიდა, მაგრამ... რაც მეტად ვეზიარე ბალეტის ანაბანას და სხეულიც უფრო მოქნილი გამიხდა, ვგრძნობდი რაღაც მემართებოდა ცეკვისას, რაღაც უცნაური ცეცხლი და ენერგია მწვავდა — საკმარისი იყო მომენდომებინა, რომ აუცილებლად შევძლებდი ფრენას, მაგრამ... თავს ვთოკავდი. ამიტომ მასწავლებელი მსაყვედურობდა, — თითქოს ფეხად გძინავს, ისე უდროო დროს შეჩერდები, ყველაფერს აფუჭებო!

...ერთხელ, ცეკვის დროს, თავს ვეღარ მოვერიე. მუსიკას ყველა ნერვით ვგრძნობდი... „გავშალე ფრთები“ და ისევ იმ თეთრ სამყაროში აღმოვჩნდი, სადაც ძველებურად ტრიალებდნენ ბავშვები... უცებ მუსიკა შეწყდა, გაოცებულმა მიმოვიხედე... შიშით თვალებგაფართოებული მასწავლებლების და თანატოლების მზერას წავაწყდი. თურმე 3-4 წუთი იტაკიდან 8-10 სმ-ის სიმაღლეზე ვტრიალებდი...

ცეკვას თავი დავანებე, თუმცა კი ამან ენით აუწერელი ტანჯვა მომაყენა!..

**— არ გიცდიათ, მეცნიერულად აეხსნათ ეს ფენომენი?!**

— ჩემმა მეგობარმა ფიზიკოსმა მითხრა, — ასეთი რამ ფიზიკის კანონებს არ ემორჩილებაო. იოგებსაც მივმართე. ვერ დამეხმარნენ. ისინი იატაკიდან კი ახერხებენ აწევას, მაგრამ ამას გარკვეულ პოზაში გაშეშებულნი აღწევენ, მე კი ცეკვის დროს „ვფრენდი“...

**— ახლაც დაფრინავთ?**

— 20 წლის შემდეგ რაღაც მოხდა ჩემში. ის „თეთრი სამყარო“ „არ მიღებდა“... გაოცებულები მიცქერდნენ — მე ხომ გავიზარდე, ისინი კი ისევ პატარები დარჩნენ და არ სიამოვნებდათ თითქოს ჩემი დანახვა, ჰაერში ისე მაღლა აიწევდნენ ჩიტებივით...

ისე შემაწუხა ჩემმა უცნაურმა მდგომარეობამ, ამ 7-8 წლის წინ ფსიქიატრს მივმართე. ცუდი სპეციალისტი შემხვდა — შიზოფრენიის ერთ-ერთი ფორმააო. ის „თეთრი სამყარო“ ლამის „თეთრ ცხელებად“ ჩამითვალა და დიდხანს მეკითხებოდა დაჟინებით, — ნამდვილად არ სვამო? ჩემი მდგომარეობა რომ მთლად ნორმალური არ იყო, მეც ვიცი, მაგრამ ვგავარ გიჟს?!

დედისერთა ვიყავი და სულ მიკვირდა — რატომ არ გააჩინეს ჩემმა მშობლებმა მეტი შვილი-მეთქი. სიკვდილის წინ დედა გამომიტყდა, აყვანილი ხარო, თანაც ერთ მშვენიერ დღეს კარებთან ვუპოვივარ. ვინ იცის, იქნებ მართლა სხვა პლანეტიდან ვარ ჩამოფრენილი?

...ვინ იცის ვინაა და საიდან მოხვდა დედამიწაზე შალვა ი-ძე. ჩვენმა საერთო ნაცნობებმა დაადასტურეს, ცეკვის დროს შალვა მართლა დაფრინავდა... ასეთი რამ არც გაგვიგონია და არც გვინახავსო!..

ასე რომ, ჩვენი გაზეთი აფიქსირებს ფაქტს, რომ XX საუკუნის ბოლოს საქართველოში ცხოვრობდა კაცი, რომელიც ცეკვისას... დაფრინავდა! მერე კი, როცა ფრენა ჩვეულებრივი მოვლენა გახდება ადამიანისთვის, ამ შემთხვევაშიც ვერავინ შეგვეცილება პირველობას ექსკლუზივის მოპოვებაში!..

***ინგა ჯაყელი***

# რატომ ხდება ავტოავარია ერთსა და იმავე ადგილას?

**საგზაო შემთხვევებს ყოველწლიურად უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირება. რა თქმა უნდა, ძირითადად ამაში უდისციპლინო და ნასვამი მძღოლები ან მანქანის ტექნიკური გაუმართაობაა დამნაშავე.**

**მაგრამ გამოვლენილია ისეთი შემთხვევებიც, როცა მანქანაც გამართულია, მძღოლიც მოწესრიგებული, ტრასაც თავისუფალი და... ავტოავარია მაინც ხდება, თანაც ერთსა და იმავე ადგილას.**

რა არის ამის მიზეზი?

დამნაშავეა ანომალიური ან დაწყევლილი გზები!

გზების ანომალიის პრობლემების შესწავლისას ასტროლოგებმა და ფიზიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ ე.წ. „ეშმაკისეული ადგილები“ სხვა არაფერია, თუ არა გეოპათოგენური ზონები. ასეთი ზონები ძირითადად, წარმოიქმნება დედამიწის ქერქის იმ ადგილებში, სადაც აღინიშნება ელექტრომაგნიტური გამოსხივების მომატებული ფონი.

ავტოინსპექტორებს ვერაფრით გაეგოთ, რატომ ხდებოდა უფრო მეტი ავარია იდეალურ ტრასაზე, რასაც ადამიანების მსხვერპლი მოჰყვებოდა, ვიდრე მთიან სერპანტინებზე.

მეცნიერებმა გამოიკვლიეს ეს მოვლენები, პრობლემურ ადგილებში გაზომეს დედამიწის ელექტრომაგნიტური ველი და გაარკვიეს, რომ იგი 100-600-ჯერ აღემატება მიღებულ ნორმებს, რაც ავარიების მიზეზი ხდება. ადამიანის ტვინი და თვალის რქოვანა შედგება კრისტალებისგან, რომელიც ყურადღებაზეა პასუხისმგებელი. ძლიერი ელექტრომაგნიტური ველი არღვევს ამ ორგანოების ნორმალურ მუშაობას. მსგავს ზონაში მოხვედრილ მძღოლს თვალზე ბურუსი გადაეფარება ხოლმე და იგი არაადეკვატურად მოქმედებს. ეს ისე სწრაფად ხდება, რომ მძღოლი გონს ვერ მოდის და ავარიაც გარდაუვალია.

გერმანელი მეცნიერებიც იკვლევდნენ „დაწყევლილი ადგილების“ პრობლემებს და დაადგინეს: ასეთ ადგილებში მძღოლებს თავბრუ ეხვევათ, ხელ-ფეხის კრუნჩხვა ეწყებათ, მკვეთრად იცვლება არტერიული წნევა და პულსი და, რა თქმა უნდა, უარესდება მხედველობა.

გერმანელმა მეცნიერებმა შეადგინეს ტრასების ანომალიური მონაკვეთების ფოტორობოტი. გამხმარი ხეები, დამსკდარი ასფალტი, გზის განაპირა ბეტონის დანგრეული ბოძები — ყოველივე ეს დამღუპველი ზონის მანიშნებელია.

***სობესედნიკი №34***

## „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი**

1) — დ); 2) — გ);
3) — ბ); 4) — გ);

**II. რებუსი**

ბავშვები და ბრიყვები სიმართლეს ამბობენ;

**III.** ფლორა;

# კალენდარი კოსმოსური რიტმების მიხედვით

**(1-13 ოქტომბერი)**



**1/X. კირჩხიბი** — ხეხილის გადარგვა, შტამპების დამუშავება კირის წყალხსნარით, ნიადაგის განოყიერება ნაკელით, ბოსტნეულის თესვა, ნივრის დარგვა, ოთახის მცენარეების მორწყვა. მოერიდეთ გაცივებას, ყურადღება მიაქციეთ მკერდის არეს, სასუნთქ ორგანოებს, მუცლის ღრუსა და ნერვულ სისტემას — მოსალოდნელია ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება. აუცილებელია ფიზიკური ვარჯიში, ორგანიზმის გაწმენდა, აბაზანა ან საუნა. კარგი პერიოდია ინტიმური ურთიერთობისათვის. არ შეიჭრათ თმა — მხედველობაზე იმოქმედებს უარყოფითად. საკვებად მიირთვით რძე, რძის ნაწარმი, ხილი, ნიგოზი, პიტნის ან ცაცხვის ნაყენი.

**2-3/X. ლომი** — ნიადაგის განოყიერება ნაკელით. კარტოფილის ამოღება შესანახად — ხეხილზე ხმელი ტოტების შეჭრა. ნიადაგის გაწმენდა და მომზადება დასამუშავებლად. მიუღებელია ნიადაგში ხელოვნური სასუქის შეტანა. ამ დღეებში აუცილებელია ლოგინის, ბინისა და ტანსაცმლის განიავება-გამზეურება. აუცილებელია ღრმა სუნთქვითი ვარჯიშები, ნაკლებად დატვირთეთ გულ-სისხლძარღვები, ზურგის არე. აუცილებელია ფიტოთერაპიით მკურნალობა. მიუღებელია ინტიმური ურთიერთობა. კარგია თმების შელამაზება. საკვებად მიზანშეწონილია ფრინველის ხორცი, თევზი, პარკოსნები, ხმელი ხილი, ქიშმიში, ნიგოზი, კუნელის ნაყოფის, ფოთლის ან ყვავილის ნაყენის მიღება. მიუღებელია ალკოჰოლი ან თამბაქო.

**4-5/X. ქალწული** — ნივრის, ოთახის ყვავილების და დეკორატიული მცენარეების დარგვა-გადარგვა. კომპოსტის მომზადება, ნაკელით ნიადაგის განოყიერება. ლობეებისათვის ბოძების დასობა. მიუღებელია დაკონსერვება და მოსავლის შენახვა. ამ დღეებში იოლად ცივდებიან. გაუფრთხილდით კუჭ-ნაწლავს, სისხლის მიმოქცევისა და ნერვულ სისტემას. მიუღებელია თმის შეჭრა. დილით მოსალოდნელია გულ-სისხლძარღვთა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება. ვისაც გახდომა გსურთ — ამ დღეებში საკვებად მიიღეთ მხოლოდ ვაშლი 9-12-15-19 საათებში და ნებისმიერი მცენარეული ნაყენი. ეს არის გახდომის უნიკალური მეთოდი, რომელიც უნდა გააგრძელოთ ათი დღე. მიირთვით წიწიბურა, შვრია, რძის ნაწარმი, ხილი. მოერიდეთ საქმიან შეხვედრებს.

**6-7/X. სასწორი** — ყვავილების რგვა, გადარგვა, განოყიერება. ერთწლიანი კულტურების მოსავლის აღება. ნიადაგის გასუფთავება. ხორბლის თესვა 22 რიცხვამდე. მიუღებელია მცენარეების რწყვა. აუცილებელია ოთახისა და ტანსაცმლის განიავება. გაუფრთხილდით ბარძაყის არეს, თირკმლებსა და შარდის ბუშტს. მოსალოდნელია საერთო მოთენთილობა, უძილობა, შიშის შეგრძნება. უმჯობესია ეს დღე გაატაროთ ბუნებაში. მზად იყავით ამინდის ცვალებადობისთვის. მოერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. ნუ წამოიწყებთ სერიოზულ საქმეს. თავი შეიკავეთ ცხარე საკვების, ალკოჰოლის მიღებისგან, მიირთვით ხილი, ბოსტნეული, ფაფები, რუხი ან შავი პური, ორგანიზმის გამწმენდი ნაყენები.

**8-9/X. ღრიანკალი** — სამკურნალო მცენარეების შეგროვება, შრობა. ოთახისა და დეკორატიულ მცენარეთა მორწყვა, განოყიერება. ღვინის გადაღება. მიუღებელია ხეხილზე ხმელი ტოტების შეჭრა და ხის ჭრა. მოერიდეთ გაცივებას. ყურადღება დაუთმეთ სასქესო ორგანოებს, შარდის ბუშტს და ნერვულ სისტემას. ამ დღეებში იზრდება ემოციურობა. აუცილებელია სუფთა ჰაერზე ყოფნა. დღეიდან ერთი კვირის განმავლობაში კარგია კანის გაწმენდა. მიიღე სამკურნალო მცენარეების ნაყენებით გაჯერებული წყლის აბაზანა. მიუღებელია სექსუალური ურთიერთობა. სითხე და საკვები უნდა მიიღოთ ზომიერად, გამორიცხეთ ალკოჰოლი. აუცილებელია რძის ნაწარმი, წიწიბურა, კვერცხი, საქონლის ღვიძლი, თევზი, ბოსტნეული და ხილი.

**10-11/X. მშვილდოსანი** — ფუტკრის მკურნალობა, ბოსტნეულის თესვა სათბურში. ხეხილზე შემხმარი ტოტების შეჭრა, მაღალმთიან ზონებში ბინის პირველი გათბობა. შეშის ჭრა 18 რიცხვამდე. აუცილებელია ოთახისა და ლოგინის განიავება. გაუფრთხილდით გრძნობის ორგანოებს და სისხლძარღვებს. საერთო მოთენთილობა შეიძლება აღენიშნოთ ბავშვებს. არ არის გამორიცხული გონების შესუსტება, შეცდომათა დაშვება, თავის ტკივილები და უძილობა. შეამოწმეთ სისხლის წნევა. მიიღეთ სამკურნალო მცენარეული ნაყენი. 11 რიცხვი სჯობს ქალბატონებმა დასვენებას დაუთმონ. საკვებად გამოიყენეთ პარკოსნები, ბოსტნეული, ხილი, მიუღებელია ტკბილეული და მარილიანი საკვები.

**12-13/X. თხის რქა** — მოსავლის აღება, ყურძნის კრეფა. საშემოდგომო ხორბლის თესვის ბოლო პერიოდი. დაკონსერვება, კარტოფილის საზამთროდ შენახვა. მოერიდეთ გაცივებას, ქვედა კიდურების გადატვირთვას. ამ დღეებში იზრდება ემოციურობა, ნევროზულობა და ტრავმული შემთხვევები. მიზანშეწონილია აბაზანები და მასაჟი, აგრეთვე კომპრესი მუხლებზე. თმის შეჭრა ან შელამაზება აუცილებელია მხოლოდ 13 რიცხვში. საკვებად მიზანშეწონილია თევზი, კვერცხი, კარტოფილი, წიწიბურა, მაწონი, ხილი, სადილზე 1-2 ჭიქა ღვინო. მოერიდეთ მარილიან და დაკონსერვებულ საკვებს.

***დურმიშხან ყიფიანი***

Procter&Gamble

ვაჭრობის მენეჯერს

# საქართველო-რუსეთის მატჩის ნახვა 10-დან 50 ლარამდე ღირებვა



არ ცხრება აჟიოტაჟი საქართველოსა და რუსეთის ნაკრებთა მატჩის გარშემო, რომელიც 12 ოქტომბერს თბილისში, „ლოკომოტივზე“ უნდა გაიმართოს. ჯერ იყო და, რუსები საერთოდ არ აპირებდნენ თბილისში თამაშს და მატჩის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარებას ითხოვდნენ. რომ არაფერი გამოუვიდათ, უსაფრთხოების გარანტიები მოითხოვეს. სულ ბოლოს კი თამაშის დაწყება ადრე დაგეგმილი 20 სთ-ის ნაცვლად, ერთი საათით ადრე დაიჟინეს, რუსულმა ტელეარხმა OPT-მ ამის მიზეზად კომერციული ინტერესები დაასახელა. ბოლო მოთხოვნაზე რუსებმა თანხმობა მიიღეს. ამრიგად თამაში ჩვენი დროით საღამოს შვიდ საათზე დაიწყება. მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაცია იწარმოებს როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში. რუსეთისა და საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებთა შეხვედრა 11 ოქტომბერს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. „ლოკომოტივზე“ გასამართი მატჩის ბილეთების გაყიდვა უკვე დაიწყო, ფედერაციამ საქართველო-რუსეთის მატჩის ნახვა საკმაოდ ძვირად (საქართველოს პირობებისთვის) დააფასა. დაიბეჭდა 10, 20, 30 და 50-ლარიანი ბილეთები, 50-ლარიანი ბილეთი სულ 500 ცალი ყოფილა, ათლარიანი ბილეთების შოვნა კი ალბათ უკვე გაგიჭირდებათ. ასე რომ, რიგით ქომაგს ამ თამაშის სანახავად 30 ან უკეთეს შემთხვევაში, 20 ლარის გადახდა მოუწევს. მატჩზე დასწრების მსურველთა რიცხვი კი იმდენად დიდია, რომ ბოლო დღეებში ალბათ 30-ლარიანი ბილეთების შოვნაც გაჭირდება.



# ფეხბურთს ვიდეოჩანაწერი არ სჭირდება

გასულ ოთხშაბათს პოლონეთის ქალაქ ვარშავაში დასრულდა ნაკრებთა ხელმძღვანელების კონფერენცია. ძირითადად, ერთ საკითხზე მსჯელობდნენ — გამოეყენებინათ თუ არა შეხვედრის არბიტრებს ვიდეოჩანაწერები სადავო სიტუაციების დროს. ერთადერთი, ვინც ვიდეოჩანაწერების გამოყენების მომხრე იყო, ინგლისელთა ეროვნული ნაკრების შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი გახლდათ, დანარჩენებმა ფეხბურთში თანამედროვე ტექნიკის ჩარევა აუცილებლობად არ მიიჩნიეს. ვარშავაში საქართველოდან ალექსანდრე ჩივაძე და რევაზ არველაძე იყვნენ წარგზავნილნი. გადაწყდა, სადავო სიტუაციებისას, უფრო ხშირად კი თამაშგარე მდგომარეობების დაფიქსირების დროს, მსაჯები კვლავ ერთპიროვნულად მიიღებენ გადაწყვეტილებებს.

გადაწყდა ისიც, რომ მოთამაშეს, რომელიც მიღებული წითელი ბარათის გამო მსაჯს შეეკამათება, კიდევ ერთი მატჩით გაეზრდება დისკვალიფიკაცია. სიახლეა სატრანსფერო წესებშიც. კერძოდ, კლუბებს ამიერიდან შესაძლებლობა ექნებათ სატრანსფერო სეზონის დასრულების შემდეგაც გააფორმონ კონტრაქტები იმ მოთამაშეებთან, რომლებიც თავისუფალი აგენტების სტატუსით სარგებლობენ.

# ითამაშებს თუ არა თბილისში ისრაელის ნაკრები?



ისრაელში არსებული არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო, უეფამ ებრაულ კლუბებსა და ეროვნულ ნაკრებებს შინ მატჩების გამართვა აუკრძალა. იქაური კლუბები ევროთასების შეხვედრებს ნეიტრალურ მოედნებზე ატარებენ. ახლა კი საქმე ეხება ებრაელთა ეროვნულ ნაკრებს. ისრაელის ფეხბურთის ფედერაციას ჯერაც არ გადაუწყვეტია, სად „უმასპინძლოს“ ებრაელთა ნაკრებმა მეტოქეებს „ევრო 2004“-ის შესარჩევ ტურნირში. ჩვენთვის საინტერესო ის გახლავთ, რომ ოთხი შესაძლო ვარიანტიდან ერთ-ერთად ებრაელები საქართველოს განიხილავენ. არჩევანი ბულგარეთს, რუმინეთს, უკრაინასა და საქართველოს შორის უნდა გაკეთდეს.

# უკრაინული გრანდები ქართველებით დაინტერესდნენ

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქართული საფეხბურთო დიასპორა სხვადასხვა ქვეყანაში ჩამოყალიბდა. „ალანია“, „სკონტო“, „შერიფი“, „ფრაიბურგი“, „ტემპი“ და „კრილია სოვეტოვი“ ჩვენებური მოთამაშეებით იყო გაძეძგილი.



მიხეილ ფოცხვერია

შესაძლოა, მალე ეს სია კიევის „არსენალმაც“ შეავსოს. უკრაინელ „მეთოფეთა“ მწვრთნელს, ვიაჩესლავ გროზნის ნამდვილად არ ექნება სანანებელი ბათუმის „დინამოს“ თავდამსხმელის, შალვა აფხაზავას შეძენა. 22 წლის ქართველმა ახალგაზრდამ უკრაინელთა გულის მოგება სულ რაღაც ორი თვის განმავლობაში მოახერხა. შალვა ბომბარდირთა შორის აღმოჩნდა და უკრაინაში ყველაზე პოპულარულმა სპორტულმა გაზეთმა „კამანდამ“ საწყისი ეტაპის საუკეთესო ლეგიონერად დაასახელა. ქვეყანაში, სადაც ნიგერიის, რუმინეთის, იუგოსლავიის, უნგრეთის, ურუგვაისა და საქართველოს ნაკრების წევრები თამაშობენ, სრულიად უცნობი ახალგაზრდის „შემჩნევა“ ბევრს ნიშნავს.

აფხაზავას სულ ცოტა დააკლდა ბომბარდირთა ნომინაციაში გასამარჯვებლად — ბოლო წამს თანაგუნდელმა კონოვალიოვმა ერთი ბურთით გაასწრო.

რადგან ერთმა ქართველმა გაუმართლა, გროზნის კიდევ ორი ფორვარდის, 17 წლის სანდრო იაშვილისა და „ვიტ ჯორჯიას“ ლიდერის, გიორგი ადამიას შეძენა სურს. საბოლოოდ საკითხი ოქტომბერში გაირკვევა, როდესაც გროზნი თბილისს ეწვევა და ფეხბურთელებს უშუალოდ მოედანზე იხილავს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ იაშვილი დროებით „დინამოში“ ვარჯიშობს და მისი იქ დარჩენაც არაა გამორიცხული.

დონეცკის „მეტალურგში“ ჩარიცხვის შემდეგ გოჩა ჯამარაული გუნდის ლიდერად იქცა და გაზეთ „უკრაინიან ფუტბოლმა“ ორჯერ ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა. ბოლო ინფორმაციით, დონბასელთა ხელმძღვანელობა საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტნის, კახა ცხადაძის დამატების საკითხსაც განიხილავს. დონეცკის უმთავრეს გუნდში „შახტიორში“ ნევიო სკალას სურვილით სეზონის დასაწყისში აიყვანეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი, გიორგი ციმაკურიძე, მაგრამ სკალას გადადგომის შემდეგ ძნელი სათქმელია, როგორ აეწყობა მისი საქმე. ციმაკურიძის ოჯახის წევრთა თქმით, ცნობილი სპეციალისტი გიორგის იტალიაში წაყვანით „ემუქრება“.

ყველაზე საინტერესო ტრანსფერი მიხეილ ფოცხვერიას უკავშირდება: ხანგრძლივი ტრავმებითა და გაუთავებელი პრობლემებით შეწუხებული 27 წლის ფორვარდი „მერანსა“ და „ალანიას“ შორის წარმოქმნილ გაუგებრობას ეწირებოდა. მას მხსნელად მოევლინა ქუთაისის „ტორპედოს“ თავკაცი, დიმა რამიშვილი, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა ფოცხვერიას გასაჭირი და სრულიად უანგაროდ ჩააბარა თავისუფალი აგენტის სტატუსი. საქმე ისაა, რომ „მერანის“ ყოფილმა მეპატრონემ თავდამსხმელს ყალბი კონტრაქტით 2003 წლამდე გადაუწყვიტა გუნდში ყოფნა.



კახა ცხადაძე

გათავისუფლებამ ფოცხვერიას ხელ-ფეხი გაუხსნა, უკრაინაშიც გაიხსენეს და „დნიპროში“ ჩაირიცხა. დნეპროპეტროვსკელთა მწვრთნელმა, ევგენი კუჩერევსკიმ „კამანდასთან“ საუბრისას აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ფოცხვერია არ თამაშობდა, მჯერა, ქართველი ფორვარდი „დნიპროს“ გააძლიერებსო. ახლა ეს გუნდი უკრაინის ჩემპიონატის ლიდერია და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე ოცნებობს.

# ფრენსისი დაეცა, ახლა რუსის გალახვის დროა

***გიორგი კანდელაკი** პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელ სერიას აგრძელებს. 22 სექტემბერს ქართველი მოკრივის დებიუტი უკრაინის დედაქალაქში წარმატებული აღმოჩნდა. ამჯერად მისი „მსხვერპლი“ ამერიკელი ფრენკ ფრენსისი გახდა. გიორგისთვის პროფესიულ რინგზე 22-ე სარეიტინგო ბრძოლა მეტისმეტად ხანმოკლე აღმოჩნდა — ჩხუბი პირველი რაუნდის დასაწყისშივე დასრულდა და ამერიკელმა 32-ე ბრძოლიდან მეოთხე წააგო.*

*გიორგის აზრით, მორიგი წარმატება მეტოქის „შესწავლამაც“ მოუტანა:*



— მეტოქის შესწავლა ბევრს ნიშნავს. გასათვალისწინებელია სპეციფიკური თავისებურებაც. ეტყობა, ზანგების დიდ ნაწილსაც „გასაღები“ ჩემამდე უპოვეს. კრივში იციან ამის თქმა, ზანგს თავიდანვე უნდა შეუტიო და შეაშინებო. მეც პირველივე წამებზე შევუტიე ფრენსისს და შევაშინე.

**— ეტყობა, ამერიკელს ბრძოლის წინ შენზე მცირე ინფორმაცია ჰქონდა.**

— არა მგონია. ჯერ ერთი, მე-19 ბრძოლა მის მეგობარს მოვუგე, ჩემ მიერ დამარცხებულ ერთ-ერთ მოკრივესა და მას კი საერთო მენეჯერი ჰყავთ. თუმცა, არ დავმალავ, რომ იოლი გამარჯვება ჩემთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. ორ წუთში სამჯერ დავარდა, რასაც ხშირად ვერ ნახავთ.

**— როგორც ვიცი, შემდეგ ბრძოლას გაცილებით სერიოზულ მოკრივესთან გეგმავ. კონკრეტულად ვისთან?**

— მსურს ევროპის ჩემპიონს შევხვდე, თან ინტერკონტინენტალის ქამრისთვის ვიბრძოლო, მაგრამ პირველი, ალბათ, გამორიცხულია.

**— რატომ?**

— რატომ და ევროპის ჩემპიონს არჩევანის უპირატესობა აქვს. მას შეუძლია 30 მოკრივიდან მეტოქედ ნებისმიერი შეარჩიოს, ის კი შედარებით დაბალი კლასის სპორტსმენს დაუპირისპირდება. მე კი რეიტინგის დასაწყისში ვარ და თავს რომ არ აიტკივებს, თავადაც მიხვდებით. ჩემი მენეჯერი მეტოქეს არჩევს და მისი ვინაობა მალე გაირკვევა. თუკი კვლავ სარეიტინგო ბრძოლა მომიხდა, მეტოქე ან ინგლისელი იქნება ან რუსი.

**— მართალია, თითქოს რუსებს სურთ შენი ბრძოლების სატელევიზიო უფლების ყიდვა?**

— მართალია და ეს ჩემი მენეჯერის დამსახურებაა. მალე იგი მოსკოვში OPT-ს ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას გამართავს კიდევ ოთხი მოკრივის ჩხუბის ჩვენების თაობაზე.

**— რატომ დაინტერესდნენ რუსები?**

— შესაძლოა, ინტერკონტინენტალის ქამრისთვის რუს ვასილიევს დავუპირისპირდე სანქტ-პეტერბურგში და ინტერესიც ბუნებრივია.

**— გიორგი, საინტერესოა, როგორ უთავსებ ერთმანეთს პროფესიული მოკრივის კარიერას და კრივის ფედერაციის პრეზიდენტობას?**

— სანამ ზურაბ ფალიანის ადგილის დაკავებაზე დავთანხმდებოდი, ბევრი ვიფიქრე, ღირდა კი ერთდროულად ორ საქმესთან შეჭიდება? ბოლოს მივიჩნიე, რომ საქმეს თავს გავართმევდი და პრეზიდენტობაზე დავთანხმდი.

**— ალბათ კოლეგები გეხმარებიან...**

— უამისოდ „მეორე ფრონტს“ ვერ გავხსნიდი. კრივის სამყარო ერთიანი, მეგობრულია და ხელშეწყობის გარდა არაფერი მიგრძვნია. იციან, რომ არ გავაფუჭებ საქმეს. ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტობა მხოლოდ კაბინეტში ჯდომას არ ნიშნავს. ფორდს საერთოდ არ ჰქონია კაბინეტი, მაგრამ მშვენივრადააწყო საქმე.

მიმაჩნია, რომ დღეს მეტი სარგებლობის მოტანა შემიძლია. სკამსა და თანამდებობას დახარბებული არასდროს ვყოფილვარ და არც დღეს მჭირდება პრეზიდენტობა სატრაბახოდ. ეს მხოლოდ მოვალეობაა, რომელსაც დავიდარაბის გარდა არაფერი მოაქვს. ახლა ჩემი უმთავრესი ამოცანაა, ბიზნესმენები კრივში მოვიზიდო და გამოვაცოცხლო ეს სახეობა.

***ზვიად კალანდაძე***

# ჩემპიონთა ლიგა. I ჯგუფური ეტაპი, II ტური 24-25 სექტემბერი

CHAMPIONS LEAGUE

## A ჯგუფი

პსვ — არსენალი 0:4

დორტმუნდი — ოსერი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| დორტმუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ოსერი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| პსვ | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | 1 |

## B ჯგუფი

ლივერპული — ბაზელი 1:1

სპარტაკი — ვალენსია 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

## C ჯგუფი

აეკი — რომა 0:0

რეალი — გენკი 6:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:0 | 6 |
| აეკი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| რომა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| გენკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:6 | 1 |

## D ჯგუფი

ინტერი — აიაქსი 1:0

ლიონი — რუსენბორგი 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 3 |
| აიაქსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| რუსენბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:7 | 1 |

## E ჯგუფი

იუვენტუსი — დინამო (კ) 5:0

ნიუკასლი — ფეიენოორდი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | 4 |
| ფეიენოორდი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| ნიუკასლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

## F ჯგუფი

ბაიერი — მანჩესტერი 1:2

მაკაბი — ოლიმპიაკოსი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| მაკაბი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:5 | 3 |
| ბაიერი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:8 | 0 |

## G ჯგუფი

დეპორტივო — მილანი 0:4

ლანსი — ბაიერნი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| დეპორტივო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| ბაიერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ლანსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

## H ჯგუფი

ბრიუგე — ლოკომოტივი 0:0

გალათას. — ბარსელონა 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| გალათასარაი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ბრიუგე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

ექიმები არ აძლევდნენ მშობიარობის უფლებას სუსტი ჯანმრთელობის გამო... უმას დილაობით თავბრუ ესხმოდა, თვალთ უბნელდებოდა, შაკიკი აწუხებდა, ვერ უსმენდა ხმამაღალ მუსიკას. ექიმებმა დაადგინეს, — თავის ტვინის სისხლძარღვები სუსტი აქვს და შეიძლება მშობიარობა ვერ გადაიტანოსო...

მაგრამ შვილი სიცოცხლეზე მეტად უნდოდა...

# კოჭზე ვერცხლის ძეწკვი შეხსნა და თვითონ შეიბა... — ასე იპოვეს ერთმანეთი



ამიტომ ექიმებს ხელწერილი დაუდო, რაც არ უნდა მომივიდეს, მაინც თანახმა ვარ, ბავშვი გავაჩინოო.

...უმა თურმანმა ყველაფერს დამოუკიდებლად მიაღწია. 15 წლისამ მშობლების ნებართვით სკოლა მიატოვა და ნიუ-იორკში გადასახლდა. საოცარი ნებისყოფის წყალობით თავი აარიდა საეჭვო კომპანიებს, არც ნარკოტიკებს გაჰკარებია, ოღონდ ძალიან ბევრს ეწეოდა.

ჯერ მოდელად მუშაობდა, თუმცა ვერ იტანდა მსოფლიოს ყველა გოგონას საოცნებო პროფესიას. 18 წლისამ მიატოვა სამოდელო ბიზნესი და ითამაშა ფილმში „საშიში კავშირები“. ამას მოჰყვა „ჰენრი და ჯუნი“. ამ ფილმმა სახელი მოუხვეჭა. მალე ცოლად გაჰყვა თავის პარტნიორს, ცნობილ მექალთანე მსახიობს ჰარი ოლდმენს. უმა მაშინ 20 წლის იყო, ოლდმენი — 32-ის.

ფილმში ჰენრი-ოლდმენმა ცოლად შეირთო სექსუალურად მაცდური ჯუნი, ხოლო უმა ქალწული აღმოჩნდა...

უმა ქმარს ცივ ნიავს არ აკარებდა, მოხარშულ ბოსტნეულს უხეხავდა — გასტრიტმა არ შეაწუხოსო. ქმარმა კი მარიხუანას მოწევა ასწავლა, ხმაურიან საღამოებზე დაჰყავდა, რომელიც ორგიებით მთავრდებოდა. შეშფოთებული უმა, ვითომდა ოჯახის ნაცნობიაო, ფსიქოთერაპევტს იწვევდა შინ, რომელსაც ჰარი პანჩურით აგდებდა...

ჰარი სცემდა ცოლს, თუ დილით ლუდი საკმარისად ცივი არ იყო...

ყველაფერი 1992 წლის ზამთარში დასრულდა — ოლდმენი, თავის მეინახესა და მეგობართან, კიფერ საზერლენდთან ერთად, ციხეში აღმოჩნდა, რადგან მთვრალი მართავდა მანქანას. როცა ცოლმა ციხის სალაროში გირაო შეიტანა ქმრის გასათავისუფლებლად, ჰარიმ მას ფეხსაცმელი ესროლა და უყვირა, — ჯანდაბაში წასულხარ, წმინდანო! აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმაო. ჟურნალისტებს განქორწინების მიზეზი, რომელმაც მშვიდად ჩაიარა, ოლდმენმა ასე აუხსნა: „თქვენ შეძლებდით ანგელოზთან ცხოვრებას?“

უმა მოერია უმძიმეს დეპრესიას, შეძლო კინოში თამაში, ახალი სიყვარულიც იპოვა. თუმცა ეს 10 წლის შემდეგ მოხდა...

უმამ და ითენ ჰოუკმა 1996 წელს გაიცნეს ერთმანეთი ფილმ „გატაკას“ გადაღებაზე.

ოდესაღაც უმას ინდოეთში უმკითხავეს, ღმერთების ნებით, შენი ბედია მამაკაცი, რომელსაც ფეხზე ძეწკვი უკეთიაო. უმას გაუკვირდა — როგორ უნდა ვიცნო, ყველა შემხვედრს შარვლის ტოტებს ხომ არ ავუწევო და თავად შეიბა ძეწკვი — რომელიმე მამაკაცი ხომ მეტყვის, მეც შენნაირი სამშვენისი მაქვსო!

ერთხელ, შესვენებისას, უმას პავილიონში ჩაეძინა. ითენს თვალი გაექცა ქალის ფეხებისკენ. თავისი პერანგი მიაფარა და გულში გაივლო — მართალია ტარანტინო, უმას საყვარელი რეჟისორი, რომელიც ამბობდა, — უმა თურმანის ტერფებზე უფრო სექსუალური არაფერი მინახავსო. უეცრად კოჭზე ქალს დაუნახა ვერცხლის ძეწკვი. რომ არ გაეღვიძებინა, ფრთხილად მოხსნა და თვითონ შეიბა...

ეს თითქმის ნიშნობა იყო!

ორივე თავიანთი სიყვარულის საწყისად იმ შემთხვევას მიიჩნევს.

მას შემდეგ ითენ ჰოუკი უმას ხშირი სტუმარი გახდა მანჰეტენის მყუდრო ბინაში. ითენს ეგონა, ქალი ცოლობაზე იმიტომ ეუბნებოდა უარს, რომ პირველ სიყვარულს მისტიროდა. ძალიან უყვარდა უმა და უნდოდა, ეს შეშინებული „ანგელოზი“ მისი გამხდარიყო. ქალი ურჩობდა — ჩვენი ურთიერთობა ისედაც საკმარისად ჰარმონიულია და სულაც არ არის საჭირო ქორწინების მოწმობაო.

როცა ითენმა უმას ფეხმძიმობის ამბავი შეიტყო, დაფრთხა — ჯერ ერთი, მისი ჯანმრთელობა აშფოთებდა და, რაც მთავარია, არ უნდოდა უმას სიყვარული მისთვის თუნდაც ღვიძლ შვილს გაეყო. ამიტომ ერთ დღეს შესთავაზა — ბავშვს ხომ არ მოიშორებდიო.

პასუხად უმამ შინიდან გააგდო.

განა ბავშვს შეუძლია ბედნიერებას ხელი შეუშალოს? — წუხდა უმა, — თუ ითენი ასე ფიქრობს, მაშინ ის შვილს ვეღარასოდეს იხილავსო.

ითენი ძალიან მალე მიხვდა, რომ არ შეეძლო ამ საოცარი, განუმეორებელი ქალის გარეშე სიცოცხლე.

დიდი ძალისხმევა დასჭირდა მის შესარიგებლად. სამაგიეროდ, მერე ერთად შეჰხაროდნენ მომავალ შვილს. ჯერარშობილ გოგონას სახელიც კი დაარქვეს — მაია, სილამაზისა და ნაყოფიერების ინდური ქალღმერთის პატივსაცემად.

ძალიან ლამაზი და ოდნავ ძველმოდური ქორწილი გადაიხადეს.




ორი თვის შემდეგ უმამ მერცხალივით მაია რეი თურმან-ჰოუკი გააჩინა, ხოლო 3 წლის შემდეგ თავის გოგონას ძამიკო აჩუქა.

იგი ოჯახსაც უძღვება და ფილმებშიც თამაშობს.

— მთელი სიცოცხლე მუხლჩაუხრელად ვშრომობდი, — ამბობს უმა, — ერთი ხანობა ვფიქრობდი, ეტყობა, ოჯახი ჩემთვის არ გაუჩენია ღმერთსმეთქი და მა-ინცდამაინც ამისკენ არც მივილტვოდი. ახლა მივხვდი, ოჯახი ყველაზე მთავარია ადამიანისთვის.

უმამ სიცოცხლის რისკის ფასად გააჩინა მესამე შვილი და ძალიან ბედნიერია — გარს ახვევია მოსიყვარულე ქმარშვილი.

სულში სრულმა ჰარმონიამ დაისადგურა — მისი სახელიც ხომ ჰინდის ენაზე „ჰარმონიას“ ნიშნავს და განა შეიძლება უბედური იყოს ქალი, რომელსაც ჰარმონია ჰქვია?

*7 დღე №35*

# ბოდროვი — „უკანასკნელი გმირი“



***„ჩვენ არ ვართ თავისუფალნი წარსულისაგან, არც მომავლისგან, არც იმისაგან, რასაც ვაკეთებთ, მაგრამ ის, რასაც ვქმნით, უთუოდ რაღაც ახალი უნდა იყოს.***

***შტამპების მეშინია, მეშინია, არ დავკარგო მეხიერება, ზომიერების გრძნობა. კიდევ, მეშინია, დრო არ გავფლანგო უქმად. ტყუილად ხომ არ ამბობენ, დრო, რომელიც მიედინება, ეშმაკის მოგონილია, როგორც ღვთის კუთვნილ მარადისობასთან დაპირისპირებაო“.***

***სერგეი ბოდროვი***

## მასთან გამოთხოვებაც კი შეუძლებელია

ახალგაზრდების სიცოცხლე ზენიტში წყდება, გვეჩვენება, რომ სამყაროში რაღაც ვერ არის წესრიგში.

ყველაზე დიდი მწუხარება მშობლებს დაატყდათ თავს...

სერგეი ბოდროვ-უფროსი ოსეთში ამერიკიდან ჩამოვიდა, იქ ცხოვრობს მეორე, ფრანგ ცოლთან ერთად. მისი პირველი ცოლი, სერგეი-უმცროსის დედა მოსკოვში, ლენინის პროსპექტზე სუნთქვაშეკრული ელოდა ახალ ამბებს ოსეთიდან. მაშინ ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი...

მეორე დღეს ყურმილი სერგეის ბებიამ აიღო:

— სასწაულს აღარ ველით! არადა უნდა მომხდარიყო! ისეთ ადამიანს, როგორიც ის იყო, უნდა გამართლებოდა! სერიოჟას ყოველთვის უმართლებდა! ისეთი კეთილი იყო, გულისხმიერი, ისეთი ჭკვიანი! მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად განსაჯა...

დამჯერე ბავშვი იყო, ხუთოსანი, ხელოვნების სკოლაშიც სწავლობდა. შემდეგ МГУ-ში ჩააბარა. უნიჭიერესი ბიჭი იყო! იტალიაში ცხოვრობდა და მუშაობდა... ორი შვილი დააობლა... საშინელებაა, საშინელება... მისი დატირებაც კი არ შეგვიძლია, რა შემზარავია...

სერგეის დედა, ვალენტინა ნიკოლაევნა ჩავიდა ტრაგედიის ადგილას, ალბათ რად უღირდა ეს ნაბიჯი!

სერგეი ბოდროვი ყველაზე პოპულარული რეჟისორი იყო რუსეთის ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა შორის, თუმცა პოპულარობა უფრო კინოროლებმა მოუტანა: მთავარი როლი ფილმში „კავკასიელი ტყვე“. შემდეგ: „ძმა“, „ძმა-2“, „ომი“. თავად სერგეიმ, როგორც რეჟისორმა „დები“ გადაიღო, სულ ახლახან კი ახალი ფილმის „მეკავშირეს“ გადაღება დაიწყო კავკასიონის მიუვალ მთებში.

...ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ ოსეთში ზვავმა დაფარა ხეობა, სადაც უამრავი ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის, სერგეი ბოდროვის გადამღები ჯგუფი. გასული კვირების მანძილზე ყველა მოუთმენლად ელოდა ახალ ცნობებს. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, როცა მაშველებმა ტრაგედიის ადგილი დაათვალიერეს, მაშინვე დაასკვნეს: ყინულის ტყვეობაში მოხვედრილებს თითქმის არ ჰქონდათ გადარჩენის შანსი, მაგრამ ყველა ელოდა სასწაულს, იმედს არ კარგავდა, რადგან სერგეი ბოდროვის ყოველი კინოგმირი ყველაზე უიმედო სიტუაციიდანაც კი უვნებელი გამოდიოდა...

ამჟამად თვით უახლოეს ადამიანებსაც კი აღარ დარჩათ იმედი — გარდა გამოუთქმელი მწუხარებისა, საშინელი უსამართლობის შეგრძნება გეუფლება: ეს ხომ ასე ახალგაზრდა, ბედნიერ, წარმატებულ, დიდი სამომავლო გეგმების მქონე ახალგაზრდებს შეემთხვათ!

თავად სერგეი გამგზავრების წინა დღეს გაბრწყინებული უამბობდა მეგობრებს, რამდენი საინტერესო რამ ჰქონდა სამომავლოდ ჩაფიქრებული... სწორედ ამიტომ, როცა ნიჭიერი

როგორც სერგეი ბოდროვის მასწავლებელმა ივან ტუჩკოვმა გაიხსენა, სერიოჟასთვის ყველაზე ახლო მეგობარი დედა იყო, ნებისმიერ საკითხზე მას ეკითხებოდა რჩევას. დედა იყო საუკეთესო კრიტიკოსი, საუკეთესო მრჩეველი. სწორედ დედის დამსახურებაა, რომ სერიოჟამ მიიღო ბრწყინვალე განათლება, ისწავლა ენები.

МГУ-ს წითელი დიპლომით დამთავრების შემდეგ სერგეიმ დაიცვა დისერტაცია თემაზე „აღორძინების ხანის ვენეციური ფერწერა“. გაემგზავრა იტალიაში, რომელიც ყოველთვის ხიბლავდა. იქ მაშველადაც მუშაობდა, მაგრამ მაინც რუსეთში დაბრუნდა და პირველ არხზე, პროგრამა „ვზგლიადის“ ერთ-ერთ წამყვანად დაიწყო მუშაობა.

პირველი, დიდი სიყვარული უნივერსიტეტში სწავლის დროს ეწვია და მთელი სტუდენტური ხანა ირინასთან იყო დაკავშირებული. მერე და მერე მათი გზები გაიყარა — სერგეი იტალიაში გაემგზავრა, ირინა — ამერიკაში... თავისი მომავალი ცოლი სვეტა მიხაილოვა 6 წლის წინ გაიცნო ტელევიზიაში. „სვეტას მგონი მთელი სიცოცხლე ვეძებდი. ექვსი წლისამ ზუსტად ვიცოდი, როგორი ცოლი მეყოლებოდა. ამიტომაც დანახვისთანავე მივხვდი, ეს გოგონა ჩემი ცოლი გახდებოდა, მასში ჩემი ოცნება ვიცანი“, — ამბობდა სერგეი. შეყვარებულები დიდხანს მალავდნენ თავიანთ გრძნობებს, თანამშრომლებმა ერთი თვის შემდეგღა შეიტყვეს მათი ქორწინების ამბავი. მზრუნველი ქმარი და მამა იყო. ბედნიერი კაცი ვარ, მემკვიდრე შემეძინაო, ამაყობდა სულ რაღაც ორიოდე თვის წინ. მათ ორი შვილი ჰყავთ — 4 წლის ოლია და ორი თვის ალექსანდრე...

პატარებზე მეურვეობა სერგეი ბოდროვმა (უფროსმა) იკისრა.

# ჰარისონ ფორდი ჩქარობს...

პოპულარულ სერიალში კალისტა ფლოქჰარდი თამაშობდა მარტოხელა, ფიცხ ქალს, რომელსაც სიყვარული სწყურია, ჰარისონ ფორდი კი მუდამ კეთილშობილ გმირებს ასახიერებდა. ფორდს ორი ცოლისგან ოთხი შვილი ჰყავს, ქალი მარტოხელა დედაა — შარშან ბიჭუნა იშვილა. კაცი 60 წლისაა, ქალი — 37-ის.

მიუხედავად ასაკით შეუფერებლობისა, ისინი ჰოლივუდის ყველაზე რომანტიკულ წყვილადაა ცნობილი.

ერთმანეთი უცნაურად გაიცნეს. ყოველწლიური პრემიის Golden Globe Awards-ის ცერემონიალზე ჰარისონ ფორდმა სპეციალური ჯილდო მიიღო კინოხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის. კალისტა ფლოქჰარდმა გადაწყვიტა, მიელოცა მისთვის. წითელი ღვინით სავსე ბოკალით ხელში მიუახლოვდა, წაიფორხილა, ღვინო კაბაზე გადაისხა და ფორდის პრიზიანი ხელიც ზედ მიაყოლა. შემთხვევით მოუვიდა ეს თუ განზრახ, არავინ იცის. ის კი ცნობილია, რომ ფორდი მას კარგა ხანია მოსწონდა. გაბრაზების მაგივრად ვარსკვლავმა ლოყაზე აკოცა დარცხვენილ კალისტას და ხმამაღლა თქვა, — რა მშვენიერი გოგონააო. მას შემდეგ ისინი ერთმანეთს არ დაშორებიან. ჰარისონმა ქალი თავის შვილებს და მათ დედებსაც გააცნო. ყველა მოხიბლა კალისტამ და მისმა ბიჭუნამ.

18 წლის ცოლქმრობის შემდეგ, ფორდმა და მისმა ცოლმა მელისა მეთისონმა სასამართლოში აღძრეს საქმე განქორწინების თაობაზე. განქორწინება ერთი წელია, ჭიანურდება. ფორდი ადვოკატებს აჩქარებს, ეტყობა, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კალისტასთან ჯვრის დაწერა.

...მთელი ამერიკა ადევნებდა თვალს, თუ როგორ გაირჭო ყურში საყურე ამ ერთ დროს სანიმუშო მეოჯახემ და იდეალურმა მამაკაცმა და ამაოების მორევში გადაეშვა. მისმა რომანებმა ახალგაზრდა ქალებთან, გაუთავებელმა ქეიფმა საეჭვო ყოფაქცევის დედაკაცებთან ჰოლივუდს ათქმევინა — კიდევ ერთი ჯეკ ნიკოლსონი მოგვევლინაო.



უცებ ეს დაუოკებელი მამაკაცი კალისტას მკლავებში აღმოჩნდა. არადა ეს ქალი ჰოლივუდის „ცხელ ათეულშიც“ კი არ ითვლებოდა.

კალისტა ფლოქჰარდს ფორდთან შეხვედრამდე სიყვარულში ბედი მაინცდამაინც არ სწყალობდა. მისი რომანები საქორწინო დაფდაფებით არ დამთავრებულა. ხმა დადიოდა, მსახიობი ანორექსიით (უმადობა) არის დაავადებულიო. კალისტამ რამდენიმეჯერ გადასაღებ მოედანზე გონებაც კი დაკარგა. მაგრამ, როგორც ახლა ამბობენ, კალისტა და ფორდი ხშირად ერთად დადიან რესტორნებში და აღარავის შეუმჩნევია მისთვის უმადობა.

ფორდს ყოველთვის მოსწონდა ჭკვიანი ქალები. კალისტას კი ბავშვობიდან წიგნის ჭიას ეძახდნენ. ისე რომ, მათ ბედნიერებას წინ არაფერი უდგას. მართალია, სერიალი, რომელშიც იღებდნენ, დამთავრდა, მაგრამ ინდიანა ჯონსის მეოთხე სერიაში მონაწილეობაზე ფორდი მხოლოდ იმიტომ დათანხმდა, რომ მის შეყვარებულს კალისტა ითამაშებს.

ყოვლისმცოდნე ჟურნალისტებმა ისიც შეამჩნიეს, თუ როგორი გულისყურით ათვალიერებდნენ შეყვარებულები საიუველირო მაღაზიის ვიტრინაში საქორწინო ბეჭდებს.

*7 დღე №38*

# მუცელში ხე ამოუვიდა

ორი წლის წინ ნისლიანი ალბიონის დედაქალაქის მკვიდრმა ტედ როკერმა გადაყლაპა ერთი პაკეტი ნეკერჩხლის თესლი. მას აინტრესებდა რა მოხდებოდა და არავის რჩევას ყური არ ათხოვა. 6 თვის შემდეგ მას მუცლის საშინელი ტკივილები დაეწყო, რაც თანდათან უძლიერდებოდა. ერთხელ კი... „მე ქუჩაში ნაცნობი შემხვდა, ჩვენ ვსაუბრობდით და მოულოდნელად პირიდან ტოტი გამოჩნდა“ — ამბობს ტედ როკერი. ექიმებს სრულებით არ გაჰკვირვებიათ, რომ ტედის მუცელში ნამდვილი ხე იზრდებოდა. „მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო“, — მშვიდად განაცხადა ტედ როკერის მკურნალმა ექიმმა ლერი უოლკერმა.

*ვერსია №36*

# კინომსახიობ ვეშაპს მკურნალობენ



სახელგანთქმულმა ფილმებმა „იხსენით ვილი“ და „იხსენით ვილი-2“ 23 წლის წინ ვეშაპი კეიკო ისლანდიაში ბავშვების საყვარელ გმირად და სუპერვარსკვლავად აქცია. როცა გაირკვა, რომ გადაღებები არ გაგრძელდებოდა, „მსახიობი“ კი ზღვაში დამოუკიდებლად ცხოვრებას გადაეჩვია, მილიონობით ბავშვი საყვარელ ვეშაპს თავის ჯიბის ფულს უგზავნიდა „თავის სარჩენად“. საბოლოოდ, კეიკო მილიონერი გახდა — 25 მლნ დაუგროვდა. მას მწვრთნელები მიუჩინეს, ექიმები და მოსამსახურეები დაუყენეს — სულ 18 კაცი. მათ ვეშაპი მშობლიური წიაღისთვის — ოკეანისთვის უნდა დაებრუნებინათ.

მაგრამ სურვილი ერთია, საქმე — მეორე. კეიკო გაჯიქდა — არაფრით აღარ მოინდომა გაველურება. მეურვეები თავს არ ზოგავდნენ და ცდილობდნენ ვეშაპი „დედიკოს ბიჭი“ აღარ ყოფილიყო. დაავლებდნენ ხელს და გადაისროდნენ ბობოქარ ტალღებში. კეიკო პროვოკაციაზე არ წამოეგებოდა, უკან უბრუნდებოდა მწვრთნელებს და უზრუნველად შეექცეოდა მუქთა თევზს. ბოლოს და ბოლოს, „მილიონერი“ გაკოტრდა და აღარავინ ევლებოდა თავს. ვეშაპი სადღაც გადაიკარგა. სულ ორიოდ კვირის წინ ნორვეგიულ ქალაქ ტრონჰაიმის ახლოს თევზმჭერ კატერს გაძვალტყავებული კეიკო აედევნა და პორტამდე გაჰყვა. მეორე დღეს იგი თავთხელში ბავშვებთან ერთად ჭყუმპალაობდა.

ანალიზებით გაირკვა, რომ ოთხი კვირის მანძილზე კეიკოს არაფერი უჭამია და გაცივებულა კიდეც. სასწრაფოდ გამოუწერეს პენიცილინი, საკვებად კი დღეში 50 კგ თევზი დაუნიშნეს. ახლა იგი „ბიულეტენზეა“, მშვიდად ნებივრობს სანაპიროსთან ახლოს.

ამასობაში ნორვეგიელმა ტელეპათმა ასტრიდ მომ თავის ორ მოსწავლესთან ერთად ვეშაპთან „კავშირის სეანსი“ ჩაატარა. ვირტუალური ურთიერთობის შემდეგ, ტელეპათმა განაცხადა — კეიკოს მძიმე დეპრესია აქვს დაუკმაყოფილებელი სექსუალური მოთხოვნილების გამო. ვეშაპს მხოლოდ დიდი და წმინდა სიყვარული იხსნის, სასწრაფოდ ცოლი უნდა მოვუძებნოთო.

ვინ უნდა გახდეს მისი რჩეული — ქალი-ამფიბია თუ დედალი ვეშაპი — ტელეპათს არ დაუკონკრეტებია.

*კომსომოლსკაია პრავდა №170*

# ჯიბის ცხენი



70 წლის მერი სტივენსონს ქმრის სიკვდილმა გული მოუკლა და სიცოცხლის ხალისი დაუკარგა.

შეწუხდნენ შვილები... ექიმის რჩევით, დედას ფისო, ძაღლი ან თუთიყუში კი არა, შოტლანდიური პონი აჩუქეს. პატარა ცხოველი მაშინ სულ რაღაც ორი თვისა იყო. ზრდილმა და ალერსიანმა ფაბიოლამ გამოაცოცხლა მოხუცი. დილით ადრე დგება, პონის საუზმეს უმზადებს, მერე კი ახალი მეგობრები ერთად სეირნობენ, სტუმრადაც დადიან.

ფაბიოლა არანაირად არ აწუხებს მერის. მისი სიმაღლე 40 სმ-ია და 9 კგ-ს იწონის. არ შორდება დედობილს. თუ კალთაში არ უზის, თავი ყოველთვის მის მუხლებზე აქვს დასვენებული. ძალიან უყვარს ალერსი და დრუნჩის მერის ყელთან ჩამალვა. კვირაობით ეკლესიამდე აცილებს ხოლმე მოხუცს და მერე მოთმინებით ელის წირვის დამთავრებას. თუ მერიმ არ მიაწოდა, პირს არაფერს დააკარებს, წყურვილით რომ კვდებოდეს, ყლუპსაც არ დალევს...

*ოტდოხნი! №34*

# შხამიანი სეიფი

ბოლო დროს ამერიკელი ბინის ქურდები მეტად უსიამოვნო სიურპრიზების მოწმეები გახდნენ.

სხვა სოლიდური ქურდების მსგავსად, ჩიკაგოელი ჯიმ გეიბლი და თედ პირსონი მხოლოდ იმ ბინებს ქურდავდნენ, რომლებშიც ზუსტად იცოდნენ, რა დახვდებოდათ. ამიტომ, როგორც კი მდიდარი იუველირის იუჯინ მორისის სახლში შევიდნენ (მორისი ოჯახთან ერთად ჰავაის კუნძულებზე ისვენებდა), სეიფისაკენ გაემართნენ, სადაც მილიონი დოლარის აქციები ეგულებოდათ.

თავდაპირველად გამორთეს ელექტროგაყვანილობის სისტემა და სამი საათის წვალების შემდეგ სეიფი გააღეს. გეიბლმა იქ მოთავსებული ქაღალდებისკენ ხელი გასწია, იგრძნო, რომ რაღაცამ მწარედ უჩხვლიტა და უეცარი ტკივილისგან წამოიყვირა. პირსონმა ღია სეიფში ფარანი შეანათა და შიშით თავზარდაცემული გაშეშდა. სეიფში საბრძოლველად წამომართულიყო ინდური კობრა. ქურდებმა მაშინვე დახურეს სეიფის კარი, გარეთ გამოცვივდნენ და მანქანაში ჩასხდნენ. მაგრამ ჯიმ გეიბლი ცუდად გახდა, გული წაუვიდა და თედი იძულებული გახდა, მეგობარი და კოლეგა საავადმყოფოში წაეყვანა. ექიმებმა დამნაშავე კი გადაარჩინეს, მაგრამ ეს ამბავი პოლიციას შეატყობინეს, რომელმაც უიღბლო ქურდები დააპატიმრა.

*კრიმინალნაია ხრონიკა №7*



დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე, პრინცი უილიამი კინაღამ მოწამლეს კალიუმციანიდით. რით გაანაწყენა 22 წლის პრინცმა ამერიკელი ტაშალა ჰეიმანი, ჩანს, საიდუმლოდ დარჩება.

# პრინცი უილიამი კინაღამ მოწამლეს

საწამლავის შოვნა ტაშალას არ გასჭირვებია, რადგან იგი ქიმიკატების სავაჭრო ცენტრში მუშაობს. მან სათანადოდ გააზავა საწამლავი გაზიანი წყლით და კაროლინ სმიტის ფსევდონიმით გაუგზავნა პრინცს.

შესაძლოა ამანათს ადრესატამდე კიდეც მიეღწია, მაგრამ ტაშალა პოლიციას ჩაუვარდა ხელთ — მოპარული კრედიტით ყიდულობდა პისტოლეტს. მისი მანქანის საბარგულის გაჩხრეკისას იპოვეს სენატორების — ჰილარი კლინტონისა და თედ კენედის მისამართები. სასწრაფოდ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ საწამლავის გაგზავნა მას უკვე მოესწრო ამ ცნობილ პირთათვის.

ბოროტმოქმედის თავდებით გათავისუფლების შუამდგომლობა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა — იგი ძალზე საშიში ბოროტმოქმედიაო, — თქვა მან.

თუ ეს ყველაფერი დადასტურდა, ტაშალა ჰეიმანს 7 ათასი დოლარის გადახდა და 20 წლით პატიმრობა ელის.

*მირ ნოვოსტეი №36*

# ჯულია უმდიდრეს მამაკაცებს შორის



ჰოლივუდის ერთ-ერთი უმდიდრესი მსახიობი ჯულია რობერტსი ერთადერთი ქალბატონი აღმოჩნდა, რომელიც შეიყვანეს ამერიკის ყველაზე მდიდარ 40-კაციან სიაში. მანამდეც ჯულია არაერთხელ დაუსახელებიათ ხან ყველაზე გავლენიან პირად, ხანაც ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებად მსახიობად (მას შემდეგ რაც 20 მილიონი დოლარი გადაუხადეს როლისთვის ფილმში „ერინ ბროკოვიჩი“). ახლანდელ სიაში რობერტსის გარდა შევიდნენ უილ სმიტი და ბრედ პიტი. ყველაზე მდიდართა სიის პირველ ნომრადაა კომპიუტერული კორპორაცია Dell Computers-ის შეფი მაიკლ დელი $11,7 მილიარდით. შოუბიზნესის წარმომადგენელთა შორის კი ყველაზე მდიდარი აღმოჩნდა შონ კომბსი, რომელიც ახლა პი დიდის ფსევდონიმით გამოდის სცენაზე. მისი ქონება $294 მილიონადაა შეფასებული. სიტყვამ მოიტანა და პი დიდის მილიონების მხოლოდ შოვნა კი არა, ხარჯვაც კარგად ეხერხება. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ მან ფლორიდაში, ოკეანის ნაპირზე $30 მილიონად შეიძინა ძვირფასი სახლი და თან $1 მილიონი მხოლოდ იმისთვის გადაიხადა, რომ სასწრაფოდ შესახლებულიყო შიგ: მას ერთი სული ჰქონდა ეცხოვრა უზარმაზარ სახლში, რომელსაც გააჩნია 19 სააბაზანო, 8 საძინებელი, 9 ბარი, საშინაო კინოთეატრი, მარანი 2 ათასი ბოთლი ღვინით, ფიტნეს-ცენტრი და გარაჟი მარმარილოს იატაკით.

*დენგი №36*

# ბუდას დაბადების დღე და... იოგურტი



მეთხუთმეტე საუკუნიდან ტიბეტელი ბერმონაზვნები ბუდას დაბადების დღეს საზეიმოდ აღნიშნავენ. ამ დღეს ბუდისტური რელიგიის მამამთავრის უზარმაზარ 42-მეტრიან გამოსახულებას — აბრეშუმის ტანკას — ლხასაში მონასტერ დრეპანგის ახლო ბორცვის ფერდობზე შლიან.

ბუდისტებისთვის ამ წმინდა დღეს სხვა დღესასწაულიც ემთხვევა — იოგურტის ფესტივალი. ეს გემრიელი პროდუქტი ბერებს მომლოცველებმა გაასინჯეს. ზაფხულში, ბუდას დაბადების დღემდე მომარხულე ბერები დიდი სიამოვნებით შეექცევიან იოგურტს. იოგურტის ფესტივალს მე-17 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. იგი კონცერტით მთავრდება, რომლის დაწყებას ჯუჯები ამცნობენ მომლოცველებს — საზეიმოსამოსიანი ჯუჯები პლაკატებით ხელში დააბიჯებენ — პლაკატებზე წარწერაა: „დიდი კონცერტი“. კონცერტი ადგილობრივი სამთავრობო რეზიდენციის — პატალას სასახლესთან მიმდინარეობს.

*ვოკრუგ სვეტა №36*

# „მერი“ დაკოდეს!

აშშ-ის კრიმინალურ ისტორიაში ამერიკელი ჯიმ ჰარგროუვის დანაშაულის მსგავსი არ მომხდარა. ღამით ის თავს დაესხა ტეხასის ქალაქ ლაჰიტასის მერს, კლეი ჰენრი მესამეს, ეცა ფეხებშუა, მაგრად ჩაბღუჯა და დანით მოაჭრა მამაკაცური ღირსების ნაწილი. დაზარალებული სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს. ქალაქისთავი კი გადარჩა, მაგრამ ექიმების ვარაუდით, ის ძველებურად ვაჟკაცი ველარ იქნება. ჯიმ ჰარგროუვი თავს იმით იმართლებს, რომ მერი თავადაა დამნაშავე, რადგან ამ წუწკმა ლუდი დაულია. მიუხედავად ამისა, დამნაშავე სასამართლოს წინაშე წარდგება და ალბათ ციხეში ამოყოფს თავს... ცხოველების მასხრად აგდებისათვის.

საქმე კი ის გახლავთ, რომ ლაჰიტასის მერი არის... თხა! დიახ, ნამდვილი რქიანი, წვერცანცარა ჩლიქოსანი, სახელად კლეი ჰენრი მესამე. ქალაქის მცხოვრებლები, რომლებმაც მერად ჩლიქოსანი აირჩიეს, ძალიან კმაყოფილები არიან: თხა მათ საქმეებში არ ერევა, მის სანახავად ლაჰიტასში უამრავი ტურისტი ჩამოდის და ქალაქს შემოსავალიც საგრძნობლად გაეზარდა. კლეი ჰენრი მესამე აშშ-ის ერთადერთი რქოსანი მერია.

*ინტერპოლ-ექსპრესი №35*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში იმ სიტყვებს ამოიკითხავთ, რომლითაც ჰანს კრისტიან ანდერსენს მოიხსენიებენ მთელ მსოფლიოში.**

დ ა ი ს ვ ე ნ ე თ კ ა ლ ი ტ რ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ

ო ი ა ე ა ე ლ ი ა გ ვ ს ი ე ს ი ი ა ს ი ი ი კ ი

**დ.** ფრანგი განმანათლებელი; **ა.** სამხედრო ნადავლი; **ი.** უმცროსი მატროსი; **ს.** პატარა თევზსაჭერი გემი; **ვ.** გერმანიის რესპუბლიკის სახელწოდება 1918-1933 წლებში; **ე.** მწვავე შეხლა-შემოხლა; **ნ.** დინამიტის გამომგონებლის გვარი; **ე.** ერუდირებული ადამიანი; **თ.** ერთ-ერთი ღვინის ქურდის სახელი; **პ.** რაიმე ადგილის საერთო ხედი; **ა.** ქართული სადაზღვევო ფირმა; **ლ.** მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; **ი.** ჟამთასვლის რომაული ღვთაება, რომელსაც ორი სახე აქვს, ერთი წარსულისაკენ იყურება, მეორე მომავლისაკენ; **ტ.** თვითმფრინავის კიბე; **რ.** რენესანსის ეპოქის იტალიელი ფერმწერი; **ა.** ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა ქვეყანაზე მისი დაპყრობის მიზნით; **ს.** არხი, რომელიც აერთიანებს ხმელთაშუა და წითელ ზღვებს; **თ.** სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი; **ა.** ხის ალვირი; **ნ.** მდინარე ეგვიპტეში; **ე.** სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **რ.** სპორტის სახეობა, რომლის ტერმინია „მარაო“; **თ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ა.** რამაზ ჩხიკვაძის პერსონაჟი რობერტ სტურუას მიერ დადგმულ „კავკასიურ ცარცის წრეში“; **დ.** ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დრაქმა; **ა.** აგრესია; **ი.** იმამატი; **ს.** სერვისი; **ვ.** ვესპუჩი; **ე.** ესენცია; **ნ.** ნობელი; **ე.** ემოცია; **პ.** პაბლო; **ა.** აქსიომა; **ლ.** ლოპესი; **ი.** იტალია; **ტ.** ტატამი; **რ.** რვალი; **ი.** იარლიყი; **ს.** სლალომი; **ფ.** ფიხტე; **ე.** ერაყი; **რ.** როლანი; **ე.** ეშხი; **ბ.** ბრეხტი; **შ.** შაბათი; **ი.** ილიადა.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: არ არსებობს პატარა ხალხები.**

CMYK

# მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №38 (312) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 597 რესპონდენტი გამოეხმაურა. 6 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 231-მა ქალმა და 360-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის ყველაზე ქველმოქმედი ბიზნესმენი?“**

რეიტინგის მონაწილეთა ზუსტად ნახევარი თვლის, რომ ყველაზე ქველმოქმედი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილია, მხოლოდ შვიდმა რესპონდენტმა (1,2) შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით. **6,95** საშუალო ქულით პატარკაციშვილი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ქართული „ლუდის მაგნატი“ გოგი თოფაძეა, საშუალო ქულაა 6,56. რესპონდენტთა 24-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით და უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ მან დაიმსახურა ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური შეფასება (0,9).

ლევან გაჩეჩილაძე მესამე ადგილზეა საშუალო ქულით 5,09.

როგორც ვხედავთ, ქველმოქმედ ბიზნესმენთა პირველი სამეული ისეთი ბიზნესმენებით შეივსო, ვინც თავისი ბედი დიდ პოლიტიკას დაუკავშირა და ამით საზოგადოების ფართო ფენებისათვის პოპულარული ადამიანი გახდა; მისი საქველმოქმედო აქციები კი ტელევიზიითა და სხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ხდება ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ ბიძინა ივანიშვილი საერთო ქულების რაოდენობით მეოთხე ადგილზეა, მაქსიმალური ქულების მიხედვით (20,1) კი მესამეზეა და ამ ნიშნით უსწრებს ლევან გაჩეჩილაძეს (2,6).

აქ ჩამოთვლილ ბიზნესმენთა შორის, მკითხველმა შედარებით დაბალი შეფასებები მისცა მამუკა ხაზარაძის, დავით გამყრელიძისა და ავთანდილ წერეთლის საქველმოქმედო საქმიანობას.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან 26 წლის ქარელელი **თეა თევდორაშვილი** და 40 წლის კასპელი **გიორგი ჩადუნელი.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 2 ოქტომბერს, 17 საათზე.

## №39 (313) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის პრეციზენში*

**№39 (313) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 2 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 3 ოქტომბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №39 (313) —
სიმპათიური ტელესახე

**თქვენი აზრით, რომელია ყველაზე სიმპათიური ტელეწამყვანი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№39(313) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ტელესახე | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ნინელი ჭანკვეტაძე (ხალხის პირისპირ) | |
| 2 | ეკა ბერიძე (რას ფიქრობს ხალხი) | |
| 3 | დუტა სხირტლაძე (ვის უნდა ოცი ათასი) | |
| 4 | გიორგი გოგიჩაიშვილი (მხიარული კარუსელი) | |
| 5 | ეკა ხოფერია (ღამის კურიერი) | |
| 6 | ნუგზარ რუხაძე (დღის ბოლოს) | |
| 7 | დიმიტრი ობოლაძე (კურიერი) | |
| 8 | გიორგი გიორგანაშვილი (იმღერე რამე) | |

*მკითხველის პრეციზენი*

**დაასახელეთ სექტემბრის თვის ადამიანი საქართველოში**

✓ ______________________

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური**

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი

ტელეფონი

### დამატებითი კითხვის შედეგები

*რა შედეგით დამთავრდება ფეხბურთში საქართველოს და რუსეთის გუნდებს შორის შეხვედრა 12 ოქტომბერს?*




| | | |
|---|---|---|
| 1. | საქართველოს გამარჯვებით | 37% |
| 2. | რუსეთის გამარჯვებით | 20% |
| 3. | ფრედ | 24% |
| 4. | მიჭირს პასუხის გაცემა | 19% |

*დამატებით კითხვას 519-მა რესპონდენტმა უპასუხა.*

### მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. ვაჟა გავაშელი — „ისტორიული აფერა საქართველოში, მაქსიმ გორკის შვილთაშვილის მონაწილეობით“ — 81 ხმა
2. ვენერა რურუა — „გაგრა — ჩვენი დაკარგული სამოთხე“ — 67
3. ზვიად ჩაკვეტაძე — „მკვლელობა, რომლის შემკვეთი პროკურატურისთვის ცნობილია...“ — 50
4. ზურაბ მჭედლიშვილი — „დღემდე არ არსებობს ერთი აზრი იმაზე, მოიგო საქართველომ ჩეჩენი ლტოლვილების მიღებით, თუ წააგო“ — 45
5. ზვიად ჩაკვეტაძე — „სად ქრება მონასტრების კედლებიდან ჩამოცვენილი მოჩუქურთმებული ქვები?“ — 35



თქვენი პრემია — 50 ლარი გადაეცემა რუბრიკა „ვერსიის“ ავტორს **ვაჟა გავაშელს.**

*„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 445-მა რესპონდენტმა გამოავლინა.*

# ფოტოანტიკვარი ©  ფოტოანტიკვარი ©

**პოპულარული ადამიანების ბავშვობის ფოტოებით უნდა ამოიცნოთ ისინი და უპასუხოთ კითხვას — „აბა, ვინ ვარ ახლა მე?“ თუ ძველ ალბომებში თქვენც მოგეპოვებათ ცნობილი პიროვნებების ბავშვობის დროინდელი „ფოტოანტიკვარები“, გამოუგზავნეთ თქვენი საყვარელი გაზეთის რედაქციას.**



**ირინა სარიშვილი-ჭანტურია, 1 წლის**

**„ფოტოანტიკვარის“ რესპონდენტთაგან მხოლოდ რამდენიმე მკითხველმა ვერ ამოიცნო ამ პატარას ვინაობა. მათი აზრით, ეს კობა ნარჩემაშვილის, მიხეილ სააკაშვილის, გიორგი თარგამაძის, შალვა ნათელაშვილის, ვანო მერაბიშვილის ბავშვობის ფოტოებია. ალბათ, მინიშნებამ — „აღარ ვარ ასეთი პუნტულა, ახლა „ჩხინკორა“ ვარ, მაგრამ ბევრს ვამწარებო“ — ენამოსწრებული პოლიტიკოსების და №1 პოლიციელის მცდარ კვალზე დააყენა ისინი...**

**აბსოლუტურმა უმრავლესობამ — 83%-მა კი სწორად შეიცნო ფოტოზე გამოსახული პატარა — ერთიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი — ირინა სარიშვილი-ჭანტურია.**





*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

______________________

— **მექებეთ შოუბიზნესში...**

## ფოტო განცხადებისთვის



შემოდგომის პალიტრა

## წინა კროსვორდის პასუხები



6/X ახალი მთვარე

მაგნიტური დღე:
4/X — 17-დან 20 სთ-მდე

# მომხიბვლელი საპატარძლოების კონკურსი





გასართობი „E" არხის შოუში ათასობით მაყურებელი იღებდა მონაწილეობას საუკეთესო საპატარძლოს შერჩევაში. ხანგრძლივი და დამქანცველი ძიების შემდეგ ყველაზე სექსუალური, მომხიბლავი, მიმზიდველი, თანაც გასათხოვარი საპატარძლოები ასე დანაწილდნენ: პირველი — სანდრა ბალოკი, შემდეგ — რენე ზელვეგერი, ნიკოლ კიდმანი და ჯენეტ ჯექსონი. ნატალი პორტმანი მეთერთმეტეა, ბრიტნი სპირსი — 22-ე, კამერონ დიასი სულ ბოლო, 25-ე ადგილზე აღმოჩნდა.

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## ამერიკული კროსვორდი (ასოციაცია)

ამერიკულ კროსვორდში ამოცნობილი სიტყვა უნდა ჩაწეროთ ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად კითხვების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. თუ ერთ რიგსა ან სვეტში რამდენიმე კითხვაა (ამ შემთხვევაში ასოციაციური წყვილი), იმავე რაოდენობის პასუხი ჩაიწერება მათთვის განკუთვნილ უჯრათა ერთობლიობაში ასოციაციური წყვილის რიგითობის მიხედვით.

- საქონლის საზამთრო სადგომი
- რბილი კანფეტი, თვალი
- დაწესებულება, ფირნიში
- ატომი, მუხტი
- გამარჯვება, ქალღმერთი; შუბლი, დარტყმის ნაკვალევი
- ბილიარდი, ჯოხი; ტბა ჩრდილო ამერიკაში, ხალხთა ერთობა; მდინარე, მწერალი
- ქალაქი კანადაში, ცნობილი „ჩაის სმა"
- დაქირავებული შრომა, გასამრჯელო; კუნ-ფუ, მსახიობი
- ჩინური ფილოსოფია, იანი; მოქმედების გამეორება, ნოტი.
- საბერძნეთი, ასო; თანხა, საქმის დაწყება;
- საკლასო ჟურნალი, ჩამონათვალი; პარფიუმერია, ჰიგიენა
- ფილმი „შიშველი მახა", მსახიობის სახელი; მანქანა, შეკვიბრი
- ტროპიკები, ხილი
- მაღლობი, ბარის ანტიპოდი; ვოლგისპირეთი, მდინარე
- იაზონი, თოფაძე
- გალილეი, პლანეტა იუპიტერი
- ქართველი კომპოზიტორის სახელი, ყვავილი





„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში: პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. კვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (სამგორის) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ-თ „საქართველოსთან"; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მევენახეობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვაჟა-ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მ/რ-ის ახალშენთან და „საქართველოს ბანკთან".

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ჟინვალსა და დუშეთში – თვის III კვირის ოთხშაბათს.

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

## (39) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№39 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 3 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.



* * *



ქმარი ცოლს:

— მორჩი წუწუნს, თითქოს ათას სისულელეში ტყუილუბრალოდ ვყრი ფულს. არაფერი შეგეშალოს, ძალიანაც ხელმოჭერილი ვარ.

— შენ? მაშ ცეცხლსაქრობი?.. ექვსი წლის წინ იყიდე და არაფერში გამოგვდგომია...

* * *



მამაკაცი შინ დროზე ადრე ბრუნდება და ცოლს საყვარელთან წაასწრებს. შიშველი საყვარელი დაპანიკებული წამოვარდება საწოლიდან და აბაზანაში გარბის, იქ იღებს პირსახოცს და წელზე შემოიხვევს. გაცოფებული ქმარი უკან მისდევს საყვარელს ყვირილით „არა!", „არა!". ცოლი ფიქრობს: მორჩა ახლა მოკლავს. მიდის აბაზანასთან და ესმის ქმრის ხმა: — არა! არა! ეს არა! ეს სახის პირსახოცია!..

## იაპონური ნაყინი... ძაღლებისთვის

იაპონელებმა მოიფიქრეს, როგორ დაეცვათ ზაფხულის ხვატისგან თავიანთი ოთხფეხა მეგობრები. რადგანაც ძაღლებმა ჩვეულებრივი ნაყინი „დაიწუნეს", მათთვის სპეციალური ნუგბარი გამოიგონეს. ახალი რეცეპტით დამზადებული საგანგებო ნაყინი მცირე რაოდენობით შეიცავს შაქარს. როგორც ამბობენ, იგი გემოთი იოგურტს წააგავს და ძაღლებიც სიამოვნებით მიირთმევენ.

ძაღლების ნაყინი „ჩაირთო" ინტერნეტის ქსელში და უამრავი კლიენტიც მიიზიდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. სამომავლოდ იაპონელებს განზრახული აქვთ სპეციალური ნაყინი დაუმზადონ კატებსაც...




ფირმა „ზერმუხა"

ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



რედაქცია მასალებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს არ აგებს.

რ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი ბენთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუგბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა"©

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში"